გოფრედო პარიზე

კასტრონი

რომანი

ინტალიურიდან
თარგმნა
მერი
ტიტვინიძემ

თბილისი „ცისანა" 1988

Ბ 193
84.4ITალ.

ეიუერედო პარიზე თანამედროვე იტალიელი მწერალია. 1965 წელს მიენიჭა „ვიარეჯოს“ დიდი ლიტერატურული პრემია რომანისათვის „პატრონი“. დღევანდელ იტალიურ ლიტერატურაში პარიზე ვასცალკევებით დგას და მეტად ორიგინალური სელწერით გამოირჩევა. ძნელია მივაკუთვნოთ იგი რომელიმე ლიტერატურულ მიმდინარეობას ან სკოლას. ძნელია მისი რომანის კლასიფიკაციის განსაზღვრაც; წინამდებარე რომანი უფრო ეკუთვნებს თანამედროვე „ცხოვრების კომედიას“, თუმცა, ერთი შეხედვით, ტრადიციულიც შეიძლება ეწოდოს. მასში მკვეთრია სოციალური თემა, მეტად თავისებურადაა დასმული „პატარა ადამიანის“ პრობლემაც, ფაბულა თითქოს მარტივია, არ გვხვდება დასლართული ინტრიგები, ხშირია პანალური ეპიზოდებიც, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ რთულ კომპლექსს ქმნის ფროიდისტული, სიურრეალისტური, გროტესკული, ალეგორიული, სატირული მოტივები, რაც შესრულებულია ექსპერიმენტული წერის ტექსტით და, ამასთან, ღრმა ჰუმანიზმითაა აღბეჭდილი. ეს კი უშუალოდ შეესატყვისება მწერლის მსოფლაღქმას, რომელსაც სჯერა, რომ „ცხოვრებაში ეაცილებით მეტი ჩრდილია, ვიდრე შუქი...“ მისი შეხედულებებისა და მწერლური კრედოს საუკეთესო ილუსტრაციაა რომანი „პატრონი“, რომელიც აგებულია ორი ალეგორიული პერსონაჟის — პატრონისა და მისი ხელქვეითის ურთიერთდამოკიდებულების ქარგაზე, ხოლო მისი ფონია „საშინელი სამყარო“. მასში მწერალი სვამს კონფორმიზმისა და ნონკონფორმიზმის მწვავე პრობლემას; რომანის მაგისტრალური თემები — შიში, უმწეობა, ეაუცსოება, უიმედობა, ამპოხის უაზრობა, განწირულობის შეგრძნება — სხვადასხვა ვარიაციებითაა წარმოდგენილი. ამ ნაწარმოებით მწერალმა შეასრულა თავისი მწერლური „იმპენიო“, რაც იტალიაში მიღებულია მწერლის ეპითეტად, ვინც თავის თავზე იღებს მოქალაქეობრივ, მორალურ-პოლიტიკურ ვალდებულებებს და, ერთვე დროს, გამოხატავს საკუთარ ესთეტიკურ პოზიციას.

47030000000-21
3 ——————— 120-89
М604(08)—88

© გამომცემლობა „მერანი“

დღეს პირველად ჩამოვედი დიდ ქალაქში, სადაც სამსახური ვიშოვე. რა გასაკვირია, ცოტა აღელვებულიც ვარ. დღეის შემდეგ ჩემი ცხოვრება, ალბათ, სულ ერთიანად შეიცვლება; გუშინდლამდე ერთი პროვინციელი ყმაწვილი ვიყავი, სადღაც გადაკარგულში ვცხოვრობდი, მშობლების ხელში შემყურე, უსასსრო და უქონელი; დღეს კი კაცი ვარ, სამუშაო მაქვს და თავის რჩენა შემიძლია, ის კი არადა, უკვე დაოჯახებაზეც ვფიქრობ. მოვა დრო და თქვენც მოგსედავთ, ჩემო ძვირფასო მშობლებო!

საყვარელო დედ-მამავ, მშობლიური ქალაქიდან თქვენი მოცემული ორმოცდაათი ათასი ლირის ანაბარა წამოვედი; მოვუფრთხილდები, დავზოგავ, ვიცი, რა წვითა და დაგვით გაქვთ მოსაგარი, ტყუილუბრალოდ არ გავანიავებ. მალე, ალბათ, ნასვასაც დაგიძვირებთ; ამასობაში გაჭაღარავდებით, ჩემზე ფიქრიოა და ჩემი მომავლის რწმენით განათებულ სახეზე სიბერე აშკარად დაგასვამთ თავის დაღს. ვიცი, რომ თქვენ მე უფრო გიყვარვართ, ვიდრე მე თქვენ, მაგრამ განა ეს ჩემი ბრალია! ასეთია ბუნების კანონი, გვარის გაგრძელების კანონი. მთელი დღე თქვენზე ვფიქრობდი, ჩვენს ქალაქზე, დიდედასა და პაპაზე, დეიდებსა და მამიდებზე, წარმომიდგებოდა ყველა ჩემი ახლობელი, თქვენთან გატარებული წლები და თვალები ცრემლით მევსებოდა. გაკვართმევ კია სამუშაოს თავს, შევეგუები ამ ქალაქურ ცხოვრებას? მე ჩემსას ვეცდები! ღმერთმა ქნას, იმედი არ გაგიცრუოთ, თქვენც მოესწროთ ჩემს წარმატებებს და სიბერის ჟამს ნუგეშად მოგევლინოთ.

დილაადრიან გავეშურე ფირმისკენ, სადაც დაბარებული ვიყავი; იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. ფირმის შენობა ერთ პატარა, ძველ ქუჩაზე დგას; ასეთი შუკები ჩვენს ქალაქშიც ბევრია და თავი ლამის შინ

მეკონა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამხელა სავაჭრო ფირმა აქ დაეცემა, სასელოსნოებს, ტრატორიებს, იაფფასიანი სასაუბრეებისა და ქორვაჭარია უბანში იყო მიკუნჭული! მაინცვე მივაგენი № 21 სახლსაც; ზუსტად მიმასწავლეს, მაგრამ მაინც ვანვაგრძე გზა, ქუჩის ბოლომდე გავედი, ვიფიქრე, ეგაც ფირმის შენობას ეს სახლები ეფარება-მეთქი. მაგრამ არა, ძველი კედლების მეტი იქაც არაფერი დამხვედრია. ნეოლ ფირმის შესასვლელი სწორედ ერთ-ერთ ამ ბაკამებულ შენობაშია? მივდიოდი და თან აქეთ-იქით ვიყურებოდი, მაგრამ ვერა და ვერ შევამჩნიე ისეთი სახლი, რომელიც, თუ ბედი კამეღიმებდა, ალბათ, მთელი ჩემი სიცოცხლე თავშესაფრად უნდა დამეკულებინა.

ამ ფიქრებში გართული და თანაც ინსტინქტით წაქეზებული (იმ უკუნური ინსტინქტით, ილუზია რომ ასაზრდოებს და არა სინამდვილე), რამდენჯერმე ფეხის წვერებზე ავიწიე, სახურავებსა და წყალსადინარების მიღმაც გადავიხედე, მაგრამ ვერავითარი ბროლის კოშკი იქ ვერ აღმოვაჩინე და უკანვე გავბრუნდი, № 21 სახლისკენ.

ფირმის ოთხსართულიანი შენობა არაფრით განსხვავდებოდა სხვა სახლებისგან, ოღონდ შედარებით შნოიანად გამოიყურებოდა — კედლები არც დამსკდარი იყო და არც ჩამორეცხილი. სახლი მუქყვითლად შეეღებათ; მეორე, მესამე და მეოთხე სართულის დარაბები მიეხურათ და ვინმე სენიორის დროებით მიტოვებულ სახლს მოგაგონებდათ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ფართო ვესტიბიული ბაღში გადიოდა, მაგრამ სინამდვილეში არც ბაღი და არც ხეები არსად ჩანდა, ეგ არის, მოპირდაპირე მკრქალი მინის კედელს ლაქებივით აჩნდა მწვანე ფოთლების ასარეკლი; ამან გამახსენა ბოტანიკური ბაღი, სადაც სულ გრილი სიო დაჰქრის და ჩიტები ფრთხიალებენ.

შევედი შენობაში, რამდენიმე ნაბიჯიც გადავდგი და ფართო კიბემდეც მივედი, დიდი თაღის მარჯვენა მხარეს რომ ადიოდა; გავიფიქრე, ქუჩის ხმაური, ალბათ, აქ არასოდეს შემოაღწევს-მეთქი, ირგვლივ ბინდბუნდი იდგა და სიჩუმე სუფევდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა, მინის კედლიდან ფითლების შრიალი და შადრევნის რაკრაკი შემოდიოდა; ჩიტებს

ჟივილ-სივილი გაჰქოსდათ. მაშინვე გავარჩიე შაშვის სტვენა. ერთსანს გარისდებული ვიდექი კიბესთან და მერეღა დავინახე, რომ კიბის მოპირდაპირე მსარეს, ვესტიბიულის კედელში დატანებული სარკმელი გაიღო და ვიღაც კაცის ლოდივით გასიპული თავი გამოჩნდა. როცა ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, მელოტი სარკმელს მოსცილდა, მაშინვე მომცრო კარიც გაიღო და ლოდისთავა ჩემსკენ გამოემართა. თვალმა არ მიმტყუნა, ამისთანა ბრტყელი, შეუვალი პირისახის, თვალებზე ჩამოფსატული შავი, დაფანჩული წარბების პატრონი კარგა ზორბაც უნდა ყოფილიყო; ორმოცდაათს გადაცილებული იქნებოდა, მაღალი იყო და აღნაგობით მოჭიდავეს ჰგავდა, თუმცა მისთანა ბრგე, მსრებში ოდნავ მოხრილი სხეული უფრო ტანმოვარჯიშეს შეიძლება ჰქონოდა. ბოხი ხმა მეტ ვაჟკაცურობას აძლევდა მის ისედაც შთამბეჭდავ შესახედაობას. მომიახლოვდა და მკითხა, რა გნებავთო; მეც ვუპასუხე, სავაჭრო ფირმას ვეძებ-მეთქი; მოკლედ მომიგო, მეორე სართულზეაო, ოდნავ მოიხარა და ხელი კიბისკენ გაიშვირა. ამ მოძრაობითა და ბუბუნა ხმით გამოიცნობდა კაცი მის ბუნებას, თუმცაღა თვალებზე ჩამოფსატულმა წარბებმა უფრო ადრეც მიმანიშნა; ეს იყო ნამდვილი მაიმუნი, მაიმუნი მთელი თავისი ბუნებით. მან გაღიმებაც კი სცადა, რაღაც ადამიანური გამომეტყველება რომ მიეცა თავისი პირისახისთვის, ანდა გულითადობა თუ თავაზიანობა გამოეხატა, მაგრამ ამით უფრო ამსილა თავისი ბორტი და უკბური ზნე. თვალებში თითქოს იმედგაცრუებამაც გაუელვა, რაღაც ისეთმა ქვეცნობიერმა, იდუმალმა ნაღველმა, მარტო ბებერ ორანგუტანგებს რომ შეამჩნევთ ზოოპარკში.

ასე ამბობენ, ორანგუტანგს სევდა ტყვეობაში მოერევა ხოლმე, რადგან თავის მშობლიურ სტიქიაში, ჯუნგლებში თავისუფალ ცხოვრებაზე დარდობსო; მაგრამ ცდებიან, ორანგუტანგს სევდა მაშინ მოეძალება, როცა დიდხანს ცხოვრობს ადამიანებს შორის, დაინახავს რაოდენ ჰგამოჰგავს მას და ქვეცნობიერად უნდება სურვილი, ეგებ მეც ადამიანად ვიქცეო; წლების მანძილზე იმასაც ეჩვევა, რომ უნებურად ჰბაძავს მას, მაგრამ თან ადამიანის უპირატესობასაც ხვდება. ნელ-ნელა ავიწყდება თავისი წინაპრებიც, ტყის ლაღი ცხოვრებაც და იმედი

ულკივდეპა, რომ სულ მალე მოარღვევენ რკინის ჯებირებს და ისიც შეერევა ამ ჭრელ ბრბოს, დილიდან საღამომდე მის თვალწინ რომ ირევა, ცივილიზაციას რომ განასახიერებს და, ვისგანაც ქცევა და მიხრა-მოხრა შეითვისა. რაკი თავის თანამოძმეთა შორის იგი ყველაზე სნიერია და ამასთან ეამიცდილიც, ამიტომ სიძულვილით იმსჭვალება ყველა თავისი მსგავსის მიმართ, თითქოს, ერთიც ვნასოთ და იდუმალი ოცნება აუხდება. ამასობაში დრო მიდის, ოცნებას კი, ეტყობა, ასდენა არ უწერია; ორანგუტანგიც გრძნობს, რომ ჯანი აღარ მოსდევს, აღსასრული კარს მოსდგომია, ადამიანად ქცევაც აღარ ეღირსება და მის თვალებში ვერასოდეს იკითხავს ის სინათლე და სიღრმე, რაც ასერიგად იზიდავდა; ამაო და მატეუარა ყოფილა გარეგნული მსგავსებაც. და აი, ორანგუტანგიც ერთიანად მოეშვება, დაბაბუნდება, ცნობისმოყვარეობა უსლუნგდება, აღარც მომრავლებულ რწყილებს ებრძვის და აღარც მნახველთა ძღვენს ეტანება, — მცირეოდენს თუ მოციცქნის, სიცოცხლეს მაინც ვერ ელევა; საჯდომი დაუწყლულდება და ბოლოს ხვდება, რომ ერთადერთი უპირატესობაღა შერჩა — ყველას დაანახოს ის, რისიც ასე სცხვენოდა ზოოპარკში მოსვლის პირველ დღეებში.

აი, რა ფიქრები ამიშალა ფირმის კარისკაცის ნახვამ, მისმა ლოდივით გასიპულმა თავის ქალამ, ქვეშქვეშა გამოხედვამ და ხელის აუჩქარებელმა, უსალისო მოძრაობამ.

ერთი სიტყვით, ავყევი განიერ კიბეს, ავედი მეორე სართულზე და აღმოვჩნდი ფართო ბაქანზე, სადაც სამი კარი გამოდიოდა; შუა კარზე სპილენძის დაფა ეკიდა და ზედ ფირმის სახელწოდება ეწერა. აჰა, მიზანსაც მივუახლოვდი! გული კვლავ ამიფრთხიალდა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოცი წლის ღლაპს ბედი მეწეოდა და ცხოვრებაში გზას გავიკვლევდი! კარი გამოვაღე და დიდ ოთახში შევედი; ბინდბუნდი იდგა და ოთახი ისეთი უღიმღამო და ღარიბული ჩანდა, უნებლიეთ მონასტრის მოსაცდელი გამახსენდა. კედლები და ჭერი თეთრად იყო შეღებილი, იატაკი ნაცრისფერი ფილებით მოგებული, ფანჯრის ასლოს მარტო ერთი მაგიდა და სკამი იდგა და შიკრიკი იჯდა. ოთახი, იატაკი, სკამი და შიკრიკი ისე შერწყმოდა ურთიერთს, ერთი და იგივე მასალისაგან შე-

კოწიწებული საგნები რომ შეერწყმიან. მაგიდა უბრალო ხი-
სა იყო, ჩვეულებრივი, სკამიც ჩვეულებრივი, შიკრიკიც ასე-
ვე ჩვეულებრივი. გარინდებული იჯდა და ხელები მაგიდაზე
დაეწყო; მას შემომხედა; მის მზერაში ნაღვლიანი, ლამის
არაამქვეყნიური დაბნეულობა რომ არ ამომეკითხა, შეიძლე-
ბა რაღაც კეთილიც კი მომჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილეში
იგი ისეთივე უძრავი და უწყინარი იყო, როგორც სკამი, მა-
გიდა და თვით ოთახი. რატომღაც გავიფიქრე, ეს კაცი ან მუნ-
ჯი იქნება, ან ჰარამხანის მსახურივით დასაჭურისებული-მე-
თქი. მაგრამ მაშინვე ამოვიკვდე თავიდან ეს სულელური აზ-
რები, რა დროს ეს იყო ამ პირველ დღეს! აზრთა ამგვარი
მდინარება ალბათ იმით უნდა ამეხსნა, რომ ჩემს წინ იჯდა
კაცი და სმას არ იღებდა, ისაც იმდენად ფიქრებს არ წაეღო,
რამდენადაც რაღაც უტყვი არსების გარინდებას შეეპყრო.
მაგიდას რომ მივუახლოვდი, მაშინღა გახსნა ერთმანეთს გა-
დაჭდობილი თითები, იდაყვებზე წამოიწია კიდეც პატივის-
ცემის ნიშნად, თითქოს მოსალმებას აპირებსო, მაგრამ არ
ამდგარა. მერე მის სახესა და სხეულს რომ შეეფერებოდა,
ისეთი მილეული და უმეტყველო ხმით მკითხა:

— რა გნებავთ?

მაშინვე ამოვიღე ჯიბიდან სარეკომენდაციო ბარათი, რო-
მელიც ამ ფირმის წარმომადგენელმა, ჩვენი პროვინციის სა-
ვაჭრო აგენტმა მომცა.

— დოქტორ დიაბეტესთან ვარ დაბარებული, — ხმადაბლა
ვუპასუხე, მაგრამ ჩემი ხმა ისე რიხიანად გაისმა, თითქოს მე
კი არა, ვიღაც სხვა ლაპარაკობდა; თუმცა სინამდვილეში ეს
სხვა თავადვე გასლდით, ოღონდ უკვე სავაჭრო ფირმის მუშა-
კის როლში, ფირმისა, რომელზედაც დამოკიდებული იყო
ამიერიდან მთელი ჩემი მომავალი; ეს სმაც სწორედ ჩემი
ფირმაში მოსვლის დასტურად გაისმა, თითქოს დიდი ოთახის
თავისებური აკუსტიკის წყალობით ამ ბგერებით უკვე კედლე-
ბიც გაჟღენთილიყო და მეც ფეხი მქონდა მოკიდებული.

კაცი წამოდგა; იგი მაღალი იყო, გამხდარი და თითქოს
ოდნავ მარცხნივ დაგვერდებულიც; მუქი შალის კოსტიუმი ისე
ბდგა, გეგონებოდათ, საკიდარზე ჰკიდიაო; სკამი გასწია, შა-

ეიდიდან სწრაფად გადაფერფლა არარსებული ნამცეცები და, არც კი შეშფოთებულა, ისე თქვა:

— მობრძანდით! — იგი მუქი ფერის მაუდით აკრული კარისკენ გაემართა, იმის გვერდით, საიდანაც შემოვედი. მეც ფეხდაფეხ მივდიე; მაშინღა მივაქციე ყურადღება მის დაბრეცილ, ბედმეტი ვაქსისაგან სულ ერთიანად დამსკდარ ფეხსაცმელს. ეტყობა, უჭირდა ამ მახინჯი ფეხებითა და დაჯღანული ფეხსაცმლით სიარული; ცდილობდა სწრაფად ევლო, რომ კიდურებს სხეულის სიმძიმე არ ეგრძნოთ, მაგრამ ძლივს მიხლახუნობდა, კეგლის კოჭივით მიირწეოდა და კოსტიუმის კალთებს მიაფრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიჩანჩალდა კარამდე, გამოაღო, შეიცადა, სანამ შევიდოდი და თქვა:

— ახლავე მობრძანდება.

ოთაღში ოთახში იდგა რბილი საკარძელი, დაბალი ძაღიდა და ექიმის მისაღებს მოგაგონებდათ, ფანჯრიდან მკრთალი სინათლე შემოდიოდა; არ ვიცოდი, დრო როგორ მომეკლა და კადავიხედე, მაგრამ ისეთი რამ დავინახე, გული შემიქანდა: ეს გრძნობა, ალბათ, მთელი სიცოცხლე გამყვება.

ცხვირით მინას მივეკარი, ჩემს წინ,რამდენიმე მეტრის მოშორებით, მინისა და ლითონის დიდებული კედელი ელვარებდა. დაბლა ვიდექი, მეორე სართულზე, თან ფანჯარა პატარა იყო და რიგიანად ვერ შევათვალიერე ვერც ზემო სართულები და ვერც გვერდითა კედლები; სამაგიეროდ, კარგად ვავარჩიე ორი მახლობელი სართული, ფოლადის განიერი სალტეები, რკინის ურდულები, კანტორების მოწყობილობაც და მისამსახურე ქალებიც და კაცებიც, ზოგი საწერ მაგიდასთან იჯდა, ზოგიც იდგა; ეტყობა, ადმინისტრაციული განყოფილებები იყო, დღის სინათლის ნათურებს კაშკაში გაჰქონდა. მერე ქვემოთ გადავიხედე და დავინახე სქელი, მქრქალი მინის დიდი თაღი, რომელიც ძველსა და ახალ შენობას აერთებდა, მაშინღა მივხვდი, თუმცა ადრეც ვიფიქრე, რომ დირექცია დარჩენილიყო ძველ შენობაში, სადაც ახლა მე ვიდექი და, სადაც ადრე მთელი ფირმა თავსდებოდა, ხოლო ადმინისტრაციული განყოფილებები, კერძოდ, სავაჭრო სექციები ჩემს წინ ორმართულ ახალ შენობაში ვადაეტანათ. მინის თაღის

(რომელსაც ილუმინატორის მსგავსი სარკმელები ჰქონდა დატანებული) დანიშნულება კი ის იყო, რომ მოსამსახურეთა ცნობისმოყვარე თვალთაგან დაეფარა ბაღი; მაგრამ სეტყვა ფანჯრიდან გადახედვის ნება მაინც თუ ქქონდათ? ბავშვების ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, ახლა კიდეც მცსვენია კასსენება, ვიფიქრე, ფანჯარას გამოვალეს და ამ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აზიდულ შენობას თვალს მაინც შევავლებ-მეთქი. მივიხედ-მოვიხედე, — კარი გარედან იღებოდა და ყოველ წამს შეიძლებოდა ვიღაც შემოსულიყო — ფანჯარა გავსსენი, გადავისარე და მზეზე აელვარებული ფირმის შენობას ავსედე. მისმა ბრჭყვიალმა ერობაშად თვალი მომჭრა; ეს იყო და ეს; ანაზდად მოვტრიალდი, გვერდით სქელი, ტანმორჩილი კაცი მედგა და რაღაცსაირი კეთილი ღიმილითა და საყვედურით შემომცქეროდა.

— მოგწონს, არა? — მკითხა მან, გაიღიმა და მსარზე ხელი მოჰითათუნა, — ახლა კი კმარა, კმარა, დასურე, გეყოფა!

მეც გავიღიმე და სწრაფად მივსურე ფანჯარა, მაგრამ ჩარსომ საბრალობლად დაიჭრიალა და არ დამემორჩილა, ეტყობა, საერთოდ არ აღებდნენ. კვლავ ვცადე საგდულები დამეპირისპირებინა, ის კი უარესად აჭრიალდა; ალბათ, კილოები იყო დაჭმული. როცა მეორეჯერაც ვერაფერი გავწყე, იმ ბღენძსაც მოთმინება გამოელია.

— მიმიშვი, ახლა მე ვცდი!—მითხრა მან უკვე ღიმილის გარეშე, განზე გამწია, ორივე ფანჯარა ფართოდ გააღო, გაშოცდილი თვალი სწრაფად შეავლო ჩარჩოების კიდეებს, თითები ჩამოუსვა, ფრთხილად მოსინჯა ზემოდან ქვემოთ, მერე ხელი მოაშორა და ერთბაშად ბრასუნით მიკეტა; თითებშეა ორი-სამი სანტიმეტრის ფოლადისა თუ ალუმინის ნატეხი ეჭირა.

— მშვენიერი კია ნამდვილად, მაგრამ მსოლოდ იმათთვის, ვინც იქ ზის, ჩვენ კი, ვინც ამ სუხულაში ვსხედვართ, მარტო ესღა გვრჩება. აი, ხომ ხედავ, ამისთანა ნატეხები ქარიან დღეებში სეტყვასავით გვაცვივა თავზე. შენობა, რა თქმა უნდა, ბრწყინვალეა, მაგრამ მყარი კი არ არის... დაჯექი, დაჯექი! — და სავარძელზე მამითითა. მეც დავჯექი.

— მე დოქტორი დიაბეტე გახლავარ, ალბათ, მოგეხსენ-

ბა, განვაგრძეთ საკარეო ურთიერთობის განყოფილებას, — სიტყვა არ დაეშინავრებინა, რომ კვლავ გაიღიმა და მკითხა, — რამდენი წლისა ხარ?

— ოცის, — მივუგე მე.

ლოყაზე ხელი მოშსოთათუნა. თავზე მადგა, მე ქვემოდან შევცქეროდი.

— ნვენი სავაჭრო აგენტის სარეკომენდაციო ბარათი წავიკითხე, თუმცა კი უამისოდაც შეგეძლო მოსულიყავი, — განაგრძო მან, — ალბათ, მამაშენს არც კი ახსოვს, რომ ერთ დროს კარგად ვიცნობდით ერთმანეთს... მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ... სწორედ ამ ნაცნობობის წყალობით მოხვდი აქ; მეც, რასაკვირველია, ძალიან მოვიწადინე, მოველაპარაკე სავაჭრო აგენტს, აქაც, ფირმაში, ჩემი სიტყვა ვთქვი, დეპეშა გამოვაგზავნინე პროვინციაში და პირადად დოქტორ მაქსსაც მე მოვეთათბირე. მასაც ასლავე ნახავ!

თვალები კმაყოფილებით გაუნათდა, თითქოს ჩემზე ნაკლებად არც ის იყო გახარებული და ამან გული ამიჩუყა; ან როგორ არ ამიჩუყდებოდა, როცა პირველივე ადამიანმა ასეთი სიკეთე და სითბო გამოიჩინა, ლამის პირდაპირ მითხრა, მფარველობას გაგიწევო. თვალზე რომ ცრემლი შემამჩნია, მხარზე ხელი დამარტყა და მკითხა:

— კმაყოფილი ხარ? არ გიხარია, რომ დოქტორ მაქსს ნახავ?

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა! მაგრამ კი არ ვიცი, ვინ არის დოქტორი მაქსი!

ამის გაგონებაზე დიაბეტეს ხველა აუტყდა; თვალები ხან ბაყაყივით დაკუსა, ხან მოწურა, სიგარეტი იატაკზე დააგდო და რამდენჯერმე მოსრისა პატარა, გაპრიალებული ჭვინტიანი ფეხსაცმლით, თან ცდილობდა რაღაც ეთქვა

— ვინ არისო?! დოქტორი მაქსი? როგორ თუ ვინ არის? — მეკითხებოდა იგი ხველებ-ხველებით, ნერწყვის წვრილი ნაკადი ნელ-ნელა ეწვეთებოდა იატაკზე, — კიდეც მეკითხები? — დიდის გაჭირვებით მანიშნა, სავარძელი დამითმეო. რა თქმა უნდა, იმ წუთშივე წამოვხტი და დავსვი. მერე ძლივს ძიმასვედრა, ბეჭებზე ხელი დამარტყიო; რამდენჯერმე დავარტყი ზურგზე ხელი და ხველაც ერთბაშად შეწყვიტა. იგი

შემომყურებდა, თავს აქნევდა და ნელა, ღრმად სუნთქავდა, ხელით კი მანიშნებდა, დაიცადეთ. ეს კაცდიდი. სული რომ მოითქვა, კვლავ დაილაპარაკა:

— დღეში ორმოცამდე სიგარეტს ვეწევი, არადა ავადმყოფი კაცი ვარ, არ ვიცი, რატომ არ დავანებებ თავს... რაებს გიყვები, არც კი გეკითხები, გაინტერესებს თუ არა!

ისე დავიბენი, პასუხის გაცემაც ვერ მოვახერხე, თუმცა დიაბეტემ არც მაცალა, ისევ განაგრძო:

— ეს რა მკითხე, დოქტორი მაქსი ვინ არისო?! მართლა არ იცი?!

ვუპასუხე, მართლა არ ვიცი-მეთქი. ეტყობა, ჩემმა კილომ თუ ხმამ მაინც მიახვედრა, რა მიამიტი და გამოუცდელიც ვიყავი, კეთილი, შემწყალე ღიმილით შემომხედა და ჩურჩულით, თავის ქნევით, მაგრამ გარკვევით მითხრა:

— დოქტორი მაქსი პატრონი გახლავთ!

გამიკვირდა, ნუთუ პატრონი, ამოდენა სავაჭრო ფირმის პატრონი, შეიძლებოდა ამისთანა უმნიშვნელო საქმეზე, ვიღაც უცნობი ყმაწვილის სამსახურში მიღებაზე მომცდარიყო; ნუთუ იმის დრო რჩებოდა, ასეთი წვრილმანი საქმეებიც მოეგვარებინა? ეს ვკითხე დიაბეტესაც. მის თვალებში წყენის მსგავსი ჩრდილი გამოკრთა, თითქოს ჩემმა კითხვამ მისი, ფირმის მუშაკის, ავტორიტეტი რაღაცნაირად შებღალა.

— უპირველეს ყოვლისა, დოქტორი მაქსი ჩემი მეგობარი გახლავს, თუმცა კი მამად შევეფერები. სწორე გითხრა, შვილივითაც ვეპყრობი და მართლაც მიყვარს. ნამდვილად კარგი ყმაწვილია, რამდენიმე წლით თუ იქნება შენზე უფროსი.

გამიკვირდა და ვკითხე, ჩემი ტოლი და უკვე ამხელა ფირმის უფროსი როგორ არის-მეთქი.

— ფაქტიურად ფირმის პატრონი მაამასია, მაგრამ იგი ძალზე მოხუცდა, აქაც იშვიათად მოდის სოლმე, მარტო ვეძაპებზე ნადირობს. ასე რომ მის მაგივრობას შვილი სწევს. დოქტორი მაქსი ვაჭრობის დაგეგმარებას, ანუ ფირმის ყველაზე მთავარ განყოფილებას განაგებს, ხოლო დანარჩენი განყოფილებები, ახალი შენობის რამდენიმე სართული რომ უკავია, თითქმის ყველა დამოუკიდებლად მუშაობს, ხელმძღვანელს სულაც არ საჭიროებს. იმ განყოფილებებში თა-

ნაბარი უნარის მუშაკები სხვენან და პატრონს შეუძლია ყველას ერთად მიადევნოს თვალი. ესენი ძირითადად მოანგარიშეები და ის მუშაკები არიან, ვინც ვალის დაფარვისა და განვადების საქმეს განაგებს. სამ იცი, წარმოება ერთია, გასაღება კი, ესე იგი საწარმის ამონაგებად ქცევა, — მეორე. ამ განსხვავებაშიც და განყოფილების მნიშვნელობაშიც, სადაც შენ იმუშავებ, თავადვე გაერკვევი დოქტორ მაქსთან უშუალო ურთიერთობის წყალობით. მალე შენ თვითონვე დარწმუნდები, რომ დოქტორი მაქსი შეიძლება ცოტა ფიცსი კია, მაგრამ სამაგიეროდ, კეთილია. შენზე უკვე ეელაპარაკე და თვითონვე მოინდომა შეგხვედროდა. მეც დიდ ანგარიშს მიწევს, თითქმის ყველა ჩემს სიტყვას ყურად იღებს და სწორედ ამას უნდა უმადლოდე, რომ დღესვე შეხვდები. თუმცა ამაზე საუბარს კიდევ მოვასწრებთ. ახლა კი ჩემთან წამოდი, კაბინეტში!

დოქტორი დიაბეტეს კაბინეტი პატარა იყო და მაგიდები ერთმანეთისთვის მიედგათ. კედლის გასწვრივ წიგნის თაროები ჩაემწკრივებინათ, თაროებს მტვერი დასდებოდა; მთელს ოთახში ჟურნალ-გაზეთების ზვინები იდგა. დოქტორი დიაბეტე ოსვრით მიუჯდა მაგიდას, რომელზედაც ისე იყო აკოკოლავებული გაზეთები, რომ საცაა თავზე დაემხობოდა. ერთბაშად ვერ შევამჩნიე, რომ მეორე მაგიდასთან, — მარტო იქ არ ეწყო გაზეთები, — ახალგაზრდა კაცი იჯდა, სქელშუშიანი სათვალე ეკეთა; მან ალმაცერად შემომხედა, თითქოს უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ აქ უცხო ვიყავი. დიაბეტემ ჩვენ ერთმანეთს გაგვაცნო: მან ხელი გამომიწოდა და ისე მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა, ვიფიქრე, რაღაც ისეთს მანიშნებს, რაც დიაბეტემ არ უნდა იცოდეს-მეთქი. მერე დაჯდა და თავისი საქმე განაგრძო.

დამაინტერესა, რას აკეთებდა; დიდის გულმოდგინეშით ხაზავდა, მალიმალ იშველიებდა სახაზავსა და გონიოს, თან წარამარა შლიდა და მერე მთელი ძალით უბერავდა ნაბეჭს.

— ტროპია მეტისმეტად წესრიგის მოყვარული კაცია, მე კი არა მგავს! — თქვა დიაბეტემ და ჩემსკენ გამოიხედა; მისი მაგიდის წინ ვიდექი, მაგრამ მე როდი შემომხედა, მზერა

სადღაც შორს მიაპყრო, წარმოთქმული ფრაზაც თითქოს ჰაერში გამოეკიდა, უპასუხოდ დარჩა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა; ვინ იცის, ეგებ დიაბეტე აზრებს იკრებდა, ჩემზე ფიქრობდა. ფანჯრიდან ფარული, აურიამულებულ ქუნას გადავყურებდი. როდის-როდის დიაბეტემ ყურმილი აიღო და დოქტორი მაქსი იკითხა; ცოტა ხანს შეიცადა და მერე მსიარულად თუ კეკლუცად ამცნო, აქ არის, ჩემთან გელოდებათო. შემდეგ გამომეტყველება კვლავ შეეცვალა, დადინჯდა, თითქოს დანაღვლიანდა კიდეც და ყურმილი დადო.

— დოქტორ მაქსს ველაპარაკე, — მითხრა შთამაგონებლად, — როგორც იქნა დავითანხმე, რომ დღესვე, ნაშუადღევს მიგიღოს. ხომ ხედავ, როგორ ვირჯები შენი გულისთვის! იმედი მაქვს არ დამივიწყებ...

ცოტა არ იყოს, შემრცხვა, რადგან ტროპიას ამ სიტყვებზე ჩაიღიმა და მეც წავიპუტბუტე, ამას როგორ დავიკიწყებ-მეთქი.

— ახლა კი წავიდეთ, ვისადილოთ! დღეს ჩემი სტუმარი ხარ. ნასადილევს ოთახს გაჩვენებ, ხომ ხედავ, ამაზეც ვიზრუნე, აქვეა, სულ ახლოს; ჩემოდანი სად დატოვე?

— სასტუმროში.

— რატომ?

— არ მეგონა, თუ დავრჩებოდი და...

— ესე იგი, არ შენდე... განა დეპეშაში გარკვევით არ გწერდი?

— მართალია, მაგრამ მაინც არ გიცნობდით და...

— ჰო, კარგი, ყველაფერი გასაგებია. თუკი ოთახი მოგეწონება, წასვალ სასტუმროში და ჩემოდანს გამოიტან. ნულარ ვაყოვნებთ, წავიდეთ, უკვე შუადღეა, შესვენებამდე რამდენიმე წუთიღა დარჩა; თუმცა მე ცოტა აღრეც შემიძლია წასვლა, ნებართვა არ მჭირდება და არაფერი.

ეს უკანასკნელი სიტყვები დიაბეტემ განეებ სიამაღლა და გამომწვევად წარმოთქვა, აშკარა იყო, ტროპიას გასაგონად; მას კი თავიც არ აუწევია, მხოლოდ მეოცნებესავით გაიღიმა.

მე და დიაბეტემ კვლავ გავიარეთ მისაღები ოთახი, სადაც

ისევ ისე უძრავად, მაგიდაზე ხელებდაწყობილი იჯდა ფეხებ-შოქცეული კაცი. ჩავიარეთ კიბე (ლოდისთავა კარისკაცმა თავისი სარკმლიდან შეგვათვალიერა, განსაკუთრებით ყურადღებით შესედა დიაბეტეს, მერე რაღაცას ახედა ზემოთ, ალბათ საათს) და ქუჩაში გავედით.

დიაბეტეს ოჯახში ვისადილე, მის ცოლსა და ქალიშვილთან ერთად. რატომღაც მომეჩვენა, რომ მას არც ცოლი და არც ქალიშვილი დიდად არ ეფონებოდა გულზე, ის კი არადა, მგონი ზედმეტ ტკირთადაც კი მიაჩნდა. ცოლი, პატარა, ნერვიული ქალი, ძალზე თავაზიანად შემოგვეგება და შეწუხებულმა ჰკითხა ქმარს, თავს როგორა გრძნობო. ქალიშვილიც ასევე ალერსიანი მეჩვენა, თუმცა თვალის ერთი შევლება ძლივს მოვასწარი, დიაბეტემ მაშინვე თავისი კაბინეტისაკენ გამაქანა და ქალებს ზედაც არ შესედა, თან სანამ დერეფანს გავივლიდით და კაბინეტში შევიდოდით, სულ წუწუნებდა, ოჯახში ანგარიშს არ მიწევენ, ვერა და ვერ დავამყარე წესრიგიო. რა გასაკვირია, მეც დაბნეული ვიყავი, თავგზა ამერია, ბოლოს და ბოლოს პირველი დღე იყო დიდ ქალაქში; რამდენმა უცნობმა სახემ გაიელვა ჩემს თვალწინ; ჯერ ტროლეიბუსში ჩავჯექით, მერე ტრამვაიში, თანაც ორი ტრამვაი გამოვიცვალეთ. ამ ორომტრიალში მაინც შევათვალიერე მინისა და ფოლადისაგან ნაგები შენობები, მაღაზიები, ცათამბჯენები, ფართო, აჟრიამულებული ქუჩები და რაც მთავარია, სალსი, ზღვა სალსი; ჩემს დღეში ამდენი სალსი ერთად არ მენახა. კარგა გაბრუებული ვიყავი, როცა დიაბეტეს სახლს მოვაღწიეთ. ქმრებისა და მამების მოლოდინში ქალები და ბავშვები პატარა აივნებზე გამოფენილიყვნენ და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ იმზირებოდნენ. ასე რომ, გამისარდა კიდეც, როცა დიაბეტემ პირდაპირ თავის კაბინეტს მიაშურა და ყურადღებაც არ მიაქცია ცოლსა და ქალიშვილს, დამნაშავის შეშინებული მზერა რომ გააყოლეს. მან სავარძელზე მიმითითა. დავჯექი და წიგნის თაროებს მივაშტერდი, რომ თავი და თვალები ცოტა დამესვენებინა. ეტყობა, დიაბეტეც კარგა დაღლილიყო; თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ „დოქტორი მაქსიო" დაიწყო და თავი მკერდზე ჩამოუვარდა, ჩასთვლიმა.

მეც ვისარგებლე სიჩუმით და ფიქრით ჩემს მშობლებს მივწვდი. ეჭვი არაა, ამ წუთს ისინიც ჩემზე ფიქრობდნენ. ღედაჩემი ახლა, ალბათ, მაგიდასთან ჩემს დაცარიელებულ ადგილს მისჩერებია, მამაჩემი კი ეუბნება: „რა გაეწყობა, ჩვენი შვილი უკვე დავაუკაცდა, დროა ქვეყანა ნახოს. კიდევ კარგი, სამსახური იშოვა! თუკი სავაჭრო ფირმაში ფეხი მოიკიდა, მომავალი უზრუნველყოფილი ექნება; ნუ დაგავიწყდება, ჩვენს შვილს ჭკუაც აქვს და ნებისყოფაც; რითია სხვებზე ნაკლები, ეგებ უფრო ადრეც გაიკაფოს გზა. მეც უკვე სიბერე კარს მომდგომია, მალე მუშაობასაც ვეღარ შეეძლებ, პენსიას კი აბა რა იმდენს მომცემენ, დიდი საქმეა, თუ ამ ბინას შვილინარჩუნებთ, ბიჭი კი მოგვხედავს, ზრუნვას არ მოგვაკლებს, ამაგს დაგვიფასებს! ღმერთმა ქნას, კერა არ მოგვშალოს, სიბერე ტკბილი გვქონდეს, ვინ იცის, ისეთი დროც დადგეს, რომ ფუფუნებაშიც ვიცხოვროთ და ზღვაზე ან მთაშიც კი ვისვღირსოს წასვლა...ასე მშვიდად, წყნარად გავლევთ ჩვენს ადღეებს სიკვდილამდე და რაც მთავარია, ჩვენი საკუთარი ბერი გვექნება, სადმე მოხუცთა თავშესაფარში მაინც არ წაგვიყვანენ, სადაც, ალბათ, ერთმანეთსაც დაგვაშორებდნენ. ასეთი შვილი რომ არ გვყოლოდა, განა ამის იმედი გვექნებოდა?"

ამ აზრებმა, დედაჩემსა და მამაჩემს რომ მივაწერდი, მეტად განმიმტკიცა რწმენა, რომ ნამდვილად ბედმა გამიღიმა-მეთქი და გადავწყვიტე, პატრონს რომ შევხვდები, ვეტყვი: არაფერს დავიშურებ ფირმისთვის და მიმსახურეთ, როგორც გენებოთ-მეთქი; ოღონდ ისე ვეტყვი, რომ ჩრდილი არ მივაყენო საკუთარ ღირსებასა და თავმოყვარეობას.

ამ ფიქრებში გართული შევყურებდი დიაბეტეს; ნეტავ ასეთ ხმაურში გულისძილში რამ ჩაადო! გვერდიდან, ზემოდან, თუ ქვემოდან გარკვევით ისმოდა კაცების მხიარული, აღტაცებული ხმები; ეს ოჯახის მამები, ფეხდაფეხ რომ მოგვყვნენ და მთელი სახლი ააჟრიამულეს, თავიანთ ცოლებსა და შვილებს უყვებოდნენ, თუ როგორ ჩაიარა სამსახურში დილამ, უამბობდნენ თავიანთ კოლეგებთან, უფროსებთან დამოკიდებულებების ამბებს. ზემო სართულიდან ოჯახის უფროსის აღტაცებული ხმა ისმოდა, თავისი მოხერხებულობით ტრაბახობდა, ეტყობა, რომელიღაც შორეულ სოფელში ახალი

მუტრირი ეშოვა, რომელსაც სულ არაფერი გაეგებოდა საკაჭრო საქმეებისა, მით უმეტეს, განვადებითი გაყიდვის შელავათიანი პირობებისა და საქონელში თურმე მთელი თანხა ნაღდად გადაეხადა. ამას მოაყოლა, თუ როგორ დატენა ჩანთა ფულებით, როგორ დაბრუნდა ფირმაში და ეს ფული სწორედ იმ დროს გადმოყარა მაგიდაზე, როცა ოთახში პატრონის სახელოქუფრული წარმომადგენელი შემოვიდა; ერთი სიტყვით, ქების ძოლოდინში იყო და მოუთმენლობისგან ადგილი ვერ ეპოვა; ისე იყო აგზნებული, რომ ბოლოს ცოლმა სიტყვა გააწყვეტინა და უბრძანა, დისტინიუმის აბი გადაყლაპეო. ოჯახის თავიც, ეტყობა, დაეთანხმა, ერთხანს კიდეც მიჩუმდა, მაგრამ ისევ მალე მოჰყვა მხიარულ რატრატს; მერე ცოლმა ისევ შეაწყვეტინა, ახლა ხმები უკვე ყრუდღა ისმოდა. ასევე ვარკვევით გაიგონებდით ლაპარაკს ქვემო სართულიდანაც და ზევრდიდანაც, მაგრამ ისე მიიპყრო ჩემი სმენა ზემო სართულის ბინადარმა, რომ დანარჩენებს ყური ვეღარ მივუგდე. სანამ ზემო სართულის ოჯახის თავი აბს ყლაპავდა, მივსვდი, ქვემო სართულზე უარესად უნდა ყოფილიყო საქმე: ცოლი, მეგონა კიდეც ატირდა, სწორედ ამ დროს სიჩუმე ჩამოვარდა და აშკარად გავიგონე, ქმარმა რომ უთხრა: „კარგი, ლუნანა, რა ვატირებს? მე ხომ დამნაშავე არა ვარ! ღმერთმანი, დამნაშავე არა ვარ!“

ასეთ საუბრებს პირველად ვისმენდი და საამო განწყობილება მეუფლებოდა, მეგონა, მეც ამ საზოგადოების წევრი, ამ მშრომელი კოლექტივის ნაწილი გავხდი-მეთქი. ასეთი რამ აქამდე არ განმეცადა და ცოტა არ იყოს, გული ამიჩქროლდა; ამ ეცხო გრძნობამ რაღაცნაირად გამასსენა განწყობა, როცა კარგ ფილმს უყურებ და ბოელ დარბაზს ერთნაირი აღელვება დაეუფლება, ერთნაირი გრძნობა შეიპყრობს! ოცნებამ წამიღო, ეგებ მეც მეღირსოს დიაბეტესნაირი ბინა, ცოლი, შვილი, მეზობლები; მეც მოვყვები ჩემს კომერციულ წარმატებებზე, ისინი მე მომისმენენ, მე მათ. მაგრამ ნაადრევი იყო ამაზე ფიქრი! ეგაა, ერთი რამ ნამდვილად ვირწმუნე: თუ რამე ძალიან მოინდომე კაცმა, თან ძალა და ცდა არ დააკელი, არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს შენსას არ მიაღწიო!

ფიქრები დიაბეტემ შემაწყვეტინა.

— ხომ ნახე ის ტროპია, მე რომ გაგაცანი? — მკითხა ძან,

— დაისსომე ჩემი სიტყვა, მაკ ადგილს დიდხანს ვერ შერჩება. ჩვენთან ნაცნობობით მოეწყო, დოქტორი მაქსი კი ასეთ ხალხს არ წყალობს. სულ არ გამიკვირდება, მაგის ადგილზე შენ რომ დაგნიშნონ. იცი, ვინ გაუწია შუამდგომლობა? დოქტორი მაქსის მამამ! ასე რომ, შეგიძლია წარმოიდგინო...

— დოქტორი მაქსის მამა ხომ ფირმის პატრონია, მაშ...

— სწორედ მაგიტომაც! დოქტორი მაქსი ახალგაზრდაა, რაგორ გგონია, ისეთ კაცს გაანერებს, მამამისმა რომ მოახვია თავს? აი, ნახავ, ტროპია დიდხანს ვერ იბოგინებს. სწორიცაა, სავაჭრო ფირმაში ნაცნობობით კი არა, უნარისა და ჭეშმარიტად საქმიანი თვისებების მიხედვით უნდა იღებდნენ ხალხს. იმედია, შენ ეს უნარი გაგაჩნია. როცა სავაჭრო აგენტმა შენი ამბავი მითხრა, მაშინვე გადავწყვიტე, ამ ყმაწვილსაც ხელს მოვუმართავ და დოქტორ მაქსსაც ვაამებ, ვეტყვი, ტროპიას შემცვლელი კამოუჩნდა-მეთქი. ჯერ ერთი, ის მაინც დიდი ვერაფერი მუშაკია და ამით ერთხელ კიდევ დავუმტკიცებდით, ვინცაა ფირმის ნამდვილი პატრონი; მეორეც, შენ პროვინციიდან ჩამოხვედი, ცნობისმოყვარეობაც მეტი გაქვს, ამ ცხოვრების შეცნობის წყურვილიც; ამასთან მოკრძალებული ხარ, სიკეთის დანახვის უნარი გაგაჩნია; ეს თვისებები კი დღეს მხოლოდ მიყრუებული სოფლიდან ჩამოსულებსღა შერჩენიათ და, რაც ყველაზე მთავარია, ახალგაზრდა ხარ, ძალიან ახალგაზრდა; დოქტორ მაქსს მშვენიერი არჩევანის შესაძლებლობას ვივცემთ; მე შენთვის ალალი გულით გცდილობ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მამაშენს ვიცნობ და მეორეც, უბრალოდ ეომეწონე. კარგად დაიხსომე ყველაფერი, რაც გითხარი, შენ სწორედ ის თვისებები გაქვს, რაც აქ სჭირდებათ, ეს კი არც ისე პატარა ამბავია. მართლაც რომ ბედმა გაგიღიმა და იცოდე, სიფხიზლე გმართებს, გასაგებია? ახლა კი წავიდეთ, ვისადილოთ!

ამ სიტყვებით დიაბეტე სავარძლიდან წამოდგა, ხელი გამოიდო და სასადილო ოთახისკენ გამიძღვა. ცოლი მაშინვე წამოხტა, საბზარეულოს მიაშურა და მალე მობრუნდა, ხელში საწვნე ჯამი ეჭირა და იქიდან ოხშივარი ამოდიოდა. დიაბეტეს პირველმა გადაიღო კერძი, გემო გაუსინჯა და ცოლს ანიშნა, ჩემთვისაც დაესხა.

— ჩემი ცოლი დღენიადაგ ავადაა, პირდაპირ გეტყვი, დიდი ტკივრთია, სამაგიეროდ, კარგი დიასახლისია, წვნიანი გასინჯე და თავად დარწმუნდები!

კერძი გავსინჯე და დიაბეტეს მეუღლის კულინალური ნიჭი შევაქე; ქალი კვლავ ფესზე იდგა; ამ მეტისმეტმა თავგამოდებამ, ეტყობა, დიაბეტე გააბრაზა და დაჯექიო, უბრძანა. იგი დაჯდა და ბოლოს თავისთვისაც დაისხა კერძი. კარგად დავაკვირდი, მაგრამ მის პირისახეს სილბო და მორჩილება ვერ შევამჩნიე; ძვალ-რბილში გამჯდარი ნერვიულობის დაღი უფრო ანნდა; მისი სენის მიზეზიც უმალ გამოვიცანი. ათას რამეზე ვისაუბრეთ; მე ჩემი ოჯახის ამბები მოვიკითხე, ჩემი მშობლიური, პატარა ქალაქიც ავუწერე და ამ დიდი ქალაქის შთაბეჭდილებებიც გავუზიარე. დიაბეტემ რამდენჯერმე დატუქსა ქალიშვილი, როგორც მივსვდი, ცუდად სწავლობდა და საყვედურობდა, იმის მაგივრად, რომ დოქტორი მაქსის დავალებები შეავასრულო და საზღვარგარეთიდან მიღებული საკაჭრო ანგარიშები დავამუშავო, მთელი საღამოები შენ გინდებიო.

ბოლოს ყავა და ლიქიორი მოგვართვეს, უარი არ გამივიდა. მერე კი დიაბეტემ ბინა დამათვალიერებინა. გაქათქათებული, სიკელით აბრეშყვიალებული სამზარეულო საოპერაციოს ჰგავდა; მაჩვენა ძვირფასი ავეჯით გაწყობილი საძინებელი ოთახიც, მერე ისევ კაბინეტში დავბრუნდით, აქ ვნახე გასაშლელი სავარძელი, რომელიც ღამე გოგონას საწოლად გადაკეთდებოდა ხოლმე. ყველაფერი შეეუქე; ბინა ნამდვილად მყუდრო და მოსერხებული იყო, მაგრამ დიაბეტეს უნდოდა ცოტა უფრო დიდ ფართობზე გადაეცვალა, რომ გოგონას საკუთარი ოთახი ჰქონოდა. მე ხომ ასეთ ფუფუნებაზე ვერც ვიოცნებებდი, ცოლიც რომ მყოლოდა; მაგრამ დიაბეტე ჩემზე უფროსიც იყო და, რა თქმა უნდა, ჩემზე დიდი ბინაც ეკუთვნოდა; ყველა კუთხე-კუნჭული რომ დავათვალიერე და დავრწმუნდი, შინამოსამსახურე არა ჰყავდათ, ჩემთვის დავასკვენი, ეტყობა, არც ისე დიდი შემოსავალი ექნება და არც ფირმაში აფასებენ დიდად, თორემ დოქტორ მაქსთან ერეგობრობაზე ამდენს არ ილაპარაკებდა-მეთქი. მაგრამ ამისთანა საქმეებში მაინც კარგად ვერ ვიყავი გარკვეული და ამდენად ამ

პირველსავე დღეს გამოტანილი დასკვნებიც სავარაუდოდ და პირობითად უნდა ჩამეთვალა. ბოლოს ვიფიქრე, ალბათ, ფირმას თავისი მოსაზრებები აქვს, ვის რამდენი უნდა გადაუხადოს და დიაბეტესაც ისეთი აღგილი უკავია და იმდენ ხელფასს იღებს, როგორც იმსახურებს-მეთქი.

ბინის დათვალიერების შემდეგ მის ცოლსა და შვილს თავაზიანად დავეშვიდობე და დიაბეტესთან ერთად ჩემი ახალი ბინის სანახავად გავწიეთ; ტროლეიბუსში ჩავსხედით, რამდენიმე გაჩერების შემდეგ ჩამოვედით და ცოტა ფეხითაც გავიარეთ. გზად შევამჩნიე, რომ დიაბეტეს უბნისაგან განსხვავებით სახლები აქ უფრო ძველი, ორმოცდაათი წლის წინათ აგებული, ულაზათო, ოთხ-ხუთ სართულიანი იყო. დიაბეტე ერთ-ერთ ასეთ სახლში შემიძღვა. ბოლო სართულზე ლიფტით ავედით, შემინული კარის წინ გავჩერდით და მან მითხრა:

— კარგი სალხია, აქამდე არც გაუქირავებიათ ოთახი; მისამართი ტროპიამ მომცა, თვითონაც ამ სახლში ცხოვრობს, პირველ სართულზე. ჰო, სულ დამავიწყდა, თვეში ათი ათასი ლირა უნდა გადაიხადო, არ მეძვირა და ამიტომაც დავიბეგე, — მერე ზარი დარეკა.

კარი შუასნის ქალმა გაგვიღო. ასაკთან შედარებით, მეტისზეტად გამომწვევი მეჩვენა; დიდრონი, წყლიანი, შავი თვალები უელავდა, ტუჩები მუქწითლად შეეღება და სახეზე წინადღის ფერუმარილის კვალი აჩნდა. საშინაო ხალათში დონდლო სხეული ეკვეთებოდა, ხელებიცა და ლოყებიც ასევე დონდლო და მოშვებული ჰქონდა, მაგრამ რაღაც მიფერფლილი ცეცხლი მაინც იგრძნობოდა მასში. ისე შემოგვეგება და შეგვიპატიჟა, რომ დავრწმუნდი, ბინა მართლაც არასოდეს გაექირავებინათ და ამიტომ ასლა უხერხულად გრძნობდა თავს. მაშინვე მაჩვენა ჩემთვის განკუთვნილი ოთახი; კედელთან ტახტი იდგა, ტახტის პირდაპირ — ორი პატარა მაგიდა, ერთი კუთხეში, მეორე კი ფანჯარასა და უზარმაზარი ტანსაცმელის კარადას შორის. კარი ტერასაზე გადიოდა.

ოთახი მომეწონა და დიასახლისს ვუთხარი, საღამოს ჩემოდნით გეახლებით-მეთქი. მან ყავაზე მიგვიწვია და ჩვენც მაშინვე შევყევით სამზარეულოში; ჩვენთვის საგანგებოდ გა-

მოალავა ფაიფურის ფინჯნები, ვერცლის სინი და ვერცლი-სავე სამაქრე; თან ფესფესებდა და თან სისუფთავეზე და ჭესრიკზე კვალაპარაკებოდა (უსდა ვალიარო, ბინა მარილაც დაწკრიალებული ჰქონდა). მისი სმა ხან შემპარავად ყლერდა, ხანაც ქედმაღლურად, აქაო და, უკეთესი ცხოვრების მომსწრეც ვარ და უცხო კაცი ბინაში არასოდეს შემომიშვიაო. დიაბეტეს, ეტყობა, წასვლა აღარ უნდოდა, ყავას წრუპავდა და დიასახლისს ძესცეცინებდა. ეერე ჰკითხა, თქვენი ქმარი და შვილი რა საქმიანობას ეწევიანო. გამოირკვა, რომ ორივე საკაჭრო ფირმაში მუშაობდა, მაგრამ როცა ფირმის დასახელებაც მოუხდა და იმ საქონლისაც, რითიც მისი ქმარი ვაჭრობდა, მაშინ კი ცოტა დაირცხვინა, რადგან იმ საქონელს დიდი გასავალი არა ჰქონდა. მე კიდეც გამიკვირდა, ნუთუ შეიძლება არსებობდეს ასეთი ფირმა, ჰქონდეს განყოფილებებიც, ბუღალტერიაც, ჰყავდეს თანამშრომლები, კარისკაცებიცა და შიკრიკებიც და მომხმარებლისთვის ამისთანა უცარგისი საქონლით კი ვაჭრობდეს-მეთქი; მაგრამ შემდგომი საუბრიდან გავიგე, რომ ფირმის მფლობელიც, მისი თანამშრომელიცა და შიკრიკიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი კაცი იყო და ეს კაცი დიასახლისის მეუღლე გასლდათ, ხოლო მთელ ფირმას ერთადერთი ოთახი ეკავა. თითქოს ამ უსიამოვნო მოაბეზღდილების გაქარწყლება უნდაო, ქალმა ახლა ვაჟიშვილზე გადაიტანა საუბარი. ის თურმე ერთ-ერთ მსხვილ საკაჭრო ფირმასთან არსებულ ვაჭრობის მუშაკთა დახელოვნების კურსებზე სწავლობდა და დიასახლისმა გვიამბრა, რა თანამდებობას დაიკავებდა იგი კურსების დამთავრების შემდეგ. მაგრამ დიაბეტემ უკვე საათს დახედა და თქვა, კარგა დრო გასულა, ახლა სჯობია, წავიდეთო, გეგონებათ ან დიასახლისის ვაჟისა შეშურდა, ან ფირმისა, სადაც იგი სწავლობდა. დიასახლისი დაწბული სავარძლიდან წამოდგა და კარებამდე მიგვაცილა. მე ვკითხე, თუ საჭიროა, ბეს დავტოვებ-მეთქი, მან ისეთნაირად გაიღიმა, რომ მივხვდი, წესიც ეს იყო. ქისიდან სუფი ათასი ლირა ამოვიღე და მივეცი. სინიორამ ფული გამომართვა, უკვე სხვანაირად გაიღიმა და ჩემი ვარაუდიც დამიდასტურდა, — მართლაც დიდი გრძნობამოშარბებული ქალი გახლდათ.

გზად ორი ავტობუსი გამოვიცვალეთ და ფირმაში მისვლისიანავე დიაბეტეს ოთახს მივაშურეთ. ტროპია ჯერ არ დაბრუნებულიყო. დიაბეტემ თავის მაგიდასთან დამსვა, ჟურნალ-გაზეთების ზვინის მეორე მხარეს; ტელეფონზე დარეკა და დოქტორი მაქსი იკითხა; ეტყობა, უთხრეს, ჯერ არ მოსულაო და ამიტომ სთხოვა, შეახსენეთ, ესა და ეს კაცი უნდა მიიღოს და აქ, ჩემს ოთახში უცდისო. მერე მე მომიბრუნდა, შეგიძლია ჟურნალ-გაზეთებს გადახედო, ახლა უკვე უცხო აღარა ხარ და აღარც შენგან არის რაიმე დამალულიო; ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ამით დანაშაულს არა სნაღიოდა. თავად დიაბეტემ შუბლი ხელის გულს დააყრდნო, მსხვილი თითები ყურებზე შემოიწყო და რაღაც მოსსენების კითხვას შეუდგა. ქალალდების ზვინი მეფარებოდა და ვერ ვხედავდი, მაგრამ რაკიღა ფურცლების შრიალი არ მესმოდა, ეიფიქრე, ალბათ, ჩასთვლიმა-მეთქი.

ნახევარ საათზე მეტი გავიდა. ვიჯექი და არ ვიცოდი, რა მექნა, განძრევასაც ვერ ვბედავდი, რომ დიაბეტე არ შემეწუხებინა; შევატყე, დიდი ფსუკიანი კაცი იყო და მეშინოდა, არ გაჯავრებულიყო. დიაბეტეს, მართლაც, ჩასძინებოდა, რადგან არც კი განძრეულა, როცა ოთახში ვიღაც უცხო ყმაწვილი შემოვიდა და ტროპიას მაგიდას მიუჯდა, მერე შემომხედა, უაზროდ გამიღიმა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, ლოყა ხელისგულს დაასდო და ღრმა, ნაღვლიან ფიქრებს მიეცა. აშკარა იყო, ჩემი იქ ყოფნა აინუნშიაც არ ჩაუგდია, ან შესაძლია, ვერც შეამჩნია. ყმაწვილს ბებრულად შეკერილი თალხი კოსტიუმი ეცვა, ჰატარა, მუმტასოდენა, ფერმკრთალი სახე ჰქონდა, იფიქრებდით, რაღაც უკურნებელი სენი სჭირსო. წყლისფერი, ცივი თვალები თითქოს ქუთუთოების ჭუჭრუტანებიდან იმზირებოდნენ. ან იქნებ ისეთი ბაგის გარშემო, განსაკუთრებით ტუჩის კილოებში, უცნაური თეთრი ლექები იყო კიდეც მისი სიკვდილის მიზეზი. და მაინც ასეთი სახე, თვალები, ხელები, საერთოდ გარეგნობა, შეიძლება ძალზე ფაქიზი სულის ადამიანს ჰქონოდა — რომანტიკოს სტუდენტს ან ვინმე მეოცნებე ჭაბუკს, კლასიკური ჰარმონიის მაღალი იდეალებისკენ რომ ისწრაფვის. არ ვიცოდი, ვინ იყო და, რატომღაც, მომეწონა.

სწორედ ამ დროს (ესე იგი უცნობის მოსვლიდან ათიოდე წუთის შემდეგ) დიაბეტემ თავი ამოჰყო ქალალდების გროვიდან და ის-ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რომ უცხო ყმაწვილი შეამჩნია; სათქმელი უმალ პირზე შეეყინა, კვლავ თავის ძირეულში ჩაყვინთა, თან აქეთ-იქით ისე აცეცებდა თვალებს, გეგონებოდათ, იხრჩობა და საშველად კი ვერავისთვის მიუსმია. ბოლოს, როგორც იქნა, ამოყვინთა და რაღაც მანიშნა, მაგრამ რომ ვერაფერს მივუსვდი, ჩაასველა და წარმოთქვა:

— ოჰ, დოქტორ მაქს, რა ხანია გელოდებით...

მაშასადამე, ეს რომანტიკული და მელანქოლიური გარეგნობის ყმაწვილი თვით დოქტორი მაქსი ყოფილა! აბა, რას წარმოვიდგენდი! მე კი ვზივარ ჩემთვის ჩუმად და, რაკი ერომანეთისთვის უცხონი ვართ, არც კი ვიყურები მისკენ. ნეტავ რას იფიქრებდა ჩემზე? უზის ჩუმად სხვის მაგიდას, სხვის კაბინეტში და არც უცდია თავად მაინც გამცნობოდაო... აბა, კარგს რას იფიქრებდა! თუმცა მეც სულ სხვანაირი წარმომედგინა; ასლა კი, როცა გავიგე, რომ იგი თავად დოქტორი მაქსი გასლდათ, ჩემი პირველი შთაბეჭდილება რაღაცნაირად ვაუფერულდა, მისი პირისასე თვალდათვალ გაიცრიცა და მის მაგივრად წარმომიდგა სულ სხვა ადამიანი, რომელიც ოდნავადაც არა ჰგავდა ადრინდელს. ბაგის გარშემო ასლა უფრო მკვეთრად დააჩნდა თეთრი ლაქები, ტუჩპირიც რომელიღაც მწერის ხორთუმს დაემგვანა. მისმა სუსტმა და სისინა ხმამ ხმომ სულ ერთიანად განმიმტკიცა ეს შთაბეჭდილება. ასე გაკაპასებით, ალბათ, მარტო დაშავებული მწერი წივის. დოქტორი მაქსი ერთბაშად გამოერკვა სევდიანი ფიქრებიდან (თუმცა ისიც საკითხავია, ეს მართლა ჩაფიქრება იყო, თუ გარინდება, დასნეულებულ მწერებს რომ მოერევათ ხოლმე და ეს საძაგელი ლაქებიც მაშინ უჩნდებათ?); მან საოცრად გამყივანი ხმით წამოიძახა:

— სადაა ტროპია, ეს მოხარშული თევზი? იაპონელებთან ოისშაბათამდე რომ არ მოგვარდეს საქმე, ყველაფერი გათავდება, დავიღუპები, გასაგებია?

ბოლო სიტყვები განსაკუთრებით მჭახედ გაისმა; ეს უკვე წრიპინი კი არა, ნამდვილად სისინი იყო: ბაგის გარშემო

ათეული ლაქებიც უფრო გამოეკვეთა, მაგრამ მის ხმაში ამასთან რაღაც სასიწარკვეთილება თუ უძლურება გაისმა.

დიაბეტე ფეხის წვერებზე წამოიწია, თვალები გადმოკარკლა და წამოისროლა:

— ეს მაგის არ ვიმბობდი? ნუთუ დაგავიწყდათ, დოქტორ მაქს, აკი პირველმა მე გითხარით...

მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე აღარ უსმენდა; იგი ისევ იდაყვით დაეყრდნო ტროპიას მაგიდას, კვლავ ხელისგულს დაანდო ლოყა და კვლავ არცთუ სასიხარულო ფიქრებს მიეცა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ჩემკენ მომართა მზერა; ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ვაითუ ადრეც მითვალთვალებდა იმ თავისი ქუთუთოების სოროებიდან და ისეთი დამინახა, როგორიც აქ მოვედი — გამოუცდელი, გულუბრყვილო, მხოლოდ საკუთარი ახალგაზრდობის იმედით.

დიაბეტემ მაგიდას შემოუარა, მომიახლოვდა, მამობრივი ალერსით გადამისვა თავზე ხელი, მერე დოქტორ მაქსს მიუბრუნდა და უთხრა:

— ეს გასლავთ ის პროვინციელი ჭაბუკი, ჩვენი სავაჭრო აგენტი რომ კელაპარაკათ; მგონი თავადვე ისურვეთ მისი ნახვა. თქვენის ნებართვით მინდა ერთგვარი პატრონობა მეც გავუწიო, მით უმეტეს, რომ მაგის მშობლებს კარგად ვიცნობ, მაგრამ თუკი ისებებთ და თქვენვე იკისრებთ მის მფარველობას, მე რაღა მეთქმის, ხელი ამიღია, სულ თქვენთვის მომინდვია!

ესა თქვა და გულიან ხითხითს მოჰყვა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი სიცილიცა და გადაკრული სიტყვებიც უადგილო იყო და ამ უსიამო შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად ისეთი რამ თქვა, რომ კინაღამ სასწორზე შემაგდო, თუ გავითვალისწინებთ დოქტორი მაქსის გაფანტულ მზერას. აი, რა განაცხადა:

— მით უმეტეს, რომ ორივეს მამად შეგეფერებით!

დოქტორმა მაქსმა ხელი გამომიწოდა (დონდღლო, დანაოჭებული ხელისგული ჰქონდა) და ისე უნდილად ჩამომართვა, თითქოს უნდოდა ჩემთვის ეჩვენებინა, რომ ხელის ჩამორთმევა სულელურ პირობითობად მიაჩნდა და რაკი მაინც ასეთი წესი იყო, ამიტომ უნებურად დაჰყვებოდა ამ ჩვეულს. (მა-

რაღაც კაცმა რომ თქვას, ვინ ვიყავი, მისი სათესავი, ამსანაგი თუ ახლობელი?). როცა ხელი უკან წაიღო, მის სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსი დაცურდა. ამ ღიმილშიც იგივე იგულისხმებოდა.

— დიას, უკაცრავად, უკაცრავად, ამ დილას ხომ მელაპარაკეთ ტელეფონით! რაღაც კარგად ვერ გავიგე. ჩვენი სავაჭრო აგენტი მარილაც მესაუბრა თქვენზე...

— დაგეგმარების საკითხი ბავშვობიდან იტაცებდა... — კვლავ ჩაერია დიანეტე, თან თავზე ხელს მისვამდა და ისევ ისე ხითხითებდა, — ძალიან ჭკვიანი ყმაწვილია! ჯერ ოცი წლისაა... გისურვებ, სულ ასე გეკლოს ცხოვრებაში! თქვენ რას იტყვით, დოქტორ მაქს?

— აქ მუდმივ სამუშაოზე აპირებთ მოწყობას? ჩვენს ქალაქში იცხოვრებთ? — მკითხა დოქტორმა მაქსმა, თითქოს არც დიანეტეს სიტყვები გაუგონია და არც ხითხითი.

— დიახ, თუკი შესაძლებელი იქნებოდა... დიდი სიხარულით! აქ რომ დავრჩებოდე... — მტკიცედ მივუგე მე.

დოქტორმა მაქსმა გაიღიმა; ამ ხნის განმავლობაში პირველად დავინახე მის სახეზე ღიმილი.

— მერედა რატომ? განა სოფელში ცხოვრება არა ჯობია? რატომ მოისწრაფის ყველა ქალაქისკენ? რა ახირებაა?! მე რომ შეეძლოს... თქვენს ადგილზე რომ ვიყო, არც კი დაეფიქრდებოდი! საუბედუროდ, არ შეიძლია...

ეჰეპ დოქტორ მაქსს ამ სიტყვებით ჩემთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ უკვე გარკვეული აზრი შეექმნა ჩემზე და ფირმის შესაფერისად მაინცდამაინც არ მივანდი. ანდა, იქნებ, უნდოდა მივესვედრებინე, ჯერჯერობით ვერაფერს დაგპირდებიო.

— ოავი ხომ უნდა გავიტანო როგორმე, — მივუგე მე, — ჩემი მშობლები უკვე მოსუცდნენ, პროვინციაში აბა, რა გზას ვეწიო, რა გავაკეთო? ამის გარდა, როგორც მოგახსენეს, უკვე ცოტა რამ გავაკეთე სავაჭრო დაგეგმარების საქმეშიც.

სიტყვები კარგად ავწონ-დავწონე; რაც ვთქვი, სრული ჭეშმარიტება იყო და მაინც, როცა ამას ვამბობდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სადღაც დაბლა ვეშვებოდი. ასე გულში ვიფიქრე, თორემ სიტყვას „დაბლა“ ზუსტად ვერც

განვსაზღვრავდი; თუმცა კი ერთი რამ სათელზე სათელი იყო: დოქტორი მაქსი მაღლა იდგა, მე კი — დაბლა; უფრო მეტიც, რაც არ უნდა მეთქვა და როგორც არ უნდა მეთქვა, რა აზრიც არ უნდა ჩამედო ჩემს სიტყვებში, ის აზრიცა და სიტყვებიც ყოველთვის დაბლა დარჩებოდნენ, ხოლო დოქტორი მაქსის დუმილიც კი უფრო ამაღლდებოდა. უკვე მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენი დამოკიდებულების მთავარი და გადამწყვეტი თავისებურება იყო პატრონის მაღალი და სელექციის დაბალი მდგომარეობა. ეს არსებითად წინასწარ ცნობილი ზუსტი განტოლება, უმალ ვიგრძენით ორივემ; მღილს იმიტომ სჭირდება ჭიანჭველა, რომ წვეთი გამოყოს, სწორედ ასევე ვჭირდებოდი მეც დოქტორ მაქსს. მაგრამ თან იმასაც ვგრძნობდი, რომ ამ დამდაბლებაში (თუმცა ამას უკვე დამდაბლებადაც აღარ აღვიქვამდი) ჩემი მომავლის საიდუმლოებაც იგულისხმებოდა და სავაჭრო ფირმაზე ჩემი სრული დამოკიდებულების ნეტარებაც; სწორედ ეს დამდაბლება იყო იმის საწინდარი, რომ მეც ვიცხოვრებდი დიაბეტესნაირ სასლში, მეც გავხდებოდი თუნდაც უმცირესი ნაწილაკი (რომელიც შეიძლება კიდეც გაიზარდოს, ოღონდ ამისთვის საჭიროა დრო და დიდი ნებისყოფა) იმ დიდი დამცველი გარსისა, რომელიც ასე რიგად სჭირდება კაცთა მოდგმას და რომლის სახელია შრომა. როცა ეს ყველაფერი კარგად გაეიაზრე, ესე იგი წარმოვიდგინე ისიც, რაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი და გუმანით ვხვდებოდი, რომ ეს იყო გადარჩენის ერთადერთი საშუალება და ამასთან ჩემი სოციალური ყოფის დასაწყისი, ერთადერთი მიზანი, ჩემდაუნებურად ვაღიარე:

— ამის გარდა, ნება მიბოძეთ, დოქტორ მაქს, მოგახსენოთ, რომ თქვენდამი აღმეძრა არა მარტო შურის გრძნობა, იმის გამო, რომ თქვენ დიდსა და მნიშვნელოვან საქმეს სართ შეჭიდებული, არამედ ღრმა სიმპათიაც!

— გმადლობთ! — გადმომიგდო მან და გაიცინა. მის ღრჭიალა სიცილს მაშინვე დიაბეტემაც ააყოლა თავისი ბუყბუყა, მამობრივი, თვითკმაყოფილი სიცხოთი. — მეც შემეწონეთ, ახალგაზრდა ხართ, სოფლიდან ჩამოსული, შეძლებისდაგვარად დაგესმარებით!

დიაბეტე გათამამდა.

— შეძლებისდაგვარად?... — ვაიმეორა ირონიულად, თითქოს ამით სიტყვა გადაუკრა, ასეთი უფლებების პატრონს თავმდაბლობა არ შეეშვენითო. დოქტორ მაქსს არ გამოპარვია ირონია, მიუბრუნდა დიაბეტეს და ღიმილით აუხსნა:

— მე ვთქვი, შეძლებისადგვარად-მეთქი; თქვენ მაინც მოგესხენებათ ჩემი მდგომარეობა... მამაჩემის თვითნებობის ამბავიც კარგად იცით; დიახ, შეზღუდული ვარ, რაც მინდა, იმას მაინც ვერ ვაკეთებ. ამას თავი დავანებოთ, რამდენი გეყოფათ თვეში? რა თანხაზე დათანხმდებოდით?..

— არ ვიცი, — კუპასუხე მე.

დოქტორმა მაქსმა განაგრძო:

— პირდაპირ ვეტყვით, ბევრის გადახდა არ შემიძლია, თანაც ბიდი-ბიდი რამდენიმე თვით გაგიმართოთ ხელი. ამასობაში სადმე მოეწყობით, გაიხედ-გამოიხედავთ ქალაქში, ვზას გაიკვლევთ, ნაცნობებს გაიჩენთ... — მან მკლავში გამომდო ხელი და დერეფანში გამომიყვანა; დიაბეტემაც დააპირა გამოგვყოლოდა, ერთი-ორი ნაბიჯიც გადმოდგა, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, საუბარში მონაწილეობის უფლება მეცა მაქვსო, მაგრამ რაკი დოქტორმა მაქსმა ხელკავით გამიყვანა, ცსადი იყო, ცალკე უნდოდა გველაპარაკა. იგი მართლაც მიუბრუნდა მომღიმარე დიაბეტეს და უთხრა:

— ვმადლობთ, დიაბეტე, მაპატიეთ, ერთი წუთით დაგტოვებთ, სულ მალე უკანვე გამოგიგზავნით.

ის იყო დოქტორი მაქსისთვის უნდა მეთსოვნა, თუ შეიძლება დიაპეტეც წამოვიდეს-მეთქი, მაგრამ მოსუცი უკვე მიბრუნებულიყო და თავჩაქინდრული მიჰყვებოდა დერეფანს. დოქტორმა მაქსმა თავის კაბინეტში შემიყვანა; მისი ოთახი დიაბეტეს კაბინეტისგან დიდად არ განსხვავდებოდა, ოღონდ ცოტა უფრო მოზრდილი იყო და ავეჯიც ნაკლები ეწყო; საწერ მაგიდასთან დაჯდა, ჩვეული, მოწყენილობით გატანჯული სახე მიიღო და ღრმა ფიქრებში ჩაიძირა.

— ორმოცდაათი, სამოცი ათასი ლირა გეყოფათ თვეში?

— როგორ არა, — დავეთანხმე მე, მაგრამ ჩემი პასუხი ყურადაც არ იღო, თავისი განაგრძო, გეგონებოდათ, წამდაუწუმ ცვალებად მის აზრებს მაშინვე სიტყვებში უნდა ეპოვათ გამოსავალი.

— ჯერჯერობით ამის მეტს ვერ მოგცემთ. ეს ისე ჩათვალეთ, თითქოს ამსანაგურად გაგიწიეთ დასმარება, თუგორც პროვინციიდან ჩამოსულ ყმაწვილს. მაგრამ მე დიდი ვეგმები და იდეები მაქვს, შეიძლება თქვენისთანა კაცი ეფრო გამომადგეს და ძალიანაც გამომადგეს. როგორმე უნდა მოვწყოთ, კაბინეტიც ვამოვისასოთ, სულ ერთია, სად და როგორ, გინდაც სორო იყოს. ვულასდილად ვეტყვით, ადგილის დიდი გაჭირვება ვვაქვს, კარგი იქნება, თუ სადმე ჩემთან ახლოს მოგათავსებთ, თვალწინ მეყოლებით. ფირმის ახალი შენობა თუ ნახეთ? სიგიჟეა, ნამდვილი სიგიჟე და უზნეობა, ვერაფერს იტყვი! ეს ელექტრული ვამომთვლელი მოწყობილობაც სიგიჟეა და უზნეობა, თუმცა ძველი ქვეყანა გადაირია და სირცხვილი დაკარგა. მერწმუნეთ, ბედნიერი კაცი ხართ რომ პროვინციაში დაიბადეთ, თუკი მოისურვებთ, შეგიძლიათ უკანკე დაბრუნდეთ, მე თავად არც არასოდეს შეგიდლევთ და არც დაკაკვებთ. რასაკვირველია, თუ ახალგაზრდა კაცს ვაჭრობის დაგეგმარების პრობლემები იტაცებს... მაგრამ ღირს კი ამ საქმეს შეეჭიდოთ? ჩემის აზრით, ამან თავისი ღრო მოჭამა, ვაჭრობის დაგეგმარება ვასული საუკუნის ბაზრებისა და ეკონომიკისთვის ვარგოდა, დღეს კი ყოველგვარი აზრი დაკარგა; ახლა მთავარია ფილოსოფია, უკაცრავად, კარგად ვერ ვთქვი ჩემი სათქმელი, არც ფილოსოფიაა დიდი ბედენა, აბა, ვის რაში სჭირდება? მე მხოლოდ საკუთარ თავზე მოგახსენებთ. თავისუფალი რომ ვიყო, წავიდოდი სოფელში და მშვიდად ვიკითხავდი ძველ ფილოსოფოსებს, ზოგჯერ მკითხია, დიდი მოაზროვნე ვიქნებოდი. თუმცა რას ვამბობ, დიდი კი არა, პატარა, პატარა მოაზროვნე, უფრო სწორად, ფილოსოფოსი კი არა, უბრალო მკითხველი, თანამედროვეობის დიდი ფილოსოფიური აზრების ამხსნელი და გამმარტებელი. კარგ ფილოსოფიურ წიგნსა და სოფლის სიმყუდროვეს რა ჯობს! ცხოვრება ხომ ბრძოლაა, ამაო და თანაც უზნეო ბრძოლა, დამიჯერეთ! ეს მინის სასახლეც უზნეობაა და ის ფაქტიც, რომ მე გასლავართ მისი პატრონი. რისთვის ავაშენეთ ეს ახალი შენობა? იმისთვის რომ წარმოება გავზარდოთ? კარგი, დავუშვათ, რომ ეს აუცილებელიცაა და საჭირბოროტიც, უფრო მეტიც, ეს ჩვენი ვალია, ან კიდევ უფრო ზუსტად რომ

ვაქვათ, რაღაც ნეგატიური მორალის მოთხოვნილებაა. თუ ჩავუფიქრდებით, ყველაზე დიდი უზნეობა კერძო საკუთრების პრინციპია. მაპატიეთ, რომ ასე გელაპარაკებით, მაგრამ მაინც რატომ დაგაინტერესათ ვაჭრობის დაგეგმარებამ? პირდაპირ გეტყვით, ვერ გამიგია...

— მარიალი გითხრათ, ეს საკითხი დიდი ხანია მიტაცებს... თითქოს ჩემდა უნებურად... დავიწყე მე, მაგრამ დოქტორმა მაქსმა სიტყვის დასრულება არ მაცალა, თავისი განაკრძო:

— რასაკვირველია, თუკი ამ საქმეს გულისყურით მოეკიდებით, შეიძლება კიდეც დაგაინტერესოთ და გაგიტაცოთ, ეგეც ეს ერთგვარი მოწოდებაც კია, რაც მე სულ არ გამაჩნია... იქნება ჯობდა ამ საქმეში მეცადა თავი, თუმცა არ ვიცი, როგორ... გამოგიტყდებით, ძალზე მიჭირს, თავს ძალა დავატანო და საქმეს ნავუჯდე. მუდამ მშურდა იმ ადამიანებისა, ვისაც შეუძლია სავაჭრო პროექტი შეადგინოს. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, ფანტაზია უნდა გქონდეს, ეს კი მე არასდროს გამაჩნდა, უფრო გასყენებული აზროვნებისკენ ვისრები, სწორედ მოაზროვნის ხასიათი მაქვს და არა შემოქმედისა. ვინც სავაჭრო პროექტებზე მუშაობს, ის შემოქმედიცაა, მე კი, უნდა ვალიარო, ამ თვისებებს ჰოკლებული ვარ. სამაგიეროდ, მშვენივრად შეძლია სავაჭრო პროექტები გავანაღდო ბაზარზე. აი, უკვე ორი წელია ამ ფირმას განვაგებ და, ალბათ, თავად დარწმუნდებით, გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიე, თუმცა ადვილი მოსალოდნელია, ეს ჩემს დამსახურებად არ ჩაითვლონ... უკაცრავად...

ტელეფონმა დარეკა და დოქტორმა მაქსმა ყურმილი აიღო.

— რაო, რაო? — გაიმეორა ზედიზედ, — შენა ხარ ძვირფასო? როგორა ხარ, დედიკო? — მერე ყურმილს სელისგული დააფარა და მე მომიბრუნდა, — მაპატიეთ, გეთაყვა, ხომ არ გეწყინებათ, ერთი წუთით დერეფანში რომ დამელოდოთ? თუ შეიძლება...

ავდექი, ჩუმად გავაღე კარი და მისაღებ ოთახში გავედი; იქ ჩვეულ ადგილზე უწინდებურად ოდნავ მარცხნივ გადახრილი, ფეხებდაბრეცილი კაცი იჯდა, ისევ ისე დაეწყო ხელები

მაგიდაზე და ოთახები ერთმანეთზე გადაექცა. მოსაცლელ ოთახში წამიყვანეთ-მეთქი, რომ მეთხოვა, ალბათ, უარს არ მეტყოდა, მაგრამ ლაპარაკის თავიც არა მქონდა და ისევ მა-საღებ ოთახში ვამჯობინე ლოდინი. არც ის მინდოდა, დია-ბეტეს შევხვებოდი, ალბათ, მელოდებოდა კიდეც, მაგრამ მასთან შეხვედრას არ ვნიქარობდი; ჯერ აზრები მინდოდა მომეკრიბა. შიკრიკმა შემომხედა და ლმობიერად გამიღიმა; მერე აუჩქარებლად გაშალა ხელები და ისევ ისეთი ღიმი-ლით დამიქნია თითი. ვერ მივხვდი, რაზე მიქნევდა თითს და ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერც შევამჩნიე; მერე ცალი თვა-ლით გავხედე, ის კი ისევ ისე ღიმილით მიყურებდა და ისევ ისე მიქნევდა თითს.

— სიგარეტს ეწევით? — მკითხა მან.

მაინც ვერაფერს მივხვდი და ღიმილითვე მივუგე, ვეწევი-მეთქი.

— ასეც ვიფიქრე. აბა, შეხედეთ, — ამ სიტყვებით იგი ადგა, ჩლახუნით მომიახლოვდა, ხელი იდაყვზე წამავლო და იატაკ-ზე დამახედა; გაპრიალებულ ნაცრისფერ ფილებზე ფერფლი ეყარა.

— არა მგონია, მაგრამ თუ... — ვიუარე. შიკრიკმა ისე მაგ-რად მოიჭირა ხელი, რომ მეტკინა.

— თქვენ, დიახ, თქვენ, სხვა ვინ იზამდა! როცა დოქტორ მაქსთან ერთად მოდიოდით... სწორედ ამ ადგილას გაია-რეთ... — მეუბნებოდა და თან მკლავში ჩაფრენილი, იატაკზე მიმითითებდა, დამნაშავე ლეკვივით ლამის ცხვირი დამას-ლეკინა იატაკზე, — ხომ ხედავთ! ახლა რაღას იტყვით?

— ჰოო, რაღა მეთქმის!.. — ვუპასუხე მე, — მაგრამ განგეშ ხომ არ მიქნია...

— ვიცი, ვიცი! — მომიგო შიკრიკმა, — ოღონდ მინდოდა ყურადღება მიეექციათ, დოქტორ სატურნოს არ უყვარს, როცა იატაკზე ფერფლსა და ნამწვებს ყრიან, — ჩურჩულით გამან-დო მან, — მწეველები საერთოდ ძალიან აღიზიანებს, თავიდ კარგა ხანია აღარ ეწევა. ეცადეთ, სიგარეტი ხელში არ დაგი-ნახოთ! შეგიძლიათ კაბინეტში მოსწოთ, ოღონდ იმ პირო-ბით, რომ იატაკზე არ დააფერფლეთ და არც ნამწვავებს ღაყ-რით. შევთანხმდით? — ჩაიხითხითა მან.

— რასაკვირველია, — უნებურად დავეთანხმე მე. შიკრიკის საქციელმა, განსაკუთრებით კი მისმა ხითხითმა, თუ რაღაც ბავშვურმა ანცობამ ძალზე უსიამოვნო გრძნობა მომგვარა.

— აი ყოჩაღ! — მითხრა მან, ხელი გამიშვა და ისევ თავისი სკამისკენ წაფრატუნდა. — აქაურობას მე თვითონ ვასუფთავებ; მწეველთათვის საფერფლეები გვაქვს, აი, შეხედეთ! — მან უჯრა გამოსწია, საფერფლე დამანახვა და ისევ ჩაკეტა.

— ერთი სიტყვა და...

ესა თქვა და ისევ ჩვეულებისამებრ დააწყო ხელები მაგიდაზე, თითები ერთმანეთს გადააჭდო და სახეც ისე ჩაუქრა და ჩაეფერფლა, ცეცხლმოკიდებული ქაღალდის ფურცელი რომ აბრიალდება და დაინავლება. შევხედე და კვლავ საჭურისი გამახსენდა. ეგებ მართლაც დაკოდილი იყო, ან ხიფათი რამ შეემთხვა, ანდა სულაც ომში დასახიჩრდა (შიკრიკად ბევრი ხეიბარი მუშაობს) და ასლა მის უმეტყველო მზერას აუხდენელ ოცნებად ქცეული შიშველი ქალის სურათები ესატება.

ამ დროს, თითქოს კარი ქარმა შემოგლიჯაო, ოთახში აკრობატივით ხტუნვა-ხტუნვით შემოიჭრა კაცი; ვარდისფერ, გაბადრულ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და თეთრი კბილები თვალისმომჭრელად უელავდა; ჩაცმულობით სულ გონდოლიერს წააგავდა, დიდი ჰალსტუხი ბაფთასავით გამოესკვნა; თეთრი, ფართოფარფლებიანი პანამა შემოსვლისთანავე ხელის ერთი მოქნევით მოიშვლიპა. ნახატებით სავსე სქელი ნაქაღალდე იღლიაში ამოეჩარა; მანჭვა-გრეხით მიუახლოვდა შიკრიკს, რომელსაც მის დანახვაზე სახე გაებადრა, პანამა მკერდზე მიიკრა და მდაბალი სალამი მისცა.

— გამარჯობათ! გამარჯობათ! გამარჯობათ! — მხიარული, მკლერი ხმით წარმოთქვა მან და მერე დოქტორი მაქსი იკითხა.

— ასლავე მოვახსენებ! — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა შიკრიკმა, მაგრამ წამოდგომაც ვერ მოასწრო, დოქტორი მაქსი თავად გამობრძანდა კაბინეტიდან; გრძელი, ქერა კულულები საფეთქლებსა და ყურებზე ჩამოშლოდა; სტუმარი რომ დინასა ხელებგაშლილი მიეგება.

— მასხარავ! ჯამბაზო! არლეკინო! — შესძახა მან და გონ-

დოლიერს გადაესვია; ის კი ვითომ შეწუხდა, აქაოდა ორივე ხელი დაკავებული მაქვს და მე ვერ გეხვევიო, მერე საქალალდეცა და პასპაც იატაკზე დაყარა, ახლა თვითონ ჩაიკრა მკერდში დოქტორი მაქსი და თან ღონივრად დასცხო ბეჭებზე ხელი.

ეტყობა, აღტაცებული შეძახილები, გოსდოლიერის მსიარული სიცილი და შიკრიკის წიკვინი თანამშრომელთა ყურსაც მისწვდა, ანდა შესაძლოა მათ უფრო ადრეც გაიგეს სიუმრის მოსვლა, დერეფანში ერთბაშად გამოეფინა მომღიმარე ხალხი, მათ შორის დიაბეტეც დავინახე, რომელიც იმ თავისი მოკლე ფეხებით ისე სწრაფად მოცუნცულებდა, რომ ყველას მოასწრო.

— ერთი კოცნა ჩემთვისაც გაიმეტე, შე გადარეულო! — უთხრა მან ახალმოსულს, ფეხის წვერებზე აიწია, ძლივს შესწვდა, ხელები კისერზე შემოხვია და მაგრად აკოცა. ამასობაში სხვებიც მოცვივდნენ, ქალები, კაცები, მოხუცები და ყველა ერთად გაკვირვებული და გახარებული გაიძახოდა:

— მხატვარი ორაციო! მხატვარი ორაციო! როდის დაბრუნდით? — გაისმოდა აქეთ-იქიდან; ხალხი ვარს შემოეჯარა და კითხვები სეტყვასავით დააყარა. ორაციო მართლაც ჯამბაზივით სტოდა, აკისკისებულ ქალებს ხელებზე კოცნიდა, კაცებს, ვის ხელს ართმევდა, ვის ლოყაზე უტყაპუნებდა. ეს მიჩუმებული შენობა, სადაც ყველა თავსაქინდრული მუშაობდა და ერთ უსაქმოდ გაჩერებულ კაცსაც თვალს ვერსად მოჰკრავდით, მისმა მოსვლამ ერთბაშად გამოაცოცხლა, ითქოს თავისუფლად ამოისუნთქესო; ის კი არადა თვით დოქტორი მაქსიც გახალისდა, ლამის პატარა ბიჭს დაემსგავსა; ერთბაშად გაუქრა სევდა, ასე რომ მოერეოდა ხალმე; რაცა ძიქრალი ხმით გრძელ მონოლოგებს წარმოსთქვამდა, სახის ეამოძეტყველება და მიხრა-მოხრაც კი სხვანაირი გაუხდა; კარის წირთხლს მიყრდნობილი, ნათელი ღიმილით უსმენდა ორაციოს ხუმრობებს, ყველას რომ თავბრუ დაასხია. მაგრამ აი, უეცრად მსიარული მზერა გაუზე გაექცა, ითქოს რაღაც აზრმა გაფრენილი ჩიტის ფრთასავით გაჭკრა და ყურადღება მოსწყვიტაო; ეს უკვე საკმარისი იყო, რომ ,,ალავ ძმიმე, სევ-

ლიან ფიქრებს წაელო; ბედად იმ წუთს მე მოვსვლი თვალში, სასე ისევ გაუბრწყინდა და ხემსკეს გამოქანდა.

— ოჰ, ორაციო, იცი, რომ შენი თანამემამულე გვესტუმრა? აი, მასთან კი გამოსახავ საერთო ენას! ისიც ხომ პროვინციიდანაა, სწორედ დღეს ჩამოვიდა! — ხმამაღლა, მეჩახედ წარმოიქვა დოქტორმა მაქსმა, ხელი ჩამავლო და მსატვართან მიმიყვანა. მან ელვარე, დათაფლული ღიმილით გამომიწოდა ხელი, სახეზე უცხო ჩრდილმა გადაურბინა, თვალი თვალში გამიყარა, ოდნავ გადმოისარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— კარგად დაისხომე, აქ, დიდ ქალაქში, ფხიანი კაცი თვალზე ლიბრივით ედებათ! — ეს ყველაფერი ელვის უსწრაფესად მოხდა, არავის არაფერი შეუმჩნევია.

ვერ გავიგე ან ეს უსიამო, მუქარით სავსე მზერა რას მოასწავებდა, ან ეს სიტყვები რას ნიშნავდა და რატომ მითხრა ოკუსებურ კილოკავზე! ვითომ იქ მყოფთ რომ არ გაეგოთ? ან იქნება გამაფრთხილა კიდეც! ნეტავ ვის უნდა მოვერიდო? იქნებ ოვითონს მასვე! შეიძლება მანიშნებდა პირი შევკრათო, მაშინ „შენობით" რაღას მომმართა, ვითომ რაო, ასაკითაც და მდგომარეობითაც შენზე მეტი ვარო? ამას ხომ დიაბეტეც სხადიოდა, მაგრამ ფრთხილად და მეტი მორიდებით! ვერც ვერაფერი გავიგე და ვერც ვკითხე. თანამშრომლები ისევ ისე შესციცინებდნენ და ისევ ისე აყრიდნენ კითხვებს. ქალები გარს უკლიდნენ და მის ჩაცმულობაზე მსჯელობდნენ, დოქტორი მაქსი კი წამდაუწუმ გაიძახოდა:

— ამისთანა მასხარა თუ გინახავთ! რა სიმპათიური ჯამბაზია!

დიაბეტე კი თავს აქნევდა და ამბობდა:

— მშვენივრად კი გრძნობს თავს! მხატვარია და რაც მოეგრიანება, იმას ჩაიცვამს, ხმასაც ვერავინ გასცემს! აბა ერთი მე გავიდე ასე ჩაცმული ქუჩაში, მაშინვე საგიჟეთში მიკრავენ თავს!

— იმიტომ რომ თქვენ მხატვარი არა ხართ! — გამოეპასუხა დოქტორი მაქსი, თითქოს ადრე ნათქვამი არც გაეგონოს.

— სწორედაც, სწორედაც! — მაშინვე დაეთანხმა დიაბეტე.

პირველი აღტაცება, მხატვარი ორაციოს გამოჩენამ რომ გამოიწვია, თანდათან მინელდა, ხალხიც მიჩუმდა, ღიმილიც

,კი ჩაუქრაო სასეზე. დოქტორი მაქსი ასლა ალმაცერად და ,ცოტა არ იყოს, მკაცრადაც კი უყურებდა მხატვარს, თითქოს ნანობდა, ასეთი აღფრთოვანება რად გამოვიჩინეო; ორაციო, პირიქით, მოცინარი თვალებით გადასედა იქ მყოფთ, ყველას სათითაოდ შესედა, მერე ხელები წინ გაიშვირა, თითქოს უდოდა ეთქვა, მაცადეთ რა ფოკუსი გაჩვენოთო.

— მოიცათ, მოიცათ, ერთი წუთი!.. — შესძახა მან, ნამდვილი ჯამბაზივით მიირბინა მაგიდასთან, აიღო საქაღალდე (შიკრიკს მაგიდაზე დაედო), თითების ტკაცუნით გახსნა ზონრები, ამოიღო მუყაოს დიდი ფურცელი და გულზე მიიკრა, გეგონებოდათ, არ უნდა ვინმეს დაინახოსო. მისმა საქციელმა ყველას ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა, იფიქრეს, რაღაც ახალ ოინს გეიმზადებსო, თან ცალი თვალი დოქტორი მაქსისკენ ეჭირათ, რა ნიშანს მოგვცემს, დავრჩეთ, თუ წავიდეთო. ამასობაში მხატვარი ორაციო სტუნვა-სტუნვითა და ცეკვა-ცეკვით მივიდა კედელთან, ქურთუკის ჯიბიდან ჭიკარტები ამოიღო, მუყაო ერთბაშად გაღმოაბრუნა და კედელზე მიაკრა.

შევსდეთ და იმდენად უბრალო, არაფრისმთქმელი, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი პლაკატი წარმოუდგა ჩვენს თვალს, რომ ყველას ენა ჩაგვივარდა; სასხასა წითელ ფონზე პატარა თეთრი ასოებით სავაჭრო ფირმის სახელწოდება ეწერა. მხატვარი კი პირიქით, უფრო გამხიარულდა, თვალები გაუბრწყინდა და ბოლოს ხმამაღალ ხარხარს მოჰყვა; კარგა სანს იცინოდა, მუცელი ხელით ეჭირა და წინ და უკან ქანაობდა. რაც უფრო მეტს ხარხარებდა, მით უფრო დამთრგუნველი ხდებოდა სიჩუმე; შეშინებულმა ხალხმა ერთმანეთს დაუწყო ყურება; ერთი ქალიშვილი აღელვებული იმტვრევდა თითებს; დოქტორი მაქსი მოიღრუბლა, მოლად გაყვითლდა; დიაბეტეს კი კისერი ლამის მხრებში ჩაუძვრა და უჩუმრად გაიძურწა დერეფნისკენ. აი, სწორედ ამან გახსნა კიდეც პლაკატის საიდუმლოება; ცოტა რომ გაიარა, მან ალმაცერად, თითქოს საყვედურით გამოხედა მხატვარს, გამოხედა და ადგილზე გაშეშდა, მერე გაოცების ყვირილი აღმოხდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაისია, ისე რომ პლაკატისთვის თვალი არ მოუშორებია, ისევ შეჰყვირა, მერე განზე გადგა, ბოლოს პლაკატთან მიიჭრა და ცხვირი ლამის ზედ მიაჭყლიტა. როცა მოტრიალ-

და, ეს ერთი ცოცხალი კაცი ძალიანი სიმაღლით გაიჭიმა და მოულოდნელად მსატვარს ხელი გაუწოდა;

— მომილოცნია! ნამდვილი ოსტატი ყოფილხარ! გულითა და სულით მომილოცნია! — წარმოსთქვა დიაბეტემ და ცრემლი მოერია.

ეს თქვა დიაბეტემ და ყველა იქმყოფი, თვით დოქტორი მაქსიც კი, სუნოქვაშეკრული დაიძრა კედლისკენ, რომ კარგად დაეთვალიერებინათ პლაკატი; ცოტა ახლოს რომ მივედი, დავინახე, რომ წითელმა ფონმა ნელ-ნელა იცვალა ფერი, ჯერ იისფერი გახდა, შემდეგ ცისფერი, ბოლოს შავი; ფერთა ეს თამაში მართლაც გასაოცარ ოპტიკურ ეფექტს ახდენდა, გეგონებოდათ ვიღაც უჩინარი ჩვენს თვალწინ ცვლიდა ერთ ფურცელს მეორეთი; უკან რომ დაიხევდით, კვლავ იწყებოდა ფერთა ცვალება, წითელი ნარინჯისფერში გადაღიოდა, ნარინჯისფერს ყვითელი ენაცვლებოდა, ყვითელს — თეთრი, თეთრ ფონზე კი გარკვევით იკითხებოდა შავი ასოებით გამოყვანილი ფირმის სახელი; იგივე მეორდებოდა, თუ გვერდიდან შევხედავდით; საოცარი ისიც იყო, რომ ეს პატარა წარწერა, რომელიც მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ფონზე, ჯერ ხომ თვალში გეცემოდათ, მერე ნელ-ნელა გაუჩინარდებოდა და სხვა ფონზე უკვე სხვა ფერით აკიაფდებოდა. ასე რომ, პლაკატს თუ ჩაუვლიდით, ფერთა ამ ცვალებადობით გაოცებული ჯერ იფიქრებდით მეჩვენებაო, მერე გადაწყვეტდით, ოპტიკური ფოკუსის მეტი არაფერიაო; მისი მნახველი უსებურად შედგებოდა, თვალი ხომ არ მატყუებსო, დააკვირდებოდა წითელ ფონს, ერთი წამის წინ ამკარად იისფერი რომ იყო, გადადგამდა ნაბიჯს — ფონი უკვე შავი გახდებოდა, კიდევ ერთ ნაბიჯს და უკვე ნარინჯისფრად მოეჩვენებოდა. ზოგი იმასაც იფიქრებდა, ცუდად ხომ არა ვარ, ჩემს შრომისუნარიანობას ან ეგებ სიცოცხლესაც კი, საფრთხე ხომ არ ემუქრებაო; შიში აიტანდა, ვაითუ ჯანმრთელობა შემერყაო (გული მართლაც აუჩქროლდებოდა), ნამდვილად სიმსივნე მაქვს თავში, აღსასრული თუ მიახლოვდებაო, ავი წინათგრძნობა აიტანდა, მიიხედ-მოიხედავდა, თითქოს არაფერი შეცვლილა, ქუჩაც და მაღაზიებიც ისევ ისე კაშკაშებს, ტროლეიბუსები მწვანე ფერისაა, ცა — ლურჯი... და კვლავ პლაკატს დაუწყებ-

და ყურებას (პლაკატი კი ამ დროს უკვე სხვა ფერისა იყო), ბოლოს მისვდებოდა საქმის ვითარებას, უმალ გადაავიწყდებოდა ეს უსიამო ფიქრები სიკვდილზე და ფირმის სახელწოდებაც საუდამოდ ჩაებეჭდებოდა გონებაში. ასეთი იყო ჩემი აზრთა მდინარება და დარწმუნებული ვარ, ყველა იქ მყოფიც ამასვე ფიქრობდა.

სიჩუმე ისევ დოქტორმა მაქსმა დაარღვია:

— მშვენიერია, დიდებულია!... შესანიშნავი მიგნებაა! — გაიძახოდა იგი. თუ მანამდე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, კარის წირთხლს მიყრდნობოდა და დაყინებით იყურებოდა წინ, ახლა პლაკატისკენ გაექანა და ცხვირი ლამის ზედ მიადო.

— ყოჩაღ! — დაასკვნა მან ბოლოს.

შექებით კი შეაქო დოქტორმა მაქსმა მსატვარი, მაგრამ არც მისი ხმა და არც მზერა დიდ აღტაცებას არ გამოხატავდა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რა გადატრიალებას მოახდენდა მსატვრის ეს აღმოჩენა, ანდა იმას, თუ რა ამბით წარმოგვიდგინა მან თავისი ნახატი, დოქტორი მაქსის წრიპინა ხმა მეტისმეტად მშვიდად და შეკავებით ჟღერდა. თვალებში უეცრად მოწყენილობა და დაღლილობა ჩაუდგა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, სხვა რამეზე გადაეტანა საუბარი.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — კვლავ გაიმეორა მან, — მაგრამ დარწმუნებული კი ხართ, რომ აქამდე ქვეყანას არ მოსდებია? გჯერათ, რომ რეკლამის პირობაზე ჯერ არ მოძველებულა? თითქოს რაღაც ამის მსგავსი სადღაც მინახავს; არ მახსოვს, სად და როდის, მაგრამ უდაოდ მინახავს...

მხატვარმა ორაციომ პირდაპირ შეხედა დოქტორ მაქსს, უყურა, უყურა და მერე ნელ-ნელა დაცინვა შეეპარა თვალებში; აუჩქარებლად ამოაძრო ჭიკარტები, პლაკატი იატაკზე ჩაცურდა; ორაციომ აიღო, საქაღალდეში ჩადო, ალერსით გადაუსვა ხელი და ზონრები შეკრა. მერე ღიმილით მიუბრუნდა დოქტორ მაქსს (ამასობაში თანამშრომლები მარდად მიიმალნენ თავ-თავიანთ კაბინეტებში).

— რაკი ასეა, მაშინ ჩავთვალოთ, ვითომ სულაც არა გვქონია ამაზე ლაპარაკი! თქვენ რაიმე სხვას გაგიკეთებთ, ამას კი „M" — ს წარვუდგენ, — და მან დაასახელა ერთი დიდი საკაჭრო ფირმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე დოქტორი მაქსი კვლავ კარის წირთხლს მიეყრდნო (ალბათ, ასეთი ჩვევა ჰქონდა), შუბლზე ნაძოშლილი ოფლი გაისწორა და თქვა:

— როგორც ვხედავთ, ორაციო, თქვენ ხომ კაცი ვერაფერს გეტყვით, ერთი პეწო რამე გწყინთ; აკი გითხარით, შეხანიშნავი რამ გაგიკეთებიათ-მეთქი, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს თანამედროვეთა შორის ერთ-ერთ დიდ და სახელოვან მხატვრად მიმინნიხართ, არაერთხელ დამიმტკიცებია კიდეც ეს; აბა, რა იყო საწყენი, მარტო ისა ვთქვი, მგონი, საღლაც ამის მსგავსი მინახავს-მეთქი; იქნება კიდეც მინახავს, მაგრამ სად და როდის, არ მახსოვს, ან იქნებ სიზმარშიც... აზრადაც არ მოსვლია, რომ თქვენ ან ვინმეს ბაძავთ, ან ვინმეს გავლენას განიცდით, პირიქით, ყველა მხატვარი თქვენა ბაძავთ, მაგრამ არაფერი გამოსდით, რადგან თქვენ გენიოსი ხართ, ისინი კი არა... ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ახლანდელ დროში ხელოვნება, გარკვეული აზრით, ყველასთვის მისაწვდომია. მიმბაძველებს რა დალევს, მთელი ქვეყანა და, მით უმეტეს, ჩვენი ქალაქი სავსეა ცრუმხატვრებით ესე იგი იმისთანა მხატვრებით, სულ რომ არაფერი ესაქმებათ მხატვრობასთან. თუ მართლა გაწყენინეთ, სწორე გითხრათ, არ ვიცი, რა ვიღონო, ჭეშმარიტად ძალიან გაფასებთ და ტყუილად შეგეტეხეთ; მაგრამ იუ სხვა ფირმაში აპირებთ წასვლას, გზა დამილოცნია! თქვენც, სხვათაშორის, ისევე როგორც ყველა ჩვენი მუშაკი, თავისუფალი ბრძანდებით, ძალით არავის ვიჭერ და არც თოკით ვაბამ, მით უმეტეს, თქვენისთანა თავისუფალ მხატვარს!

ამ დროს დოქტორი მაქსის კაბინეტში ზარი აწკრიალდა და იგი ფართო, მსუბუქი ნაბიჯით იქით გაეშურა.

სანამ იგი ლაპარაკობდა, ორაციოს კრინტი არ დაუძრავს, იდგა თავდახრილი, ნაღვლიანად იღიმებოდა და საქაღალდის ზონრებს წიწკნიდა. ვერა და ვერ მივხვდი, რატომ მოექცა ასე დოქტორი მაქსი, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, ალბათ, მისი ნიჭი შურს-მეთქი. ამიტომ მივედი ორაციოსთან და ვუთხარი:

— ეგეგ ჩემი აზრი თქვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ნება მიბოძეთ, ჩემი აღტაცება გაგიზიარეთ. მართლაც

დიდებული რამ გააკეთეთ! ტყეილად წაგიხდათ გუნება, დოქტორმა მაქსმაც ხომ პირველმა აღიარა ეს!..

მსატვარმა არაფერი მიპასუხა, არც კი შემოუხედავს ჩემთვის, მშვიდად გადაიწია უკან პანამა და ფართო შუბლზე ჩამოყრილი ბავშვური კულულები გამოაჩინა. თუ დააკვირდებოდით, ყველაფრით — მრგვალი, ვარდისფერი პირისახით, ფუნჩულა თითებით, ჩამრგვალებული ხელ-ფეხით, მართლაც დიდ ბავშვს მოგაგონებდათ. თვალები ისევ ისე ეშმაკურად უელავდა, როგორც მაშინ, ის უცნაური და გაუგებარი სიტყვები რომ მითხრა. გეგონებოდათ, აი, ამ წუთს რაღაც ოინს ჩაიდენს, ან შეიკუნტრუშებს, ან გადაიხარხარებსო. მზერა აქეთ-იქით გაურბოდა, წამდაუწუმ კაბინეტის ღია კარისკენ იყურებოდა, საიდანაც გარკვევით ისმოდა დოქტორი მაქსის ხმა; ეტყობა, საუბარს უკვე ამთავრებდა. მართლაც, მალე გამოვიდა კაბინეტიდან, სწრაფი ნაბიჯით ჩამიარა, ხელით მსუბუქად გამწია გასწვ და წარმოთქვა:

— მომიტევეთ ორაციო! მაპატიეთ, ორაციო! რა ვქნა, რა ვიღონო, ეგებ დაგიჩოქოთ!

დოქტორმა მაქსმა მართლაც, მხატვრის მიბაძვით, მასავით სუმრობით ცალ მუხლზე წამოიჩოქა და მდაბლად დასარა თავი.

— როგორ გეკადრებათ, დოქტორ მაქს! — მხატვარმა მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად უწოდა მას დოქტორი მაქსი. — მოთავარი ეს კი არ არის, ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ! კაცი ნემსის ყუნწში ეძვრები, სულ იმას ვფიქრობ, როგორ გაამოთ თქვენც და მთელ ფირმასაც. ამას თქვენი გულისთვის ვაკეთებ, თორემ რა თანსა უნდა შემოეთავაზებინათ, რომ საეჭვო ფირმაში შტატის მსატვრად მემუშავა! განა მე ამის კაცი ვარ! თუ რამე არ მოგწონთ, გავიხურავ კარს და მშვიდობით. ასე არ არის? მაშასადამე, პატიება არაფერ შუაშია, მთავარია გაგება! ერთმანეთისა უნდა გვესმოდეს!

მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე აღარ უსმენდა. თმის სწორებით გაემართა კარისკენ და განწირული ხმით დაიწყო ყვირილი:

— ბომბოლო! სადა არის ბომბოლო? — მერე უცბად შიკრიკს მიუბრუნდა: — თქვენ სომ არ გინახავთ ბომბოლო?

შიკრიკი წამოხტა, პირისახე ტკივილისაგან დაემანჭა, რადგან ვერ მოასწრო ჩვეულებისამებრ მაგიდას ხელებით დაყრდნობოდა.

— დოქტორი ბომბოლო? ვერ მოგასსენებთ... იქნებ მაღლა გახლავთ!.. — უპასუხა შიკრიკმა.

დოქტორი მაქსი ასლა კიბის საქცევისაკენ გავარდა, მაგრამ მაშინვე უკან შემობრუნდა და თქვა:

— შაპატიეთ, ორაციო, მოდი ბომბოლოსთან ავიდეთ და მისი აზრიც მოვისმინოთ! — მერე მე მომიტრიალდა, — უკაცრავად, სულ დამავიწყდით! წამოდით, თქვენც წამოგვყევით მაღლა!

მან ორივეს სელი გამოგვდო და კიბის საქცევზე გაგვიყვანა. ერთი კარი, დილით რომ მივაქციე ყურადღება, ღია იყო და ლიფტის განათებული კაბინა ჩანდა. დოქტორმა მაქსმა ორივე შიგ შეგვაგდო (მსატვარმა ცოტა ფეხი აითრია, სურათებით სავსე საქაღალდე ძლივს შემოატია კაბინაში) და ღილაკს თითი დააჭირა. ლიფტში გრილოდა; ალბათ ან ვენტილატორი იყო ჩართული ან კონდიცირებული ჰაერის დასადგარი, მსატვრის პანამის ფარფლები ისე ფარფატებდა, გეგონებოდათ ზღვის სიო უბერავსო. ლიფტი უცბად ასრიალდა ზემო სართულზე.

— ახალ შენობაში მივდივართ? — დაუფიქრებლად ვიკითხე მე. ჩემს მზერასა და ხმაში ალბათ პროვინციელის ეულუბრყვილო შიში თუ გაისმა, რადგან დოქტორმა მაქსმა გაიცინა.

— ჰო, მართლა, თქვენ ხომ ჯერ არა ყოფილხართ ახალ განყოფილებაში! პირველად ადიხართ, არა?

— დიახ, — უბრალოდ ვთქვი მე.

მსატვარმა ორაციომ ჩემს ამ მარტივ პასუხზე მხოლოდ უნდობი მზერა მესროლა, თითქოს უსდოდა ეთქვა „მშვენივრად ვხედავ, საითაც უმიზნებ, ვითომ უცოდველ კრავად მოგაქვს თავი, გინდა, ნდობა მოიპოვო, აქაოდა მიამიტი სოფლელი ბიჭი ვარო!.. მაგრამ სცდები, აქ ვერავის ვერ გააცურებ! მერე ყველაფერი შენს თვს დააბრალე!.. — ხმამაღლა კი, მეტად უსიამოდ ესლა თქვა:

— ნუთუ! მაშინ გირჩევ, როგორც კი ზემოთ ასვალ, დე-

დაშენს ბარათი გაუგზავნე! — ამ სიტყვებით იგივე დაადასტურა, რაც ერთი წუთის წინ მისმა მზერამ გამოსატა.

ჩვეულებისამებრ ფიქრებში ჩაძირულმა დოქტორმა მაქსმა, საბედნიერად, ვერც ეს გამოსედვა შეამჩნია და ვერც გადაკრული სიტყვები გაიგონა. ბოლოს ლიფტმაც დაასრულა თავისი გიჟური სრბოლა (დროდადრო მესვენებოდა თითქოს მაღლა კი არ ავდიოდი, ბუმბულივით დაბლა ვეშვებოდი), გორგოლაჭიანი კარი მსუბუქად გაიღო და თვალწინ წარმომიდგა მზის შუქით განათებული ფართო დარბაზი, რომლის ორი კედელი მომწვანო-მოცისფრო მინისა იყო და ამ მინაში მზე ოქროსვარაყიან შავ დისკოდ მოჩანდა; იატაკიც მინისა თუ შავი მარმარილოსი გეგონებოდათ. ფრთხილად მივაბიჯებდი, მაგრამ დოქტორი მაქსი ისე მიჰქროდა, ძლივს ვეწეოდი. მერე ერთბაშად შეჩერდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ახლა ეს ყველაფერი ძალიან ლამაზი გეგონებათ, რადგან პირველად ხედავთ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ნამდვილი უზნეობა და ამორალობაა! განა ეს უზნეობა არ არის, ასე მოსწყვიტო ადამიანი ბუნებას? გეგონება თვითმფრინავში ზისარო... ჩემი ნება რომ იყოს, აქ ერთი წუთიც არ გავჩერდებოდი, მაგრამ ყველას მაინც აქეთ მოუწევს გული, მე კი თვეობით არ ვიხედები ხოლმე.

— რა დიდებულია! — კვლავ წამომცდა მე. ფეხი ავითრიე, მინდოდა ცოტა ხანს შევჩერებულიყავი დარბაზში და ამ ვეება მინის კედლებიდან გადამესედა ქვემოთ. აქედან კარგად მოჩანდა ქალაქი, შენობათა დაბალი სახურავები, გადამწვანებული უზარმაზარი ბაღი, ცაზე მოცურავე ღრუბლის ქულები (თუმცა ამ წუთში მეგონა, ჩვენ თვითონ მივცურავდით), უზარმაზარი თვითმფრინავი, ცას რომ მიაპობდა და უკან შავი ბოლის გრძელი კუდი რჩებოდა. — რა საოცრებაა! — გავიმეორე მე. კაშკაშა სინათლემ და ჩემს თვალწინ გაშლილმა შეუდარებელმა პანორამამ ერთბაშად თვალი მომჭრა. ერთი წამით წარმოვიდგინე, რა ბედნიერებას ვეწიე, რამდენი რამ მოსდა მაინც ამ ერთ დღეში — სამუშაოც ვიშოვე, სავაჭრო ფირმის პატრონიც გავიცანი (სწორედ ამ დროს ისე ვყავდი ჩაბღუჯული, რომ ხაფანგში გაბმულივით ვიგრძენი თავი), ბევრი სხვა ხალხიც ვნახე და მათ, ალბათ, კიდეც დავუახლოვდე-

ბოდი. ახლა კი ფირმის ყველაზე მაღალ სართულზე გახლდით. ამ დილით მარტო იმითიც ვიყავი ბედნიერი, რომ დაბლიდან შეკცქერადი და ესეც დიდ კმაყოფილებად მეჩვენებოდა. ახლა!.. ნეტავ რა მოხდება ახლა? დოქტორი მაქსი უკვე შუა დარბაზისკენ მიმათრევდა. ეტყობა, მიხვდა, პირდაპირ ჩემს თვალებში ამოიკითხა, რამდენად აღმაფრთოვანა ნანახმა და ცოტა ნაწყენმა წაიბუტბუტა:

— არც იფიქროთ აქ ამოსვლა, არ გაიბინძუროთ სული! თქვენ ხომ ამ დილას ჩამოხვედით სოფლიდან, ჯერ ისევ სუფთა და უმწიკვლო ხართ. დაე, თქვენი თვალები ყოველთვის გამოხატავდნენ იმას, რასაც ახლა გამოხატავენ — უბიწო სულს. თუმცა მე თავად ვიზრუნებ ამაზე. ქვედა სართულზე ავუშვებთ, ძველ შენობაში, ჩემს გვერდით, მეორე სართულზე!

ნეტას მომცემთ ხანდახან მაინც ამოვიდე ხოლმე აქ? — ვკითხე და თვითონვე გამაოცა საკუთარმა გამბედაობამ. დოქტორმა მაქსმა პასუხი არ გამცა, ალბათ, ვერ მოასწრო, რადგან იმავე წუთს დარბაზის უკანა კედელში დატანებული უზარმაზარი კარი გაიღო და მკრთალი შუქით განათებული ღერეფანი გამოჩნდა. ღერეფნის ორივე მხარეზე უთვალავი კარი იყო ჩაყოლებული და დოქტორმა მაქსმა „ბომბოლო, ბომბოლოს" ახსენით ერთ-ერთი გამოაღო; მომცრო კაბინეტში შევედით, რომლის წინა კედელი ერთიანად მინისა იყო. ლითონის პატარა მილებისაგან აწყობილ საწერ მაგიდას მსუქანი მამაკაცი უჯდა და რაღაცას კარნახობდა მდივან ქალს, რომელიც ჩვენი შესვლისთანავე პეპელასავით გაფარფატდა. მამაკაცმა გაიცინა; მისი სიცილი ჭყვიტინისაც ჰგავდა და ცხენის ჭიხვინსაც. გულიანად იცინოდა და მბრუნავ სავარძელში ბურთივით ხტოდა; თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლი სცვიოდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო შესამშრალებლად.

— პატარა დიდი პატრონი! — წარმოთქვა მან წრიპინა ხმით ინგლისურად და დოქტორ მაქსს თავი დაუკრა; მან კუშტად შეხედა; — რა ქარმა გადმოგაგდოთ ამ ჩვენს უზნეობის ოლიმპზე?

— მასხარავ! ასე არა? რომელ საათზე მობრძანდებიო სამ-

სასურში? სად არ გეძებინ! — შეაწყვეტინა დოქტორმა მაქსმა, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა, — ჰო, ვიცი, ვიცი, როცა ვნებავთ მოსვალთ, როცა გნებავთ, წასვალთ! ისე ეკიოსებით, ბორემ... უფლება კი გაქვთ... საერთოდ, დიდი მოუხელიებელი კაცი ხართ...

— სასიყვარულო ამბები, ბატონო დოქტორო მაქს! სიყვარულიც ხომ კომერციაა! — განაგრძო კოხტაპრუწამ ფრანგულად, — ვიხუმრე, ვიხუმრე! განა სუმრობაც არ შეიძლება? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალგაზრდა ხართ, ცხოვრება კი მშვენიერია! მართლა... — ბომბოლომ ხმას დაუწია, ისე დადინჯდა, თითქოს ის, რის თქმასაც აპირებდა, ღრმა და მოწიწებულ ყურადღებას მოითხოვდა, — მთელი ღღე ბიბენდუმთან ვიჯექი. მისი სავაჭრო პროექტი მართლაც ბრწყინვალეა; რაც არ უნდა თქვათ, თავის საქმეში ბადალი არა ჰყავს, მით უმეტეს, ამგვარი პროექტების შედგენის დიდი ოსტატია, ახლა ისა თქვით, როგორი სტილისტი და პოეტია!...

— მაშ ასეა? — დაინტერესდა და თითქოს კიდეც შეშფოთდა დოქტორი მაქსი, — როდის წარმოგვიდგენს?

— თუ საქმე კარგად წავა, ერთ თვეში დაამთავრებს...

— ცოტა ხომ არ აჩქარებულა? თუმცა თქვენ ამბობთ, დიდი სტილისტიაო... აბა რა მეთქმის...

ბომბოლომ მხოლოდ ახლაღა შეევამჩნია მე და ორაციო-

— ყველაფერი კარგად იქნება!.. ოჰო! აგერ ჩვენი დიდოსტატიც! — წარმოთქვა მან ფრანგულად და ორაციოს ხელი გაუწოდა. მხატვარიც მყისვე მიიჭრა მასთან და თავისი ხელი შეაგება; მერე ჩემსკენ მომართა მზერა, თან სველი, დაშმუშნული ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდდა და რიგიანად ვერც დამინახა.

დოქტორი მაქსი მდივნის ადგილზე დაჯდა და მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება. უცბად, ერთ ფურცელს წამოავლო ხელი და შეჰყვირა:

— თუკი ამ დილას ნახეთ, წერილის მიწერა რაღად დაგჭირდათ?

ცხადზე ცხადი იყო, რომ ბომბოლომ იცრუა და ბიბენდუმთან შესვლერის ამბავი მარტო სამუშაოზე დაგვიანების საბა-

ბად მოიკონა. დოქტორი მაქსი კი ისეთი თვალებით შეჰყურებდა, რომ კვლავ საკბენად მომზადებული მწერი გამასსენდა. იგი გაყვითლდა, თვალები მოწკურა, ქუთუთოების სოროებში მიემალა, ტუჩის კუთხეებში თეთრი ლაქები უფრო მკვეთრად დააჩნდა; მოიკუნტა და სხეულში რაღაცნაირმა ჟრჟოლამ დაუარა.

დოქტორი ბომბოლო გაწითლდა, ცრემლით დანამული თვალები გაოცებით დაჭყიტა; აშკარად დაიბნა. ოთახში ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კონდიციონერის ნელ სისინსაც გაიგონებდით.

— რა წერილი? რომელი წერილი? — როგორც იყო წაილუღლუღა სირცხვილისგან ნირწამხდარმა ბომბოლომ.

დოქტორმა მაქსმა უსიტყვოდ ესროლა სახეში ფურცელი, თითქოს სილა გააწნაო. დოქტორი ბომბოლო შეკრთა, სახეზე ხელები აიფარა; მერე ხვნეშა-ხვნეშით დაისარა, იატაკზე დავარდნილი ფურცელი აიღო, ზედ თვალებთან მიიტანა (ეტყობა, ბეცი იყო) და რამდენჯერმე გადაიკითხა, ამასობაში აზრიც მოიკრიბა და ბრალდების გასაქარწყლებლად ისეთი სიცილი ატეხა, მთელმა სხეულმა თასთასი დაუწყო.

— იჰ, იჰ, ამაზე ამბობთ? ეს ხომ კერძო წერილია! ამას როგორ კადრულობთ, ჩემო დოქტორო! — სან ფრანგულად, სან გერმანულად მოჰყვა რატრატს ბომბოლო, — ჩემს პირად წერილებში იხედებით! იჰ, იჰ, იჰ, უკაცრავად და, ვერაფერი კარგი ჩვევაა...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ უზომოდ გაშმაგებული და მთელი ტანით აცასცახებული დოქტორი მაქსი (ასლა კიდევ უფრო საოცრად დაემსგავსა მწერს) წამოხტა, წამოაგლო ხელი ქაღალდებს, რაც კი მოსვდა და პირისახეში შეაყარა ბომბოლოს.

— აქ უფროსი მე ვარ, გასაგებია?—იწივლა მან,—დიას, დიას, პატრონი მე ვარ!.. მომბეზრდა ნემს ხელქვეითთა მონად ყოფნა, ამ გაიძვერებსა, მელიებსა და სინდიოფალებში ტრიალი! მეტს აღარ მოვითმენ, ყველას გაგყრით აქედან!.. საზიზღრობაა და მეტი არაფერი!.. მე თქვენ ფულს გისდით და სამაგიეროდ პატივისცემას მოვითხოვ! საქმე არც ფულია, მიმიფურთხებია ფულისთვის, უფულოდაც მშვენივრად გავძლებ! მთა-

ვარია საქმის მორალური მხარე! ამას უბნეობა ჰქვია, უბნეობა ჰქვია, უბნეობა, გესმით? არ ვიცი, როგორ არ გსურით ღმერთი! მაგრამ მაცალეთ, მე თვითონ მოგივლით!.. გასაგებია თქვენთვის, გასაგებია?—წიოდა იგი, თან აქეთ-იქით ისროდა ქაღალდებს, პირისასეში აყრიდა ბომბოლოს, მერე დერეფანში გავარდა და ისეთი ძალით გაიჯახუნა კარი, რომ ისეც გაიღო. მისი ჩახრინწული კივილი კიდევ დიდხანს ისმოდა შორიდან, მაგრამ სიტყვებს უკვე ვეღარ ვარჩევდით.

მე მაშინვე უკან გავედევნე დოქტორ მაქსს. ბომბოლოს კაბინეტში უცხოდ ვგრძნობდი თავს, მით უმეტეს, ერთმანეთს არც გაგვაცნეს. სხვა რა უნდა მექნა? ჩემი დარჩენა, ალბათ, უფრო გააღიზიანებდა ბომბოლოს, რადგან მე, ვიღაც უცნობი, შეუღინღლავი ყმაწვილი ასეთი უსიამო ამბის მოწმე გავხდი. ალბათ, არც მხატვარ ორაციოს ეპიტნავებოდა ჩემი იქ ყოფნა. რა თქმა უნდა, ბომბოლოსთან ცალკე უნდოდა ლაპარაკი, თან პლაკატს აჩვენებდა და თავს მოიწონებდა. მაშასადამე, მე ხელს ვუშლიდი. ახლა ისინი სჯა-ბაასს მოყვებოდნენ, ერთი თავისას იტყოდა, მეორე თავისას და აბა რაში ბოეწონებოდათ ამის მოწმე ყოფილიყო დოქტორი მაქსის თანმსლები, მათთვის უცხო კაცი. ამიტომ მეც ვისარგებლე ამ არეულ-დარეულობით და გამოვედი; გავიარე გრძელი დერეფანი, ოქროსფერ-მომწვანო სინათლით გაჩახჩახებული დარბაზი (მინის კედელის მიღმა მზე უკვე დასალიერს უახლოვდებოდა) და მივვარდი ლიფტს, მაგრამ დაკავებული აღმოჩნდა; ეტყობა, თავად დოქტორი მაქსი ჩადიოდა. უნდა დავლოდებოდი.

უსაზღვრო ბედნიერების გრძნობა, სულ ცოტა ხნის წინათ რომ განვიცდიდი, ამ უსიამოვნო შემთხვევამ სულ ჩამამწყარა. ნეტავი რას იფიქრებდა ჩემზე დოქტორი ბომბოლი (ეტყობა, ფირმაში კარგი თანამდებობა უკავია) ამ სამარცხვინო ამბავს რომ შევესწარი. ალბათ, იმანაც და მხატვარმა ორაციომაც (გამოჯავრებისა და დაცინვის ოსტატი რომ ბრძანდება) დოქტორი მაქსის ხელქვეითად, მრჩევლად ან სულ-ც საიდუმლო ჯაშუშად ჩამთვალეს. მე რომ პირველად და უკანასკნელად ვხედავდე მათ, კიდევ არაფერი, მაგრამ ახლა, რაკი შეიძლება ითქვას, რომ უკვე ფირმაში ვმუშაობ, ორი-

ვეს ჩვენსკენ ხელმე და ამათი ეშვები თუ ვარაუდიც გამარ-
ილდება, მაინ უმეტეს, რომ დოქტორმა მაქსმა გარკვევით გა-
მოაცხადა, მე არა მსურს ახალ შენობაში ოჯდე, მირჩევნია,
სადმე ჩემთან ახლოს ციყოლიოო...

ერთი პირობა კინადამ უკანვე გავბრუნდი, ვიფიქრე, დო-
ქტორ ბომბოლოსა და ორაციოს ავუსსნი, რომ სრულიად შემ-
ისვევით აღმოვსნდი იქ, რადგან დაუფიქრებლად და ქარაფ-
შუტულად დავთანხმდი დოქტორი მაქსის მიპატიჟებას-მეთ-
ქი. დავბრუნდი კიდეც, მაგრამ შუა გზაზე გავსერდი; ორმა
მოსაზრებამ კამაჩერა, ჯერ ერთი, თავის მართლება რომ და-
მეწყო და მემტკიცებინა ბრალი არაფერში მიმიძღვის, სრუ-
ლიად პატიოსანი ვარ-მეთქი, აბეზრად ჩამთვლიდნენ და,
მეორეც საკუთარი სინდისი მაჩერებდა: ამ შემთხვევაში დო-
ქტორი მაქსი მართალი იყო, დოქტორი ბომბოლო კი ნამ-
დვილი მატყუარა გამოვიდა. ჰოდა, მეც ავდექი და ლიფტის-
კენ გავბრუნდი; იმავე წამს დაიშრიალა რელემ, მაშასადამე,
ლიფტი განთავისუფლდა; კარი გაიღო, შევედი და მეორე სა-
რთულის ღილაკს დავაჭირე თითი. ჩავდიოდი და თან ჩემს
თავზე ვბრაზობდი, ნეტავ რას ვიმტვრევ თავს, რაც უნდათ,
ის იფიქრონ იმ ბომბოლომაცა და იმ მხატვარმაც, არ მერ-
ჩივნა შემინული დარბაზიდან მზის ჩასვლის ყურებით დავ-
მტკბარიყავი-მეთქი; ვინ იცის, აქ ამოსვლას ვეღარც კი ვე-
ღირსო! სოლო დაბლა რომ ჩამოვედი, ასლა ის ვუსაყვედურე
თავს, რა მაწუწუნებდა მთელი გზა, არა ჯობდა მთელი არსე-
ბით მეგრძნო, როგორ ეშვებოდა ლიფტი ნელ-ნელა ქვემოთ.
ეს ვანცდა მაშინ მქონდა, როცა ზემოთ ავდიოდი და ვიფი-
ქრე, ალბათ უწონადობის შეგრძნებაც ასეთი იქნება-მეთქი.

სამწუხაროდ, ამ დროს ლიფტის კარი გაიღო და მეორე
სართულზე გადმოვედი. შიკრიკი თავის ადგილზე არ ოჯდა
და დიაბეტეს კაბინეტში შევედი; იქაც არავინ დამხვდა; შე-
ეძლება უკვე წავიდა კიდეც; ანდა ეგებ ძველი და ახალი შე-
ნობა სხვადასხვა გრაფიკით მუშაობდა და აქ, ქვემოთ, სამუ-
შაო დღე დამთავრდა. ავდექი და უკან გავბრუნდი, კიბე ჩა-
ვიარე და ქუჩაში გავედი. უკვე ჩამობნელებულიყო; იქ, ზე-
მოთ კი ჯერ ისევ ციალებდა დაისი, თუმცა დაბლიდან აღარ
ჩანდა, სასლები ეფარებოდა. ცაზე ორიოდე ვარდისფერი

ღრუბლის ფთილა დაცურავდა, მისი უსწორმასწორო კიდეები ნამავალი მზის უკანასკნელ სხივებს გაენათებინა. მაგრამ აი, მუქ-იისფერ ცის ტატნობზე ნელ-ნელა ვარსკვლავები აკიაფდა, ქუჩებსა და მაღაზიებში კი ნეონის ნათურები აჩახჩახდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მარტო დავრჩი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი; ჩემს ოვალწინ ვაშლილიყო კეთილი ქალაქი, სადაც ასე უცბად ვიშოვე სამსახური. მეც მივდიოდი და მივდიოდი, გზადაგზა ვათვალიერებდი სასლებს, ქუჩებს, მაღაზიებს, კინოთეატრებს, მანქანების გაუთავებელ ნაკადს, თითქოს ხუმრობით რომ აგუგუნებდნენ საყვირებს, ვაკვირდებოდი ადამიანებს, ჩემს გვერდით რომ მიაბიჯებდნენ. რაღაც-რაღაცეებიც ვიყიდე; მზა ტანსაცმლის მაღაზიაშიც შევედი და ვიტრინაში გამოფენილი ყავისფერი ლაბადის ფასიც ვიკითხე. ერთ-ერთი გამყიდველი მომიასლოვდა, დაბრძანდითო, მითხრა და დახლთან სავარძელზე მიმიძღვა.

ჩავჯექი წითელი ტყავის სავარძელში, ოღონდ ხელმეორედ ვეღარა ვკითხე ფასი და დავუწყე ლოდინი, როდის გამომიტანდნენ. ლაბადა ახლოდან უფრო ლამაზი აღმოჩნდა. გამყიდველს არ შეუქია საქონელი, მარტო ისა თქვა პარაშუტის აბრეშუმიაო, მერე ლამაზი ხელებით ნერვიულად მოჭმუჭნა და ჰაერში ააგდო. ლაბადა მართლაც პარაშუტივით გაიშალა და ნელა დაეშვა მის გაწვდილ ხელისგულზე. მეორნი თვითონვე მოეწონა თავისი სიმარდე და გაეღიმა. თვალისმომჭრელი თეთრი კბილები ჰქონდა. სხვა გამყიდველებსაც ასეთივე ქათქათა კბილები ჰქონდათ და კიდეც ვიფიქრე, ღვიძლი ძმები ხომ არ არიან-მეთქი. ლაბადის შემხედვარე, ყველა იღიმებოდა და ისე აელვარებდნენ თეთრ კბილებს, თითქოს უნდოდათ ეჩვენებინათ, იმის გარდა, რომ ყველას ერთნაირი, ოქროსფერღილებიანი ლურჯი პიჯაკები ვეცვია, ერთნაირი თეთრი კბილებიც გვაქვსო. „ბედი ჰქონიათ, რომ ისეთ მაღაზიაში მოწყობილან, სადაც მათი პატრონი არა მარტო მათს ტანსაცმელზე, კბილებზეც კი ზრუნავს“, გავიფიქრე ჩემთვის. ვინ იცის, რამდენ ახალგაზრდას ჰქონდა უვარგისი, ჭიანი და დაბრეცილი კბილები, ახლა კი მზრუნველი პატრონის წყალობით ორი თანაბარი, უნაკლო თეთრი კბილების მწკრივი უბრწყინავთ, სწორედ ისეთი, ზანგებს რომ

აქვთ, თორემ ჩვენს სალხს ხომ საერთოდ კბილები არ უვარგა.

გამყიდველმა შემოიბოვაზა, თუ გნებავთ, ლაბადა მოიზომეთო, თვითონვე მომესმარა და სარკის წინ ჩავიცვი. დიდები ლაბადა იყო და მეორედ ვიკითხე ფასი. გამყიდველმა ღიმილით, თითქმის ჩურჩულით დაასახელა. ძალიან ძვირი მომეჩვენა. ჩემს ცხოვრებაში ამდენი ფული ერთბაშად არაფერში გადამისდია და არ ვიცოდი, რა მეღონა. ეტყობა, დაბნეულობის მიზეზს მიმისვდა და თვითონვე მირჩია:

— თუ ყიდვა გისდათ, შეგიძლიათ განვადებით წაიღოთ; ნაწილს ახლა გადაისდით, დანარჩენს კი მერე, რამდენსიმე შეტანაზეო.

— ძალიან კი მომწონს... — ვთქვი მე და გულში გადავწყვიტე, ზრდილობის გულისთვის ორიოდე სიტყვასაც ვიტყვი და აქაურობას გავეცლები-მეთქი, მაგრამ გამყიდველმა არ მაცალა, პირმოკუმულმა გამოსცრა:

— როგორც გენებოთ!..

— კარგით, ვიყიდი, — განვაცხადე მტკიცედ და ასევე მტკიცედ დავძინე, — ოღონდ განვადებით!

— ძალიან კარგი! გმადლობთ! — გამოცოცხლდა გამყიდველი და იმავე წუთს მაღაზიაში გამეფებული საზეიმო სიჩუმე საანგარიშო ელექტრული მანქანის ჩხაკუნმა დაარღვია.

— ახლა, თუ შეიძლება, ეს პირადობის ფურცელიც შეავსეთ! — მთხოვა გამყიდველმა, — აქ დაბრძანდით, გეთაყვა, მე კი გავიფრთხილებ, ლაბადა შეგიფუთონ, — და მან ნიშანი მისცა ერთ-ერთ ქალიშვილს.

დავიწყე ბლანკების შევსება; საანგარიშო მანქანაც აჩხაკუნდა; მერე სამ ბლანკს მოვაწერე ხელი, ესე იგი სამ შეტანაზე იყო გაანგარიშებული; ბოლოს ერთი დაბრკოლება მაინც გამოჩნდა, თურმე პროვინციაში მცხოვრებ კაცზე განვადებით გაყიდვა არ შეიძლებოდა, რადგან ყოველ პროვინციაში ამ მაღაზიას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა და მარტო იმას შეძლო ამის მოგვარება; ნაღდ ანგარიშზე ყიდვა კი სხვა საქმე იყო.

— ნაღდად გადახდა რომ არ შემიძლია, — ვთქვი მე, მაინც ვცადე თავის დაძვრენა, — იქნება სხვა დროს შემოვიარო...

— იჯექით, იჯექით! — მითხრა გამყიდველმა, როცა ასადგომად წამოვიწიე, მერე უბეზე ხელი მიიდო, ჩაფიქრდა, კვლავ გაიღიმა და დასძინა, — ეს შეუძლებელია, ბლანკები უკვე დაბეჭდილია, ხელიც მოწერილი გაქვთ.

— მერე რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ ლაბადა უკვე თქვენ გეკუთვნით, ნაყიდად ითვლება.

— არ მესმის, — მივუგე გაკვირვებით, საქმე ის იყო, რომ პირველად ვყიდულობდი საქონელს განვადებით და ამ საქმის ასე სწრაფად გაჩარხვა, ცოტა არ იყოს, მუშტრის უპატივცემულობად მეჩვენა.

— უკაცრავად, ერთი წუთით შეიცადეთ, ახლავე გავიგებ, რა შეიძლება მოხერხდეს, — მითხრა გამყიდველმა და შიდა ტელეფონისკენ გაემართა. ვიღაცას მოელაპარაკა (შეიძლება პატრონსაც) და გაბადრული სახით კვლავ ჩემთან მოვიდა. — თქვენ აქ გავლითა სართ, თუ რამდენიმე დღე დარჩებით?

— მე მგონია, სამუდამოდ დავრჩები! — გულუბრყვილო სიამაყით მივუგე მე. გამყიდველებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაშინ ყველაფერი რიგზეა! დაგვიტოვეთ თქვენი ტელეფონის ნომერი ანდა აქაური მისამართი, რომ უწყებები გამოგიგზავნოთ.

მეც დავუტოვე ჩემი ახალი ბინის მისამართი, გადავისადებე, ავიღე ლაბადა და წამოვედი.

გზად კიდევ ერთ მაღაზიაში შევიარე, ვიყიდე ქაღალდი, კონვერტები და ავტოკალმის მელანი, მერე ერთსანს კიდევ ვიყიალე.

სულ არ მახსოვს ქუჩები, სადაც ჩემი პირველი გასეირნების დროს ვიარე. ყველაზე კარგად დამამახსოვრდა ტაძარი, შენობებით შემოჯარული დიდი მოედანი, ნეონის წარწერებით აჭრელებული, ფოლადისა და მინისგან ნაგები გასირაღდნებული ცათამბჯენი (ჩემი ფირმის ახალ რეზიდენციაზე გაცილებით დიდი), რომლის აქეთ-იქით აუზები მოეწყოთ და შიგ დიდრონი ფოთლები და დუმფარები დაცურავდა. კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ მივხვდი, რომ შიგნით საგამოფენო დარბაზები იყო, სტენდებზე ფოლადისა და მინის რაღაც ნივთები გამოეწყოთ.

ერთ-ერთ სმაურიან ქუჩაზე რომ გავედი (უფრო სწორად, მოსასვლელში, სადაც ისეთი სისწრაფით დაქროდნენ მანქანები, რომ ბორბლების ღრჭიალი გაჰქონდათ), თვალში მეცა ბარხე გაკრული ნიშნის დიდი აბრა: „სექსი-ჯინი". როგორც ჩანს, ეს უზარმაზარი რეკლამა ბლიბად სალსს იზიდავდა: თეთრ პუდრებში გამოწყობილი ოფიციანტები პირველივე ნიშანზე ასხამდნენ ჯინს მთელი დასლის გასწვრივ ჩაყოლებულ შაქრის ფხვნილით თეთრად მოფიფქულ ჭიქებში. მეც გადავიხადე სალაროში ფული. ღმერთო, რა ძვირია ამ ქალაქში ყველაფერი! ჯინანე რატომ დავსებდი ჩემს სექსუალურ ცნობისმოყვარეობას და ასე როგორ წაძლია სულმა, როგორ შევცდი-მეთქი. ეს სახელგანთქმული ლიქიორი პირველად დიდი ვერაფერი მეჩვენა, ჩვეულებრივი ლიქიორი იყო, მწვანე ფერი დაჭერადა, მაგრამ გემო და სუნი კი სულ სხვანაირი ჰქონდა, ოიიეთის ხავსის, ნესტიანი ფესვებისა თუ რძის სუნი ასდიოდა და რატომღაც ლაპაზ ყმაწვილ ქალს გასსენებდათ. სქელი იყო თუ რაღაცნაირი ბლანტი და სუნი უფრო მძაფრი ჰქონდა, ვიდრე გემო.

ბარიდან რომ გამოვედი, თავი მიბრუოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი, რომ არ ვიძუნწე და ეს საქეყნოდ ცნობილი „სექსი-ჯინი" ვიგემე. მალე ვიგრძენი, რომ სასმელი მომეკიდა, უცხო შინაგანი აღგზნება მომერია და მოვყევი ტროლეიბუსიდან ტროლეიბუსში და ავტობუსიდან ავტობუსში ხტუნვას. იმდენი ვისტუნე, სანამ დიდ, ცენტრალურ ვაგზალზე არ ამოვყავი თავი, შევედი, ჩემოდანი გამოვიტანე და ისევ თავიდან დავიწყე ტროლეიბუსებითა და ტრამვაებით ყიალი. ბოლოს გზაც ამებსა, თურმე ნუ იტყვით, ტრამვაიში ჩამძინებოდა: როცა გამეღვიძა, ჩამოვედი და კიდევ დიდხანს ვიხეტიალე დღის შუქის ლამპიონებით გაჩირაღდნებულ უკიდეგანო პარკში, მერე დავიჭირე ტაქსი და შინ წავედი. გასაღები არა მქონდა, ვერც ის მოვიფიქრე, ტელეფონით მაინც დამრეკა დიასახლისისათვის; მეტი რა გზა მქონდა, გავაღვიძე შეკარე ქალი და თან ავიყოლიე. კარგა ხანს ვრეკე ზარი, როდის-როდის გამოიხედა ჩემი ხნის ზორზოხა და ყოყლოჩინა ყმაწვილმა, მაგრამ შინ კი არ უნდოდა შევეშვი; ბოლოს საწოლი ოთახიდან დიასახლისი გამოვიდა. და მიც-

ნო. რაც მე იმას ბოდიშები ვუსადე... როგორც იქნა, ჩემს ოთახსაც მოვაღწიე და აჰა, ასლა აქა ვარ.

ძალიან დავიღალე, ძილით კი არ მეძინება, ყველაფერი ერთმანეთში ამერია — რაც ვნახე, ვინც ვნახე და რაც მოხდა. ძალზე აღელვებული ვარ. ალბათ, ამის გამოა, რომ აზრები ვერ დავალაგე, ერთი ამბავი მეორეს ვერ დავუკავშირე, რომ ჩემი მომავლისათვის რაიმე სასარგებლო დასკვნა გამომეტანა. ვიქვათ, თუნდაც დოქტორი მაქსი! ვერაფრით ვერ ამიხსნია, რატომ ეამოიჩინა ჩემდამი ასეთი სიკეთე, რატომ შემხვდა პირველივე წუთიდან ასე მეგობრულად? რა ურთიერთობა აქვს ჩემს მფარველ დიაბეტესთან? რას ნიშნავდა მსტვარ ორაციოს გადაკრული სიტყვები? როგორ გამეგო თან გორუზი და თანაც ნაღვლიანი მზერა იმ მაიმუნი მეკარისა? (ანდა იქნებ არც იყო ნაღვლიანი და მსოლოდ თვალთმაქცობდა? უკვე აღარც მასსოვს). როგორ დავიჭირო თავი ბომბოლოსთან მას შემდეგ, რაც მოხდა? აშკარაა, რომ ბიბენდუმთან მეგობრული ურთიერთობა აქვს; ის კი სავაჭრო დაგეგმარების ერთ-ერთი დიდი მცოდნეა ჩვენს დროში; ყველას გენიოსად მიაჩნია. ქვეყანამ იცის, რომ ბაზარზე მოზღვავებული საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილის ბედს სწორედ ის განაგებს. ნუთუ ისეთი დღე დადგება, როცა ისიც გაიგებს, რომ მეც ვარსებობ ამ ქვეყანაზე და თან ამ ფირმაში ვმუშაობ? როგორ გადავისდი ლაბადის ვალს? ვაითუ ანგარიში ფირმაში გამომიგზავნონ! რას იტყვიან აქ? არაფრად არ ჩაგდებენ, თუ ჩემს ამ უგუნურ ხელგაშლილობას უზნეობას დაარქმევენ, როგორც იტყვის ხოლმე დოქტორი მაქსი! აქაოდა ჩამოსვლა და სამსახურში მოწყობა ვერ მოასწრო უკვე ვალებსაც იღებსო! კაცმა რომ თქვას, რა ტყუილუბრალოდ ვიმტვრევ თავს! სულ ერთია, ამ კითხვაზე პასუხს მაინც ვერ გავცემ, მით უმეტეს, ასლა; ამიტომ მირჩევნია, წინ კი არა, უკან გავიხედო; და მეც ფიქრებით ჩემს მშობლიურ ქალაქში გადავდივარ, სადაც დავტოვე დედ-მამა და ჩემი საცოლე მარია, მთელი დღე ერთასელაც რომ არ გამსსენებია. მაპატიე, მარია! ნეტავ იცოდე, რა დღე მქონდა! არ გეგონოს, რომ აღარ მიყვარხარ, შენ ხომ მაინც იცი, აქ, ამ დიდ ქალაქში მარტო იმიტომ ჩამოვედი, რომ სამუშაო ვიშოვო და რაც შეიძლება მალე მოვისადო ჩე-

მი ვალი შენს, შენი ოჯახისა და ყველა იმათ წინაშე, ვინც იცის, რომ აი, უკვე სამი წელიწადია დანიშნულები ვართ. ახ-ახლა კი სამუშაოც ვიშოვე და იმედი მაქვს, ყველაფერი მოგ-ვარდება.

ვონების ავალით წარმოვიდგინე ჩემი მშობლიური ქალა-ქი, დედაჩემი და მამაჩემი, მთავარი მოედანი, უეცრად რომ ჩამოაბნელებს ხალმე აფრენილი მტრედების გუნდი, მდორე, შლამიანი მდინარე, ოდესღაც სანაოსნო რომ ყოფილა, ახლა კი რუხი ფერის ღელედ ქცეულა და ათასგვარი მეავეებისა-გან გაბინძურებულა. ვხედავ, როგორ გამოდიან მოხუცი კა-ცები და ქალები ჩაბნელებული ეკლესიიდან, სადაც სამუდა-მოდ ჩამქრალა სანთლები. მათ შორის მოაბიჯებენ ჩემი მშო-ბლებიც; აგერ, წინ მოდის დედაჩემი, მამა ოდნავ ჩამორჩება; გადასწიეს ტყავის მძიმე ფარდა ეკლესიის კარზე და გამო-ვიდნენ; მოფრატუნობენ ხეივანში და ბაასობენ, არ ვიცი კი რაზე; იქნებ იმაზე, გავამართლებ თუ არა მათ იმედებს. აბა, რა გითხრათ, ჩემო კარგებო, ახლა ხმას მაინც ვერ მოგაწვ-ღენთ, მაგრამ იცოდეთ, ბედნიერი ვარ და არც თქვენ გაქვთ ტყუილუბრალოდ ჩემი იმედი. მარტო დღევანდელ დღეს რამღესი რამ გავაკეთე... ბევრი, იმაზე გაცილებით ბევრი, ვიდრე თქვენ მოელოდით ჩემგან.

II

აი, უკვე სამსახურშიც გამამწესეს და საქმესაც შევუდექი. ბედნიერება მეწია, ახალ კაბინეტში ვზივარ — მეც ერთი პა-ტარა ნაწილაკი გავხდი საწარმოო კოლექტივისა, სავაჭრო ფირმა რომ ჰქვია. დოქტორი მაქსი სიტყვის კაცი აღმოჩნდა და მართლაც თავისთან ახლოს მიმიჩინა ადგილი. ჩემი ოთა-ხი მისი კაბინეტის პირდაპირაა, მხოლოდ ვიწრო დერეფანი გვყოფს. ძალზე პატარა ოთახი კია; ადრე აქ დოქტორი მაქ-სის პირადი საპირფარეშო ყოფილა, ახლა უნიტაზი და პირსა-ბანი აიღეს და მათ მაგივრად აქ ვიმყოფებით მე, სკამი, მაგი-და, საფერფლე და კარჩხა. ეს კი უნდა ვთქვა, რომ ჯერჯერო-ბით ნამდვილი სამუშაო არა მაქვს. დოქტორმა მაქსმა მიოხ-

რა, სულ სხვადასხვა საქმეებში გამოგიყენებო, პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ დამსმარედო, მაგრამ აღმოჩენილა, შენი ჯერიც მალე დადგებაო და მაშინ კი მომთხოვს ძალის მაქსიმალურ დაძაბვასა და მაქსიმალურ თავდადებას. მეც მხოლოდ ამაზე ვოცნებობ, ამისთვის ვემზადები, უფრო სწორად, უკვე მზადაცა ვარ და მოთმინებაც აღარ მყოფნის, რადგან საათობით ვზივარ უქმად მაგიდასთან და მხოლოდ და მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ.

მშვენივრად ვიცი, რომ ხმა გამივრცელეს, სულ კი ბომბოლოს წყალობით, დოქტორმა მაქსმა თავისი პროტეჟე საპირფარეშოში დასვაო, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევ ამ მითქმა-მოთქმას; საკუთარი ვეთანხმები დოქტორ მაქსს, რომ ახალ შენობას უზნეობის ბუდეღ თვლის და ყველა იქაურ მოსამსახურეს უზნეოს უძახის; თუმცა დიდი არაფერი განსხვავება არ არის (თუ არ ჩავთვლით ხელფასში სულ მცირე სხვაობას) ჩემსა და იმათ შორის, მინისკედლებიან, გაპრიალებული ავეჯით მოწყობილ დიდ კაბინეტებში რომ სხედან და კონდიცირებული ჰაერით სუნთქავენ. საბრალო კაცუნებს არც კი ესმით, რანაირ კაბინეტებშიც არ უნდა ისხდნენ, ისინიც ჩემსავით მთლიანად არიან დამოკიდებული ფირმაზე, რომ მათი პრესტიჟი თუ რაღაც უფლებების გამომხატველი ნიშნები არაფრად არ ღირს; პირიქით, უფრო მეტად უსვამს ხაზს მათს არარაობას უცხო ხალხისა და დოქტორი მაქსის თვალშიც. დოქტორი მაქსის დიდი მადლიერი ვარ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი გულისთვის პირად საპირფარეშოზე თქვა უარი და ყველას დაანახვა, რამდენად თანმიმდევრულად ატარებს თავის მორალურ პრინციპებს ცხოვრებაში. აი, სიტყვასიტყვით რაც მითხრა მან:

— ვითომ რატომ უნდა მქონდეს პირადი საპირფარეშო? ეს ხომ უზნეობაა! რატომ მაინცდამაინც მე უნდა მქონდეს და სხვას არა? ჯობია კაბინეტად გადავაკეთოთ და თქვენ დაგსვათ. ვფიქრობ, იმდენად გონიერი ხართ, რომ ამას არ იუკადრისებთ. თავად რას ისურვებდით, აქ, მეორე სართულზე ჩემს გვერდით იყოთ, სადაც ყოველთვის შეგვეძლება ერთმანეთს ჩვენი მოსაზრებები გავუზიაროთ და მეც მხიარულად ვიგრძნო თავი, თუ ზემოთ მიიღოთ კაბინეტი? თქვენი ნებაა, არჩევანი თქვენზეა.

არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე:

— თავად გადაწყვიტეთ, დოქტორ მაქს! (ვუმასით მიკვირდი, რომ შეძლო პირდაპირ ასე მიმემართა), ჩემთვის მთავარია, მუშაობას შევუდგე, რა თქმა უნდა, სასურველია, კაბინეტი შეეფერებოდეს სამუშაოს, მაგრამ სად ვიჯდები, აქ თუ იქ, ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ვერ ვიტყვი, ეწყინა თუ ეამა, მაგრამ ჩემმა პასუხმა ამკარად კი ვაოცა დოქტორი მაქსი.

— როგორ თუ სულ ერთია! ბევრისთვის ეს ძალზე მტკივნეული საკითხია! მეც მეტი რა ვზა მაქვს, ყველას ხელი უნდა შევუწყო, ოღონდ როცა ვისიმე მორიგ თხოვნას ვაკმაყოფილებ, ჩემთვის დასკვნა გამომაქვს, თუ რას წარმოადგენს ეს ადამიანი; და აი, რა დასკვნა: რაკი დაყინებით მოითხოვთ ბრწყინვალე კაბინეტებს, მაშასადამე, გარკვეული მოსაზრება გამოძრავებთ; ან თქვენ ამას თხოულობთ ჩემგან ანუ ფირმის პატრონისაგან გარეგნული პატივისცემის ნიშნად, ხოლო ამით იმას ამბობთ, ასეთ კაბინეტში რომ ვმუშაობთ, ხელფასიც შესაფერისი უნდა გვქონდეს, ან არადა რაღაც ფსიქოლოგიური სტიმული გამოძრავებთ, გინდათ, ეზიაროთ საკუთრებას, ღღეში რვა საათი მაინც იგრძნოთ თავი ფირმის ეფექტიანობის თანამონაწილედ. ეს მესაკუთრული სწრაფვა ერთის მხრივ უსიამოვნოა, მეორეს მხრივ — ტრაგიკული, ვინაიდან რამდენიც არ უნდა ეცადონ, ასეთი ადამიანები მესაკუთრეები მაინც ვერ გახდებიან, მარტო ის უნდა იკმარონ, რომ წამოიჭიმონ ამ კაბინეტებში და იქამდე დატკბნენ საკუთარი თავისა და კაბინეტის ჭვრეტით, სანამ თავადაც ამ კაბინეტს არ შეერწყმიან. მათ ავიწყდებათ, რომ კაბინეტი მე მეკუთვნის და თუ ისინი შეერწყმიან ამ მინის კედლებს, ავეჯს, კონდიციონერულ ჰაერს და, რაც ყველაზე უარესია, ყველა ამ საკანთა არსს, ისინი ავტომატურად იქცევიან ჩემს საკუთრებადაც; როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ისინი იყენებენ და დარჩებიან ჩემს ხელქვეითებად, არც მეტი, არც ნაკლები. სხვა ყველაფერი ილუზიაა! რაც შეგეხებათ თქვენ, პირადად, ფრიად მადლობელი ვარ, რომ ამ ოთახში შემოსვლაზე დათანხმდით. დიდი მორალური ტვირთი მომსსენით, რადგან საკუთარი საპირფარეშო უზნეობაა, თუმცაღა თქვენთვის ნაც-

ნოები ბომბოლოსა და დიაბეტესნაირი ადამიანები მარტო ამაზე ოცნებობენ.

— მაკრამ ისიც თქვით, რა მოსერხებული იყო თქვენთვის, პირდაპირ კაბინეტის წინ... ჩემი გულისთვის კი...

— მარიალს ბრძანებით, მაკრამ ეერე რა მოსდა? თუ მთელი ცხოვრება კეთილმოწყობაზე იფიქრე, თუ ვერაფერს შეელიე კაცი, სადამდე მიგვიყვანს ეს? მშვენივრად გავიარეთ ორიოდე ნაბიჯს დერეფნის ბოლომდე და საერთო საპირფარეშოთიც მშვენიერად ვისარგებლებ, თუნდაც ამისთვის ფსიქოლოგიური ძალდატანებაც დამჭირდეს და ჰიგიენური თვალსაზრისითაც მავნებელი იყოს (როცა საპირფარეშო საერთოა, არასოდეს არ იცი, ვინ შედის და ვინ გამოდის, ამიტომ დეზინფექციის მიუხედავად, ყველანაირი დაავადების ბუდეა), მაინც სიამოვნებით გავიღებ ამ მსხვერპლს. აი, რაში მდგომარეობს არსებითად ჩემი პოლიტიკა ხელქვეითთა მიმართ. მე ასე ვმსჯელობ: თქვენ გჭირდებათ ბრწყინვალე კაბინეტები და საკუთარი საპირფარეშოები? ჩინებულია! თუ ასე გნებავთ, აბა, გამლევთ; მე კი უბრალო, ულიმლამო ოთახშიც კარგად მოვეწყობი და საერთო საპირფარეშოთიც ვისარგებლებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე მოვიქცევი როგორც ხელქვეითი, თქვენ კი — როგორც დიდი მოღვაწენი ან თუნდაც პატრონები; და მაინც ჩემსა და თქვენს შორის სულ მცირე განსხვავება მაინც არის. სინამდვილეში მე ვარ პატრონი, თქვენ კი ხელქვეითები! ჰოდა, ამიტომ ვერ გამიგია, რანაირად არის თქვენთვის სულ ერთი, სად იჯდებით...

— აკი თქვენ თვითონვე ამიხსენით, დოქტორ მაქს! მე ვიცი, რომ პატრონი თქვენა ბრძანდებით და ფიქრადაც არ გავივლებ, თქვენი საკუთრების მოზიარე ვიყო. ამთავითვე ვაცხადებ, რაკი თქვენს ფირმაში მიმიღეთ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მეც, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, რაც კი აქ მოიძევება, თქვენ გეკუთვნით, თუ გაინტერესებთ, რა მომანიჭებს ყველაზე დიდ კმაყოფილებას, ნება მიბოძეთ გითხრათ, ამ კაბინეტში დარჩენა-მეთქი. ჯერ ერთი პატარაა, მეუღრო და წყნარი; როგორც კი ამ სკამზე დავჯექი, იმავე წუთს კარგად ვიგრძენი თავი. ესეც არ იყოს, თუ თქვენის ნებართვით დავუბრუნდებით ჩვენი საუბრის მთავარ საკითხს — საკუთრების

საკითხს, მოვახსენებთ, რომ ჩემის აზრით, პატრონი მუდამ უფრო მშვიდად გრძნობს თავს, როცა თავისი საკუთრება იქვე, თვალწინ ეგულება.

— განა ჩემს საკუთრებად თვლით თავს? — ღიმილით შეეკითხა დოქტორმა მაქსმა.

— დიას, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ აქ, თქვენთან, სავაჭრო ფირმაში ვიქნები. ხოლო რაკი იმედი მაქვს სამუდამოდ დავრჩები...

დოქტორი მაქსი უეცრად ზიზღით დაიმანჭა და სიტყვა პირზე შემაშრა.

— ყეყეჩი ყოფილხართ! გრცხვენოდეთ! რა მონური, რასისტული, საძაგელი აზრები გქონიათ! როგორ შეიძლება ერთი ადამიანი მეორის საკუთრება იყოს?! ეს რა სისულელეებს ჩმახავთ?

— მე ხომ... — წავიბუტბუტე.

— თქვენ თავისუფალი ადამიანი ხართ! არ გესმით? და ამის საკადრისადაც უნდა მოიქცეთ. თქვენ მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნით და სხვას არავის, ყველაზე ნაკლებად კი მე. ესღა მაკლია!... — ამ სიტყვებით თავისი გამხდარი, გრძელფრჩხილებიანი ხელი მაგიდას დაარტყა (პირველად ახლა მივაქციე ყურადღება მის ხელებს). — და მოეშვით ამ სიგარეტს, ისე გააბოლეთ აქაურობა, კაცი დაბრმავდება! — იგი გავარდა და კარი გაიჯახუნა.

— დოქტორ მაქს! — შევძახე აღელვებისგან ხმაჩახლეჩილმა და უკან გავედევნე. მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე მიიმალა თავის კაბინეტში; კარის გვერდით წითელი ნათურა ენთო, მაშასადამე, მისი შეწუხება არ შეიძლებოდა. საშინლად აფორიაქებული ისევ კაბინეტში დავბრუნდი და ფანჯარა გამოვაღე. ოთახი ერთბაშად განიავდა, კვამლი ღრუბლებად აცურდა ზემოთ, მაღლა სართულების შუშების გასწვრივ და გაიფანტა. ფანჯარა დავხურე, დავჯექი ჩემს ადგილზე და თავი ხელებში ჩავრგე.

სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ჯერ ვიფიქრე, ნეტა რა მინდა ამ კაბინეტში, რად ვზივარ ამ სკამზე (უკვე მივეჩვიე და ახლა მიჭირდა დაკარგვა), რა მაჩერებს აქ, როცა წესით, უნდა ავდგე, გავაღო კარი, გავია-

რო მისაღები, დავეშვა კიბეებზე და ქუჩაში გავვარდე! არა, ახლავე ავდგები, აი, გაივლის ერთი წუთი და ავდგები, ვცადე კიდეც ადგომა, მაგრამ ვერ შევძელი, თითქოს მილურსმული ვიყავი, უეცარ სისუსტეს კი დავაბრალე, მაგრამ არა, ვერ ვდგებოდი და ვერა. ვიჯექი და ვფიქრობდი: რა იქნება, რომ ადგილიდან ფეხიც არ მოვიცვალო? რა მოხდება, რომ დავრჩე? დოქტორ მაქსს ხომ ოფიციალურად არც მოვუსსნიგარ, არ გავუგდივარ, არაფერი ისეთი არ უთქვამს. იქნება ყველაფერი მოგვარდეს... რაზე ვიჩქარო? საკუთარი ღირსება არ შემებღალოს? მაგრამ რა უფრო ღირსეული იქნება, წავიდე და ამით სულელური მოუთმენლობა გამოვამჟღავნო, რაც სიკეთეს სულაც არ დამაყრის, თუ პირიქით, გამოვიჩინო სიმტკიცე და ვიჯდე ასე? ყოველ შემთხვევაში ასეთი მკვახე მოქცევის შემდეგ, რაც აშკარად საბოლოო და გამოუსწორებელ განხეთქილებას მოასწავებს, ამ ადგილზე დარჩენით საკუთარი თავის ერთგულებას მაინც დავამტკიცებდი. ჯერჯეროობით მაინც დოქტორი მაქსის საკუთრებად ვითვლები. ჩემი თავიდან მოშორება რომ უნდოდეს, ყოვლად უსარგებლო და გამოუყენებელი ნივთივით, თვითონვე ან სხვა ვინმე მისი დავალებით, კინწისკვრით გამაგდებდა, ჯერ ხომ ამ სკამიდან წამომახტუნებდა (მეც, ისევე როგორც სხვა უსულო საგანი, ვთქვათ ეს საფერფლე, სკამი ანდა კარჩხა, არავითარ წინააღმდეგობას არ გავუწევ), მერე კარს გამიღებდა და ქუჩაში მისროდა. ვნახოთ, რა იქნება! მე მაინც შევასრულებ პირობას, ჩემს მშობლებს რომ მივეცი, მოვიმაგრებ ზურგს ფირმაში, ვიმუშავებ, მივიღებ ხელფასს, შევირთავ ცოლს, მოვეკიდები ოჯახს, ვიზრუნებ ბინაზე, ვიყიდი თანამედროვე ავეჯს, რადიომიმღებს, ტელევიზორს, მაცივარს, სარეცხ მანქანას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც საჭიროა, ზაფხულში კი ავიღებ (თუ მომცემენ) კანონიერ ოცდღიან შვებულებას და წავალ დასასვენებლად, როგორც დადის ყველა ადამიანი ამ ქვეყანაზე. არა, ამ ადგილიდან ფეხს არ მოვიცვლი! დიახ, ვიჯდები ასე კრიჭაშეკრული, არავის არ მოვუსმენ, კიდევ ვიმეორებ, ყოველგვარ ვითარებაში საკუთარი თავის ერთგული მაინც დავრჩები. რაკი დოქტორი მაქსის საკუთრებად ვითვლები, დაე, მანვე გადაწყვიტოს და არა მე! ჩემი ვალია, ვიჯ-

დე აქ და ისევე შეასრულო ჩემი ფუნქცია, როგორც ასრულებენ ინანამძღვრელი კაცები და ქალები, ეს ავეჯი, ძველი თუ ახალი ნიმუშის საბეჭდი მანქანები და სხვა დანარჩენი ნივთები.

ამ დროს ეაიღო კარი და დოქტორი მაქსი შემობრძანდა.

— მაპატიეთ, ალბათ, უკვე შემამჩნიეთ, რომ ფიცხი ვარ; ეფრო სწორად, ფიცხი კი არა ვარ, მაგრამ იმდენი საფიქრელი და საზრუნავი მაწევს, განსაკუთრებით მორალური, რომ ზოგჯერ აღარ ვიცი, რას ვაკეთებ... ათასი პრობლემა მაქვს გადასაჭრელი. ძნელი ყოფილა ერთი და იმავე დროს ადამიანიც იყო და პატრონიც! ესეც ხომ მორალური პრობლემაა; ორივეს კი თავთავისი და თანაც ურთიერთგამომრიცხავი მორალური კანონები აქვს; ასე რომ, უნდა მაპატიოთ! რაც შეეხება თამბაქოს, რამდენიც გენებოთ, იმდენი ქაჩეთ, ეს ჩემი საქმე არ არის, ოღონდ, ეცადეთ, მამაჩემმა არ დაგინახოთ, შენობაში ბოლს ვერ იტანს. პირადად მე აღარ ვეწევი, ადრე ორმოცამდე სიგარეტი არა მყოფნიდა დღეში, მერე კი თავი დავანებე, რადგან მივხვდი, რომ იმდენად სიამოვნებისთვის არ ვეწეოდი, რამდენადაც მამაჩემის ჯიბრზე. ნამდვილი მწეველი რომ ვყოფილიყავი, ხომ არ დავანებებდი თავს? თქვენ რას იტყვით?

— დიახ, თამბაქოს წევა ცუდი ჩვევაა, მაგრამ თავის დანებებაც არაა იოლი... — ანგარიშმიუცემლად წაილუღლუღა.

— ესეც არ იყოს, თქვენი პასუხი მომეწონა, იშვიათი თანხმიმდევრობა გამოავლინეთ, ასეთ მსჯელობას აქ ჩვენთან ვერ ეაიგონებ. ერთი კი დაიხსომეთ: თუნდაც აშკარად და საპარლიანად მიგანდეთ თავი ჩემს საკუთრებად, სინამდვილეში ასე არ არის — თქვენ სრულიად თავისუფალი ადამიანი ხართ! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ იქცევით, თავი ჩემს საკუთრებად რომ მიგანნიათ; ეს თქვენს პრაქტიკულ ჭკუაზეც მეტყველებს, რაც თქვენს ასაკში მე სრულიად არ გამჩნდა. ამის მიუხედავად, მაინც შეგიძლიათ თავისუფალ ადამიანად ჩაივალოთ თავი. სხვათა შორის, აი, კიდევ რა მინდოდა მეთქვა: აუცილებელი არ არის დილაობით თქვენი გამოცხადება ჩაანიშნინოთ; დაე, ამისთვის სხვები გაისარჯონ, თქვენ ნუ შეწუხდებით. სხვებისგან განსხვავებით ეს

თქვენ მოგცემთ მორალურ უფლებას, გინდა დროზე გამოცხადდეთ სამსასურში, გინდა ადრეც, იმის შიშით კი არა, დაბაჯარიმებენო, არამედ საკუთარი სურვილით.

— დიდ მადლობას კი მოგახსენებთ, დოქტორ მაქს, მაგრამ რაში გამოვიყენო ეს თავისუფლება? არ მინდა სხვებისგან გამოვირჩეოდე; მეც ისეთივე უფლება და მოვალეობა მინდა მქონდეს... — გული მომეცა და ღიმილით ვთქვი მე.

— ოჰო, მაშ თქვენც გცოდნიათ ეს ტერმინები „უფლება და მოვალეობა"! რა საზიზღარი სიტყვებია!

— მართალი ბრძანდებით, უნებურად წამომიცდა... მე ის ვიგულისხმე, სხვებთან შედარებით არ მინდა რაიმე უპირატესობა მქონდეს-მეთქი... ვაითუ ბოლოს თქვენცა და მეც სანანებელი გაგვისდეს...

— ასე იყოს! იცოდეო, თქვენ თვითონვე აღიარეთ, უნებურად წამომცდაო! როგორც გენებოთ, ჩემთვის სულ ერთია!... ესეც იცოდეთ, რომ სიტყვა „უპირატესობა" არ მომწონს. ოცი წლის ჭაბუკს ასეთი სიტყვები არ შეშვენის; ახალგაზრდა ხართ და იმედია არ გეწყინებათ, რასაც გეტყვით: საერთოდ, რაში ეკითხება ჭაბუკს „უფლება", „მოვალეობა" და „უპირატესობა"? თვალი სულ ფეხბურთისაკენ უნდა გეჭიროთ. მე, მაგალითად, ფეხბურთს ვთამაშობდი, თქვენ არა?

— მეც! — ვუპასუხე სახეგაბრწყინებულმა. აი სასწაული! ეს-ეს იყო სასოწარკვეთილებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, ახლა კი ფეხბურთზე ველაპარაკები დოქტორ მაქსს...

— მაშინ, თუ გეცლებათ, კვირას ერთად წავიდეთ მატჩზე!

რასაკვირველია, დავეთანხმე. დოქტორმა მაქსმა ღიმილით გააღო კარი და თავისი კეთილი განწყობა რომ ეჩვენებინა, დამშვიდობებისას გამომაჯავრა — ჩემსავით გაშვირა ხელი წინ (ასეთი ჩვევა მაქვს, როცა ვღელავ, ჩემდაუნებურად წინ გავიშვერ ხოლმე ხელს და თან წამომასლოკინებს).

ამ დღის შემდეგ დოქტორი მაქსს არც ისე ხშირად ვსვდებოდი. სამაგიეროდ, ერთი მისი მღივანი ქალის — სელენესაგან ზოგი რამ შევიტყვე. სელენე კი მიზეზს არ გამოლევს და დღეს არ გააცდენს, ჩემთან რომ არ შემოიხედოს. პირველ ხანებში ჩუმად მომიკაკუნებდა ხოლმე კარზე (მქრქალ მინაში კარგად ჩანდა და უმალ ვიცნობდი), მერე კი ისე დაეჩვია,

დაუკაკუნებლად შემოდიოდა; სწრაფად დაზვერავდა დერეფანს, სთქ არავინ მსედავსო (სწორედ ამან დამაეჭვა, ყოველივის საქმეზე არ მოდის-მეოქი), შემოძვრებოდა ოთახში და კარჩასთან დადგებოდა, რადგან დერეფნიდან კარჩსა არა ჩანდა. სელენე ძალიან ანალგაზრდაა და ლამაზი; მისი ასე ხშირი სტუმრობის მიზეზი ვერ ამიხსნია. ერთი პირობა ვიფიქრე, ვაითუ საცდუნებლად მომიგზავნეს, რომ მერე ვისაც ჯერ არს ყველაფერი მოახსენონ-მეოქი. ავდექი და ფრთხილად გამოვკითხე დიაბეტეს მისი ამბავი; იგი ზიზღით დაიმანჭა და მითხრა, ამისი და ამისი საყვარელიაო (იმათ მე არ ვიცნობ, სხვა განყოფილებებში მუშაობენ), სელენე ძალიან ქორფაა და ამასთან მეტისმეტად გამომწვევი გარეგნობაც აქვს; დარწმუნებული ვარ, შავი ატლასის სალათის შიგნით ტრუსეპისა და ლიფის მეტი არაფერი აცვია. სწორედ ამან დამაეჭვა, სანდო არ უნდა იყოს-მეთქი; ყოველ შემთხვევაში, საბეჭდ მანქანაზე კაკუნით გატანჯულ სხვა მდივნებს არა ჰკავს. მერწმუნეთ, ამ ქალებს ხალათებს შიგნით პერანგებიც აცვიათ და შესაძლოა, ქვედა კაბაც და ჯემპრებიც. სელენეს კი, ჩემის აზრით, არაფერი აცვია. ცოტა გასაკვირია, რადგან ჩვენს განყოფილებაში მუშაობენ დოქტორი მაქსის დედა და კიდევ სხვა იმისთანა ხალხი, ვისაც დოქტორი მაქსის ნახევრად შიშველი მდივანი აშკარად შეაცბუნებდათ. იქნება დოქტორი მაქსის საყვარელიც კია! ვერაფერს ვიტყვი; დიაბეტემ, პირადად, შორს დაიჭირა, სხვათაშორის, ბილოს მეც დავეთანხმე, მართლაც, დოქტორი მაქსი სექსუალური საკითხებისთვის ვერც მოიცლის და არც თავს შეიწუხებს. მართალი გითხრათ, არც მე მაქვს ამისი დიდი სურვილი და არც მინდა მქონდეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა, სამუშაოზე უნდა ვიფიქრო, მეორეც, არ მინდა დოქტორ მაქსს ნდობა გავუმტყუნო, მესამეც — სელენესი დიდად არ მჯერა. ამას წინათ უცნაური კითხვა დამისვა, აშკარა იყო, ჩემი გამოტეხვა უნდოდა.

— ალბათ, უკვე დალიეთ „სექსი-ჯინი"! — თქვა მან და კარჩხას აეკრა. რაღაც მეტისმეტად აღგზნებული მეჩვენა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. სუნთქვა შემეკრა. შევხედე, მან თვალები დახარა; მერე მითხრა ამ ცოტა ხნის წი-

ნაი ზღვაზე ვიყავიო. მართლაც, კარგა გარუჯული იყო. მის სხეულსაც „სექსი-ჯინის“ სურნელება დაჰკრავდა, ამაზე ლაპარაკიც, ალბათ, ამიტომ წამოიწყო. კარგა ხანს ვუყურე და ვათვალიერე. წელზე მაგრად შემოეჭირა ქამარი; მჭიდროდ შემოტმასნილ ხალათში ჩამოქნილი ტანი ისე ეკვეთება, რომ სულ კალენდრის ყდაზე დახატულ სარეკლამო სურათს მაგონებს: გრძელი ფეხები, მაღალი, მკვრივი მკერდი, პატარა, ბრტყელი მუცელი სუნთქვისას ოდნავ ებურცება. იმ დღეს რაღაც აღელვებული თუ დარცხვენილი იყო, ხშირი სუნთქვისგან მუცელი უთრთოდა, ისე ჰქონდა შემოტმასნილი ხალათი, რომ ჭიპიც კი ემჩნეოდა. სახე მოგრძო აქვს, ბავშვური, ტუნები, ყურები და ცხვირი სულ პაწაწინა, თვალები ნუშისებური და ნათელი, ხვეული თმა-მოკლედ შეკრეჭილი. გამომეტყველებაზე ეტყობა, გულჩათხრობილი უნდა იყოს; მართლაც, ცოტას ლაპარაკობს, თანაც ტკეპნით; სამაგიეროდ, სხეული აქვს ძალზე მოძრავი, სულ ერთიანად უთრთის და უცასცასებს, გეგონებათ ქარში ტიტველი დგასო.

— „სექსი-ჯინსაც“ სწორედ თქვენისთანა სუნი აქვს, წავიბუტბუტე მე.

სელენეს ხმა არ ამოუღია; იმ წუთში ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ ძილბურანშიაო, რაღაც წაიბუტბუტა კიდეც, მაგრამ ვერ გავიგე; მერე თითქოს გამოფხიზლდა და უაზროდ, დაბნეულად შემოიხედა.

— როგორი? — ჩურჩულით თქვა მან, თმა ჩამოიწია და დაყნოსა.

მეტი ვეღარ მოვითმინე, ავდექი და ახლოს მივედი. იგი კუთხეში მიიყუჟა, ლამის კედელს აეკრა, მერე აცახცახებული ხელებით უცბად შეიხსნა ხალათი და შიშველი სხეული გამოაჩინა. ერთ წამს თვალთ დამიბნელდა... დავიხარე და მისი სხეულის სურნელი ღრმად შევიყნოსე... გონს რომ მოვედი, შემრცხვა, სელენესაც დამნაშავე ბავშვის სახე ჰქონდა; ალმურმოდებული იდგა და აკანკალებული სელენეთი სალათს იკრავდა. ისე გავიდა, თავი არ აუწევია, ოთახში კი თავისი სურნელი დამიტოვა.

ფანჯარა გავაღე. საკუთარი თავისა მცხვენოდა. ათასმა აზრმა გამიელვა, ისიც ვიფიქრე, ახალი შენობიდან ხომ არა-

ვინ დაგვინახა-მეთქი. გადავწყვიტე შემემოწმებინა და სელენეს ადგილზე დავდექი. არა, დანასვით ვერ დაგვინახავდნენ, რადგან ახალი შენობის ფანჯრებიდან ჩემი სოროს სწორედ ის საპირისპირო კუთხე მოჩანდა, სადაც მე ვიჯექი. ეტყობა, სელენემ იცის, რადგან ჩემს კაბინეტში რომ შემოდის, მაშინვე იმ კუთხეში აიტუზება სოლმე, კარჩსასთან. იმ დღიდან ჩვენს შორის არაფერი მომხდარა, არ მინდა. არაფერი მომხდარა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება. სელენე შემოვიდა, დიდხანს მიყურა, მაგრამ როცა ავდექი, ახლოს არ მიმიშვა. მე მაჯაში ვტაცე ხელი; ჩემდა გასაოცრად, ტუჩები აუთრთოლდა და ორი მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა ლოყებზე. თავი ველარ შევიკავე და ვაკოცე. კვლავ რბილსა და ბავშვის სუნი ვიყნოსე.

სელენეს გამო სინდისი მქენჯნიდა; თავში ათასი აზრი მიტრიალებდა; მივხვდი, რომ იგი ჩემთან არავის მოუგზავნია; მე მგონია, სულაც შევუყვარდი, ეაშასადამე, შემიძლია მშვიდად ვიყო. მაგრამ ისიც ვიფიქრე, თუ ჩემთან ასე მოიქცა, თანაც ვაცნობის პირველ დღეს, სხვა დროს რაღას იზამს და სხვასთან, განყოფილებიდან განყოფილებაში რომ დადის და ბგელსა და ახალ შენობებს უვლის. დიაბეტეს რომ მოუსიანოს კაცმა, უამრავი საყვარელი ჰყავსო, მაგრამ არა მჯერა. სელენე ვნებიანი კია, მაგრამ მაინც უბიწო უნდა იყოს. მის გამობურცულ შუბლს რომ ვუყურებ, ასე მგონია, შუბლი კი არა, საფეთქლიდან საფეთქლამდე გადაჭიმული სარქველია, შიგნით კი სრული სიცარიელე სუფევს-მეთქი. ზოგჯერ მინდა ჩაქუსით მივუკაკუნო და გავიგო, რა იმალება ამ სარქველს მიღმა; როცა სელენე რაღაც ეროტულ ტრანსში ვარდება, ეამბურცული შუბლი (სადაც იმალება მისი უცნაურობის საიდუმლოებაც) მთლად უთეთრდება და აღარც დიდი და მაგარი გეჩვენებათ, სასეც მოეთენთება სოლმე, ნესტოები გაუთეთრდება და ლამის უსისხლო ქუთუთოები, ასე გეგონებათ, სამუდამოდ დაეხუჭებაო. მაშინ კი ნამდვილად მიძნელდება მისი საიდუმლოს ჩაწვდომა.

არ ვიცი, რას აკეთებს სელენე და საერთოდ, რა საქმე აბარია. ჩვეულებრივად იგი თვითონ მოდის ჩემთან; ისიც არ ვიცი, აქვს თუ არა მუდმივი სამუშაო ადგილი, ან რომელ

განყოფილებაშია, ჩვენთან თუ სადმე ახალ შენობაში; ერთხელ ფანჯარასთან ვიდექი და მისის კედელს რომ ავხედე, მეოთხე სართულზე სელენე დავინახე, კედელს მიყრდნობოდა, ფესვებით ვიცანი და გული შემიქანდა. იღიმებოდა, მაგრამ ვერ გავარჩიე, ლაპარაკობდა, თუ დუმდა; მინა სინათლეს ირეკლავდა და თან შორს იყო. უეცრად ქვევით ჩამოსხედა და, ეტყობა, შემამჩნია, რომ ვუყურებდი, პატარა ცხვირი და ხელისგულები მინას მიაბჯინა, რამდენიმე წუთს ასე იდგა (მინა მაშინვე დაიორთქლა და კარგად არ ჩანდა), მერე ერთბაშად გაქრა, თითქოს ვიღაცამ ხელი სტაცა და კედელს მოაშორა. სიტყვა არასდროს დასცდება არც თავის თავზე და არც თავის სამეშაოზე, არც გამოკითხვას აქვს რაიმე აზრი. ერთხელ მინიც ვკითხე, რა საქმიანობას ეწევი-მეთქი და მიპასუხა:

— მემანქანე-სტენოგრაფისტად ვმუშაობ.

— დოქტორი მაქსის მდივანი ხართ?

— არა, მისი მდივანი რომ ვიყო, ხომ ქვევით, მეორე სართულზე ვიჯდებოდი. მაგრამ დოქტორი მაქსი დროდადრო გამომიძახებს ხოლმე, რადგან ჩემზე სწრაფად ვერავინ წერს კარნახით.

— განა ერთ რომელიმე განყოფილებაზე არა ხართ მიმაგრებული?

— არა, სადაც დამიძახებენ, იქ მივდივარ. ასე ჯობია, უფრო თავისუფლად ვერძნობ თავს.

— სხვათა შორის, მოცალეობის დროს სად დადისართ?

ამაზე პასუხი არ გამცა, მარტო თვალები დასცარა.

— მაინც სად, მითხარით!

იგი ჯიუტად დასცქეროდა იატაკს და დუმდა. ცხადია, ამაზე ლაპარაკი არ უნდოდა და მეც სხვაზე გადავუტანე სიტყვა.

— რამდენი გაქვთ ხელფასი?

— დაქვითვების შემდეგ ოთხმოცდარვა ათას შვიდასი ლირა მრჩება.

— რაში ხარჯავთ ამდენ ფულს?

— თითქმის სულ მე ვიტოვებ, ჩემს ოჯახს ჩემი ფული არც სჭირდება და მხოლოდ მცირე ნაწილს ვაძლევ.

— აქ ყველას იცნობთ?

— ყველას არა, მაგრამ ბევრს კი ვიცნობ. მაგალითად ხში-

რად ვარ ხოლმე დოქტორ ბომბოლოსთან. სწორედ იქ მოვისმინე, ისა და დოქტორი მაქსი თქვენზე რომ ლაპარაკობდნენ.

— რას ლაპარაკობდნენ?

— დოქტორი ბომბოლო დაგცინოდათ, დოქტორი მაქსი კი ეაბრაზდა და გამოგექომაგათ; ასე თქვა ბრწყინვალე კარიერას შეიქმნის, რადგან ძალიან ჭკვიანიაო.

— კიდევ რა თქვა?

— კარგად აღარ მახსოვს, მარტო ის ვიცი, რომ ბომბოლოსაგან გიცავდათ. ჰო, მართლა, გამახსენდა, როცა დაობდნენ, დოქტორმა ბომბოლომ დოქტორ მაქსს უთხრა: „აი, ვნახავ, თუ კიდეც არ ინანოთ, მფარველობა რომ გაუწიეთ ამ... უფერულ სპიროქეტასო". ეს სიტყვა კარგად დავიმახსოვრე.

— დოქტორმა მაქსმა რაღა უპასუხა?

— ეუნება გაუფუჭდა. ჯერ ჩაფიქრდა, როგორც იცის ხოლმე, ისანაც კარებში იდგა, მერე უცბად გავარდა და იმ დღიდან აღარც გამოჩენილა დოქტორ ბომბოლოსთან.

— საიდან იცით რომ აღარ გამოჩენილა?

— ვიცი, ამდენს ნუ მეკითხებით.

— ძარსადმე, დოქტორ ბომბოლოსთან მუშაობთ... მთელი ეს დღეებიც იქ იყავით და მაშინაც, როცა ერთმანეთი ფანჯრიდან დავინახეთ!

— კმარა! — მუდარით მითხრა მან.

ნელ-ნელა მივუახლოვდი. სელენემ ხელები გაასავსავა, თითქოს თავდასხმას იგერიებსო, მკლავიდან დამისხლტა და ოთახიდან გაძვრა. ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა, კარი ოდნავ გამოაღო, ჩვეულებისამებრ ღერეფნის მარცხენა და მარჯვენა მხარეს გაიხედა და თავი შემოყო. თმები ასწეწოდა, სახე ანთებოდა, ცხვირთან ორი თეირი ზოლი აჩნდა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე და ხელი ვტაცე, მინდოდა ოთახში შემომეყვანა. მაგრამ მან ჩუმად დაიკვნესა, გამისხლტა და კვლავ გაქრა.

გონს რომ მოვეე (კარგა ნახევარი საათი კი დამაკარგვინა წონასწორობა), კვლავ ჩემს საქმეებსა და მომავალს ჩავუფიქრდი. მიუხედავად იმისა, რომ დოქტორი მაქსის გამო-

უცნობი ხასიათის წყალობით (ვერასოდეს ვერ გამოიცნობ, რას ჩაიდენს) ხან აღმაფრენას განიცდი და ხან სოსოწარკვეთილებას, მიუხედავად იმისა, რომ ფირმაში ჯერ ცალი ფეხი მიდგას, მაინც თითქმის ბედნიერი ვარ, თითქმის და არა სავსებით. ის ბედნიერება, ფირმაში მოსვლის პირველ დღეს რომ ვიგრძენი — ბავშვური აღტაცება, ვითომ მშობლებს გავასარებ, რაკი ფირმაში მოვეწყვე და მალე ჩემი შრომის საზღაურსაც მივიღებ-მეთქი, — მეტი აღარც განმიცდია. ჩემი ახლანდელი ბედნიერება სულ სხვაა — უფრო გაცნობიერებულია და ამავე დროს ფიქრებით, სინდისის ქენჯნით და შიშით, ცოტა არ იყოს, დანისლულიც.

აი, თუნდაც ბომბოლო ვთქვათ, რაში დასჭირდა ჩემთვის „უფერული სპიროქეტა" ეწოდებინა? რა გასაკვირია, რომ დოქტორ მაქსს ეს გამოთქმა ეჩოთირა. აკი სელენემაც მითხრა, ჯერ ღრმად ჩაფიქრდა, მერე კი ოთახიდან გავარდაო. მერე კიდევ, დიაბეტე; აგერ უკვე რამდენიმე დღეა არც მისითვის მომიკრავს თვალი. მე არაფერ შუაში ვარ, ყოველ ცისმარე დღე მივდივარ მასთან მისასალმებლად, ის კი ათას რამეს მოიმიზეზებს, კარებში გამაჩერებს, ხან ვითომ ტელეფონზე აქვს დასარეკი, ხან ვიღაცას ელოდება, ხანაც დაკავებულია და მპირდება, მოგვიანებით შემოგივლიო... მაგრამ შევამჩნიე, საკმარისია თავისი კაბინეტის კარებში დამინახოს, მაშინვე ყურმილს სტაცებს ხოლმე ხელს, თუმცა უკვე გასაგებია, რა დაკავებულიც ბრძანდება; თანაც მის ბასუხს მაშინვე მოჰყვება ხოლმე ტროპიას ქირქილი. რაღა თქმა უნდა, რომ „უფერული სპიროქეტა" ბოროტი და თან ორაზროვანი ნათქვამია; თავისუფლად შეიძლებოდა, რომ ყველას შეხებოდა, გინდაც დოქტორ მაქსს უშუალოდ და გადაკვრით, ანუ მთელ ფირმას და, გინდაც სელენეს. მას წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს ეს ვენერიული სენის აღმნიშვნელი სიტყვა (ანდა ეგებ თავსაც იკატუნებს, ვითომ არ ვიცი-ო), ან ეს ყველაფერი მისივე შეთხზულია, არა, ამის შეთხზვის ნიჭი სადა აქვს!

გასაკვირი არ არის, რომ იმ ღამეს ძალზე მოუსვენრად მეძინა. მთელი ღამე ბომბოლო მელანდებოდა. ეს შფოთიანი სიზმრები (ადრე არასდროს მინახავს, ყოველ შემთხვევაში, არ მაგონდება), აკრეთვე სხვა ათასი საზრუნავი და საფიქრა-

ლა სიშშვიდეს შირღვევს და ხელს მიშლის, რომ მშვიდად და წყსარად ვოჯდე ჩემს კაბინეტში და ვიმუშაო. მთელი ამ ხნის განშავლობაში არც ჩემი შშობლებისთვის და არც მარიასთვის წერილიც არ მიმიწერია. რამდენი დღე გავიდა, რაც ისინი დავტოვე და უკვე რა შორეულად მეჩვენებიან! რა შორეულად მეჩვენება ჩემი შშობლიური ქალაქიც! რომ მოშენდოშეინა, შეშეძლო პარასკევს საღამოს, სამუშაოს შემდეგ დავშჯდარიყავი მატარებელზე და შინ წავსულიყავი. კარგა ხანს ვიფიქრე და მერე გადავწყვიტე, არ ღირს-მეთქი. ამას მაგივრად კი პარკში წავედი და უზარმაზარი შადრევნის ახლოს სკამზე ჩამოვჯექი. ბავშვები აფრიან ნავებს უშვებდნენ. უცბად ყეირილი ატეხეს, ვიღაცამ თავკომბალა დაიჭირა. ესიამო აზრმა გამიელვა, ავდექი, შადრევანთან მივედი და დავინახე, რომ მღვრიე წყალი სავსე იყო თავკომბალებით. რატომღაც ბომბოლო გამახსენდა, „უფერული სპეროქეტაო" რომ ეთქვამს, მერე სიზმარი და სხვა ათასი რამ მომაგონდა და სამისლად ჩამისდა ეუნება. არც ბავშვებსა და არც თავკომბალებს ამაში ბრალი არ მიუძღვით, მაგრამ ისეთი სევდა შეეპარა, რომ მოშორებით, ხეების ძირას განმარტოებული სკამი მოვნახე და გადავჯექი; ფირმის შენობის მიღმა ჩამავალ მზეს დავეწყე ყურება. ცათამბჯენი ცარიელი და გამჭვირვალე მოჩანდა; როცა მზე მინის კედლებს მიეფარა, სარისჯისფერ შენობას რაღაც მოშავო ფერმა გადაჰკრა. იმავე ჩამს პარკი, ხეები, შადრევანი და ბავშვების ტასაცმელიც კი ერთიანად ჩამუქდა, მრუმე ჩრდილები გაწვა; ჩიტებმა ერთბაშად შეწყვიტეს ჭიკჭიკი და ყლურტული, აქა-იქ თუ გაიგონებდით გამკივან სტვენას. ყველას ერთნაირად შეეცვალა ფუნეს-განწყობა. — ბავშვები აწრიალდნენ, გაჭირვეულდნენ და ღედებმა თუ აღმზრდელებმა მაშინვე იქაურობას მოაშორეს, ზოოპარკისკენ წაიყვანეს. იქამდე ჯერ არ მიეღწია შუშის სასასლის ცისფერ ჩრდილს და ჩამავალი მზის სხივები ისევ ისე ციალებდა. და მაინც, პატარა სასლებს შორის განმარტოებით აწოწილ შუშის სასასლესა და ალუმინის ბრჭყვიალა ქერცლით დაფარულ მის წვეროს რომ შეეყურებდი, საოცრად სპეტაკი და ლამაზი მეჩვენებოდა, თან მიზიდულობის ისეთი ძალა ჰქონდა, რაც შეიძლება მსოლოდ რელიგიის მი-

ზიდულობის ძალას შეადარო. და თუმცა ფირმას არ გააჩნდა ეკლესიის იდუმალება, მაინც მისმობდა თავისკენ და მთელი ჩემი ცხოვრებაც ამიერიდან მას ეკუთვნოდა.

III

თასდათან ვეჩვევი წესრიგს. იმის წყალობით, რომ ფირმაში სამუშაო დღე ორად იყოფა — ოთხი საათი დილას და ოთხი სადილის შემდეგ, ჩემი ცხოვრებაც ერთგვარ კალაპოტში ჩადგა. ვატყობ, რომ სამუშაოსთან დაკავშირებით უკვე ბევრ ისეთ რამეს ვაკეთებ, რაც ადრე არ მიკეთებია; მაგალითად, ვიღვიძებ დილის შვიდ საათზე, შევდივარ სააბაზანოში, ვიცვამ, ვსვამ ყავას, დიასასლისი საწოლის გვერდით რომ დამიდგამს ხოლმე და ქუჩაში გავდივარ. გაჩერებამდე ორასიოდე მეტრს ფეხით გავივლი, მერე ვდგავარ და ვუცდი ტროლეიბუსს, თუ ისეა გაჭედილი, რომ სახელურებს ჩაბღაუჭებული სალხი საფეხურებზე დგას, მაშინ მეორეს ველოდები, სადაც მეტი ხალვათობა იქნება. ფირმის შესახვევამდე ჩვიდმეტი გაჩერებაა და ნახევარ საათს უნდება. ზეპირად ვიცი ჩემი ტროლეიბუსის მარშრუტი, თუმცა კი იმ ქუჩაზე სულ ერთნაირი სახლებია ჩამწკრივებული; გზად ჩავუვლი ხოლმე ლიბანის კედრებით დაჩრდილულ დიდ პარკსა და ნაირნაირი ყვავილებით გადაჭრელებულ ორანჟერეებს; ათასგვარი რეკლამა თვალს კი მჭრის, მაგრამ ლამის ზეპირად ვისწავლე და კარგ გუნებაზეც მაყენებს. ბულვართან ფირმის შესახვევია და იქ ჩამოვდივარ, დავადგები ამ შესახვევს და მივდივარ ფირმისკენ; ფირმას სხვა შესასვლელიც აქვს, ახალი შენობის მხრიდან, მაგრამ ძველი მირჩევნია. ამავე შესასვევშია ბარიც, სადაც ვსაუზმობ სოლმე — გაასლებით ერთ ფინჯან რძიან ყავას, ნამცხვარს და ვყიდულობ სიგარეტს. ოცი, ოცდასუთი წუთის შემდეგ უკვე ადგილზე ვარ. მართალია ჩანიშნა არ მჭირდება, მაგრამ (რა ზუსტად მიწინასწარმეტყველა დოქტორმა მაქსმა!), სწორედ ამიტომ არ ვაძლევ თავს დაგვიანების უფლებას; ავდივარ კიბეებზე, გავივლი მისალეს, სადაც უკვე თავის ადგილზე ზის შიკრიკი და შევდივარ ჩემს

კაბინეტში, დავკიდებ ლაბადას და კუჯდები მაგიდასთან. სხვა მუშაკებისგან განსხვავებით, გაზეთებს არ ვყიდულობ; მითუ-ჰეტეს ახლა, როცა სავაჭრო ფირმაში ვმუშაობ, აღარც ის მაინტერესებს, რაც მის კედლებს მიღმა ხდება. ბომბოლო აშაზეც დამცინის და რეაქციონერობას მწამებს (დიდი ყეყეჩური სიტყვა კია!), მაგრამ ის ვერ გაუგია, რომ გაზეთების კითხვით არაფერი შეიცვლება; პირველის ნახევარზე გამოვდივარ კაბინეტიდან და ფირმიდან ოთხასიოდე მეტრის მოშორებით სასადილოში ვსადილობ, თუმცა იქ სიარულის უფლება არა მაქვს. ეს სასადილო განკუთვნილია სულ სხვა ფირმის მოსამსახურეთათვის, ჩვენს ფირმასთან არავითარი კავშირი რომ არა აქვს და მგონი მეტოქეობასაც კი უწევს. იქ სადილობა ერთმა ყმაწვილმა მირჩია, რომელიც პარკში გავიცანი და დავუმეგობრდი. იგი „ინტერნეიშენელ ბიზნეს მეშინზ"-ის ცნობილ ფირმასთან არსებულ სავაჭრო კურსებზე სწავლობს, მაგრამ ეტყობა, განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიქადნის. მისი ჭეშმარიტი მოწოდება მუსიკაა და ოცნებობს რადიოში ან ტელევიზიაში მუსიკალური პროგრამების შემდგენლად მოეწყოს. ამ სასადილოში თვითონაც ასევე უკითხავად შეიპარა, ნაცნობების მეშვეობით, ახლა კი თავის მსრივ მეც გამიკაფა გზა. იქაც ვითომ ვერ მამჩნევენ, ალბათ იმიტომ, რომ სასადილოს სასულიერო პირები განაგებენ და დაწესებულებაც სახელმწიფოსია, კერძო რომ იყოს, რასაკვირველია, არ შემიშვებდნენ. სასადილოს შენობა ოთხი ნაკვეთისგან შედგება და ჯვრის ფორმა აქვს; შუაში დგას სალარო, ჩეკის ასაღებად გრძელ რიგში უნდა ჩადგე; მაგიდები ოთხ კაცზეა გაშლილი, მოაქვთ წვნიანი, მერე ხორცის კერძი, პური რამდენიც გინდა ღა ღვინოც კი. სადილის მერე ფირმაში ვბრუნდები, შესვენების დამთავრებას არ ველოდები. ჩვეულებრივად სელენეც ამ დროს მესტუმრება ხოლმე. სამის ნახევრიდან შვიდის ნახევრამდე ვმუშაობ, შვიდის ნახევრიდან ჯასშმობამდე ვსეირნობ. ვვახშმობ იმავე სასადილოში. საღამოობით იქ თითქმის არავინ დადის, რადგან უმეტესობა ქალაქგარეთ ცხოვრობს და სამსახურის შემდეგ მატარებლებით ან ტრამვაით პირდაპირ შინისკენ მიემგზავრებიან. სასადილოში ვსვღები ჩემს ახალგაზრდა ჯაზისტს — კლარინოს. მო-

ვყვებით ამ მთისას, იმ მთისას და მერე კინოში მივდივართ. ასე თერთმეტზე, თორმეტის ნახევარზე შინ ვბრუნდები, ცოტას წავიმეცადინებ ანდა სასლის პატრონს ვესაუბრები. იგი ძალზე შეფიქრიანებულია თავისი საწარმოს საქმეებით, და არცთუ უსაფუძვლოდ. მერე ვწვები.

ფირმისა და დოქტორი მაქსის წყალობით სულ დაძაბული რომ არ ვიყო (ბოლოს და ბოლოს საქმე ეხება არსებობისთვის ნამდვილ ბრძოლას), ჩემს ასლანდელ ყოფას იდეალურად ჩავთვლიდი. არის წუთები, როცა ბრბოში გათქვეფილსა და მისგანვე საიმედოდ დაცულს, მაგალითად ტროლეიბუსში, სასადილოში თუ სამსახურში (სადაც ჩემს ირგვლივ თავისი ბედით შეფიქრიანებული ჩემივ მსგავსი ხალხი ფუსფუსებს) უდიდესი ბედნიერებით დამთვრალი კაცის გრნობა მიპყრობს ხოლმე. საკუთარ პიროვნებასა და სახელზე ხელის აღება თითქოს რაღაც ბუნებისეულ, რაღაც რელიგიურ ტკბობას ანიჭებს ადამიანს. ალბათ, ასეთივე გაუცნობიერებელ აღგზნებაში ვარდებიან ჭიანჭველებიც, როცა გაფაციცებით, უწყვეტ ნაკადად მიდი-მოდიან თავიანთი ბუდიდან საზრდოს მოსაპოვებელ ადგილამდე. მეც სწორედ ერთ ასეთ ჭიანჭველად ვგრძნობ თავს, მზად ვარ ყოველ შემხვედრს მივესალმო და ყველაში ჩემი თავი დავინახო; ვისურვებდი სხვებიც ასე მომქცეოდნენ. მე მგონია, ეკლესიაც ასევე აახლოებს ადამიანებს, მაგრამ იქ გამეფებულ რელიგიურ ექსტაზსა და ქალაქის მსხვილ კონგლომერატების — სავაჭრო ფირმების, სამრეწველო საწარმოების თუ სხვა შრომითი ბუდეების — სულისკვეთებას შორის დიდი სხვაობაა. რამეთუ პირველი მუდამ მიმართულია სიკვდილისაკენ, ანუ ერთგვარი უძრაობისა და ასე გასინჯეთ, აბსტრაქტულისკენ, ხოლო მეორე, პირიქით, მთლიანად დაკავშირებულია ცხოვრებასა და კონკრეტულ რეალობასთან.

ჩემი ბედნიერება, თავდაპირველად დღემოკლე რომ მეჩვენებოდა, ასლა აშკარად განმტკიცდა; უპირველეს ყოვლისა, იმითი, ვარ ბედნიერი, რომ დოქტორი მაქსის საკუთრება გავხდი. ჩემი სიტყვები რომ გაიგონოს, ალბათ, გაშმაგდება, მაგრამ მერე კი, — რაც არაერთხელ მომხდარა, — გამიგებს და ძალაუნებურად დამეთანხმება. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს:

რას წარმოვადგენდი ამ ქალაქში ჩამოსვლამდე, სანამ დოქ-ტორი მაქსის წყალობით სავაჭრო ფირმაში მოვეწყობოდი? ან რა მოეთხოვებოდა ჩემისთანა უსუსურ ღლაპს? ადამიანმა სიყმაწვილიდანვე უნდა ეძებოს ცხოვრებაში თავისი ადგილი. მე კი არც მიცდია, ვცხოვრობდი ჩემთვის, მშობლების კალთას ამოფარებული, არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედავდი, სანამ არ ჩავჯექი მატარებელში და აქ არ ჩამოვედი. მარტო გრძნობები მასულდგმულებდა, მარტო სიყვარული — დედ-მამის, მარიასა და ძველი მეგობრებისადმი. ახლა ეს ვრძნობები მიყუჩდა და გზა მისცა რეალობას, ხოლო რეალობას უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ფირმა და ჩემი პატრონი, დოქტორი მაქსი. ხშირად ამასაც ვეკითხები ჩემს თავს: რას ვიზამდი, პატრონი რომ არ მყოლოდა, ესე იგი ადამიანი, რომელიც თავის პირად საკუთრებად მთვლის და ყოველდღე ისე მიხმარს, როგორც ჭიქას, ავტომობილს, სკამს თუ საწოლს მოიხმარს კაცი; რა მომივიდოდა? ვიქნებოდი ჭიქა, ავტომობილი, სკამი ანდა საწოლი, ყოვლად გამოუსადეგარი, ყოველგვარ არსებობის აზრს მოკლებული საგანი; ჭიქას თუ არავინ ხმარობს, არ შეიძლება იწოდებოდეს ჭიქად, ხსენებადაც არ ღირს, ეს არის მხოლოდ ნივთი, ადრე ჭიქად წოდებული, მერე კი სანაგვეზე გადაგდებული და მივიწყებული.

ჩემი დღის თითოეული წუთი ანდა, უფრო სწორად, ყოველი ჩემი ნაბიჯი, საქციელი თუ საერთოდ მოქმედება (დილით ადრე ადგომა, ტროლეიბუსით მგზავრობა, სმა-ჭამა, მუშაობა, შესვენების შემდეგ სამუშაოზე დაბრუნება, ვახშამი, ძილი) არასდროს არ არის თვითმიზანი, ყოველთვის დაკავშირებულია დოქტორ მაქსთან და ფირმასთან, შთაგონებულია მათ მიერ. ვიძინებ იმიტომ, რომ ვიღლები, ვჭამ იმიტომ, რომ მშია, ვჯდები ტროლეიბუსში იმიტომ, რომ ადრეზე მივიდე სამსახურში. სხვა ველარაფერს ვაკეთებ, სულ გადავეჩვიე; აღარც კინო მომწონს, აღარც ტელევიზორი. როცა ზოგჯერ ადრე ვბრუნდები ხოლმე შინ და სახლის პატრონები ჭიქა ლიქიორზე მეპატიჟებიან, უარს ვამბობ, ხოლო თუ ტელევიზორს ვუყურებ, მოწყენილობისგან ვიტანჯები. ფეხბურთზე აღარ დავდივარ, ვსეირნობ მარტო

იმიტომ, რომ მუსლეებში გავიმართო, წიგნებსა და გაზეთებს აღარ ვკითხულობ — ერთი სიტყვით, ისეთს არაფერს ვაკეთებ, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ფირმასა და დოქტორ მაქსთან. ხელფასი ძლივძლივობით მყოფნის საარსებოდ, მაგრამ მაინც მყოფნის; რომ არ მყოფნიდეს, სულ ერია, მაინც გავიტანდი როგორმე თავს; თუ მომმატებენ, ბედნიერი ვიქნები — ფულის გამო კი არა, ფულს არ ვჩივი, ამით ხომ დოქტორი მაქსი ჩემდამი თავის დამოკიდებულებას გამოამჟღავნებს, რაკი ხელფასს გიმატებ, მაშასადამე, ღირსადაც მიმაჩნიხარ, სათანადოდ გაფასებ, როგორც ნივთს, ესე იგი, როგორც საკუთრებას, რომელიც კარგ მოპყრობას იმსახურებსო. ერთი სიტყვით, ჩემი ცხოვრება, ამას კი თავიდანვე ვვარაუდობდი, ძირფესვიანად შეიცვალა. სულ სხვანაირ ცხოვრებას შევები. გარეგნულად შეიძლება მოგეჩვენოთ, თითქოს ბეჯითი მუშაკი გავხდი, მაგრამ ასე როდია, არავითარი სიბეჯითე არ მჭირდება თავს ძალა დავატანო და ვიყო ის, რაც ვარ. უბრალოდ ისეთ ცხოვრებას ვეწევი, სრული ჰარმონიისა და უშფოთველი სიწყნარის შეგრძნებას რომ მანიჭებს.

ჩემი უღრუბლო არსებობა ხანდახან მაინც იმღვრევა, უპირველეს ყოვლისა, დოქტორი მაქსის ცვალებადი ხასიათის გამო. დილით ვერასოდეს ვერ გამოიცნობ, რა გუნებაზე დადგება ნამუადღევს, თუმცა არც მის გუნებ-განწყობაზეა საქმე. ბოლოს და ბოლოს, რაგინდ აუხსნელი და გაუგებარი არ უნდა იყოს კაცის გუნებ-განწყობა, რაც ასე თუ ისე ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ავია თუ კარგი, მაინც გონებით წარიმართება; დოქტორ მაქსს კი განწყობილება კი არა, თვით გონება აქვს ცვალებადი. იგი გამუღმებულ ტყვეობაში ჰყავს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს, რაც საბოლოოდ გუნებ-განწყობაზეც მოქმედებს. ამასთან ეს აზრები გამოხატავს ერთი პრობლემის სხვადასხვა მხარეს: არის თუ არა ზნეობრივი, რომ იყო პატრონი და იქცეოდე პატრონივით?!

დღე და ღამ ერთი და იგივე აზრი აწამებს:

„მე ვარ პატრონი, მსხვილი სავაჭრო ფირმისა და მრავალი ფილიალის მფლობელი. მე მეკუთვნის ფირმის შენობა და სხვა უამრავი ქონება, მათ შორის საწყობები და მაღაზიე-

ბი; მაქვს კიდევ სხვა საკუთრებაც და რაკი ვითვლები უძრავი ქონების პატრონად — საბეჭდი, გამომთვლელი თუ სხვა მანქანების, — მაშასადამე, ჩემს ხელქვეითთა პატრონიც მე გახლავარ და ამდენად იძულებული ვარ გადავუხადო მათ იმაზე მეტი, რაც აუცილებელია არსებობისთვის. და რაკი პატრონი ვარ, შემიძლია ისე მოვექცე, როგორც მომეპრიანება, მინდა შევინარჩუნებ, მინდა მოვსპობ, დავამსხვრევ ან მოვუფრთხილდები; ასეც ვიქცევი. მაგრამ იმ საკითხს, თუ როგორ გამოვიყენო ჩემი ქონება, რომ მეტი შემოსავალი მომცეს და თან ერთი ორად გავზარდო, რასაკვირველია, ვწყვეტ მე და არა ჩემი მუშა-მოსამსახურეები, მე კი იმ ჭკუაზე არა ვარ, რაიმე მოვსპო და გავანადგურო, თუმცა სურვილი რომ მქონდეს, ამასაც ვიზამდი; რა მაკავებს? მაკავებს ზნეობრივი საწყისი, სინდისის ხმა, რომელიც მეუბნება: „შენ ხარ ყოვლისშემძლე, რასაც მოისურვებ, იმას იზამ და შენვე უნდა გადაწყვიტო, რა გინდა და რა არა! მშვენივრად იცი, თუ მოინდომებ, შეგიძლია ფირმაც გასწირო და შენი ხელქვეითებიც. ერთი სიტყვით, შენი ნებაა, რასაც გინდა, იმას იზამ, არჩევანი შენზეა!“ ჩემი არჩევანი კი ეს გახლავთ: რასაკვირველია, ფირმას უნდა მოვუფრთხილდე, ის კი არადა, მთელი დღე გაფაციცებით ვაღევნებ თვალს, ჩემმა ხელქვეითებმა დაუდევრობით თუ არაკეთილსინდისიერი საქციელით ფირმას რაიმე ზიანი არ მიაყენონ-მეთქი; მათი ცხოვრება მთლიანად ფირმაზეა დამოკიდებული და მის კეთილდღეობაზეც უნდა იზრუნონ; და მაინც იმის უფლებაც არა მაქვს, რაიმე გადავწყვიტო, ანდა ჩემს ზნეობრივ შეხედულებათა შესაბამისად ვიმოქმედო, პირიქით, იძულებული ვარ ათასი სხვა სისულელე ჩავიდინო, ანგარიში გავუწიო ჩემს ხელქვეითთა თუ პროფკავშირების მოთხოვნებს, ვიღაცეების პოლიტიკურ მაქინაციებს და ვინ იცის, კიდევ ვის და რას. ეს კიდევ არაფერი, რაკი პატრონი გახლავარ, — თუმცა სინამდვილეში ასე არაა — ლამის ჩემს ხელქვეითთა ხელქვეითიც კი გავხდე. ისინი კი მე მთხოვენ დიდებულ კაბინეტებს, მაღალ ხელფასებს და სხვა ათას სიკეთეს. როგორ მოვიქცე? გამოვიყენო ჩემი უფლებები და ჩემი სურვილის მიხედვით დავსაჯო ხალხი, რომელსაც არავითარი მორალური საფუძვლები არ გააჩნია, თუ ყველაფერ-

ზე დავხუჭო თვალები და მათ დონეზე ანდა მათზე დაბლაც დავდგე?“

ამისთანა აზრებმა მთლად აურიეს დოქტორ მაქსს ტვინი. ერთი თვალის შევლებაც კმარა, მაშინვე მიხვდებით, რარიგად იტანჯება; ზოგჯერ პირის გარშემო იმდენი თეთრი ლაქები დააჩნდება ხოლმე, რომ ცხვირსახოცითაც კი იწმენდს; ეს ლაქები და გუნებ-განწყობის სშირი ცვალებადობა, ჩემის აზრით, მისი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების პირდაპირი შედეგია.

ერთსელ ვუსმინე, ვუსმინე და ვუთხარი:

— ასე ახლოს რატომ მიგაქვთ გულთან ყველაფერი, დოქტორ მაქს? რაც არ უნდა თქვან, პატრონი მაინც თქვენა ხართ, დანარჩენები კი თქვენი ხელქვეითები არიან და მეტი არაფერი. სანამ როლები არ შეიცვლება (ეს კი არ მოხდება, რადგან ასეთია საგანთა ლოგიკა), თქვენ იქნებით პატრონი, ისინი კი ხელქვეითები და ამიტომ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც პატრონს შეეფერება!

დოქტორი მაქსი სკამზე გვერდულად იჯდა და ისე მისმენდა (ასეთი ჩვევა აქვს, ნახევრად ზის, ნახევრად დგას, ანდა კარის წირთხლს ისე მიეყუდება, თითქოს შემთხვევით შემოიხედა ოთახში და ეს-ეს არის წავალ). ეს ჩვევაც იმის დასტურია, თუ რარიგად სტანჯავს ამ კაცს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, რა უხერხულად გრძნობს თავს და როგორ უნდა დაუმტკიცოს ხალხს, რომ სულაც არ არის ამ სკამებისა და კარების პატრონი, არ იყენებს მათ ბოროტად და იმდენად არ თვლის თავის საკუთრებად, რომ ცდილობს კიდეც, რაც შეუძლია, ნაკლებად ისარგებლოს ამ ნივთებით.

— მაშასადამე, თქვენ გინდათ მიიხრათ, რომ მხოლოდ ჩემი სინდისის კარნახით ვიმოქმედო და მორჩა?

— რასაკვირველია!

— ჩემი სინდისის მიხედვით რომ ვიმოქმედო, მაშინ ყველანი უნდა გავრეკო!

— ჰოდა, თქვენც გარეკეთ!

— სისულელეებს ჩმახავთ! გესმით? — დაიღრიალა უეცრად დოქტორმა მაქსმა, მაგრამ მის ყვირილს მივეჩვიე და, როცა ცოფებს ყრის, უკვე აღარ მეშინია.

— ნუ ბრაზობთ, დოქტორ მაქს! — მშვიდად ვუთხარი მე.

— როგორ თუ ნუ ვბრაზობ! ვერ ხვდებით, რა სისულელეებს მიეად-მოედებით? ყველა გარეკეო! გესმით კი რას ნიშნავს ეს? იცით რა მოჰყვება ამას? ჯერ ერთი უნდა გადავიხადო მილიონობით ჯარიმა, გაუთავებლად ვედაო პროფკავშირებს, მერე დაიწყება გაფიცვები და ბოლოს იძულებული გაკხდები ძველი მოსამსახურეების მაგივრად მივიღო ახალი, სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც, სრულიად შესაძლებელია, ძველებზე უარესები გამოდგნენ, გაცილებით უარესები! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფირმა რამდენიმე თვით და იქნება მთელი წლითაც გამოვიდეს წყობიდან. ხედავთ, რა ფასად დამიჯდება ეს?! ამასთან თქვენ გავიწყდებათ საქმის ზნეობრივი მხარე! გესმით, რისკენ მიბიძგებთ? ქუჩაში უნდა გავყარო ხალხი, რომელთაც თავიანთ კმაყოფაზე ჰყავთ ცოლ-შვილი... მიხვდით, რას ამბობთ? გესმით ეს რას ნიშნავს?

მშვენივრად მესმის, დოქტორ მაქს, მაგრამ თავად არ ბრძანეთ, ყველას გავრეკავდიო? რა უფრო ზნეობრივი იქნებოდა, თქვენის აზრით?

— უფრო ზნეობრივი ის იქნებოდა, ხალხს შეეგნო, რომ ისინი წარმოადგენენ ჩემს საკუთრებას და როგორც მომინდება, ისე მოვექცევი! აი, ჩვენ რომ მათთვის რამენაირად შთაგვეგონებინა ეს, დიდ საქმეს გავაკეთებდით!

— ამისთვის ხომ სულ ცოტა რამ კმარა, სულ უმნიშვნელო!..

— მაინც რა?

— იმდენად უმნიშვნელო, რომ თავის შეწუხებადაც ... ღირს... ეს ხალხი ხომ ყველაფერთან ერთად, რაც კი ამ შენობაში მოიძევება, თქვენ გეკუთვნით! ჰოდა, აბა რაღა მნიშვნელობა აქვს, შეიგნებენ ისინი ამას, თუ არ შეიგნებენ!

— მე მაინც მინდა, რომ შეიგნონ! ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს!

— პირიქით, სულ არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუკი მაინც აქვს, მაშინ მერწმუნეთ, მათ მშვენივრად იციან, რომ თქვენს საკუთრებას წარმოადგენენ და მხოლოდ თავს იკატუნებენ, ვითომ არ ვიციოთო.

— მაშ ასეა? თქვენ გგონიათ, რომ ასეა?

— არათუ მგონია, დარწმუნებული ვარ, მაგალითისთვის მეც გეყოფით. თავის მოკატუნება რომ არ შემიძლია, ამიტომ მოგასსენეთ პირველსავე დღეს ყველაფერი, რასაც ვფიქრობ, ესე იგი, თავი თქვენს საკუთრებად ვცანი, მაშ რატომღა გამირისხდით?

— იმიტომ, რომ არ მინდა ამაზე ხმამაღლა ილაპარაკონ, ღეკორუმი ხომ უნდა დავიცვათ!

— რატომ?

— აი, რატომ, თუკი თავს ჩემს საკუთრებად აცხადებთ, მაშინ გარკვეულ მორალურ ვალდებულებებსაც მაკისრებთ, მაიძულებთ გელოლიავოთ, ყურადღება არ მოგაკლოთ და ხმა ვერ გაგცეთ...

ეს უკვე სხვა საკითხია და მარტო თქვენ გეხებათ; თუ გველოლიავებით, იმიტომ გკელოლიავებით, რომ არ გინდათ თქვენი უფლებები გამოიყენოთ; დილაობით ჩემი გამოცხადებისა არ იყოს, აქაც იგივე მეორდება; თქვენსვე მითხარით, როცა გინდა, მაშინ მოდიო, მე კი ნებართვის მიუხედავად, დროზე ვცხადდები. თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ. თუკი ხელქვეითმა ერთხელ და სამუდამოდ აღიარა თავი თქვენს საკუთრებად, ეს თქვენ პიროროტად აღარ უნდა გამოიყენოთ. ასე არ არის?

— ასეა!

— სულ სხვაა, როცა კაცს თავი ისე უჭირავს, ვითომ თავისუფალი პიროვნება იყოს, როგორც, მაგალითად, მხატვარ ორაციოს; თუნდაც იმ თავისი ექსტრავაგანტული ჩაცმულობითაც კი ცდილობს ხაზი გაუსვას თავის დამოუკიდებლობას... მაგრამ სინამდვილეში მე გაცილებით უფრო თავისუფალი ვარ, თუმცა ჩაცმულობით არ გამოვირჩევი.

— არა, ორაციო მაინც მხატვარია და კიდეც შეუძლია ექსტრავაგანტული იყოს; აბა რაღა მხატვარი იქნებოდა!

— მაგრამ თავისი დამოუკიდებლობის ჩვენების სურვილი მაგასაც აქვს! აბა რას იშუქრებოდა, პლაკატს სხვა ფირმაში წავიღებო?

— ჰოო, ეს კი მარილა არ მესიამოვნა.

— მერე, თქვენც მიუშვით თავის ნებაზე, როგორც უნდა, ისე მოიქცეს; თუ სხვა ფირმაში უნდა წასვლა, დაე, წავიდეს!

— ჩვენ რაღა ვქნათ?

— ჩვენ კი ავდგეთ და სხვა მსატვარი მოვიყვანოთ, რომელიც არც თავს დაგვაყვედრის და არც თქვენ გაგიჩენთ მორალურ პრობლემებს!

— ორაციო რომ ყველას ჯობია?

— თუ ყველას ჯობია, მაშინ სხვებზე მეტი ფული მიეცით და ისე მოეფერეთ, რომ სხვა ფირმაში წასვლა აზრადაც არ მოუვიდეს!

— კარგი, მაგრამ მე რომ ცოტა ძუნწი ვარ! — ღიმილით აღიარა დოქტორმა მაქსმა. — თუმცა უკვე აგიხსენით კიდეც, რომ ეს ჩემი სიძუნწე მორალური მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. ამდენი ფული რაში სჭირდება?

— არ ვიცი, მაგრამ თუ იგი თქვენ გჭირდებათ, მაშინ მორალური კი არა, რეალური მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელოთ.

— მართალი ხართ, მართალი... ვიცი რომ მართალი ხართ, მაგრამ ტვინი თითქოს ორად მაქვს გახლეჩილი... სხვათაშორის, ეგ აზრი თქვენზე ადრე მე მომივიდა.

— შეიძლება, მაგრამ ხმამაღლა არ გითქვამთ, პირველად მე ვთქვი!

— არა, მე ვთქვი!

— არა, სამწუხაროდ, მე ვთქვი პირველად!

— რაკი ვამბობ არა-მეთქი, მაშასადამე, არა!..

— არა, მე!...

— კმარა, ვინ არის აქ პატრონი, მე თუ თქვენ? თქვენ თვითონ აღიარეთ, რომ მე ვარ, მაშასადამე, აზრებიც მე მეკუთვნის!

— სწორია!

— ახლა კი წადით და მარტო დამტოვეთ!

— დოქტორი მაქსი წამოსტა, ჩვეულებისამებრ აფუსფუსდა, ვითომდა მადლობის ნიშნად თავისი თათი-საცეცი გამოიწოდა და კარისკენ მიბიძგა.

მე და დოქტორი მაქსი ხშირად ვსაუბრობთ. დროდადრო თავისთან მიხმობს ხოლმე, არცთუ იშვიათად სახლშიც მირეკავს, ზოგჯერ გვიან საღამოსაც და ჩემი მომავალი სამუშაოს ზოგიერთ წვრილმანზე მეთათბირება. სმაზე ვატყობ, რა

გუნებაზეა, უფრო სწორად, ვარჩევ მისი სასოწარკვეთილების სიღრმეს. ხანდახან რომელიღაც მღრღნელივით წრიპინებს და ყური ვერაფრით ვერ შემიჩვევია. წერაც ლაპარაკივით გაურკვეველი იცის; მისი ხმის ჩაწერა რომ შეიძლებოდეს, ბგერითი რხევის დიაგრამა უეჭველად მის ხელწერას დაემთხვეოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს წერისა თუ ლაპარაკის დროს ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები ხელს უშლიან და არც მათი ხმარებაა მისთვის აუცილებელი; ასე რომ ხშირად მისი მეტყველება მაღალ და დაბალ ბგერათა მონაცვლეობად ჩაითვლება (უფრო ხშირად — მაღალ), რაც გაბმულ ჭრიჭინს წააგავს, ნაწერი კი — ერთ წაგრძელებულ, ძნელად გასარჩევ დაკლაკნილ ხაზს.

ხშირად მოწყენილობის გამოც მეძახის ხოლმე, თუმცა მოსაწყენად სადა სცალია: თვალყური უნდა ადევნოს ხელქვეითებს, შეისწავლოს მათი ზნეობრივი მხარე და შრომის ნაყოფიერების დონე, მაგრამ ვერც აქ გაუგებ მის მსჯელობას თავსა და ბოლოს. თუ ხელქვეითი ბევრს შრომობს, მაშინ დოქტორი მაქსის აზრით, ეს ქმნის მორალური წახალისების წინაპირობას, უნდა შემოწმდეს ამ მუშაკის მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი და პრემია მიეცეს; მაგრამ ამას მოჰყვება სხვა, მორალური პრობლემაც — ვაითუ ამ მუშაკის ხელში მეტისმეტად დიდი თანხა დაგროვდეს!.. და ასე შემდეგ, დაუსრულებლად. სხვათა შორის, ეს პრობლემები, ეს ზნეობრივი ტანჯვა-წამება რომ არა, არ ვიცი როგორ იცსოვრებდა იგი, ალბათ, იძულებული გახდებოდა, თვითონვე გამოეგონებინა, თუმცა ხშირად კიდეც იგონებს. მაგალითად, რომელიმე ხელქვეითს მარტო იმიტომ სჯის, რომ შემდეგ თვითონვე ეწამოს, რატომ დავსაჯეო. დოქტორი მაქსი რომ უბედურია, ეს ცხადია, მაგრამ ჩემს ბედნიერებასაც წინ ეღობება, რადგან მე მისი ხელქვეითი და საკუთრება ვარ! ყოველთვის, როცა კი საკუთრებასთან დაკავშირებით ეჭვები და ჭოჭმანი აიტანს, ფეხქვეშ ნიადაგი მეცლება, ვგრძნობ, რომ ჩემს ირგვლივ ყველაფერი ინგრევა, აღარაფერი მესმის; აწყობილი საქმე, გეგმები — ყველაფერი თავდაყირა დგება და შიშით შეპყრობილი იმაზეღა ვფიქრობ, ვაითუ სხვა პატრონის ძებნა დამჭირდეს-მეთქი.

ესეც არ იყოს, დოქტორი მაქსი ძალიან ადვილად განიცდის სხვათა გავლენას; მეტი რა გზა მაქვს, რაღაც ზომები ხომ უნდა მივიღო და მეც საათობით ვუზივარ და გაუთავებლად ვეხეხინები, ოღონდ როგორმე გავუქარწყლო მავნე გავლენები. მაგალითად, ვიცი (ისევ იმავე სელენესაგან), რომ მასზე ყველაზე დიდ გავლენას ასდენს ორი ადამიანი — დედამისი და ბომბოლო; დედამისს ჯერ არ ვიცნობ, ამდენად, მისი გავლენის თაობაზეც ვერაფერს ვიტყვი, იმის გარდა, რომ ზოგჯერ თვითონ დოქტორი მაქსის გადაკრული სიტყვებიდან რაღაც-რაღაცეებს ვხვდები ხოლმე; სამაგიეროდ, ბომბოლოს ვიცნობ საკმაოდ კარგად, თუმცა იშვიათად ვხედავ (თავად მასთან არ დავდივარ, მარტო თათბირებზე ვხვდები ხოლმე); დოქტორ მაქსზე მისი გავლენა დედამისის გავლენის სრულიად საწინააღმდეგოა და უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს თვითონ მასზეც და ჩემზეც. ჯერ ერთი, ბომბოლო ისე შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, რომ არ წამოაყრანტალოს, დოქტორი მაქსის პროტეჟე საპირფარეშოში მუშაობსო (თან მხოლოდ „პროტეჟეს“ მეძახის, სახელით არასდროს მომიხსენიებს); ამას კი იმიტომ სჩადის, რომ დოქტორი მაქსის უფლებამოყვარეობა გააქილიკოს; მაგრამ ბომბოლო სულ არ ერიდება და სხვა თანამშრომელთა თვალწინაც კი ხუმრობს; ერთი სიტყვით, დოქტორი მაქსი მასთან შეხვედრის შემდეგ ცუდ გუნებაზე ხომ დგება, მაგრამ ზოგჯერ ნერვიული შეტევაც ემართება, შინ გარბის და ლოგინში წვება ხოლმე. ის ტუტუცი ბომბოლო კი ვერც კი სვდება, რომ ასეთი შეტევების მერე დოქტორ მაქსს ორივე ვძულვართ. მე იმიტომ, რომ ადამიანი-ნივთის ნიმუშს წარმოვადგენ, ის იმიტომ, რომ თუმცა სინამდვლეში ჩემსავით ადამიანი-ნივთია, თავი ისე უჭირავს, თითქოს არ იყოს. მაგრამ ამავე დროს, იგივე ბომბოლო დოქტორ მაქსს მხოლოდ „დიდ ბოსს“ ეძახის, მაშინ როცა მე მოწიწებით, მაგრამ უბრალოდ მივმართავ „დოქტორ მაქს!“ მაგრამ როცა დოქტორი მაქსი ვანაწყენდება და ზურგს შეგვაქცევს, ორივე დიდ გასაჭირში ვევარდებით; იგი სხვა სართულებზე, სხვა კაბინეტებში ეკიდის, ჩვენთან კი ფესსაც არ შემოდგამს. ნეტავ გაჩვენათ, რა ღღეშია ამ დროს ეს უბედური ბომბოლო! სადღაა მისი

დიდგულობა, ის მოჩვენებითი თავისუფლებისმოყვარეობა! ერთიანად აფორიაქებული, წირპლიან თვალებზე ცსვირსახოცს მიიფარებს და თაგვივით შეიკრება ლიფტში, ეშინია ან მე ან დოქტორ მაქსს სადმე არ შეგვეფეთოს, მერე შეიკეტება თავის კაბინეტში და მოჰყვება ტელეფონზე რეკვას. კომუტატორი მაიმუნი-მეკარის გომურში დგას და ყველას საუბარს ისმენს... ასე რომ, მალე გავარდება ხოლმე ხმა, ბიმბოლო მთელი დღე აქა და აქ რეკავდა, სხვა პატრონს ეძებდაო. მერე უკეთესს რომ ვერაფერს აღმოაჩენს (ეს მე და დოქტორმა მაქსმა უკვე ვიცით), საცოდავი ღიმილით შემოიძურწება ხოლმე კარებში და პირმოთნე ღიმილით დაიწრიპინებს: „ჰერ დოქტორ, მაინ დოქტორ!"

მე კი ამგვარ შემთხვევაში არავითარ ზომებს არ ვიღებ; რაც იქნება, იქნება-მეთქი, ვფიქრობ და სხვა პატრონს არ ვეძებ, ერთს უკვე ვეკუთვნი და ესეც კმარა! დარწმუნებული ვარ, გული მოუბრუნდება, რადგან უსაზღვროდ ერთგული ვარ მისი, და ამ ერთგულებას არც დაცინვა და არც საკუთარი ღირსების შენარჩუნების სულელური სწრაფვა ჩრდილს არ აყენებს. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ დოქტორი მაქსი კვლავ ისე შემოდის ჩემთან, ვითომც აქ არაფერიაო.

დოქტორ მაქსზე დიდი გავლენა აქვს მამამისსაც, მოხუც დოქტორ სატურნოს; ჯერ არც ის მინახავს, — თუმცა უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა მამამისს დიდი ძალა-უფლება აქვსმეთქი, რადგან დოქტორი სატურნო გახლდათ და დღესაც გახლავთ ფირმის მთავარი და სრულუფლებიანი პატრონი. როგორც ჩანს, იგი არასოდეს გაუტანჯავს ეჭვებს (სხვა ათასი მიზეზის გარდა იმიტომაც, რომ სხვა თაობას ეკუთვნის), ბაგრამ საქმეებმა კი მეტისმეტად მოქანცა და, ხანდაზმულობის მიუხედავად, ვეშაპებზე სადირობა ყველაფერს ურჩევნია. დოქტორ მაქსს მისი ძალიან ეშინია, კიდეც სძულს და რაც ასეთ შეხვედრებში ხშირად ხდება, კიდეც უყვარს. საკმარისია დოქტორ სატურნოს სურათს შეხედოთ, რომ მაშინვე მიხვდებით, რა ძალას, პატრონის რა უფლებამოსილებას ასხივებს ეს კაცი, დოქტორ მაქსს ხომ ეს არც დაესიზმრება!

აბა, რაღა თქმა უნდა, რომ დოქტორი მაქსი ვერ იქნება ბედნიერი — ძალზე ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ,

საშინლად სტანჯავს ზნეობრივი პრობლემები და აწამებს თეთრი ლაქები ბაგის გარშემო. მის ადგილზე მეც უბედურად ვიგრძნობდი თავს. მირჩევნია ისეთი ვიყო, როგორიც ვარ, მის ადგილზე ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი.

დოქტორი მაქსი განსაკუთრებით განიცდის იმას, რომ ყველას არ მიანნია სრულუფლებიან პატრონად, თუმცა სინამდვილეში კი არის. საკმარისია ოდნავ შეამჩნიოს, რომ მისი ძალაუფლება ვიღაცამ ეჭვქვეშ დააყენა, ჯერ გაშმაგდება და მერე ღრმა სასოწარკვეთილება შეიპყრობს. თან უნდა, რომ ყველა ირგვლივ აღიარებდეს მის უფლებამოსილებას (ნამდვილად კი აღიარებენ, რამდენიც არ უნდა იხუმრონ ამ თემაზე), თან ისიც სწყინს, როცა ყველა წვრილმანზე არ მიმართავენ; ასე მაგალითად, ამას წინათ დაინახა, რომ დიაბეტეს ახალი კოსტიუმი ეცვა, დოქტორი მაქსი მოიღუშა და ჰკითხა:

— ახალი კოსტიუმი გაცვიათ? ალბათ, ძვირი დაგიჯდათ!

დიაბეტემ, ეტყობა, იფიქრა, პატრონს ვასიამოვნებო და წვრილად მოუყვა, თუ როგორ დაუკვეთა, რა დაუჯდა; რომ ეს ინგლისური ქსოვილია, ქალაქში ერთ-ერთმა საუკეთესო მკერავმა შეუკერა და მშვენივრადაც შეუკერა... ერთი სიტყვით, იმდენი იტრაბასა, სანამ დოქტორმა მაქსმა მოთმინება არ დაკარგა:

— გეტყობაო, მდიდარი ბრძანდებით, რაკი ასე ანიავებთ ფულებს!

— როგორ თუ ვანიავებ? — გაუკვირდა დიაბეტეს, როცა დაინახა დოქტორი მაქსი მართლა გაბრაზდაო (დოქტორ მაქსს ხომ ყველაზე შეუჩვეველი კაციც კი უმალ შეატყობს გაბრაზებას), — ასეთი კოსტიუმი, თან ასეთი ნამუშევარი, სულაც არ არის ძვირი!

— მაშასადამე, ფულებს არ ანიავებთ, არა? კარგი, მალე თავად დარწმუნდებით! — წაისისინა დოქტორმა მაქსმა.

— რა დავაშავე? რაში დავრწმუნდები? — საკონებელში ნავარდა დიაბეტე.

— რამდენს იღებთ?

— თავად მოგეხსენებათ, ას ოთხმოც ათას ლირას, თუ არ

ჩავთვლით საოჯახო დახმარებას... არც ისე ბევრია; დოქტორ მაქს! — ჩაიხითხითა მან.

— ჰოო, მაშ ას ოთხმოც ათას ლირას... ახლა ეგ კოსტიუმი რამდენი დაგიჯდათ?

— აკი გითხარით, სამოცი ათასი! — დიაბეტე ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, სად უმიზნებდა პატრონი და გაოცებული, ტუჩებმოკუმული, ხან მე მიყურებდა, ხან შიკრიკს, თითქოს გვეკითხებოდა და თან ჩვენი დამოწმებაც უნდოდა: „თქვენ თუ გესმით რამეო?“ მე კრინტი არ დამიძრავს, შიკრიკიც არარსებულ ნამცეცებს ფერთხავდა მაგიდიდან.

— მაშ მოდით და ვიანგარიშოთ! თქვენი ხელფასი შეადგენს ას ოთხმოც ათას ლირას, კოსტიუმი დაგიჯდათ სამოცი ათასი, გამოდის, რომ ხელფასის მესამედი დაგიხარჯავთ! ასე არაა?

— ასეა! — დაუდასტურა დიაბეტემ. იგი ჩაფიქრდა და თან ცდილობდა მიჰყოლოდა დოქტორი მაქსის აზრთა მდინარებას.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ უფლება გაქვთ ხელფასის მესამედი ასალ კოსტიუმში დახარჯოთ? თქვენის აზრით, ეს მართებულია? გგონიათ, ეს ზნეობრივი საქციელია? აბა ახლა მე შემომხედეთ! მოგეხსენებათ, თქვენზე მეტი შესაძლებლობა მაქვს...

სიბრაზისგან გონდაკარგულმა დოქტორმა მაქსმა ფეხი ასწია და დიაბეტეს ლანჩგამოხეული ფეხსაცმელი დაანახა. დიაბეტემ კი თავის ბრიყვულ პატივმოყვარეობას ვერ სძლია და ჯიუტად არ უნდოდა გაეგო, რასაც ეუბნებოდნენ.

— მაგრამ... მაგრამ... — ბუტბუტებდა იგი.

დოქტორი მაქსი კარისკენ გაემართა და მეც თან გამიყოლია.

— ჰოდა, დაუფიქრდით, რას გეუბნებით, დაუფიქრდით, ტკინი გაანძრიეთ!.. — მოუბრუნდა იგი დიაბეტეს კარებში და რამდენჯერმე გაუმეორა. დიაბეტე კი ერთ ადგილზე გაშეშდა, ქუდის მოხდაც ვერ მოახერხა. ხელში ქოლგა ჩაებღუჯა. სანამ ლიფტის კარი არ დაიხურა, ჩვენ გვიყურებდა.

ბულალტერიაში ავედით და დოქტორმა მაქსმა განკარგუ-

ლება გასცა, ამ თვეში დიაბეტეს ხელფასის ერთი მესამედი დაუქვითეთო. მთავარმა ბუღალტერმა გაიღიმა, რადგან დოქტორი მაქსი თითქმის ყოველდღე მიმართავს სიოლმე ამგვარ ზომებს თავის სელქვეითთა დასჯის მიზნით; ეს კი ფსიქოლოგიურად ფრიად დიდ ეფექტს ასდენს. მართლაც, ხელფასის დღეს, 28 რიცხვში, დამნაშავე გასსნის კონვერტს, სიცილ-სიცილით გაშლის მაგიდაზე კუთვნილ თანსხას (ამ დროს ყველა რატომღაც კარგ გუნებაზე დგება), გადათვლის ფულს — ჩვეულებრივ თანამშრომელთა თვალწინ, — და უცბად აღმოაჩენს, რომ ხელფასი დაუკავებიათ. იფიქრებს, ალბათ, რაღაცაში დამიქვითესო, გადახედავს დაქვითვების სიას, მაგრამ ეს თანსა იქ არ არის აღნიშნული, კვლავ გადაითვლის; ზოგჯერ ერთი მეოთხედი აკლიათ, ზოგჯერ ერთი მესამედი, უფრო სერიოზულ შემთხვევაში ხელფასის ნახევარიც კი, მაშინ დაზარალებული მიდის ბუღალტერიაში და მოითხოვს ახსნა-განმარტებას, მაგრამ არც ბუღალტერმა და არც მოლარემ არაფერი იციან ამ საქმისა, მაშინ იგი მთავარ ბუღალტერთან ან მის მოადგილესთან მოითხოვს შესვლას, ისინი ადგილზე არ დაუსვდებიან, კიდევ მიაკითხავს, მაგრამ არ იღებენ. ამის შემდეგ (თუკი მას არ შეუძლია უშუალოდ დოქტორ მაქსს მიმართოს) იგი ცდილობს ტელეფონით დაუკავშირდეს მთავარ ბუღალტერს, ანდა წერილს მისწერს. მაგრამ წერილზე პასუხს არ მიიღებს. გადის დღეები, ამასობაში ისიც დაფიქრდება, „ტვინს გაანძრევს", ბოლოს მთავარი ბუღალტრის ნახვასაც მოასერსებს (ან კაბინეტში ანდა ვითომც უეცრად დერეფანში თუ ქუჩაში შეეჩეხება პირისპირ), მთავარი ბუღალტერი ხელებს გაასავსავებს, დოქტორმა მაქსმა გვიბრძანაო. დოქტორი მაქსის დაჭერა კი არც ისე იოლი საქმეა. ხომ არ შეუძლია მართლაც ყველას ერთად და ცალკ-ცალკე ემსახუროს. და მაინც საბრალო ყველგან დასდევს და დაეძებს; თუ ბედი გაუღიმებს, შეიძლება შემთხვევით შეეფეთოს დერეფანში, ლიფტში ან სხვაგან სადმე. დოქტორი მაქსი ჯერ წყნარად ეტყვის, მერე თანდათან აუმაღლებს სმას — იმის მიხედვით, როგორი აკუსტიკა აქვს დერეფანსა თუ ლიფტს, ან რამდენი კაცია ამ ამბის შემსწრე, — და მერე მოჰყვება ლანძღვასა და ყვირილს:

— უუჰ, ეს კრეტინი ისევ აქ არის? (გვარს ასასელებს) ისევ ფესებში მებლანდება? ბოლოს და ბოლოს, რიდის მოშორდება აქედან?

ამ დღიდან ის უბედური თვალითაც აღარ დაენახვება, სულ დაიკარგება.

დამნაშავის ახლა ორი გზა დარჩენია, ან ბოლომდე უნდა მიიყვანოს საქმე, მოითხოვოს, რომ კადრების განყოფილების გამგემ ან მთავარმა ბუღალტერმა წვრილად აუხსნან საქმის არსი, ამას კი ძნელად თუ მიაღწევს ვინმე; ამავე დროს თვითონვე უნდა გაერკვეს საქმის ვითარებაში (არც ეს გამოსდის), ანდა იურისტს მიმართოს, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას, რადგან დამქირავებლის წინააღმდეგ იურისტის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ უკიდურეს ზომებს მიმართე; ეს გარდუვალად მიგიყვანს საბოლოო განხეთქილებამდე და ძალიან სერიოზულ შედეგებამდე. ამასთან იურისტი მოითხოვს დროსა და ფულს (რამდენად ზნეობრივია მოსამსახურის ოჯახურ ბიუჯეტში „ვექილის ხარჯების" გრაფა შედიოდეს, მით უმეტეს, როცა საქმე მისივე დამქირავებლის წინააღმდეგაა აღძრული?). ეს კი არათუ ამორალური, არამედ ყოვლად უაზროცაა; ამის გარდა, იურისტი თქვენგან მოითხოვს, რომ ღრმად იყოთ დარწმუნებული თქვენს სიმართლეში; თან არ დაგავიწყდეთ, ასეთ საქმეს ყოველთვის გამოეძებნება საეჭვო მხარეები და მოპასუხეც ყოველთვის არ არის დარწმუნებული თავის სიმართლეში; ხოლო თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საქმე ესება ისეთ დამქირავებელს, როგორიც დოქტორი მაქსია, ვისაც ყველა და ყველგან იცნობენ, მაშინ თქვენს დაცვასაც არავინ იკისრებს; და თუ მაინც იკისრა, მაშინ ან რაღაც სხვა, ბნელი მოსაზრებები ამოძრავებს, ან არადა, პოლიტიკურ სრიკებში გაგასვევთ, რისგანაც გირჩევსიათ, თავი შორს დაიჭიროთ. ჯერ ხომ საკუთარი პატრონი გაგისწორდებათ და მგლის ბილეთით ქუჩაში გაგისტუმრებთ, მერე სხვა ადგილზე მოწყობის ყველა გზა გადაგეკეტებათ და სულ ჯიბეგამოფსეკილიც დარჩებით.

თუ დაზარალებული ჭკუადამჯდარი კაცია, როგორც კი დანაკლისს აღმოაჩენს, უმალ იმასაც მისვდება, რა შედეგიც

ეოჰყვება ამას და ამიტომ წარბსაც არ შეიხრის, ისევ ისე გაუღიმებს თავის კოლეგებს (თითქოს ხელფასი კი არ შეუკვეცია, პირიქით მოუმატებიათ); იგი მაშინვე გაიაზრებს, რომ ეს ორივე გზა, თუ პირველად ძნელი, მაგრამ მაინც შესაძლებელი ეჩვენებოდა, სინამდვილეში თურმე სულ უიმედო ყოფილაო. რაკი ასე განსჯის, (ხოლო ვინც აჰყვება რაღაც შინაგან ცხოველური თავდაცვის ინსტინქტს, ყველა ასე განსჯის), იგი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და შვებითაც ამოისუნთქებს, თითქოს თავი საშინელ უბედურებას დააღწიაო. ერთადერთი და რეალური გადაწყვეტილებაა, იჯდეს ჩუმად და ისე დაიჭიროს თავი, ვითომც არაფერი მომხდარა, სხვა სიტყვებით, შეურიგდეს ამ ამბავს ან მიზეზების გამორკვევა სხვა დროისთვის გადადოს, ეჭვი არ არის, დროთა განმავლობაში გონებით თუ ვერ ჩასწვდება, ალღო მაინც მიასვედრებს.

რაკი დიაბეტე არაერთხელ გაბმულა ასეთ ხათაბალაში, მაშასადამე, ისიც ეცოდინება, როგორ მოიქცეს; ახლაც, თვის ბოლოს ხელფასს რომ მიიღებს (ფირმაში თხუთმეტი წლის მუშაობის მანძილზე მას არაერთხელ გამოუკვლევია მიზეზებიც და გადაწყვეტილებებიც მიუღია), თუმცა დიდი ალღოიანი კაცი არ გახლავთ, იმას იზამს, რასაც თავდაცვის ინსტინქტი უკარნახებს.

თურმე ბომბოლოც გაბმულა ამგვარ ხაფანგში, მაგრამ ყოველთვის მოუხერხებია და დაუბრუნებია გამოქვითული თანხა, რადგან, ჯერ ერთი, სხვებზე უფრო ეშმაკია და მეორეც — ყოველი თვის ბოლოს, მას, როგორც განყოფილების გამგეს, შეუძლია ანგარიში წარმოადგინოს არა ცალკ-ცალკე, არამედ თვიდან თვემდე ერთიანად.

მე ასეთი სასჯელი არ მომელის. რატომ ვარ დარწმუნებული? იმიტომ, რომ ამ საკითხზე დიდხანს ვიფიქრე და ასეთ დასკვნამდე მივედი: დოქტორი მაქსი მე ვერასოდეს ვერ დამსჯის, რადგან მე თვითონვე შემოვიფარგლე ჩემი თავი; დოქტორი მაქსის დაუინების მიუხედავად (წმინდა ტაქტიკური, თვალთმაქცური ხერხი, მოსინჯოს, რა მიზანი მამოძრავებს), არ მინდა ოფიციალურად ჩამრიცხონ შტატში; მე თვითონვე მოვითხოვ, რომ მომცენ ყველაზე დაბალი ხელფა-

სი, (თუმცა დოქტორი მაქსი ვითომ ცდილობს ორჯერ და სამჯერ გამიზარდოს), უარი ვთქვი ყოველგვარი საკუთრების შეძენაზე (არ მინდა არც ბინა, არც ავეჯი, არც ტელევიზორი, არც სარეცხი მანქანა, თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები და არც ავტომობილი), არც განვადებით ვყიდულობ რამეს (ლაბადის ვალი, გამოუცდელობით რომ ვიყიდე, სამ შეტანაზე დავფარე). მთელ ჩემს ქონებას შეადგენს ორი კოსტიუმი და რამდენიმე პერანგი—მაშასადამე, დასასჯელი მიზეზიც არა მაქვს. დოქტორი მაქსი კი სულ უფრო და უფრო დაჟინებით მიმეორებს თავის წინადადებას და სულის სიღრმეში კიდეც შურს ჩემი თავისუფლება; მარტო ეს თუ შეაშფოთებს მას, თორემ სხვა არაფერი. მშვენივრად იცის, რომ ასეთი პატარა სელფასითა და ჩემი ღარიბული ოთახით კმაყოფილი არ ვიქნები და ჩუმადაც იმიტომ არა ვარ, რომ სიბრალული გამოვიწვიო. ძალიან კარგად სცდება, რომ ჩემი საქციელით მე მას ზნეობრივ შეჯიბრში ვიწვევ. იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს დამწამოს უზნეობა და ამდენად ვერც ჩემს დასჯას ეღირსება, უმალ პირიქით (შეიძლება სასაცილოდაც მოგესვენოთ, მაგრამ ასეა), ეშინია, მე არ დავსაჯო. რასაკვირველია, მე ისეთ ზომებს ვერ მივიღებ, რასაც თვითონ მიმართავს (მაგალითად ხელფასის დაკავება), სამაგიეროდ, ჩემი სასჯელი ჭმინდა მორალური ხასიათისაა; მაგალითად, ერთი შესედვით ვაგრძნობინებ ხოლმე, რომ შევამჩნიე მისი ახალი კოსტიუმი და კიდევ უფრო უარესი — ახალი მანქანა!

ამ ზნეობრივ პაექრობასა და მეტოქეობაში იგი ყველაზე მწარედ მაშინ დამარცხდა, როცა ერთ კითხვაზე გადაჭრით მომთხოვა პასუხი. ვსაუბრობდით იმაზე, თუ რა სელმოკლედ ცხოვრობენ ჩემი მშობლები, ხოლო როცა მამაჩემი პენსიაზე გავა, კიდევ უფრო გაუჭირდებათ. ჩემი საცოლე მარიარომ ვახსენე, მისი გაცნობის სურვილიც კი გამოთქვა. თუმცა მოეწონება კია (ამ საკითხზე უნდა ვიფიქრო და რაღაც ვადავწყვიტო). სხვა მრავალ საკითხთა შორის, ჩემი მატერიალური მდგომარეობაც განვიხილეთ, უფრო ზუსტად ჩემი სელფასის საკითხი; რასაკვირველია, თუკი ცოლის შერთვას გადავწყვეტდი და მშობლებსაც დავეხმარებოდი, ხელფასი არც გამწვდებოდა. მე სულ ჩუმად ვიყავი და არც არაფერი მითხოვია. რო-

ცა დაინახა, რომ არც ერთმა თემამ მაინცდამაინც დიდად არ კამიტაცა, პირდაპირ მკითხა:

— რისკენ ისწრაფვით? რაღაც მიზანი ხომ უნდა გაგაჩნდეთ, იდუალი მიზანი! თქვენც გინდათ, ალბათ, რაიმე წაგლიჯოთ ან ამ ცხოვრებას, ან მე ანდა იქნებ ჯერ ისევ ფიქრობთ, აკვირდებით, არჩევთ, რას ჩაებღაუჭოთ, და მაშასადამე...

პირველი შემთხვევა იყო, რომ სიტყვა გავაწყვეტინე და ვუთხარი:

— მართალი ბრძანდებით, მეცა მაქვს მიზანი!

— შაინც რა მიზანი გაქვთ, თუ საიდუმლო არ არის? მითხარით!

ძალიან მინდოდა გამებედნიერებინა და ვუპასუხე:

— ჩემი მიზანია სიკვდილი!.. — მაგრამ მაშინვე მწარედ ვავიფიქრე, რომ მართალს ვამბობდი.

IV

დოქტორი მაქსი დაინიშნა. ამ ამბავმა ყველა გააოცა და აფორიაქა. სელენეს თუ დაეჯერება, ახალ შენობაში (იქ კი ორასზე მეტი თანამშრომელია) მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ, თუმცა რიგიანად არავინ არაფერი იცის.

დოქტორ მაქსს ამის თაობაზე ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს; მარტო მე კი არა, ეტყობა მისი მშობლებიც არ არიან ბაიბურში. ეს კი მართლა გასაკვირია, რადგან დოქტორ მაქსის დედამ, დოქტორმა ურაძამ შვილის ყოველი ნაბიჯი იცის, სულ მას დასდევს და დაჰკანკალებს. ბევრსა ჰგონია, დოქტორი მაქსისთვის ქორწინება პირდაპირ მისწრებაა, იმედი აქვთ ასლა მაინც ეშველებათ რამე და ზოგიერთი საკითხი მოგვარდება (როგორც მისი პირადი, ე. ი. ნერვიული სისტემის მდგომარეობა, ისე ფირმისა). მეც ამ აზრისა ვარ, თუმცა იმისიც მეშინია, რომ იმ პირთა რიცხვს, ვისაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოქტორ მაქსზე, კიდევ ერთი ადამიანი შეემატება და მისი ზემოქმედება უეჭველად გადამწყვეტი იქნება.

დოქტორი მაქსის დანიშვნასა და ქორწინებაზე ისე ლაპა-

რაკობენ, თითქოს ამ საკითხის მოგვარებასთან ერთად მისი შინაგანი ორგანოებიც დაცხრება და დაშოშმინდება; მაშინ კი, რაღა თქმა უნდა, ფირმის საქმეც უკეთ წავა, წარმოებისაც და რეკლამისაც, გასაღება და ნაღდი თუ განვადებითი ვაჭრობაც მოწესრიგდება, ჩვეულებრივი თუ ელექტრო-გამომთვლელი ბუღალტერიაც კალაპოტში ჩადგება, ხელფასის გადახდის საკითხიც და კიდევ ბევრი რამ.

უნდა ვაღიარო, რომ დოქტორ მაქსის დანიშვნის ამბავი ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო (ვითომ რატომ? განა დოქტორი მაქსი ჩვენგან განსხვავდება? რა თქმა უნდა, ჩვენ იგი არ გვგავს, სულ სხვაა, განსაკუთრებული მოდგმის ადამიანებს ეკუთვნის, რასაც მოწმობს თუნდაც თეთრი ლაქები პირის გარშემო, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს). როგორ წარმოვიდგენდი, რომ დღენიადაგ შრომითი მორალისა და ფირმის საქმეებით გართული დოქტორი მაქსი ცოლის შერთვას გადაწყვეტდა! მაშასადამე, მისი ხასიათის რომელიღაც მეტად მნიშვნელოვანი მხარე გამომრჩა. არცაა გასაკვირი, ამისთანა რამეებს ქალები უკეთ ამჩნევენ. მაგრამ ის კი უნდა ვთქვა, რომ ბომბოლოს არაერთხელ ჩაუქირქილებია დოქტორი მაქსის ხასიათის სწორედ ამ, ჩვენთვის გაუგებარ მხარეზე. ცხადია, მას ამ საკითხზე უფიქრია, მე კი არა; თუმცა ვერც ბომბოლო გაერკვა ამ ამბავში. კარგი თავსატეხი კი გაგვიჩნდა, რადგან ჩვენი ბედიცა და უბედობაც ამ ქორწინებაზე ეკიდა; ბედნიერი იქნება კია მათი შეუღლება? შეეფერებიან კი ერთმანეთს? თუმცა წინასწარ ვერავინ ვერაფერს იტყვის, თვით დოქტორი მაქსიც კი. ეგებ კიდეც შეეფერებიან, ეგებ არა. საქმე ხომ წმინდა ქიმიურ რეაქციას შეეხება, ქიმიაში მე ვერ ვერკვევი და თუნდაც ვერკვეოდე, რას მივსვდები, რამდენად შესაძლებელი და საჭიროა ეს კავშირი! თუ მათი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედება ერთმანეთს არ შეეფერება, მაშინ ისიც საფიქრელია, რა ზეგავლენას მოასდენს ეს ამბავი ფირმაზე და კერძოდ ჩემზე! იმედი უნდა ვიქონიო, რომ მორალურ პრობლემებში ნაფლული დოქტორი მაქსი ყურადღებასაც არ მიაქცევს თავისი საცოლის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებას (მაგრამ ვაითუ თვითონ საცოლემ ატეხოს ერთი ამბავი!) და მხოლოდ საქმის მორა-

ლურ მხარეზე იზრუნებს (ანუ თვით საცოლეზე და საერთოდ ქორწინების ინსტიტუტზე).

ბოლოს, როგორც იქნა, ის მაინც გავიგეთ, რომ საცოლე ღარიბი ყოფილა. არავინ იცის, ლამაზია თუ უშნო, კეთილია თუ ბოროტი, პატიოსანი თუ უპატიოსნო; მარტო ის იციან, რომ ღარიბია. ეს გარემოება ნათელს ჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს და იმასაც მოწმობს, რომ დოქტორი მაქსი არჩევანისას წმინდა მორალური პრინციპებით ხელმძღვანელობდა. მაშასადამე, მდიდარზე მდიდარმა დოქტორმა მაქსმა მეუღლედ აირჩია ღარიბზე ღარიბი ქალიშვილი. ეს ამბავი, ერთი შეხედვით, შეიძლება კარგადაც გენიშნოთ; ამით დოქტორმა მაქსმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი თანასწორია და მასაც ჩვენსავით შეუძლია ღარიბი ქალი შეირთოს; ხოლო ეს საქციელი პირად საპირფარეშოზე უარის თქმას უტოლდება, აქაოდა ადგილის ასეთი გაჭირვების დროს, არ მინდა რაიმე უპირატესობა გამოვიყენოო. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, რამეთუ დოქტორმა მაქსმა არ უწყის, რომ სიმდიდრე, ანუ ფული გახლავთ განსაკუთრებული ჯურის ხალხის პრეროგატივა, იმ ხალხისა, რომლებიც არაფრით ჰგვანან ღარიბებს. ამასთან სიტყვა „ჯური“ აქ იხმარება ბიოლოგიური მნიშვნელობით; მაშასადამე, ლაპარაკია ეარკვეულ ფიზიკურ, ფსიქიკურსა და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ჯამზე, რასაც თითქმის ვერ შეხვდებით სხვა ჯურის წარმომადგენელთა შორის! ზოგჯერ რაღაც გარემოებათა მეოხებით (კი ვერ ვიტყვი, რა გარემოებათა) ღარიბების ორგანიზმშიც აღმოჩნდება ხოლმე ისეთი ნივთიერებანი, რაც მათ გამდიდრების გზაზე დააყენებს; ასევე მდიდარსაც შეიძლება აღმოაჩნდეს ის ნივთიერება, რაც სიმდიდრის გაზრდისკენ უბიძგებს. მაგრამ ეს მარტო მაშინ ხდება, როცა მოცემული ჯური გარდამავალ სტადიაში იმყოფება, ესე იგი, ღარიბები აღმავლობის გზას ადგანან, მდიდრები კი დაცემისას. ალბათ, შევცდებოდით, რომ გვევარაუდა, ვითომ დოქტორი მაქსი სწორედ ამ გარდამავალ სტადიაშიაო; მთელი მისი სიმდიდრე ხომ წინა თაობების მიერაა დაგროვილი; მაგრამ ვერც იმას ვიტყოდი, დოქტორი მაქსი აღმავლობის გზას აღგას-მეთქი, რადგან ჯურ ერთი, სიფრთხილე მმარ-

თებს, მერე, ძალიან ახალგაზრდაა, თუმცა არც იმის საბაბი მაქვს ვთქვა, დაღმა მიექანება-მეთქი; მიუხედავად აშკარად გამოხატული ინტოქსიკაციისა, პიგმენტური ლაქებისა, სუსტი აღნაგობისა და მორალიზაციისკენ მიდრეკილებისა, დოქტორი მაქსი მაინც შეიძლება მივათვალოთ მოცემული ჯურის ახალგაზრდა, მტკიცე წარმომადგენელთა რიცხვს; არავითარი ნიშანი არა აქვს იმ სისუსტისა, განდგომილებისა და მეტისმეტი მელანქოლიისა თუ დაბნეულობისა, ანდა იმ უმიზეზო ტანჯვისა, იმ ნეტარი და თან მძიმე წინათგრძნობისა, რაც სწორედ დაცემის მომასწავებლად მიიჩნევა (ფინანსურ) და ძალიან ხშირად დასასრულის მაუწყებლად გვევლინება. არა, დოქტორი მაქსი ყოველივე ამისგან შორსა დგას და მეტად თავისებური ხასიათის მიუხედავად, სწორედ ამ ჯურის ტიპიურ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. შემდეგ რაღა იქნება, ვნახოთ.

* * *

გუშინ დილას დოქტორმა მაქსმა დამირეკა და მითხრა, ნახევარ საათში გამოგივლიო, საბაბი და მიზეზი არ გამომიკითხავს; ჩვეულებრივად ვიბანავე, ჩავიცვი სუფთა პერანგი, გამოვეწყვე და ჩავედი ქვემოთ. ამჯერად იგი თავისი მცირელიტრაჟიანი მანქანით კი არ მოვიდა, ვეება, ატმოსფერი მანქანით მობრძანდა (ამით მივხვდი, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი ძირფესვიანად შეცვლილიყო); მან უცბად დაამუხრუჭა მანქანა, ღიმილით (იგი არასოდეს იცინის და ამიტომ მისი ღიმილი კარგად მენიშნა) ფართოდ გამოაღო კარი და მიმიპატიჟა; მანქანაში ჩავჯექი და ლამის ჩავეფალი ლეოპარდის ტყავგადაკრულ სავარძელში. დოქტორმა მაქსმა კვლავ ღიმილით წარმოთქვა იმდენად უცნაური სიტყვები, გულასდილად რომ ვთქვა, ვერ გავიგე და არც მინდოდა გაგება, რამეთუ კარგად მომეხსენება, რა მოულოდნელი ხლართებისა და ქარაგმებისადმია მიდრეკილი მისი გონება. ეს სიტყვები ასე ეღერდა:

— მოგწონთ? ვიცი, ვიცი, რომ უზნეობაა, მაგრამ ფეხებზე მკიდია! — ამ სიტყვებით მოიჯახუნა კარი და გზას დავადექით.

მანქანა კარგად დავათვალიერე; ამერიკულია, სახურავი ეადასახდელი აქვს, სავარძლებზე ბეწვია გადაკრული, კარებსა და სახურავზე კი — ვარდისფერი ტყავი. სამართავი დაფა სადაფით არის მოოჭვილი და ურიცხვი ღილაკები და ნათურებით აჭრელებული, მინები ცისფერია. დოქტორი მაქსი დიდი სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას მივარდნილ ქუჩებში, ბოლოს ერთი სახლის წინ შეაჩერა; მანქანა იმდენ ხანს ქანაობდა რესორებზე, რომ კინაღამ გულზიდვა დამეწყო. სახლიდან ბომბოლო გამოვიდა; სიცილითა და ქათინაურებით მიესალმა დოქტორ მაქსს და მანქანაში ჩაჯდა; მე, რასაკვირველია, არ მომესალმა, ეს არც გამკვირვებია, ისე შეექცევა, ვითომ ვერც მამჩნევს. დოქტორ მაქსთან ლაპარაკში რამდენჯერმე მახსენა, მაგრამ სახელი კი არ უთქვამს, „ნორჩი თესლი" მიწოდა. მალე ჩაეძინა კიდეც; ძილში ლაპარაკობდა და ისე იქნევდა ხელებს, კეგონებოდათ ვიღაცას იგერიებსო.

ქალაქი გარდიგარდმო გადავსერეთ, გზატკეცილზე გავედით და ისეთი სისწრაფით გავქანდით, რომ ყველაფერი ერთმანეთში ამერია — პეიზაჟი, ფერები, სურნელება ერთმანეთს შეერწყა და ცისარტყელასმაგვარი ზოლის მეტი ფანჯრებს მიღმა რომ გარბოდა, არაფერი შემიმჩნევია. ბოლოს გამოჩნდა მაღალი მთები, ჩვენს თვალწინ წყნარი, ჩამუქებული ტბა ალაპლაპდა, მანქანამ ტბისკენ დაქანებულ დაკლაკნილ გზაზე გადაუხვია და მალე ობსერვატორიის გუმბათივით მრგვალ სახლთან გაჩერდა. გუმბათში დატანებული ალუმინის ორი „კარი — ლებანი" გაიღო და ყმაწვილი ქალი გამოვიდა; კუბოკრული ქვედა კაბა და ღია ნაცრისფერი სვიტერი ეცვა; მხრებზე ჩამოშვებული ხვეული თმა შავი ხავერდის ბაფთით შეეკრა. მანქანიდან გადმოვედით და დოქტორმა მაქსმა წარმოთქვა:

— ნება მიბოძე, ჩემი თანამშრომლები გაგაცნო! თქვენც იცნობდეთ, ეს ჩემი საცოლე გახლავთ!

ყმაწვილი ქალი რაღაც უცნაური, ფართო ნაბიჯით გამოემართა ჩვენსკენ, თან იღიმებოდა და თან ისე ასავსავებდა ენის წვერს, გეგონება, საულვაშეს ილოკავსო, თვალებსაც ასევე აფეთებდა აქეთ-იქით.

— ძალიან ცაციამოვსოა, — წაითლიფინა მან და გაფარ-ხული თითები გამოგვიწოდა.

მე და ბომბოლომ მოწიწებით ჩამოვართვით ხელი და ასევე მოწიწებით გავდექით განზე.

მერე ყველანი შინ შევედით ამ უცნაური სახლის დასათ-ვალიერებლად, რომელიც დოქტორ სატურნოს თავისი ვაჟი-შვილისთვის ეჩუქებინა. ამასობაში კარგად დავაკვირდი დო-ქტორი მაქსის საცოლესაც; მას მინი ჰქვია; ხმა თითქოს ჩვე-ულებრივი აქვს, მაგრამ განებივრებული ბავშვივით ჭირვეუ-ლად ლაპარაკობს (თუმცა ზიზღს მაინც არ იწვევს); მეტისმე-ტად ბევრს მოძრაობს და თან ამ მოძრაობებს უცნაურ შეა-ხილებს თუ შორისდებულებს აყოლებს; ლაპარაკის დროს სასაცილოდ იმანჭება, როცა დოქტორ მაქსს მიეალერსება, „სციპ"-ო წამოიძახებს ხოლმე, ლოყაზე ხელს რომ მოუთათუ-ნებს „მანგ", გვერდში მუჯლუგუნს უთავაზებს (რასაკვირვე-ლია, ხუმრობით) — „სმაკ", თუ კოცნის — „სშაკ", ვითომ ძილი მომერიაო აკრუტუნდება „რონ-რონ", მოშივდება და იღრი-ნება — „გრონ-გრონ", რომელი ერთი ვთქვა, თან მთელი ტა-ნით იგრიხება და იკლაკნება, მერე უცბად კოპებს შეყრის, მუშტებს მოიმარჯვებს, ფართო, გაჩაჩხული ნაბიჯით გაემარ-თება დოქტორი მაქსისკენ და ლაზათიანად წაუთაქებს; ამის შემდეგ წამწამებს დააფახულებს, გულზე ხელებს დაიწყობს მავედრებელივით და „სჩაკ" — ლოყაზე აკოცებს; „რუფ-რუფ" — ფრუტუნით თმას აუწეწავს, „სპლაკ" ხმამაღლა წა-მოიკივლებს, ხელ-ფეხს გაჩაჩხავს, ესას გაძოაკდებს და სა-ვარძელში ზღარბასს მოადებს. სხვა მხრივ კი თითქოს ჩვე-ულებრივი უსდა იყოს. კარგა ხანს ვუყურე და მაინც ვერ მი-ვხვდი, რატომ შეაჩერა თავისი არჩევანი მილიარდების პატ-რონმა მაქსმა ამ „სჩაკებით", „სმაკებითა" და „რონ-რონე-ბით" მოლაპარაკე ქალზე. ამან სულ ერთიანად ამირია ჩემი მოსაზრებები და ვარაუდები, თავდაყირა დააყენა ქორწინე-ბის ქიმიური, ისტორიული და ეკონომიური კანონების ცოდ-ნა; მოდი და გამოიცანი, რა შედეგი მოჰყვება მათს შეუღლე-ბას, დადებითი, თუ უარყოფითი, რა გავლენას მოახდენს სა-ვაჭრო ფირმაზე, მის ორასზე მეტი თანამშრომლის ბედზე, ადმინისტრაციულ თუ სავაჭრო დაგეგმარების განყოფილე-

ზებზე, ძველსა და ახალ შენობებზე, მთლიანად ფირმაზე და ბოლოს, ნემს კაბინეტზე, კერძოდ!

სახლის დათვალიერების შემდეგ მინიმ უეცრად „სციპო" დაიწკმუტუნა და მაშინვე ექიმის თეთრ ხალათში გამოწყობილი მეკარე-მაიმუნი გამოგვეცხადა. დოქტორმა მაქსმა გაიღიმა. მეკარე-სანიტარი მოგვიახლოვდა და დაიბუბუნა:

— ნემსი!

ბომბოლოს სიცილი აუტყდა და თან „გასაგიჟებელია", „ზღაპრულიაო" გაიძახოდა, თუმცა არც მას ესმოდა, რა ხდებოდა და თავისი ჭისვინით ყველაფერი ხუმრობაში უნდოდა ეაეტარებინა. მაგრამ მაიმუნ-თავისქალა-მეკარეს სულაც არ ესუმრებოდა. იფიქრა ბომბოლო დამცინისო და მუქარით დაიძრა მისკენ.

მინიმ მაშინღა აგვიხსნა:

— ძვილფას სტუმლებს ვიტამინის ნემსებით ვუმასპინძლდებით! — თან გვიჩვენა, როგორ აკეთებენ ნემსს და დაიწკმუტუნა — „სციიი-იპ!"

ვერც მე და ვერც ბომბოლომ ვერაფერი გავიგეთ. ბომბოლო ნელა-ნელა ჩაცხრა და ცხვირსახოცით თვალების წმენდას მოჰყვა. მაშინ კი დოქტორი მაქსიც ჩაერია.

— მე და მინი ვიტამინის ნემსებს ვიკეთებთ და გვინდა თქვენც გაგიმასპინძლდეთ. ერთი სიტყვით, თუ გნებავთ გაიკეთეთ, ნემზე დიდებულად მოქმედებს!

— ნუ შეწუხდებით! — მოვიბოდიშე მე და უარი განვაცხადე.

— სიამოვნებით! — მხიარულად თქვა ბომბოლომ.

კარისკაცმა სიტყვის დამთავრებაც არ აცალა, პირდაპირ მეზობელ ოთახში შეათრია; რამდენსამე წუთს მინის „გრონ-გრონ-ვრონ"-ის მეტი არაფერი ისმოდა, მერე ერთი შეყვირება გავიგონეთ და მალე ბომბოლოც გამობრძანდა, ყველა ღილი შეკრული ჰქონდა.

ახლა ჩემი ჯერი დადგა.

— არა, არა, — გავჯიუტდი მე, — ნუ შეწუხდებით, დიდ მადლობას მოგახსენებთ, არა მჭირდება, გმადლობთ!

მაგრამ ვინ გისმენდა.

მინიმ იმდენ ხანს უძახა დოქტორ მაქსს „სცი-ციპ-ციპ“-ო, სანამ მოთმინება არ დააკარგვინა და არ ააღრიალა:

— კრეტინო! გაიგონეთ, რასაც გეუბნებიან! ერთი შეხედეთ ამ ყეყეჩს! — და გადაიხარხარა.

მე მაინც არ ვნებდებოდი, მაშინ კარისკაცმა მტაცა ხელი და ძალით შემათრია მეზობელ ოთახში; ტომარასავით გადავეკიდე მკლავზე, ფეხებს უსიცოცხლოდ მივათრევდი. მან ტახტზე დამახეთქა, ბანჯგვლიანი ხელით შარვალი გამიხსნა და კარვა დიდი ნემსი მატკა თეძოში. ძალიან მეტკინა, ბომბოლოზე დიდხანს გამაჩერა, ეტყობა წამალიც მეტი გამიკეთა; მერე გაიღიმა და მეც ჩავიცვი; სასტუმრო ოთახში რომ გამოვედი, ჩემს დანახვაზე ყველა ერთხმად ახვიხვინდა, — „უაფ-„უაფ“—ო, გაჰკიოდა მინი და თან მუცელზე ხელებს იტყაპუნებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდნენ. დოქტორმა მაქსმა, ბომბოლომ და მე ფირმაზე წამოვიწყეთ ლაპარაკი, სასადილოშიაც ფირმაზე განვაგრძეთ საუბარი. მინი ყურადღებით გვისმენდა, დროდადრო თავის შენიშვნებს ჩაურთავდა ხოლმე კნავილითა და ხელების ქნევით. მის ლაპარაკს მარტო დოქტორი მაქსი ხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, სწორად მაინც პასუხობდა. მინის დიდი რეზინის ჩაქუჩი ეჭირა ხელში და თავს ირთობდა; ბოლოს ეტყობა, მობეზრდა ჩვენი საქმიანი საუბარი, „უუფ“-ო წამოიკივლა, მომიახლოვდა და ანაზდად „ბონგ“ — თავში ჩამცხო. გონება დავკარგე.

ვერა და ვერ გამოვიცანი ის საიდუმლო, როგორ მოხიბლა მინიმ დოქტორი მაქსი, მაინც რა ჯადო ჰქონდა ისეთი! პირველი ნიშნების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მინის გავლენა დოქტორ მაქსზე მაინც უფრო კეთილისმყოფელი უნდა იყოს. თუნდაც ისა ვთქვათ, რომ ჩვენს პატრონს პირის გარშემო თეთრი ლაქები გაუქრა, მორალურ პრობლემებზე მსჯელობებსაც ნელ-ნელა შეეშვა, სამაგიეროდ, გამოამჟღავნა აშკარად გამოხატული ლტოლვა ძალადობისკენ, ოღონდ ვერ მივმხვდარვარ, მისვანვე მოდის ეს, თუ სხვამ შეაყონა. ასეა თუ ისე, დოქტორი მაქსი ამ ბოლო ხანებში ხანდახან მაინც აიწყვეტს ხოლმე.

ვაითუ სწორედ ის მიხდა, რისიც თავიდანვე მეშინოდა! ნუთუ მაინ ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა და ერთმანეთს

არ შეეფერებიან? თუ ყველაფერი რიგზეა, მაშინ ასე რამ გააშმაგა და გაცოფა? ანდა იქნებ მათ შორის სიასლოვე არ ყოფილა და ამიტომ მუშაობითა და საქმიანობით იკლავს თავის დაუკმაყოფილებელ ენერგიას! თუ ასეა, თეთრი ლაქები რატომღა გაუქრა? რასაკვირველია, ეს მისი პირადი საქმეა და ამაზე პასუხის გაცემა მარტო მას შეუძლია. მე კი ვარაუდი-ღა დამრჩენია და ისიც ბოლივით იფანტება სინამდვილესთან შეჯახებისას. ჩემის აზრით, დოქტორი მაქსი ცდილობს საცოლეს დაუმტკიცოს, რომ ნამდვილი მამაკაცია, მაგრამ საუბედურიოდ, სინამდვილეში ასე არ არის; ამასთან იმ ძალაუფლების ჩვენება კი არ უნდა, რაც მამამისის ფულების წყალობით მოიპოვა, არამედ იმისა, რაც ვლინდება ყოველდღიურ საქმიანობასა და ადამიანებზე ზემოქმედებაში, სსვა სიტყვებით, დოქტორ მაქსს უნდა რომ იბატონოს მამამისის, დოქტორ სატურნოს მაგივრად, ვინც ეს ძალაუფლება მოიპოვა. ეს ყველაფერი ჩემი ვარაუდია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, დოქტორი მაქსი სულ გამოიცვალა, ერთის მხრით, თითქოს უფრო დატკბა, იშვიათად უკმეხობს და მისი წინააღმდეგობრიობაც ცოტა შერბილდა; მეორეს მხრით კი, თითქოს უფრო გაშმაგდა; დედამისი, დოქტორი ურაძა, რომელზედაც აქამდე ძლიერ მიჯაჭვული ყოფილა, თურმე ერთობ შეშფოთებულია შვილის ასეთი ფერისცვალებით. მისთვის ჯერ თვალიც არ მომიკრავს და სასტად დავრჩი, როცა გუშინ, ვიღაც წითელთმიანმა ქალმა ჩემს კაბინეტში თავი შემოყო.

— მე გახლავართ დოქტორი ურაძა, დოქტორი მაქსის დედა, — მითხრა მან ღიმილით და ლოყაზე ხელი მომითათუნა, — დღეს ჩემთან უნდა მობრძანდეთ, ერთად მინდა ვისაუბმოთ, სალაპარაკო მაქვს.

მე წამოვიწიე, მაგრამ ადგომა არ მაცალა, ხელით მანიშნა, იჯექიო, მერე ჩემი პატარა ოთახი შეათვალიერა და თქვა:

— ჩინებული კაბინეტი მოგიწყვიათ! — მერე გაიღიმა და სუმრობით თითი დამიქნია, მე ვერ მივუსვდი და მან განაგრძო, — ეს სულ თქვენი ბრალია, რომ ახლა მაქსი საერთო საპირფარეშოში დადის! მე, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ მაინც მერჩივნა, საკუთარი საპირფარეშო ჰქონოდა, მით უფრო, რომ ეს აზრი მე მეკუთვნოდა

ოავიდანვე და, ალბათ, ამიტომაც ჩემს ჯიბრზე გააუქმებინა და თქვენ მოგიწყოთ კაბინეტი!

— დოქტორ ურაძა, თუ ინებებთ, მზად ვარ... — მინდოდა მაშინვე ამეხსნა, რომ მე არაფერ შუაში არ ვიყავი და ეს მარტო დოქტორი მაქსის ახირება იყო.

— ვიცი, ვიცი, რომ თვითონვე მოისურვა!.. სწორადაც მოიქცა, მისი გადაწყვეტილება ჭეშმარიტად მაღალზნეობრივი იყო... (რაო, დოქტორი ურაძაც ზნეობაზე მსჯელობს? ეტყობა, დოქტორ მაქსს ესეც მემკვიდრეობით მიუღია! აი, რა ყოფილა მისი მოულოდნელი სტუმრობის მიზეზი! რამდენი ხანია აქა ვზივარ და პირველად კი ვნახე). კარგი, მაგრამ ზნეობა და ჰიგიენა როგორღა უთავსდება ერთმანეთს? დღევანდელ დღეს ეს არც ისე იოლი საქმეა; ასე არაა? მაშ მოხვალთ? — ცოტა შევყოყმანდი, ვერ მოვიფიქრე, რა შეპასუხა, — ზუსტად პირველის ნახევარზე გელოდებით! — სწრაფად დაიჩურჩულა მან და გაქრა.

ისევ სამუშაოს მივუბრუნდი, მაგრამ თავში სულ დოქტორი ურაძას სტუმრობის ამბავი მიტრიალებდა. რაში დასჭირდა ჩემი დაპატიჟება? საერთოდ, პირადად ჩემი და თიოქმის მთელი ფირმის მუშა-მოსამსახურეთა საქმე და საზრუნავი მარტო ის არის, რომ ვსხედვართ და ვფიქრობთ ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებებზე და ყველაზე უწინ კი დოქტორ მაქსთან ურთიერთობაზე (მის საწყისზე, განვითარებასა და დასასრულზე, თუმცა დასასრული ჩვეულებრივ ერთია); ასევე ვფიქრობთ განყოფილებათა შორის გაუთავებელ დავაზე, რაც ისევ და ისევ დოქტორი მაქსის შეხედულებებსა და გუნებ-განწყობაზეა დამოკიდებული, — ვისადმი განეწყო კეთილად, ვისადმი — ბოროტად, და ბოლოს ვფიქრობთ თვით დოქტორი მაქსის დამოკიდებულებებზე სხვა ადამიანებთან, სხვა განყოფილებებთან და კიდევ იმათზეც, ვისაც კარგად არ ვიცნობთ და მომავალში მაითან ურთიერთობის გეზი დოქტორი მაქსის გუნებ-განწყობის მიხედვით უნდა ავიღოთ.

ახლა კიდევ დოქტორმა ურაძამაც გამიჩინა კარგი თავსატეხი. რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან? რაღა მაინცდამაინც მე დამპატიჟა საუზმეზე? ცოტა არ იყოს, ავფორიაქდი და და მთელი დილა, ლამის პირველ საათამდე სულ იმაზე ვფი-

ქრობდი, თუ დოქტორი ურაძას განზრასვას ვერ მივსვდები, მისი სასიათის ის მხარე მაინც გამოვიცნო, რაც მისი რბილი, ცეცსლივით ჩითელი თმის ბულულებმა მაგრძნობინა; დოქტორ ურაძას განსაკუთრებული თმა აქვს, ბუმბულივით მსუბუქი და რბილი, თან ერთთავად ყალყზე უდგას (ეგებ სწორედ ამ ზევით სწრაფვამ განსაზღვრა კიდეც დოქტორი ურაძასა და მისი ვაჟიშვილის მაღალი მდგომარეობაც), ჰაერის ოდნავი მოძრაობაც კმარა, რომ ცსენის ფაფარივით დაიწყოს ლივლივი, იქნებ მის თმას თავისებური მაგნეტიზმი ან ელექტრული მუსტი აქვს და ზევით, სივრცეშიც ის ეზიდება ათასი უწვრილესი ანტენის მსგავსად. შესაძლოა ის თეთრი ლაქებიც შინაგანი სეკრეციის დარღვევის ნიშანია, თან ასეთივე ლაქები ამჩნევია დოქტორ ურაძასაც (დიდი პირის გარშემო, მაგრამ ცოტა ნაკლები); ალბათ, ესეც მემკვიდრეობით გამოჰყვა დედისგან დოქტორ მაქსს.

დოქტორმა ურაძამ ჩემზე ერთსა და იმავე დროს კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა და ცუდიც; კარგი იმიტომ, რომ მისი ღიმილი რაღაც ბავშვური, სუფთა მეჩვენა და ამასთან კუშტი და ეაქვავებულიც; (ასე შეიძლება კოღოები იღიმებოდნენ); ცუდი იმიტომ, რომ მისი თმა საოცრად მგრძნობიარე ხელსაწყოს მაგონებს და ეს არის მისი საკუთარი, სხვისთვის მიუწვდომელია, ეგებ სხვა ვერც კი ამჩნევს და ვერც რაიმე განსაკუთრებულსა და საშიშს ხედავს ამაში; მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვეულებრივი მგრძნობიარე ხელსაწყოებისგან განსხვავებით დოქტორ ურაძას თმა წარმოადგენს ძლიერ იარაღს და ისიც, უეჭველია, ამით სარგებლობს. თან ისიც მჯერა, რომ ჩემთან და ჩემს ოთახთან მოახლოებაც კი საკმარისი იყო (შიგნით არც კი შემოსულა, მარტო თავი შემოჰყო), რომ მის თმას ჩემზე რაღაც უხილავი საშუალებით მიეწოდებინა ისეთი ცნობები, რაზეც თავად წარმოდგენაც არა მაქვს.

ზუსტად პირველის ნახევარზე ჩავედი ქვევით, პირველ სართულზე, სადაც უკვე მიცდიდა ის საზიზღარი მეკარე (არასოდეს დამავიწყდება, რა სისაძაგლის ჩამდენი არ იყო ეს კაცი, მარტო იმ თავისი რკინის კუნთების იმედით). ვითომც არაფერიც არ მომხდარაო, ან ვითომც პირველად მხედავსო (უფრო სწორად, იატაკს ჩასჩერებოდა, ჩემთვის არც შემოუ-

ხედავს), მშვიდად გამოაღო მინის კედელში დატანებული მომცრო კარი. ფირმაში მოსვლის პირველ დღესვე სწორად ვივარაუდე: ამ კედლისა და შუშის თაღს მიღმა მართლა ხეები იდგა და ბოტანიკურ ბაღსა თუ დიდ ორანჟერეას მოგაგონებდათ. ნოტიო ჰაერმა, ყვავილებისა და მცენარეების მძაფრმა სუნმა წამით სული შემიგუბა, მაგრამ მალე შევეჩვიე. სანამ ვიცდიდი (დოქტორი ურაძას აპარტამენტები ფირმის ახალი შენობის ქვედა სართულზეა), ვიდექი და ვათვალიერებდი ხეების აქაზრზენ სქელ ფოთლებს, მსუბუქ ღრუბლებად გაფანტულ კაპელვენერის ბუჩქებს, მიწიდან ამოზრდილ თმას რომ მოგაგონებდათ (სხვათა შორის, სულ დოქტორ ურაძას თმას კი ჰგავდა), რბილ, მოქნილ, ერთმანეთში გადახლართულ გლიციინიის ტოტებსა და მრგვალი აუზის ფსკერზე მოდებულ ხავსს; ბაღიდან დოქტორი ურაძას სამყოფელისაკენ ჩვეულებრივი გზა არ მიდიოდა, ხავსითა და ლურჯი ზამბახის გრძელი ღეროებით შენიღბული და დახლართული ბილიკებით უნდა გევლოთ; აქვე იდგა ფორთოხლის ხეებიც, ლიმონებიც, თეთრი, ქორფა ყვავილებით გადაპენტილი მაგნოლიაც; რაკი თაღქვეშ გაზრდის საშუალება არა ჰქონდათ, ხეები თვალებგადმოკარკლულ ჯმუხი ქონდრისკაცების ბრბოს დამსგავსებოდნენ. პატარა, მეტისმეტად ნაპტივები მცენარეები თითქოს სიმსუქნისაგან იტანჯებოდნენ. ამ გადაფოთლილ ბაღნარში აქა-იქ მიმოფანტული ყვავილები ისე ქორფად გამოიყურებოდნენ, თითქოს ეს-ეს არის ეაიშალნენო, მაგრამ ცალკეული ფურცელი უზომოდ გაზრდილიყო და ხორცის ნაჭერსა თუ სისხლიანი კანის ნაფლეთებს დამსგავსებოდა, ხოლო მაგნოლიის, ორიოდე ატმის ხისა და ვაზის ბუჩქი ქონდრისკაცის ფეხებივით ჯმუხი და დაგრეხილ-დაკენთული გეჩვენებოდათ.

ბაღი თითქოს ზღაპრულად ლამაზი იყო, ირგვლივ კეთილსურნელებაც იდგა, მაგრამ თან სასაფლაოს განწყობას გიქმნიდათ, რაღაც ხელოვნურობის გრძნობა გეუფლებოდათ. ამ ხეთა ფესვებსა და ტოტებში, ნაპტივებ ფოთლებსა თუ ყვავილებში რაღაც უყმური და მრისხანე, საშიში ძალა იმალებოდა, რაც ბუნებრივი ფლორის სუნთქვას კი არა ჰგავდა, არამედ უზარმაზარი ფაუნის ქშენას, ტეკრში მსხვერპლს რომ

ჩაუსაფრდება. ისეთი გრძნობა მომერია, თითქოს ეს ბაღი ყველა ჩვენი, ფირმაში მომუშავეთა, თვით დოქტორი მაქსისა და დედამისის — დოქტორი ურაძას განსახიერება იყო. ჩვენ ყველანი, თვით პატრონიცა და მისი მეუღლეც გავებით ვეებერთელა მასეში და ამ ატმის სეების, ვაზის, გლიციინიებისა და მაგნოლიების მსგავსად იძულებული გავხდით შეგვენერებინა ჩვენი ბუნებრივი ზრდა-განვითარება, არ მიგვეცა გამოსავალი ენერგიისთვის, ბოლოს კი მათსავით დავკნინებულიყავით და დავმახინჯებულიყავით. მაგრამ ამ მცენარეთაგან განსხვავებით, შეკნეულად რომ გამოემზეურებინათ თავიანთი სიმახინჯე, ჩვენ სიმახინჯეს ვმალავთ და ვრქმალავთ და ამიტომაც დღითი დღე უფრო და უფრო გვიგროვდება ერთმანეთისადმი სიძულვილი.

ამ ფიქრებიდან თეთრქურთუკიანმა მსასურმა გამომარკვია და მანიშნა უკან გამომყევით; მეც გავყევი, გავიარე აივანი, მერე დერეფანი, ავედი კიბეზე. და იქვე შევედი ძველებური აკეჯით მოწყობილ და სალიჩებითა და გობელენებით მოფარდაგებულ სასტუმრო ოთახში. შუაგულში, ფანჯრების პირდაპირ იდგა დივანი; ფანჯრებიდან მოჩანდა ფირმის ახალი შესასვლელი და მანქანებით გაჭედილი ქუჩა. შესვლისთანავე შევამჩნიე, რომ დივანზე ვიღაც იჯდა და თვლემდა; ეს ვიღაც თურმე დოქტორი სატურნო გახლდათ.

იგი მოხუცი იყო, საკმაოდ მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად გამოიყურებოდა, ისე მოშვებული იჯდა, ეტყობა დაღლილი იყო; კვადრატული თავი, გრძელი, ჭაღარა თმა, დიდრონი, ოდესღაც, ალბათ, ღონიერი ხელები, ცისფერი, კრიალა და თან ბავშვურად უცოდველი თვალები ჰქონდა. ასლა ეს ბავშვურად უცოდველი მსიარული და ამავე დროს სარბად მომზირალი თვალები მე მომაპყრო; მათი ელვარება შენჯღრეული რძის ნალექის მსგავს რაღაც მოთეთრო ჩრდილს დაებინდა.

დოქტორმა სატურნომ კარგა ხანს მიყურა (მოთეთრო ჩრდილი აშკარად დავინახე), მერე თავის გვერდზე, დივანს ხელი დაარტყა და დამიძახა:

— აქ დაჯექი!

მეც დავჯექი. მან პიჯაკის ჯიბიდან ნახევარმთვარისებუ-

რი შუშიანი პენსნე ამოიღო, გაიკეთა, კიდევ ერთხელ შემომხედა და კმაყოფილებით გაიღიმა.

— იცი, რას გეტყვი, — თქვა მან ხმადაბლა და კარგა ხნით გაჩუმდა, — ფული არაფერსაც არ ნიშნავს, გაიგე? დაიხსომე, ვიცი, რასაც ვამბობ.

მან კვლავ შემომხედა, ალბათ უნდოდა შეემოწმებინა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა სიტყვებმა. თავი ვეღარ შევიკავე და წავიფრუტუნე. მან ფერმკრთალი, მიცვალებულივით მოკრუნჩხული თითი ტუჩებთან მიიტანა.

— სუ-სუუ, მხოლოდ არ გაგვიგონ, თორემ გულს გამიწვრილებენ, რა გლეხუქასავით იქცევიო. რაღა გულის გაწვრილება მინდა. ენამწარას ამბავი არ იცი?

— ენამწარა ვილაა? — ვკითხე მე.

— ენამწარა? ეეჰ, ჩემო კარგო, ენამწარა ვილააო? აბა ყური დამიგდე? — იგი კრუსუნით წამოდგა დივანიდან და დაბალი ხმით წაიმღერა:

ცაღი ფესი ხისა აქვს,
ცაღი მუკაოსიო,
იმნაირად დაჩეასუნობს,
თითქოს გესაღეპაო!..

ეს უცნაური სიმღერა რომ დაასრულა, ძლივს გაიშალა წელში, გაწყობილი სუფრისკენ გაემართა და დაიყვირა:

— ვჭამთ თუ არა? ვიღას ვუცდით?

მერე მაგიდას მიუჯდა და ვერცხლის თეფშზე კოვზის კაკუნი ატეხა. მაშინვე მოირბინა მსახურმა და დოქტორი ურაძაც უკან მოჰყვა.

— რა იყო, რა მოხდა?

— ვჭამთ თუ არა? რას მომჩერებიხარ, დოყლაპიავ, ისა ჯობია, საქმელი მოიტანო დროზე!

— სატურნო, ჯერ ხომ... — დაიწყო დოქტორმა ურაძამ, მაგრამ მან ხელი სტაცა და ძალით მოისვა გვერდით.

სადილზე დოქტორ სატურნოს სმა არ ამოუღია, ბოლოს დოქტორი მაქსიც გამოგვეცხადა. შვილის დანახვაზე დოქტორ სატურნოს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ ცრემლები წამოსცვივდა; სული რომ მოითქვა, ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი, დოყლაპიავ, შენ საცოლეს მართლა

მინი ჰქვია? მინი სომ თაგუნია ტოპოლინოს ცოლია, არ გახსოვს?

დოქტორ მაქსს მკვდრის ფერი დაედო.

— ნებას არ მოგცემთ... — სიტყვა ველარ დაასრულა, ენა დაება და ლუღლუღი დაიწყო.

— ბე-ბე-ბე!... დოყლაპიავ! თუ შენს ცოლს მინი ჰქვია, პაშინ შენ ვიღა იქნები, თაგუნია ტოპოლინო? მე კი პეპერონ ღეი პეპერონი გამოვდივარ, ასე არ არის? აბა, აბა, ტოპოლინო, რა გაბრაზებს!..

დოქტორი ურაძა მეუღლეს ხელზე ხელს უჭერდა, ანიშნებდა, გაჩერდიო, მაგრამ დოქტორ სატურნოს ცოლის მუდარა აინუნშიაც არ ჩაუდია, გულიანად იცინოდა; აი, ახლა კი მოილად გადაირია დოქტორი მაქსი.

— ნებას არ მოგცემთ, ნებას არ მოგცემთ... — ერთხელ კიდევ გამოსცრა, მაგრამ ნიკაპი აუკანკალდა, სიტყვა ველარ დაასრულა, სახე მოექცა და სლუკუნი აუვარდა. ერთი სიტყვით, ატირებული დოქტორი მაქსი ოთახიდან გავარდა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რის ნებას არ მომცემ, შე დოყლაპიავ, შენა! ეგ შენი მინიც კარგი ვინმე ბრძანდება!.. — შიაძახა შვილს სატურნომ.

დოქტორმა სატურნომ მშვიდად აიღო კოვზი და ნაყინის ჭამა დაიწყო. დოქტორი ურაძა, რასაკვირველია, შვილს მაშინვე გამოეკიდა. სუფრას ისევ ჩვენ ორნი შევრჩით. დოქტორ სატურნოს ხმა აღარ ამოუღია, ნაყინი რომ მოათავა, ადგა, გვერდით ჩამიარა, არც შემოუხედავს ჩემთვის, და აჩქარებული, მტკიცე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

აი, თურმე როგორი ყოფილა ეს დოქტორი სატურნო! ამ კაცმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენს სავაჭრო ფირმასა და ეს აურაცხელი ქონება დააგროვა! მას შემდეგ, რაც ამ დიდ ქალაქში ჩამოვედი და ამ ფირმაში დავიწყე მუშაობა, დღეს პირველად დამეუფლა გრძნობა, რომელიც თითქმის დავიწყებული მქონდა; ეს იყო რეალობის გრძნობა. თვით ქალაქის, ადამიანების, ყველა აქ შეძენილი ნაცნობის უპირველესი დამახასიათებელი ნიშანი იყო რაღაც ფანტასტურობა, თითქოს ისინი ცოცხალი ადამიანები კი არ იყვნენ, მოჩვენებებს, მივარეულებს ჰგავდნენ და მათდამიც ზიზღის გრძნობა გამი-

ჩნდა. დოქტორ სატურნოზე კი, მისი სახელის მიუხედავად, ამას ვერ ვიტყოდი, იგი სრულიად რეალური არსება გასლდათ. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვხედავდი კაცს და არა მოჩვენებას; ასეთივე განცდა მქონდა ყველა ნივთის მიმართ, რაც იმ ოთახში მოიპოვებოდა — თეფშები, დანა-ჩანგალი, სურათები, გობელენები, დივანი, ფანჯრიდან რომ მანქანები მოჩანდა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ვხედავდი ნამდვილი იყო, შემეძლო ხელითაც შევხებოდი, დამეხახელებინა; ლაქიაც კი, სუფრაზე რომ გვემსახურებოდა მხოლოდ ლაქია იყო და მეტი არაფერი; დოქტორი ურაძა უბედური ბებრუხუნა, დოქტორი მაქსი — ბავშვი და მამაც სწორედ ბავშვივით ექცეოდა. მაგრამ ეს შეგრძნება იქამდე გამყვა, სანამ დოქტორი სატურნო იყო იქ, როგორც კი იგი ოთახიდან გავიდა, მაშინვე ყველაფერი, საგნები თუ ადამიანები კვლავ ნელ-ნელა ისევ მოჩვენებებად გადაიქცა, ხოლო დოქტორი ურაძას გამოჩენისთანავე რეალობის ნიშანწყალიც აღარ დარჩა.

იგი ატირებული შემოვიდა და გვერდით მომიჯდა, დივანზე. მისი გიზგიზა თმა წყალმცენარის ბუჩქივით ლივლივებდა ჰაერში.

— ახლა ხომ საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ ექცევა! — ისე მიჭერდა ხელზე ხელს, რომ ეტყობა, ძალიან ღელავდა, — ნახეთ? ამის მოთმენა აღარ შემიძლია, ნამდვილად სიცოცხლეს მომისწრაფებს!..

— რას ბრძანებთ, დოქტორ ურაძა, უბრალოდ ეხუმრებოდა, დოქტორი მაქსი ხომ მისი პირმშოა! — ესლა ვუთხარი დასამშვიდებლად.

— ეხუმრებოდაო? — სიტყვა გამაწყვეტინა მან, თან ისევ ისე მიჭერდა ხელს, — პირიქით, განგებ აყენებს შეურაცხყოფას, სიშმაგემდე მიჰყავს, განსაკუთრებით კი უცხოთა თანდასწრებით! არც ახლა გაუშვა ხელიდან შემთხვევა! სულ იმას ცდილობს, სხვის თვალში დაამციროს, დაუმტკიცოს, პატრონი მე ვარ და არა შენო... ახლა მაქსი სადღაც გაიქცა, ნამდვილად შეტევა გაუმეორდება. პირველად ხომ არ ხდება... მე სულ არ მიწევს ანგარიშს... ის კი არადა, გამარტყა კიდეც...

— გაგარტყათ?!

— დიახ, გაშარტყა, აი, შეხედეთ! — და დოქტორმა ურაძამ ხახიდან ხველი ცხვირსახოცი ამოიშორა; მარცხენა ყვრიმალი ძარღლაც შესიებოდა და სილურჯეც დაჰკრავდა.

ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ დოქტორი მაქსი ისე გაბოროტდებოდა, მშობელ დედასაც კი ხელით შეეხებოდა; მაგრამ საკუთარი თვალით ვნახე მისი ნამოქმედარი და რაღა მეთქმოდა. თუმცა რატომ არ შეიძლებოდა, თვითონ დოქტორ ურაძას დასცდენოდა ფეხი, დაცემულიყო და ახლა ამ გალურჯებულ ლოყას იმიტომ მაჩვენებს, რომ ვული ამიჩუყოს! აკი ფილასვე გამომიცხადა შენთან საუბარი მსურსო. მაშინ დოქტორი სატურნოს ხსენებაც არ ყოფილა, არც მიფიქრია, რომ აქ დამხვდებოდა; რატომღაც მეგონა, დოქტორი ურაძა მინიზე მელაპარაკებოდა, ანდა საერთოდ მაქსის ნიშნობაზე ჩამოიმიდებდა სიტყვას.

— ამისთანა რამ თუ გაგიგონიათ! — განაგრძო დოქტორმა ურაძამ და თან ყვრიმალზე ძმრით გაჟღენთილ ცხვირსახოცს იფარებდა. — ისე მეცოდება, ლამის ვული გამისკდეს!. როგორ გაბწარდა!.. მეშინია, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს... სულ ასეთ შიშსა და კანკალში ვცხოვრობ!.. ამიტომ ვურჩევ ხოლმე სხვებზე ამოიყაროს ჯავრი, ნურც მე დამინდობს, ოღონდ კი თავი არ შეიკავოს და ბოღმა გულში არ ჩაიტრიალოს, მისი ჯანმრთელობისთვის ასე ჯობია. ახლა ეს მითხარით, კეთილი ხართ? — სხაპასხუპით მომაყარა მან.

— ვინ, მე?

— დიახ, თქვენ, კეთილი ხართ-მეთქი? ჩემი მეგობარი ხართ?

მისმა კითხვამ საგონებელში ჩამაგდო, აბა, რა ვიცი კეთილი ვარ, თუ არა, ან მისი მეგობარი საიდანა ვარ? ვგრძნობდი, რომ პასუხი სწრაფად უნდა გამეცა და თან დამაკმაყოფილებელი! სიტყვები ჩემდაუნებურად მომწყდა ბაგიდან:

— არ ვიცი, კეთილი ვარ, თუ არა; ალბათ, ვარ! მაგრამ, როგორ გითხრათ, თქვენი მეგობარი ვარ-მეთქი, როცა დღეს პირველად გნახეთ?! მე მარტო შემიძლია ვთქვა, რომ იმედი მაქვს, დოქტორი მაქსი მთვლის მეგობრად...

— აი, სწორედ ამის გაგონება მინდოდა თქვენგან. თუ დოქტორი მაქსის მეგობარი, ხართ, მაშასადამე, ჩემიც ყოფილ-

სართ! მე სომ მისი ღეღა ვარ, ესე იგი... სწორედ ამის გაგება მინდოდა... აჰა, მაპატიეთ... ყავას სომ არ ინებებთ?

მსასური კარგა სანია სინიო ხელში იდგა და გველოდა. დოქტორმა ურაძამ თავისთვის კი აიღო, მაგრამ მე დავავიწყდი, თავად მსასურმა ვერ გაბედა ჩემთვისაც შემოეთავაზებინა და ის-ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ფინჯანი ჩამოვართვი, თუმცა არ დამილევია, შეეშინდა, დოქტორმა ურაძამ არ იფიქროს, ჩემთან საუბარზე მეტად ყავა ეამებაო.

— თავად ნახეთ, როგორ ექცევა! აბა, რა უფროსი უნდა დადგეს მისგან, თუ მშობელი მამა ასე აბუჩად აიდებს? თუმცა მე ჩემის მსრივ ყოველთვის ჩავაგონებდი, მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებ, ხელქვეითთა მიმართ გულისხმიერი იყავი, ჯობია ისევ გულს ენდო, ვინემ ძალას-მეთქი. ამიტომ მინდოდა თქვენგან გეთქვათ, კეთილი ხართ თუ არა. თუმცა კითხვაც არ მინდოდა, ისედაც ვიცოდი მაქსიმალურ. გმადლობთ, ყველაფრისთვის, რაც აქამდე ვაკეთებინეთ და რასაც მომავალში გააკეთებთ მისთვის. ვიცი, რომ ბევრს აკეთებთ, ყველაფერი ვიცი.

— მართალი გითხრათ, ისეთს არაფერს ვაკეთებ...

— აი, თუნდაც ეს პასუხი კმარა, რომ დაგიჯეროთ, რა კეთილიც ხართ. თქვენ მართლაც არაფერს აკეთებთ, სულ არაფერს... — დოქტორმა ურაძამ პირზე ხელი აიფარა და ჩაიფსუკუნა, — მაგრამ თვითონვე აღიარებთ, სხვებიც სხვედან უქმად, მაგრამ აბა თუ გამოტყდებიან! ერთი რამ უნდა იცოდეთ, როცა ადამიანი არაფერს აკეთებს, თითს თითზე არ აკარებს და თან ამაში ფულსაც იღებს, თვითონვე უყრის ... მარყუჟში, პატრონი უბრალოდ იძულებულია...

— უკაცრავად, მაგრამ არ მესმის...

მართლა არ მესმოდა, რაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ იმას კი ესვდებოდი, რომ დოქტორმა ურაძამაც ივივე ქადაგება წამოიწყო მორალსა და შრომაზე; ქუთუთოები ტყეიასავით დამიმძიმდა და თვლემა მომერია; საბედნიეროდ, დოქტორმა ურაძამ ხმას აუწია და გამომაფხიზლა.

— როგორ თუ არ გესმით? რატომ არ გესმით, იმიტომ, რომ ყეყეჩი ხართ, თუ იმიტომ, რომ გძინავთ? — ცივი ხმით წამოიკივლა მან და მაგიდაზე ხელი ისე დაარტყა, მონასტრის

აღშფოთებულებმა რომ იციან. რას ნიშნავს „არ მესმის?" ყველა თავს იკატუნებს, ვითომ არაფერი ესმის, და დოქტორ მაქსს კი ფულებს სცინცლავენ, სასოწარკვეთილებამდე მიჰყავთ. ვიცი, რომ თქვენ ასეთი არა ხართ, თუმცა თქვენც... უკაცრავად, რამდენს იღებთ? თქვით, ნუ გერიდებათ, მე ხომ დედად ვეკუთვნით...

— თვეში სამოცდაათი ათას ლირას, — წავილუღლუღე მე, მაკრამ დოქტორმა ურაძამ, ეტყობა, ეს თანხა საკმარისზე მეტად მიიჩნია.

— არც ისე ცოტაა... — ჩაილაპარაკა თავისთვის, — მაქსს ძალზე კეთილი გული აქვს, ყველაფერს თვითონ აკეთებს, ყველაფერს, თუმცა კი მის განკარგულებაში ორასზე მეტი კაცია, ყველას მაგივრად მუშაობს, სხვები კი გასამრჯელოს თხოულობენ. სწორია, გასამრჯელო უნდა მისცე, რაც ერგება, ვინ დაუჭერს, მაგრამ ამ საკითხშიც უნდა გაარჩიო ერთმანეთისგან კეთილი და ბოროტი; კარგი უნდა წაახალისო, ცუდი დასაჯო. — დოქტორმა ურაძამ კვლავ დაარტყა მაგიდას ხელი, — აი, მაგალითად, თქვენ კარგი ადამიანი ხართ, როდესაც მაქსმა მიამბო, რომ მის ყოფილ საპირფარეშოში მოგიწყვეს კაბინეტი და იქ მუშაობთ, იმდენი ვიცინეთ, იმდენი, მოვკვდით სიცილით! მარტო სატურნოს არ ეცინებოდა, მაგრამ ის ხომ არც არასოდეს იცინის და არც არავის უსმენს. საერთოდ არავინ ენაღვლება. კარგად მახსოვს, მოდის ერთ დღეს ჩემთან მაქსი, ისეთ მხიარულ გუნებაზეა და ისე იცინის, ბავშვობისას რომ იცოდა სოლმე და მეუბნება: „იცი, დედა, სავაჭრო დაგეგმარებაში ერთი ძალიან კარგი ყმაწვილი მივიღეთ". ეს ყმაწვილი მგეგმავი თქვენ ხართ. თუმცა, მართალი გითხრათ, არც თქვენი გეგმები გვინახავს და არც ვაჭრობა! ღმერთო ჩემო, რამდენი ვიცინეთ! მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ თქვენ უთუოდ კარგი ადამიანი იქნებოდით, თუნდაც... — დოქტორი ურაძა ერთი წამით გაჩუმდა, ყურადღებით შემათვალიერა და დაასკვნა, — თუნდაც განვადებით ყიდულობდეთ ნივთებს იმ დროს, როცა ჯერ სამსასურშიც არ ჩამდგარხართ.

— არ ვიცოდი, სინიორა... — გაუბედავად შევეპასუხე მე.

— კარგით, ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს; ახლა ეს გასაკვირიც არ არის, მით უფრო, თქვენს ასაკში. მაგრამ თქვენ ისეთივე შეუბღალავი უნდა დარჩეთ, როგორც აქამდე იყავით, ნუ დაიდებთ ვალებს და ნუ გაყოყოსდებით; ერთი სიტყვით, ისეთი იყავით, როგორიც ახლა ხართ, ყველაფერზე უარი თქვით. აი, ნასავთ, თუ შესძლებთ დოქტორ მაქსის ხათრით ყველაფერზე უარი თქვათ, თუ საჭირო იქნება ხელფასზეც კი, მაშინ მას კიდევ უფრო შეუყვარდებით და თავის გულში სამუდამო ადგილს მიგიჩენთ! აკი თვითონ პირად საპირფარეშოზე თქვა უარი, ოღონდ ახლოს ჰყოლოდით.

— ვიცი, კარგად ვიცი, — ვუპასუხე და კვლავ ვიგრძენი, რომ თვალები მებლიტებოდა; ყავაში ძილის წამალი ხომ არ ჩამიყარეს-მეთქი, — თუმცა ერთი ყლუპი მოვსვი და, მართლა რომ არ დამძინებოდა, საათს დავხედე, — ჩემი წასვლის დროც. მოსულა, უნდა გავიქცე, — წამოვიძახე და მაშინვე წამოვსტი დივნიდან.

— ასე მალე? თუმცა, რაკი საქმეები გაქვთ, რასაკვირველია... მაქსსაც სულ ეჩქარება, — თქვა დოქტორმა ურაძამ და თვითონაც წამოდგა. იგი დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდა და ვერ გაუბედიაო. ბოლოს მკითხა: — გავიგე, მინი გაგიცვნიათ, მართალია?

— დიახ.

— ძალიან სასაცილო კია, მაგრამ ლამაზია, არა?

— დიახ, — კვლავ დავუდასტურე მე, რადგან არ ვიცოდი, სხვა რა მეთქვა.

— ღმერთმა ქნას, მართლა ისეთი კარგი იყოს, როგორიც პირველი შეხედვით მეჩვენა. მთავარია, მაქსმა ცოტა გული გადააყოლოს, სამუშაოს გარდა სხვა რამეზეც იფიქროს; მინი კი მისთვის სრულიად უცოდველი გართობაა. მაქსს ბავშვობიდანვე უყვარდა ტოპოლინოს ამბები და აქამდე არ მობეზრებია; მინი კი ძალზე ართობს. გამომიტყდა, სულ იმაზე ვოცნებობდი, მინი შემერთო ცოლადო და აკი იპოვა კიდეც... მაგრამ ერთი კია, მინი ძალიან ღარიბია, მდიდარი რომ ყოფილიყო, ხომ აღარც მინი იქნებოდა! თქვენ რას ფიქრობთ?

ისევ აღარ მესმოდა, რაზე მელაპარაკებოდა დოქტორი ურაძა.

— ოღონდ კი ჩემზე გულს არ აიცრუებდეს... აი, დღეს, მაგალითად, კარგი მუშტი მითავაზა... არა, ვიცი, რომ ისუმრა, მაგრამ აქამდე ეს არ უქნია. ადრე მსქელტდა ხოლმე და ხელებსაც მიკრეხდა, მაგრამ გარტყმითი კი არასოდეს გაურტყამს. იქნება მინიმ წაქეზა? თქვენ, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რა ადვილად შეიძლება მაქსზე ზემოქმედება... თქვენ რას ფიქრობთ, მითხარით... გულახდილად მითხარით.

დიდ ეასაქორში ჩავვარდი, რომ მეთქვა, მინი არაფერ შუაშია, ის არ უკარნახებდა დოქტორ მაქსს, თუნდაც ხუმრობით, დედაზე ხელი შემარიეო, ისე გამოვიდოდა, რომ მან დედას შეეხებულად გაარტყა; მაშინ კი მართლა გამწარდებოდა დოქტორი ურაძა და შვილს საყვედურებით აავსებდა. რომ მეთქვა, მარცხალი ბრძანდებით, დოქტორმა მაქსმა მართლაც ხუმრობით, სიყვარულით გაგარტყათ, როგორც ადრე სცოდნია-მეთქი, მაშინ გამოვიდოდა, რომ ეს უვნებელი სილა მინის წაქეზებით გააწნა და რომ დოქტორ ურაძას თურმე მცდარი შეხედულება შეექმნა მინიზე, როცა იგი უცოდველ გასართობად წარმოიდგინა. ასე და ამგვარად, ეს ყოვლად უფერული მინი გადაიქცეოდა პიროვნებად, ვისაც უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მაქსზე, ვიდრე დედამისს.

— ჩემის აზრით, დოქტორ ურაძა... — წავილუღლუღე მე და გაკვირდი, აღარ ვიცოდი მეტი რა მეთქვა.

— რა, თქვენის აზრით, რა?..

იგი ისე დაეინებით ჩამაშტერდა, რომ რაღაც უნდა მეპასუხა, თუნდაც რაც კი ენაზე მომადგებოდა, აშკარად ვაგვიანებდი პასუხს.

— ჩემის აზრით, ეს სილა დოქტორ სატურნოს წინააღმდეგ იყო მიმართული! — პირდაპირ ზეშთაგონებით წამოვიძახე მე.

— მაშინ მე რატომ მომსვდა?

გულში ვავიფიქრე, დოქტორ ურაძასთვის ლოგიკა უცხო ხილი არ უნდა იყოს-მეთქი და ამიტომ მეც ლოგიკურად უნდა განმესაჯა.

— იმიტომ, რომ დოქტორი სატურნო მოხუცია, უძლური... დოქტორი მაქსი მას ვერ შეებედავდა და ამიტომ მთელი ჯავრი თქვენზე იყარა.

— აა?, ასე ხომ? — შეშპარავად წარმოთქვა დოქტორმა ურაძამ.

ეტყობა, დიდად ვერ დავარწმუნე.

— მე მგონია, მინი არაფერ შუაშია... — ისევ ხელსას გავიძახოდი მე.

— მაგრამ, წაკინკლავება კი სწორედ მას უყვარს; რასაკვირველია, ხუმრობით, მაგრამ...

— მართალი ბრძანდებით, ოღონდ აბჯერად მართლა არაფერ შუაშია...

— მაშ თქვენ გგონიათ, რომ დოქტორ სატურნინზე გაჯავრებულმა გამარტყა და არა იმიტომ, რომ მინიმ უკარნახა, თუნდაც ხუმრობით დედას შუშტები უთავაზეო?

— რასაკვირველია! ეგ აზრი არც უნდა მოგსვლოდათ! დოქტორ მაქსს ძალიან უყვარხართ და ასე ადვილად არ გაგიმეტებდათ; და თუ მაინც გაგიმეტათ, ან ხუმრობით ჩაიდინა, ანდა მოთმინება დაკარგა და აღარ იცოდა, ვისზე ეყარა ჯავრი! ასე არ იცის?

დოქტორმა ურაძამ გაიღიმა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— გმადლობთ, გმადლობთ! — რამდენჯერმე გაიმეორა აღელვებისგან ჩახლეჩილი ხმით, — იცით, როცა ადამიანი ნემსავით მარტოა, ათასი ოხრობა მოუვა თავში! დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მართლაც ძალიან კეთილი ყოფილხართ, — ამ სიტყვებით იგი მომეხვია; ღაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ვხედავდი, რა მარტო იყო, როგორ იტანჯებოდა და არ შემეძლო მის ალერსზე არ მეპასუხა. იმ წუთში იგი ჩემს თვალში მხოლოდ ერთი უბედური ქალი იყო, ვისზედაც ღვიძლმა შვილმა ხელი აღმართა. ძალიან ნაზი და ეულწრფელი მეჩვენა, რასაც სხვა დროს ვერ შეატყობდით. წითელი თმა მხრებზე ჩამოეშალა. მერე ხელი გამიშვა და თქვა: — ერთი წუთი მომიცადეთ! — და გაიქცა; მალე დაბრუნდა, ხელში რაღაც ფუთა ეჭირა, თმა ისევ ისე აებულულებინა. — აჰა, — მითხრა მან, — გამომართვით, დოქტორი მაქსის კოსტიუმია, სულ ახალთახალია, მას ცოტა დაუვიწროვდა, თქვენ კი კარგად გექნებათ. მადლობელი ვარ, დიდად მადლობელი. ჰო, კოსტიუმის თაიმაზე დოქტორ მაქსთან კრინტი არ დასძრათ, თორემ გაბრაზდება, ჰატერნალიზმს დამაბრალებს

და ბოლოს და ბოლოს თქვენც გაგიწყრებათ. რას იზამ, მე სხვა თაობას ვეკუთვნი და თქვენსავით, ახალგაზრდებივით გრძნობების ალაგმვა არ მესერხება! — მან ფუთა ხელში მომარჭა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

აღარ ვიცოდი, რა მექნა: მივიღო დოქტორ მაქსის ნახმარი კოსტიუმი სანუქრად, დოქტორი მაქსი გამიბრაზდება, — ეს თვითონ დოქტორმა ურაძამაც ივარაუდა, — არ მივიღო და მაშინ დოქტორ ურაძას ვაწყენინებ; მას კი დიდი გავლენა აქვს შვილზე და თუ არ ეწყინება, იმას მაინც იფიქრებს, რომ სუსტი ნებისყოფის და მეტისმეტად მერყევი საკუთრება ვარ. მეორეს მხრით, თუმცა საჩუქარს ვიღებ დოქტორი ურაძასაგან და არა მისი შვილისაგან, სულ ერთია, ეს მაინც დოქტორი მაქსის გამონაცვალი კოსტიუმია, და მას, ალბათ, კიდეც ჩავიცვამ (ნუთუ ამასაც ვიზამ?!), მაშასადამე, ამით ერთხელ კიდევ ვაღიარებ თავს დოქტორი მაქსის საკუთრებად. არა, არა, ეს შეუძლებელია! რამდენი არ ვიმტკვრიე თავი, გამოსავალი მაინც ვერ მოვიფიქრე. მესაკუთრეობის საკითხში, ისევე როგორც სიყვარულში, თვალთმაქცობა არ შეიძლება; ან მთელი არსებით ვეკუთვნი დოქტორ მაქსს, ან სულ არ ვეკუთვნი; იმას არა აქვს მნიშვნელობა, რომ დოქტორი ურაძა მისი დედაა და ის კოსტიუმიც მისი შვილის გამონაცვალია, მთავარი მაინც ისაა, რომ კოსტიუმი დოქტორმა მაქსმა კი არა, სხვა ადამიანმა მაჩუქა, ხოლო დოქტორი მაქსისთვის ასეთი პატერნალიზმი, თუკი ის უშუალოდ მისგან არ მომდინარეობს (სხვათა შორის, მისი გულკეთილობა ერთ ბოთლ კოკა-კოლას არ გასცილებია), ბასრი დანასავით ჭრის. მაშასადამე, ერთი გამოსავალიღა დამრჩენია, — მოვუყვები ამ ამბავს დოქტორ მაქსს, ამ ფუთით შევალ მასთან და ვეცდები, ყველაფერი ხუმრობით ჩავატარო. ასეც მოვიქეცი და იმავე დღეს მივედი მასთან; მაგრამ ეს ფანდი არ გამივიდა. დოქტორი მაქსი ისედაც გაჯავრებული იყო დედ-მამაზე, მინის მტრულად ექცევიანო, და ახლა მთლად გადაირია.

— ამ მასხარას დამიხედეთ! ნუთუ საკუთარი ღირსების გრძნობა არ გაგაჩნიათ? თქვენ, უმსხვილესი სავაჭრო ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (ეს ჩემთვის ახალი ამბავი იყო, მან პირველად მიწოდა „ხელმძღვანელი“ მდივნის თან-

დასწრებით), როგორ იღებთ სხვის გამონაცვალ კოსტიუმს საჩუქრად? მერე რა, რომ ჩემია? როგორ არა ეკრცხვენიათ? მაშასადამე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჭკუა ვერ ისწავლეთ! სადა ვცხოვრობთ? ვინა ვართ? თავისუფალი ადამიანები, თუ მონები? ესეც არ იყოს, რა საქმე გაქვთ დედაჩემთან?

— ვიფიქრე, უპატივცემულობაში არ ჩამომართვას-მეთქი, რომ... — შეკადრე მორიდებით.

— რას თვლით უპატივცემულობად? ვისი მხრიდან? დედაჩემის, თუ თქვენი?

— ჩემი მხრიდან... უარი რომ მეთქვა...

— მით უარესი, მაშასადამე, თქვენ საჩუქარი ზრდილობის გულისთვის მიიღეთ და არა იმიტომ, რომ ეჭირდებოდათ. რომ გჭირდებოდეთ, კიდევ არაფერი, მაგრამ ზრდილობის გულისთვის? სხვათაშორის, კარგად დაიხსომეთ, დედაჩემთან არავითარი საქმე არა გაქვთ და არც ეექსებათ! არავითარი! რა დამოკიდებულება გაქვთ მასთან? არავითარი! ბოლოს და ბოლოს, ვის ექვემდებარებით, მე თუ ჩემს მშობლებს?

— თქვენ.

— თუ ასეა, მაშინ დაუყოვნებლივ დაუბრუნეთ ეგ ძონძები; ეწყინება თუ არა დედაჩემს, ეს ჩემი საქმე არ არის; ან დაუბრუნეთ, ან გადაყარეთ!..

— არა, დოქტორ მაქს, მომისმინეთ, არ მინდა დოქტორ ურაძას ვაწყენინო; მას ხომ მხოლოდ კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, დამიჯერეთ, ასეა!...

— როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით! წადით! მეც ავდგები და ამის მიხედვით ვიმოქმედებ! კარგად ბრძანდებოდეთ! — და რაკი არ გაკნძრეულვარ და ფუთით ხელში ისევ ისე ვიდექი, ერთხელ კიდევ გამიმეორა: — კარგად ბრძანდებოდეთ!

გამოვედი და ჩემს კაბინეტში შევიკეტე, რა უნდა მექნა? დაუყოვნებლივ დამებრუნებინა ეს ფუიაა დოქტორი ურაძასთვის, თუ დამეტოვებინა და დოქტორი მაქსისთვის ეჭვის საფუძველი მიმეცა, ღმერთმა უწყის, დედაჩემთან რა ურთიერთობა გააბაო? მთელი დღე თავი ვიმტვრიე და ვერაფერი გადავწყვიტე. რას ნიშნავდა დოქტორი მაქსის სიტყვები: „მეც ავდგები და ამის მიხედვით ვიმოქმედებო?“

იმავე საღამოს დოქტორ მაქსს მინისთან ერთად ქუჩაში შევხვდი და კინოში დამპატიჟა. გაეცინარდა, ეგებ იმ კოსტიუმის აბბავი როკორმე მოეკვარდეს-მეთქი. მართლაც შესვენების დროს დოქტორმა მაქსმა ხელი გამომდო და, როგორც იცის ხოლმე, სანდომიანი სმით ყურში ჩამჩურჩულა:

— ღღეკვანდელი უკმეხობისთვის ბოდიში უნდა მოგიხადოთ. მაგრამ პატერნალიზმს ვერ ვიტან, განსაკუთრებით, ჩვენისთანა თანამედროვე საწარმოში. ფირმის მუშაკი, ღვთის წყალობით, მონა არ არის, იგი თავისუფალი ადამიანია, ფირმაში საპუშაოდაც სომ თავისი ნება-სურვილით მოდის, თვითონვე წყვეტს, უღირს თუ არა ფირმის და, მამასადამე, პატრონის საკუთრებად გადაიქცეს... სომ არავინ აიძულებს!.. არის თუ არა ჩვენთან კონკურენცია? თუ არის, მაშინ დასკვნა სომ უნდა გააკეთოთ? მართალი გითხრათ, სწორად მოიქეცით, დედაჩემის საჩუქარი რომ მიიღეთ. თქვენი საქმეა, ჩაიცვამთ თუ არა ჩემს კოსტიუმს, მაგრამ კარგი კი ქენით, რომ ეამოარჩევთ. ასლა დედაჩემსა და მამაჩემ სატურნოს — დედაჩემი სომ მას ყველაფერს წვრილად ჩაუკაკლავს, — ეცოდინებათ, რა დამოკიდებულება გვაქვს მე და თქვენ... ერთი სიტყვით, რაკი ჩემი გამონაცვალი კოსტიუმი მიიღეთ საჩუქრად, ამით მე გამიწიეთ სამსასური. ბოლოს და ბოლოს, მაშინვე ეაიგებს, ვინაა აქ პატრონი... სხვათა შორის, სვალიდან ვიტამინის ნემსების კეთებას დამიწყებენ, თუ გახსოვთ, მაშინ ვილაში თქვენც რომ გაგიკეთეს, გირჩევთ, შემიამსაგებეთ. დილაობით ჩვენი მეკარე მოვა ხოლმე, ის სომ ჩინებული, დიპლომიანი მედმუშაკია, და ორივეს გაგვიკეთებს. თქვენ მარტოს, ძვირი დაგიჯდებათ, ასლა კი მთელ ხარჯებს მე ვიკისრებ, თანახმა ხართ?

მეტი რა გზა მქონდა, დავეთანხმე, თორემ ისევ თავიდან დამიწყებდა ქადაგებას მორალზე, საკუთრებაზე, არჩევანის თავისუფლებაზე და კიდევ რა ვიცი, რაზე.

V

ყოველ დილას ზუსტად ათის ნახევარზე კარზე კაკუნი გაისმის. ეს ლოტარია, მაიმუნი-თაკისქალა-მეკარე, ნემსის გასაკეთებლად მოვიდაა; შეშოვა, მომესალმება—კი ვერ გაიგებ, გამიღიმა, თუ დაიმანჭა, — და მზადებას შეუდგება. უკვე ზეპირად ვიცი, რას გააკეთებს; თან შემოაქვს ქალის სამგზავრო ჩანთისოდენა რკინის უჯასკავი ყუთი, სადაც უწყვია ინექციისთვის საჭირო იარაღები — შარიცი, მარლაში გახვეული რამდენიმე ნემსი, ამპულები, ეთერის შუშა და ბამბის ფთილა. ყუთს მაგიდაზე დადებს, ღილაკს თითს დაჭერს და ყუთი გაიხსნება, ოთახში ეთერის სუნი დატრიალდება; ამ დროს მე უნდა წამოვდგე და პიჯაკი გავიხადო; სანამ შარვალს ვიხსნი, ლოტარი აიღებს ორ ამპულას — ერთი დიდია, მეორე მომცრო, პატარაში ვიტამინია, დიდში — გამოხდილი წყალი; ჯერ პატარას შეანჯღრევს, მერე დიდს. ლოტარი მზადაა, მეც მზადა ვარ; მაგიდას დავეყრდნობი, პირს კარისკენ მივაბრუნებ და ველოდები.

ზოგჯერ დოქტორი მაქსიც შემოვა ხოლმე, ჩუმად, არც დააკაკუნებს, გაჩერდება და ჯერ მე შემომხედავს, მერე ნემსს დააშტერდება, დგას ასე პირმომუწული, სანამ ლოტარი თავის საქმეს არ მოათავებს, მერე გაიხურავს კარს, გავა და თავის კაბინეტში ელოდება. ლოტარიც ყველაფერს ისევ რკინის ყუთში ჩაწყობს, ეთერის სუნის გასანიავებლად ფანჯარას გააღებს (მისი გასვლის უმალ ვხურავ), ისევ ისე გაიღიმებს თუ დაიმანჭება და მიდის.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ვიტამინის ნემსები ძალზე მტკივნეულია, თითქმის მთელი დღე შეწვის ხოლმე ნანემსარი; მაგრამ ჩემს ფსიქოლოგიურ ტანჯვასთან შედარებით ეს ტკივილი სათქმელადაც არა ღირს. მე იმას უფრო განვიცდი, რომ დოქტორ მაქსს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა, როცა ნემსები დამინიშნა, იცის, რა მტკივნეულია და უნდა ლოტარის ხელით მაწამოს. ათასჯერ მაინც გავუმეორე, არავითარი ნემსი არ მჭირდება-მეთქი, მაგრამ როცა დავრწმუნდი, თავის განზრახვაზე ხელს ვერა და ვერ ავაღებინებდი, ვთხოვე, სამედიცინო შემოწმება მოეწყო (რასაკვირველია, ეს

ლტკნარი სისულელე იყო, რომელი ექიმი გეტყვის, ვიტამინის ნემსები მავნებელიაო); ჩემი თსოვნა რომ მოისმინა, დოქტორი მაქსი მიტკალივით გათეთრდა, თავზე სელები შემოიშვდო, დაკვირვებით შემომსედა და დაიწრიპინა:

— მაშასადამე, თქვენ ეჭვი შეიტანეთ ჩემში, სულ არ ეჭირდებათ მკურნალობა და მე გაიძულებთ, არა? იქნება ოქვენი მოწამვლაც განვიზრასე? რა მიწას ჩასჩერებისართ, თვალებში შემომსედეთ და მიპასუსეთ!

მე თვალი გავუსწორე.

— რა სათქმელია, დოქტორ მაქს, ეჭვი არაფერში შემიტანია, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, ნემსები არა მჭირდება, ეს არის და ეს.

— მეც ხომ ვიკეთებ! მშვენივრად იცით, რომ მეც ზუსტად მაგ ნემსებს ვიკეთებ... იქნება გგონიათ, მე სსვა რამეს მიშხაპუნებენ? თუ გინდათ, დამესწარით, საკუთარი თვალით ნასეთ და დარწმუნდით! მაშასადამე, არ მენდობით! ეს მე ფრიად და ფრიად მაღონებს... თუ ამდენად არ მენდობით, ჩემს ფირმაში რატომღა მუშაობთ? ამ ჯოჯოხეთში ყოფნას არ გირჩევნიათ გაეცალოთ აქაურობას და დროზე უშველოთ თავს? — ესა თქვა და დადუმდა.

ერთი სიტყვით, ბედს დავმორჩილდი. რატომ დავმორჩილდი? ვიოთმ იმიტომ, დოქტორმა მაქსმა არ იფიქროს, რომ ეჭვი შემეპარა, ჩემი მოწამვლა უნდა-მეთქი? არა, მე მართლა დავიჯერე, რომ გულწრფელად ზრუნავდა ჩემს ჯანმრთელობაზე და ჩემს კეთილდღეობაზე; ისიც მშვენივრად მომეხსენება, რომ ეს ნემსები არც საწამლავია, არც არას მავნებს და ზუსტად ასეთსავე ნემსებს უკეთებს ლოტარი ყოველ დილას დიქტორ მაქსსაც. ვიტამინები რომ სასარგებლოა და ადამიანს აკაჟებს ეს ცხადია, მაგრამ ასეთი მწარე და მტკივნეული რომ არის და თანაც მაინცდამაინც ლოტარს დაავალა ეს, ამან ცოტა არ იყოს, დამაფიქრა, დოქტორმა მაქსმა ეს ამბავი ტყუილ-უბრალოდ არ წამოიწყო-მეთქი.

საერთოდ ეჭვიანი კაცი არა ვარ, პირიქით, ზომაზე მეტად მიმნდობი უფრო ითქმის ჩემზე; მჯერა, რომ ადამიანები მარტო კეთილი განზრახვით ეხმარებიან ერთმანეთს, ხოლო ხელის გაწვდისა და დახმარების სურვილი ჭეშმარიტად კაცთ-

მოყვარეობით, შეუპირველი გულითადობითა და თანაგრძნობიაა ნაკარნახევი; მოყვასის კეთილდღეობისთვის ბევრი არ გადასდებს თავს, ეს მეც კარგად ვიცი და არც ისეთი მიამიტი ვარ, ვიფიქრო, დოქტორი მაქსი ჩემი გულისთვის ცეცხლში ჩადგება-მეთქი; ამ შემთხვევაშიც იგი დიდსულოვნების გამოჩენის სურვილმა აიტანა და ასეთი სურვილი კი მას ყოველთვის საწინააღმდეგო მოქმედებისკენ უბიძგებს, მერე ავიწყებს ადრინდელ სურვილს და ყველაფერი ისევ საწყის წერტილს უბრუნდება. მაგალითად, არაერთხელ მომხდარა, რომ დოქტორ მაქსს ჩემთვის სამმაგად გაუზრდია ხელფასი (ერთხელ ათმაგადაც კი), არათუ სხვების თანდასწრებით, ანდა სიტყვიერი განკარგულებით, არამედ ჩემს თვალწინ დაუწერია ბრძანება, ბუღალტერიისთვის გადაუცია და ასლი ჩემთვის მოუცია; მერე ეს ბრძანება სამიოდე დღის შემდეგ გაუუქმებია და მეც ისევ ადრინდელი ხელფასი მიმიღია. რა თქმა უნდა, აზრადაც არ მომსვლია, წავსულიყავი ბუღალტერიაში და ბრძანების ჩემი ასლი წარმედგინა; რასაკვირველია, აქას ის მოჰყვებოდა, რომ დოქტორი მაქსი განრისხდებოდა და თავისი ჩვეული მეთოდით დამსჯიდა, ესე იგი, ხელფასს დამაკლებდა, რაც მადლობა ღმერთს, აქამდე არ მომხდარა. ნემსების ამბავიც მისი ურთიერთსაწინააღმდეგო იმპულსების შედეგად ჩავთვალე, დარწმუნებული ვიყავი, მალე თვითონვე მობეზრდებოდა ჩხვლეტა და თუ მეც სულ უარზე ვიდგებოდი (სინამდვილეში ასეც ვიქცეოდი), საბოლოოდ შემომწყრებოდა და ნემსებსაც, ხელფასის მომატების ბრძანებისა არ იყოს, გააუქმებდა.

სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა; უარი არ გამივიდა, რამდენჯერ განვუცხადე, მორიდებით, მაგრამ მტკიცედ, ნემსები არა მჭირდება-მეთქი, მაგრამ იგი ჯიქურ იდგა თავის სიტყვაზე, ის კი არადა, წარმოუდგენელი უნდობლობა და ეჭვიანობაც კი დამწამა (ნამდვილად რომ არა მჩვევია), ერთი სიტყვით, ლამის გიჟად გამომაცხადა. მაგრამ რაკი მე ჩემს ჭკუაზე ვარ და არც ეჭვებით ვარ შეპყრობილი, ბოლოს იძულებული გავხდი, ხვედრს დავმორჩილებოდი. ეს ამბავი რომ ასე გაჭიანურდა და ტრაგიკული სახე მიიღო, ისევ დოქტორი მაქსის ბრალია, თორემ მეტი რა გზა მქონდა, კბილი

კბილს უნდა დამეჭირა და მეიმინა, ბოლოს და ბოლოს, ვიტამინის ნემსი რას მავნებდა, თუმცა ცსვლეტა საშინელ ფიზიკურ ტკივილს მაყენებს და უფრო უარესს კი — სულიერს; ჩემს ტანჯვას აღარც დასაწყისი აქვს და აღარც დასასრული, არ თავდება, არ მტოვებს არც ღამე და არც დღე.

ლოტარი უკვე დასაწყისშივე დავასასიათე და დაწვრილებით აღარ შევჩერდები მის პიროვნებაზე, რადგან მასზე ფიქრიც კი ზიზღსა მგვრის. ამ კაცს ყველაფერი გამოუდის ხელიდან, მეკარე ხომ არის და არის, ჩუმ-ჩუმად ტელეფონებით საუბრებსაც უსმენს, თვალყურს ადევნებს ფოსტას (სულ პატარა ექვი და მაშინვე დააკავებს თანამშრომელია პირად წერილებს და დოქტორ მაქსიან მიარბენინებს), არის აგრეთვე მედმუშაკიც, მებაღეც, მძღოლიც და თუ საჭირო იქნება, პატრონებს სუფრაზეც ემსახურება. მაგრამ სინამდვილეში ლოტარი რაღაც უფრო მეტია; ჩემს თვალში იგი არის ბრმა ძალის განსახიერება, — რომელსაც გარეგან მართავენ, — ბრმა და ჩლუნგი იარაღი, რომელმაც არ იცის, საით მიმართოს ეს ძალა და ამიტომ ბრძანებას გარედან ანუ დოქტორი მაქსისგან იღებს, ხოლო რა ხერხით მიაღწიოს მიზანს, თავად წყვეტს. თუკი რამ თავისი საკუთარი და დამოუკიდებელი გაასნია, ყველაფერი გაბოროტებულ ეროტიკამდეა დაყვანილი და ყოველთვის გარკვეული მიზნისკენ არის მიმართული. როცა იგი მორიგ დავალებას ასრულებს, მთელი მისი არსება რაღაც ბოროტი, უტყვი, ლამის გაქვავებული მიზანდასახულებით არის გამსჭვალული. მაშინაც კი, როცა უბრალოდ ღგას ან ზის, ამ კაცში მაინც რაღაც იძვრის და მიზნისკენ მიისწრაფვის, მაგრამ თუ მოძრაობს, მაშინ ხომ მთელს მის სხეულს, ყოველ ნაკვთს უკიდურესი, ლამის კოსმიური სისწრაფე მოიცავს; ერთი სიტყვით, ლოტარი გახლავთ სამართავი ხელსაწყო, ოღონდ ბუნების მოვლენებისგან — ელვის, წვიმის, მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევისგან — განსხვავებით, რასაც ასე წააგავს თავისი ბრმა სიმძაგით, იგი ეკუთვნის და ემორჩილება დოქტორ მაქსს.

როცა იგი ჩემს კაბინეტში შემოდის ნემსის გასაკეთებლად, ესე იგი, ამჯერად მედმუშაკის მოვალეობას ასრულებს, ჩემთვის უკვე აღარაფერი არსებობს, აღარც აღარაფერი მახსოვს,

ალარც ნსვლეტა, ალარც ვიტამინი, ეთერი, ბამბა, თუ დოქტო-
რი მაქსის ბრძანებები, საერთოდ მისი წინააღმდეგობრივი
აზრები, არსებობს მხოლოდ ერთი ლოტარი. აი, იგი მიახ-
ლოვდება, უკვე ვგრძნობ მის ცივ სუნთქვას ზურგზე... კაცმა
რომ თქვას, ნემსი რაღა ბედენაა, ანდა ისეთს რას აკეთებს, მაგ-
რამ ის მხეცური ჟინი, ნემსს რომ ჩამასობს ხოლმე თეძოში
(უნდა გამოეტყდე, ისე მსუბუქად კი მიკეთებს, მისი ხელებისა
და თითების პატრონისაგან გასაკვირიც კია) და მწვავე ტკივი-
ლი, ერთბაშად რომ დამივლის ფეხში, მარტო წამლის შეშსა-
პუნება როდია. როცა ჩემს სხეულში ნემსით იჭრება, ასე
მგონია, ბლაგვი დანით ნაკუწ-ნაკუწ მჩესავს და დოქტორი
მაქსის ბრძანებით ჩემზე ძალადობას ახდენს. მერე
რობოტივით ზუსტი ლოტარი ყველაფერს ისევ ყუთში აწყობს,
ცარიელ ამპულებს კალათში ყრის, აღებს ფანჯარას, დამშვი-
დობებისას ოდნავ დამიკრავს თავს და გადის. მერე მესმის,
როგორ აკაკუნებს დოქტორი მაქსის კარზე, შესმის მისი ხმაც
„შემოდით", ამის შემდეგ სიჩუმე დგება. რამდენიმე წუთის
მერე ლოტარი დოქტორი მაქსის კაბინეტიდანაც გამოდის,
მისი ლანდი გაიელვებს ჩემი კარის მინაში და ბოლოს ქრე-
ბა. სინამდვილეში იგი სულაც არ გამქრალა, ჩემოან რჩება,
ჩემში, მტკივან ფეხში, ყველგან თან დამყვება, ყოველ წუთს
მასსენდება.

ღამღამობით, სიზმარშიც მელანდება; სულ სხვადასხვა და
ამავე ღროს ერთი და იმავე სიზმარს კი ვხედავ, თითქოს
ლოტარი ჩემს საცოლე მარიას აუპატიურებს; მარიას თეთრი
საქორწილო კაბა აცვია, მორჩილია, დამყოლი; ლოტარი ტა-
საცმელს ხდის და მზით შერუჯულ უმანკო სხეულს ეტანე-
ბა; მერე მეჩვენება, რომ მარია ათი-თორმეტი წლის ბავშვია,
მოკლე, თეთრი კაბა აცვია, სახე შეღებილი აქვს, თვალები
მილულული, სუსტად შეჰკივლებს და ვითომ აღშფოთდება;
მერე უკვე ლოტარის ცოლია თუ საყვარელი, ზის მის პატა-
რა გომურში, ტელევიზორს უყურებს და თან ლოტარს კოცნ-
ნის; ხან მდელოზეა გაშლართული, ირგვლივ პეპლები და
ჭრიჭინები ირევიან, მსუბუქი, ყვითელი კაბა აცვია, თმა ჩა-

მოშლია, ბავშვური, ნუშისებური თვალები მიბნედია, აღტაცებულია, იცინის.

ამ სიზმრებს დილით ვიხსენებ; გზად ყველა წვრილმანს აღვიდგენ ხოლმე გონებაში, ტროლეიბუსში ვზივარ, ბარში თუ კაბინეტში, ყველგან თვალწინ მიდგას ნანახი. მეკარის ეიმურს რომ ჩავუვლი, გავხედავ, ლოტარი თუ მოვიდა-მეთქი; ავდივარ კიბეზე, შევალ ჩემს კაბინეტში, მივუჯდები მაგიდას და წინ საათს დავიდებ. ზუსტად ათის ნახევარზე გაისმის კაკუნი, ლოტარი არ აყოვნებს, გამომეცხადება და მცირე შეშფოთების შემდეგ ისევ ის მწარე ტკივილი, ისევ სასოწარკვეთილება და უსასრულო წამება... ზოგჯერ ლამის ავყმუვლდე, აღარ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი, სულ ამაზე ვფიქრობ, რა ხერხებსა და საშუალებებს არ ვეძებ, ჭკვიანურსა თუ უჭკუოს, მაგრამ ვერაფერი მომიფიქრებია! რა ვქნა, როგორ ვიხსნა თავი! ერთი მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, როგორც კი შემოვა ლოტარი, ვეტყვი-მეთქი: „მომისმინე, ლოტარ, დღეს მე ნემსს არ გავიკეთებ!“ მარტო ამას ვეტყვი და მორჩა! დავუშვათ, კიდეც ვუთხარი, ლოტარი ჩემს ნათქვამს ერთი ყურიდან მეორეში გაუშვებს, ჩვეულებრივად დადგამს მაგიდაზე რკინის ყუთს და თავის საქმეს შეუდგება.

„გაიგეთ? დღეს არ გაჩხვლეტინებთ!“ — ვეუბნები და თან ადგილიდან ფეხს არ ვიცვლი, ვითომდა სამუშაო თავს მაყრია. გაგიგონია? ლოტარი უსიტყვოდ აღებს ყუთს, მე მაგიდას ჩავჩერებივარ და ვიცდი. აი, ამოიღო შპრიცი, აი, გატესა ამპულა, მოგლიჯა ბამბის ფთილა, დაასველა ეთერში, მომზადებული შპრიცი ჰაერში შემართა... მე არ ვინძრევი, ვითომ ლოტარი არც არსებობს... ერთი წუთი იცდის და მეუბნება: „აბა, მოდით, რა ბავშვობაა, სულ ერთია, არ აგცდებათ!“

მაშინ კი უეცრად შევიგრძნობ ჩემს სრულ უმწეობას და ავტირდები. ვტირი ჩუმად, მაგიდაზე დამხობილი, ცრემლები ეღვენთება ჩემს წინ გაშლილ სავაჭრო პროექტს... მერე მესმის ხმები... დედა, მამა, მარია ერთხმად მამშვიდებენ, „გაგონილა, ამ პატარა ჩხვლეტამ ასე წაგახდინოს! ეს ხომ სულ უბრალო რამაა. აბა, წარმოიდგინე, სხვები რას უძლებენ! გაიხსენე ავადმყოფები, მეშახტეები, დღენიადაგ ქვესკნელში რომ

მუშაობენ, მესაგეები, ათას ნაყარნუყარში და სიბინძურეში რომ იქექებიან და ძაინც ყველაფერს უძლებენ! შენ როგორ ვერ უნდა გაუძლო! მით უმეტეს, რომ ეს სემსები ძარგებელია! აბა, დამშვიდდი, გამაგრდი!..“ მაგრამ ამავე დროს სხვა ხმებიც მესმის, თითქოს სახელოვანი ადამიანები — ფრენკ სინატრა, ალ კაპონე, იულიუს კეისარი, ჩეზარე ბორჯია, მარცელიუს კასიუს კლეი და აინშტაინი ერთხმად ჩამაგონებენ „რას ელოდები, გაინძერი, რას ჭოჭმანობ! აგერ მაგიდაზე ქაღალდის საჭრელი დანა რომ დევს, გაუყარე მუცელში და მორჩა!“. მერე ეს ხმები წყდება, მე კი მაგიდაზე დაყრდნობილი ვდგავარ და ლოტარი თეძოს მიზელს.

ზოგჯერ სულელურად და გულუბრყვილოდ ვფიქრობ შურისძიებაზე, რა აზრი არ მიტრიალებს თავში; ერთხელ ისიც კი ვიფიქრე, მოდი, როგორმე დოქტორ მაქსს დავიყოლიებ და ლოტარს გავაგდებინებ-მეთქი, ამაზე ჭკვიანური ვერაფერი მოვიგონე; კარგად ვიცი, ამას დიდი დრო და ძალა დასჭირდება და თან არც იმედი მაქვს, რომ მართლა გააგდებს; ლოტარი ხომ მისი ოჯახისთვის უსულო საგანიც არის და სულიერიც, მასავით მთლიანად და განუყოფლად მთელს ფირმაში არავინ ეკუთვნით, მათზე ცდიან თავიანთ აბსოლუტურ, ტოტალიტარულ და ზებუნებრივ ძალებს. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ლოტარს მოვისყიდი, ფულს მივცემ და ნემსებზე ხელს ავაღებინებ, მაშინ იგი ჩემი საკუთრებაც გახდება და ვეღარ დამჯაბნის-მეთქი; მაგრამ აქაც ვერაფერს გავხდები, რადგან იგი ერთხელ და სამუდამოდ უკვე ნაყიდი ჰყავს დოქტორ მაქსს! ან მე იმდენს რას მივცემ, რასაც ის უსდის! მაშასადამე, ერთი გზაღა დამრჩენია, ლოტარი უნდა ჩავთვალო მხოლოდ და მხოლოდ მედიცინის მუშაკად და თავი გავანებო ასეთ სისულელეებზე ფიქრს, მოვეშვა ყოველგვარ ოცნებას და შევურიგდე სინამდვილეს! სინამდვილე კი ასეთია: ყოველ დილას შემოდის ჩემთან კაცი და მიკეთებს ნემსს. ეს არის და ეს. მაგრამ ამის გარდა, დილის ათის ნახევრიდან იწყება კიდევ რაღაც სხვა, ასევე მტანჯველი და ასევე სრულიად რეალური...

იმდენს ვფიქრობ ამ ლოტარზე, რომ დოქტორი მაქსი კიდეც გადამავიწყდა, მაგრამ ლოტარი ხომ დოქტორი მაქსის

ნალში ბრმა, ბლაგვი, მსეცური იარაღია და მეტი არაფერი. ადამიანი რაში დასჭირდა დოქტორ მაქსს ჩემი წამება? რად ადამიანიშნა ეს საბედისწერო ნემსები, თუ ჩემი წამება არ უნდოდა? სულ თავზა ამებნა! რა მიზანი აქვს? თავად მშვენივრად იცის, რა მტკივნეულია ეს ნემსები, მაგრამ მაინც მიუთებს და თანაც თავის ხარჯზე; მამ სხვა რა მოსაზრება უნდა ჰქონდეს, თუ არა სიკეთის ქმნა? ექიმის უკითხავად კი ვალაწევიტა, მაკრამ ხომ იცის, რომ არ არსებობს ადამიანი, კატამანი არ უსდებოდეს. არ მერჩივნა, სულ არ მოვსულიყავი ამ ფირმაში და თანაც ამ განყოფილებაში? ეს დიაბეტე საიდანღა გამოჩინდა! ანდა, რა იქნებოდა, სულაც არ გამეცნო დოქტორი მაქსი, შეუმჩნეველად მოვწყობილიყავი ფირმაში, ერთი რიგითი მუშაკი ვყოფილიყავი, მაშინ ხომ დოქტორ მაქსს წელიწადში ორჯერ ძლივს ვნახავდი, სადმე დერეფანში თუ შევეჩეხებოდი, მასთან არავითარი საქმე არ მექნებოდა და მარტო ახალი შენობის ხელმძღვანელობას დავემორჩილებოდი. პირველ დღესვე მივხვდი, რამდენად უფრო რაციონალური იყო ის ნათელი და ჰიგიენური შენობა, სადაც ყველაფერი მექანიზებულია, ადამიანებიც ავტომატური სიზუსტით მუშაობენ, ნელ-ნელა ერწყმიან ნივთებს და იმდენად ანუყოფელი სდებიან მათგან, რომ დოქტორი მაქსიც კი ძლივს არჩევს. ალბათ, ამიტომაც ეძახის ახალ შენობას უზნეობის ბუდეს, რომ ამდენ ხალხს იტევს, ამდენ უსახო და უსახელო მასას, რომელთაც სათითაოდ არც სჭირდებათ თვალყურის დევნება, უბრალოდ ერთად და ჯგუფურად უნდა მართო. მაკრამ თუ დაუკვირდები, არც ეს არის გამოსავალი, ახალ შენობას სხვა ხელმძღვანელები, სექციებისა და განყოფილების გამგეები ჰყავს და ყოველი მათგანი სათავეში უდგას ადამიანთა განსაზღვრულ წრეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქაც არიან დიდი და პატარა „დოქტორი მაქსები", შეიძლება ისინი ძალით კი არავის უკეთებენ ნემსებს, მაგრამ ეჭვგარეშეა რაღაც სხვა დამთრგუნველ საშუალებებს მაინც მიმართავენ. მაშასადამე, უნდა მოვეშვა ყოველგვარ ვარაუდებს, მიწაზე მყარად დავდგე და ფხიზლად შევხედო სინამდვილეს. ეს სინამდვილე კი ის არის, რომ მე აქ, ამ კაბინეტში, მეორე სართულზე ვმუშაობ, პირადად დოქტორ მაქსთან, სამი მეტ-

რის მოშორებით და არა სხვაგან. რაკი ასე მოეწყო ნები ცხოვრება, შეც ნემსები ნემსებად უნდა აღვიქვა და არა წამებად... შეც ვცდი და ლოტარს მოკექცევი როგორც ჩვეულებრივ კაცს, კინც მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს, ესე იგი, როგორც შედიცინის მუშაკს და არცთუ ურიგო კაცს; ძალიან მკაცრად მიჭირავს ხოლმე თავი მასთან. ზოგჯერ ვეუბნები კიდეც, არა შცალია და გკიან მოდი-მეთქი; ასეთ სრიკების სანდასან კი მივმართავ, მაგრამ ნემსები სულმთლიანად მაინც ვერ ავიცდინე, თუმცა კი კარგად მომესხესება ლოტარი დოქტორი მაქსის ბრძანებას არაფრის გულისთვის არ დაარღვევს. ერთხელაც გადავწყვიტე, მოდი გამოვესაუბრები, ეგებ უფრო ასლოს რომ გავიცნო, არც ისე მწვავედ განვიცდო ეს ნემსები და აღარც სიზმარში მომელანდოს-მეთქი; ეგებ სულ სხვანაირი კაცია და მე ვაზვიადებ ყველაფერს, ადვილი მოსალოდნელია, სამაგალითო მამაცაა, ცხოვრებამ აიძულა მეკარედ დამდგარიყო და პატრონების ჭკუაზე ერბინა, აბა, თუ სხვა გზა არ ჰქონდა, რა ექნა! მართლაც ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილი დაკითხვა მოვუწყე. ისიც მპასუხობდა, უკმაყოფილება ვერ შევატყვე, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ბრძანებას ასრულებსო.

— ლოტარ, აქ მოსვლამდე რას აკეთებდით?

— არაფერს, ომში ვიყავი.

— იქ რას აკეთებდით?

— როგორ თუ რას ვაკეთებდი? ვიბრძოდი!

— რა ჩინი გქონდათ-მეთქი!

— რიგითი ჯარისკაცი ვიყავი.

— ბრძოლებშიც მონაწილეობდით?

— ხანდასან. ჯერ შიკრიკი ვიყავი, მერე პოლონეთში გამგზავნეს.

— პოლონეთში რაღას აკეთებდით?

— ტყვეთა ბანაკში ვმუშაობდი.

— ბანაკში?

— ჰო, იქაც შიკრიკი ვიყავი.

— ვისი?

— ერთი გერმანელი ოფიცრისა.

— მაშ გერმანული გეცოდინებათ.

— ისედაც ვიცოდი, დედა გერმანელი მყავს.

— ცოლიანი ხართ?

— დიას.

— შვილები გყავთ?

— ქალ-ვაჟი.

— რატომღაც უცოლო მეგონეთ.

— ცოლიანი ვარ, მაშ! — გაიღრიჭა იგი.

— რამდენი წლისა ხართ, ლოტარ?

— ორმოცდახუთის.

— მაშასადამე, ოცი წელიწადია აქ მუშაობთ.

— თითქმის.

— აქ როგორ მოეწყვეთ?

— დოქტორი სატურნო ბავშვობიდანვე მიცნობდა, ჩემი მშობლებიც ამ ფირმაში მუშაობდნენ.

— მოგწონთ აქაურობა?

— ძალიან.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ? ვმუშაობ, ხელფასს ვიღებ და ვცხოვრობ ასე. რა საკითხავია?!

— ჰო, მაგრამ ბევრი საქმე გაქვთ.

— ყველაფერი მესერხება, შრომა არ მეზარება, ბავშვობიდან მივეჩვიე, შიკრიკად მოწყობასაც ყოველთვის ვახერხებდი. წესრიგი მიყვარს, ბრძანების შესრულება არ მიჭირს, თანაც ზოგიერთივით შფოთისთავი არა ვარ.

— შფოთისთავი ვიღაა?

— ეეჰ, ბევრი, ბევრი, ჩვენ აქ ასეთებიც ბლომად გვყავს...

— ბრძანების შესრულება არ მიჭირსო, რომ თქვით, რას გულისხმობდით? დოქტორმა მაქსმა ან დოქტორმა სატურნომ რამე სისულელე რომ დაგავალონ, დაემორჩილებით?

— ჯერ ერთი ისინი სისულელეს არასოდეს დამავალებენ, კიდეც რომ დამავალონ, მაშასადამე, რაღაც მოსაზრება ექნებათ, მე კი მათი განსჯა არ მეკითხება. ხელფასს მორჩილებაში მაძლევენ, ჩემი ხელობაც ეგაა, სხვა რა მომეთხოვება?

— გამოდის, რომ არასოდეს გიკითხავთ თქვენი თავისთავის, რატომ გაკეთებინებენ ამ საქმეს ან მოგწონთ თუ არა?

— საერთოდ ჩემს თავს არავითარ კითხვებს არ ვუსვამ; გინდა თუ არ გინდა, მაინც უნდა დაემორჩილო. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო."

— მაშასადამე, იმიტომ ემორჩილებით, რომ ადგილის დაკარგვისა გეშინიათ?!

— არა, მორჩილება უბრალოდ ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი, განსაკუთრებით კი დოქტორი მაქსისა და დოქტორი სატურნოსი.

— რატომ მაინცდამაინც მათი და არა სხვა ვინმესი?

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის კარგად მეპყრობოდნენ, მეორეც იმიტომ, რომ ბუნებით ერთგული კაცი ვარ, თუ ვემსახურები, ბოლომდე უნდა ვემსახურო.

— რომ დაგითხოვონ?

— ვინც ჩემს ადგილს დაიჭერდა, ან შემომაკვდებოდა, ან შევაკვდებოდი!

— მაშ, შეაკვდებოდით? განა სულ ერთი არ არის, სად იმუშავებთ?

— სულ ერთია, როცა ვინმეზე მთელი სულითა და გულით არა სარ მიჯაჭვული; მე კი დოქტორ სატურნოსა და დოქტორ მაქსს სულითა და გულით მივენდე, მარტო ფულის გულისთვის კი არ ვემსახურები! თქვენ ესეც უნდა გაითვალისწინოთ!

უკანასკნელი სიტყვები მუქარით წარმოთქვა, ამიტომ მაშინვე შევცვალე საუბრის თემა.

— ერთი ეს მითხარით, ლოტარ, ქალები გიყვართ?

— ვის არ უყვარს! — გაიღრიჭა იგი.

— თქვენ, ალბათ, განსაკუთრებით, არა?

— აბა, რა ვიცი.

— აქ ბევრი საყვარელი გყავდათ?

— რომ მომენდომებინა, რამდენიც მინდა, იმდენი მეყოლებოდა.

— ისინიც დაგთანხმდებოდნენ?

— რატომაც არა! — მომიგო ლოტარმა.

ხმაში ტრაბახის ნატამალიც ვერ შევამჩნიე; ეტყობა, მართალს ამბობდა.

— გეტყობათ, ცოლის დიდი ერთგული იქნებით.

— დიახ. აკი ვითხარით, ბუნებით ერთგული კაცი ვარ-ბეთქი.

— ნუთუ სურვილი არა გქონიათ, აქ ვინმესთან რომანი გაგიბმიათ?

— იქნება კი მქონია, მაგრამ არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა!

— კიდევ ერთი შეკითხვა, ლოტარ, თქვენ ცოლთან ხშირად?...

— არა, ჩვეულებრივად.

— ესე იგი...

— ერთხელ დილას, ერთხელ საღამოს.

— ყოველ დღე?

— ყოველ დღე.

— გმადლობთ ლოტარ!

— არაფერს, — მიპასუხა მან, თავის რკინის ყუთს ხელი წამოავლო და გავიდა.

ამ საუბარმა კიდევ უფრო გამიმტკიცა ლოტარზე ადრევე შექმნილი შეხედულება. იგი დაბადებით მონაა, იმდენად მიჩვეულია მორჩილებას, რომ მეც კი დიდის ხალისით დამემორჩილა, თან ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, ერთი კითხვა და, პასუხი მზადა აქვს. მაშასადამე, მართალი ვყოფილვარ, როცა იგი სამართავი და თვითმმართავი ჯურის ადამიანებს მივაკუთვნე. გარედან, მართვა ეფუძნება მის მორჩილებას, ხოლო თვითმართვა — მის რწმენას, რომ რასაც აკეთებს, საჭიროა და აუცილებელი. არც მაშინ შევმცდარვარ, როცა ჩემს სიზმრების საფუძველზე მასში საშინელი ეროტომანი ამოვიცანი. საკმაოდ ნიშანდობლივია ისიც, რომ თავს სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად თვლის, რადგან ჰგონია „შფოთისთავების“ ცნობის დიდი ალღო აქვს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლოტარი არის სწორედ იმ მაღალზნეობრივი ადამიანის ნიმუში, რომელზედაც ასე გიყდებიან დოქტორი მაქსი და დოქტორი ურაძა. მათი აზრით, ასეთი სამაგალითო უნდა იყოს იდეალური ხელქვეითი. ამ ფიქრებმა ისეთ საგონებელში ჩამაგდო, რომ გადავწყვიტე, გამომერკვია, რა აზრის იყო

ამ საკითხებზე თავად დოქტორი მაქსი. მეც აკლექი და ერთ დღეს მასაც ლოტარიკით დაკითხვა მოვუწყე; იმ დღეს კარგ გუნებაზე გახლდათ, რადგან სწორედ ამ სასებში დიდი ტაცობა იყო ჩრდილოეთიდან მიღებულ ხმაგაუმტარ მასალაზე და დამკვეთების მოთხოვნებს ველარ ავუდიოდით.

პარკში შევედით. დოქტორმა მაქსმა თავისთვის ჯოხზე წამოცმული ესკიმო იყიდა. ვიფიქრე ამაზე ხელსაყრელ დროს ვერ შეეურჩევ-მეთქი, რადგან აშკარად არ იყო განწყობილი ღრმა ჩაფიქრებისა და მსჯელობისათვის, რაც ჩვეულებრივ სრულიად მოწყვეტს ხოლმე გარე სამყაროსგან. მეც ვითომ სხვათა შორის, სიტყვა ლოტარზე ჩამოვუგდე.

— ლოტარი ჩინებული ადამიანია, — არ მაცალა მან, — ზნეობრივად ხომ უნაკლოა (ისევ ზნეობაზე გაბა! და თანაც რა გზნებით!). ჯერ ის რად ღირს, რომ თითქმის ოცი წელიწადია ჩვენთან მსახურობს!

— დიას, მითხრა.

— თქვენ გამოგელაპარაკათ? უცნაურია, ლოტარი არავის არ ელაპარაკება ხოლმე! წარმოგიდგენიათ, ამ გოლიათს სულ ბავშვის გული აქვს, თან ძალზე მორიდებულია, ჩემთანაც კი ვერ ბედავს დალაპარაკებას. მიკვირს, როგორ გაგსაუბრებიათ!

— მართალი გითხრათ, საუბარი მე წამოვუწიე, ვეკითხებოდი და პასუხი ხომ უნდა გაეცა.

— მაინც რა გითხრათ?

— ისეთი არაფერი. ვკითხე, ცოლიანი ხარ თუ არა, აღრე, აქ მოსვლამდე რას აკეთებდი-მეთქი.

— ლოტარი მტკიცე ზნეობრივი პრინციპების კაცია და არც გადაუხვევს... ნეტავი კი ბლომად მოგვცა ასეთი ადამიანები!

— თქვენი დიდი ერთგულია!

— ვიცი, ჩემი გულისთვის ცეცხლში ჩადგება!

— თქვენის აზრით, ხელქვეითის იდეალური სიმუმია, არა?

— გარკვეული აზრით, ასეა, მაგრამ ინტელექტუალური თვალსაზრისით, საკმაოდ გონებაშეზღუდულია, კულტურის ნაჩვამალი არ გააჩნია. ამიტომ ხელქვეითის პირობაზე მართ-

ლაც უნაკლოა. ნეტავი ბლომად გვყავდეს მაგისთანები! ფირმის მუშაკია უმრავლესობისგან განსხვავებით, ლოტარი თავის საქმეს ეროგულად და თან სიყვარულით აკეთებს, ამას ვერ დაკუკარგავთ. მისთვის ფირმა ეკლესიაც არის და ერთადერთი რელიგიაც. მისი რწმენაა მორჩილება. ყველა რომ ამას ჰგავდეს, რაღა მიჭირდა!..

— ასეთი ყაიდის ხალხს, სამწუხაროდ, საკუთარი ინიციატივა არ გააჩნია.

— დიახ, ამას მართალს ბრძანებთ, მასაც სწორედ ეს აკლია, ესეც რომ ჰქონდეს, რაღაში შევედავებოდი! ჩემს ფირმაში რომ ასეთები მყავდნენ, ინიციატივაც გააჩნდეთ და დიდი გულიც...

— ეს რაღას ნიშნავს?!

— იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მარტო ინიციატივა, ცოცხალი ანალიზური გონება და განსაკუთრებით სელექციური აზროვნებისკენ მიდრეკილება არ ჰყოფნის, ღრმა გრძნობებიც უნდა გააჩნდეს!.. საუბედუროდ, ჩვენს დროში გრძნობები...

— ვერ გავიგე, დოქტორ მაქს, ეგებ უფრო ნათლად გამოგეთქვათ ეგ აზრი!..

— რა არის გაუგებარი? არსებობს ისეთი გრძნობა თუ სწრაფვა, გულიდან რომ მოდის და მთელ ქვეყანაზე ყველაზე მეტად ფირმას შეგაყვარებს... მაგრამ ვაი, რომ დღეს ადამიანებს მარტო ფული უყვართ!

— როცა ფირმაზე ლაპარაკობთ, მარტო სამუშაოს გულისსმობთ, თუ საკუთარ თავსაც?!

— რა განსხვავებაა! მე და ფირმა რამ გაგვყო! შეიძლება ითქვას, რომ ხელქვეითთა თვალში მე წარმოვადგენ ფირმას, ან განვასახიერებ მას!

— განა ფირმის სხვა მუშაკები არ წარმოადგენენ და არ განასახიერებენ ფირმას?

— ეეჰ, არა, ამას ვერ ეღირსებიან!.. მე იმდენად წარმოვადგენ და განვასახიერებ ფირმას, რამდენადაც მე და ის ერთ მთლიანს შევადგენთ, ესე იგი, მე გახლავართ მათი პატრონი. ფირმა და ფირმის პატრონი კი ერთი და იგივეა, ხოლო ისინი ხელქვეითების მეტი არაფერი არ არიან და არც

ფირმასთან აქვთ ხელი. ასე რომ, თქვენ ამას ერთმანეთში ნუ აურევთ, ვერ ატყობთ, რომ დღეს რაღაც გონება დაგბნელებიათ?

— ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს გული გეთანაღრებოდეთ, ჩემს ხელქვეითებს საკმარისად არ ვუყვარვარო!

— არა, ცდებით, მე ეგ არ მითქვამს! რატომაც არ ვუყვარვარ, ძალიანაც ვუყვარვარ და ეს მეც კარგად ვიცი. მართალია, აქ ისეთებიც მყვანან, ვისაც არ ვუყვარვარ, მაგრამ ნელნელა, უნდათ თუ არ უნდათ, ისინიც შემიყვარებენ, ამას ვერ ასცდებიან! ასეთია უახლოესი წლების ჩემი მიზანიც. სიყვარულით კი ვუყვარვარ, მაგრამ ისეთი თავდავიწყებით არა, როგორც ლოტარს!

— სწორედ ახლა ბრძანეთ, ლოტარს გული აქვს, ინიციატივა კი არაო...

— მართალია, ამიტომ ისეთი ხელმძღვანელი კადრები უნდა შეირჩეს, რომელთაც ეს ორივე თვისება ექნებათ: უსაზღვრო ერთგულება და ინიციატივა; აი, მაშინ კი შემეძლო სოფელში წავსულიყავი და მეცნიერებას ჩავჯდომოდი...

— არსად წამსვლელი თქვენ არა ხართ, ტყუილად იმუქრებით! ეგ ლიტონი სიტყვებია, ამის გამკეთებელი არა ხართ!

— რას ამბობთ, ისე რომ აეწყობოდეს საქმე, როგორც მე მინდა, მეორე დღეს აქ ჩემს ლანდსაც ვერ ნახავდით, ან რაღა საქმე უნდა მქონოდა, ვიღასთვის უნდა მედევნებინა თვალყური?! აი, ლოტარს, მაგალითად, რა თვალყურის დევნება სჭირდება, მანქანასავით შეუსვენებლივ მუშაობს და გულითა და სულით ერთგულიც არის. მეტი რა მინდა?

— იცით, ამას წინათ რა მითხრა მამათქვენმა? — შევაწყვეტინე სიტყვა, — ფული არაფერს ნიშნავსო...

— მერე რა? გარკვეული აზრით, ასეცაა, მაგრამ მარტო მისი სნის ადამიანებისთვის, ჩემს ასაკში კი ფული ბევრს ნიშნავს; მეტსაც გეტყვით, ფული ყველაფერია! აბა ფირმა სხვა რა არის, თუ არა ფული? ფულს კი პატრონი ჰყავს, ჩემო კარგო; და იცით, ვინ არის მისი პატრონი?

— არა.

— გული!

— როგორ თუ გული?

დოქტორმა მაქსმა გაიცინა და თქვა:

— მასწავლებელი უნდა გამოვსულიყავი და არა საქმოსანი! გულს რომ ვაპობ, გრძნობას ვგულისსმობ. გრძნობის ანუ სიკეთის ქმნის სურვილის გარეშე ფული კარგავს ყოველივეს აზრს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის! რასაკვირველია, ამით არ მინდა ეჭვქვეშ დავაყენო ფულის მნიშვნელობა; მაგალითად, მამაჩემს არაფრად ულირს, უფრო სწორად, არაფრად ულირდა (ასლა საამისოდ საკმაოდ მოხუცია), კაზინოში 150000 მილიონი ლირა წაეგო... გრძნობებში კი ვგულისსმობ რაღაც ზნეობრივ საწყისს, რაც მხოლოდ ფულის მეშვეობით შეიძლება ვამოვლინდეს...

— ვერ გამიგია, კარგად ამიხსენით!..

— მაგალითს მოგიყვანთ; მე რაღაც-რაღაც მოსაზრებები მაქვს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ეს ქვეყანა, როგორი უნდა იყოს კაცობრიობა, საზოგადოება და საერთოდ, ყველაფერი. ჩემი აზრია ის, რომ ზნეობრივ საწყისს, თუ შეიძლება ითქვას, წარმოშობს კაცთმოყვარეობის გრძნობა; რაც მეტი ფული მაქვს, მაშასადამე, რაც მეტი მატერიალური უფლებები გამაჩნია, მით უფრო ვუახლოვდები ჩემი აზრების განსორციელებას. ასლა გასაგებია?

— მაინც რა აზრები გაქვთ ასეთი?

— რა აზრები?

— დიახ!

— ჩემი აზრები მარტო ფირმის გარშემო ტრიალებს. სამწეხაროდ, იმდენი ფული არა მაქვს, რომ მთელ ქვეყანას გავწვდე და მისი გარდაქმნა შევძლო!

— ბარემ თქვით!

— ჩემი აზრები რელიგიური ხასიათისაა... მე მინდა, რომ ჩემი ფირმა წარმოადგენდეს ერთგვარ რელიგიურ თემს, სადაც სამუშაო რელიგიური წესმსახურებასავით წარიმართებოდა, სხვა მრავალი ფირმისა და პატრონისაგან განსხვავებით, მარტო ფულის კეთებაზე რომ ფიქრობენ და ადამიანებს არაფრად მიიჩნევენ...

— ეს კარგი, მაგრამ ყოველ რელიგიურ თემს სომ თავისი წესმსახურება აქვს და თავისი ღმერთი ჰყავს ანუ ღმერთის

თავისი იღეა; ერთისთვის ღმერთი კეთილი და სამართლიანია, მეორისთვის, პირიქით, სასტიკი და უწყალო. თქვენი ღმერთი როგორიღაა?

დოქტორმა მაქსმა გაიღიმა.

— გამოიცანით!

— გამოვიცანი კიდეც!

— მაშ თქვით! — დოქტორი მაქსი გაფითრდა და დაჟინებით მომაშტერდა.

— ღმერთი თქვენ თვითონ ხართ!

დოქტორი მაქსი ხელოვნურ ტბაში მოჭყუმპალავე ისვებს მიაშტერდა, კარგა ხანს დუმდა; კენჭებს კრეფდა და სათითაოდ ისროდა წყალში, თან ყეყეჩ ისვებზე იცინოდა, კენჭებისთვის შლამში რომ ყვინთავდნენ.

— გგონიათ თავს გაართმევთ? — ვკითხე მე.

— უნდა გავართვა, აბა რისთვის ვცხოვრობ!

— მაინც რა საშუალებებით აპირებთ თქვენი აზრების განხორციელებას?

— უპირველეს ყოვლისა, წესრიგით, ეს არის ჩვეულებრივი იარაღი; აკი ძალაუფლებას ქმნის წესრიგი! ხოლო ძალა, მოგესსენებათ, ყოველთვის იმარჯვებს!

იკი კვლავ დასწვდა კენჭებს და მსიარულად მოჰყვა მათს ცრილას. ასეთი მსიარული არასოდეს მინახავს.

— ახლა კი წავიდეთ, — აჩქარდა იგი, — ექვს საათზე თათბირი მაქვს დანიშნული გამსაღებლებთან. მართლა, აი ვის სჭირდება გარდაქმნა!..

ამის თქმა და მისი ფიქრებში წასვლა ერთი იყო. უკან დაბრუნებისას ხმა აღარც ერთს აღარ ამოგვიღია.

VI

ახლა შინა ვარ, ჩემს მშობლიურ ქალაქში. დოქტორ მაქსს რამდენიმე დღის შეებულება ვიხოვე და უსიტყვოდ მომცა. ეჭვიც არ აღძვრია, რომ ეს დრო სულის მოსათქმელად მჭირდებოდა, თვითონ მასზეც დავფიქრებულიყავი და საერთოდ, გამეაზრებინა მთელი ჩემი ცხოვრება, რომელიც ასე განუყო-

ფლად დავუკავშირე მას, დოქტორ მაქსს. ამას რატომ ვამბობ? იმიტომ, რომ სინამდვილეში ჩემსა და მას შორის არსებითად მხოლოდ მატერიალურ სარგებლიანობაზე აგებული საქმიან-ეკონომიური დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო, მაგრამ, ერთია, როგორი უნდა ყოფილიყო და მეორე, როგორია სინამდვილეში ჩემი შინაგანი მდგომარეობა, პირადი განწყობა, რომლის გამოც სულითა და ხორცით მივეჯაჭვე მასა და მის ფირმას. ჩემდა სავალალოდ, იმავე დღეებში საბოლოოდ გავარკვიე ისიც, რომ უკვე აღარაფერი მაკავშირებს აღარც მამასთან, აღარც დედასთან და აღარც მარიასთან, თუ მშობლიურ ქალაქთან. აღარაფერი შემომრჩენია, აღარც გრძნობები და აღარც მოგონებები. პირიქით, აქ ყველაფერი მაღიზიანებს, სევდას მგვრის, ყველაფერი უაზრობად და სულელურად მეჩვენება; ჩემს მშობლებსა და მარიას რომ ვესაუბრები, სულ იმაზე ვფიქრობ, ამ ხალხთან რა მინდა-მეთქი; დედაჩემი უბრალო, უფერულ ქალად მეჩვენება, მამაც ასევე უბრალო და უფერულ მოხუცად, მარია კი... ნუთუ იგი ოდესმე მიყვარდა?.. ჩვენი სახლი პირქუში და უღიმღამოა, ჩემი საწოლი მეუცხოვება, ქალაქი კი, ყველა სხვა პროვინციული ქალაქის მსგავსად — მთვლემარე და უხალისო.

დედა და მამა შეკითხვებით თავს მაბეზრებენ, უნდათ წვრილად იცოდნენ, როგორ ვცხოვრობ იქ, იმ დიდ ქალაქში. დროდადრო ერთმანეთს გადახედავენ ხოლმე. გუშინ, სუფრასთან რომ ვისხედით, მამაჩემმა ველარ მოითმინა და მითხრა:

— ვხვდები, რატომ არაფერს გვიყვები შენი ცხოვრებისა და შენი მუშაობის შესახებ! ალბათ გგონია, ბაქიობაში ჩამოგართმევთ! არა, შენი წარმატებების ამბავი აქ უკვე იციან; ასე რომ ტყუილად მორცხვობ! განა შენი ჭკუისა და ნებისყოფის წყალობით არ მიაღწიე ამას! ჩვენ მარტო სწავლაში შეგიწყვეთ ხელი, დანარჩენი შენზე იყო დამოკიდებული; კიდევ კარგი შუა გზაზე არ შეჩერდი და სადმე არ ჩარჩი სოფელში, თორემ რას გააწყობდი. ასე რომ, ახლა უკან ნულარ დაიხევ, რაც მთავარია, ნუ დაიმორცხვებ, უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწიე და მოსარიდებელი აღარაფერი გაქვს. რა ბრძოლა დაგჭირდა, რომ ცხოვრებაში შენი ადგილი გეპოვა! ასეა, სხვანა-

ირად თავს ვერ გაიტან! ღმერთსა მადლი, შენ ეს ბრძოლა მოიგე! ნამდვილად ვამაყობ შენით!

მამაჩემს ხმა გაებზარა, თვალთაგან ორი მსხვილი კურცხალი გადმოუგორდა, მაგიდაზე გადმოისარა და ჯერ ლოყაზე, მერე კი ხელზე მაკოცა, ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ხელის წართმევაც ვერ მოვასწარი.

— დიახ შენით ვამაყობ, ვამაყობ! — განაგრძო მან, — აქამდე ასეთი სიტყვები არც მითქვამს შენთვის, გრძნობებს არასდროს ავყოლივარ, არც კი მოუფერებივარ, მაგრამ ახლა, როცა შენმა წარმატებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, შენს წინაშე ქედს ვიხრი! — ამ სიტყვებით ადგა, ცეკვა-ცეკვითა და თავის დაკვრით მაგიდას შემოუარა, დედაჩემს კისერზე ხელი შემოხვია, მერე მე გადმომხედა და თქვა: ერთი ჩვენს ბუთხუზა ბიჭს უყურეთ!

ისინი კარგა ხანს შემომცქეროდნენ მდუმარედ.

ნაშუადღევს სასაფლაოზე წავედით, ჩვენი ნათესავების უბრალო, ღარიბული საფლავები მოვინახულეთ. მამაჩემმა ჩვენი საგვარეულო აკლდამა მაჩვენა, რისთვისაც შავი დღისთვის გადანახული ფულიც კი არ დაეზოგა.

— მე და დედაშენი რომ დავიხოცებით, უკვე მიწაში კი აღარ ჩაგვფლავენ, ღირსეულად დაგვასაფლავებენ და ეს სულ შენი წყალობითაა. ეს აკლდამა შენს სახელზეა დაწერილი, აქედან დაიწყება ჩვენი ოჯახის ახალი ერა და მომავალი თაობები...

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა, დედაჩემი კი ამასობაში საფლავებს შორის დაფუსფუსებდა და თითბრის მოსართავებს აპრიალებდა. აღარ მახსოვს, რას მეჩიჩინებოდა ბედნიერებით სახეგაბრწყინებული მამაჩემი; მისი ტუჩების მოძრაობას ვხედავდი, მაგრამ სიტყვები არ მესმოდა, ეს უზარმაზარი საგვარეულო აკლდამა მის ხმას ნთქავდა; მისახელებდა ნაცნობ გვარებს, მაგრამ მე ვერ ვიხსენებდი, მაჩვენებდა ბრინჯაოსა და მარმარილოს და ვერ ვხედავდი. ის კი არადა, ჩემი მშობლებიც იმდენად მეუცხოვებოდნენ, რომ მიკვირდა, ამ ბებრებთან, ამ სასაფლაოზე საიდან გავჩნდი-მეთქი; ისინი ხომ მეუცხოვებოდნენ და მეუცხოვებოდნენ, მაგრამ ველარც მარია და ჩემი მშობლიური ქალაქი დავაკავშირე ჩემს ახალ

ცხოვრებასთან. ამიტომ გადავწყვიტე, მომენასულებინა მარიას მაჯალები და ჩვენი ნიშნობა დამერღვია, თუმცა ვიცოდი, რა ელდა იქნებოდა ეს მათთვისაც და ჩემიანებისთვისაც. სრულიად აუღელვებლად განვუცხადე მათ ჩემი გადაწყვეტილება; კრისტიც არავის დაუძრავს, ყველა ამაყმა დუმილმა მოიცვა, მარტო მამაჩემმა მკითხა:

— მაინც რა მოხდა?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე.

ეტყობა, მოხდა და მოხდა რაღაც გამოუსწორებელი, რომ გული აღარც დედამამისკენ, აღარც საცოლისკენ და აღარც მშობლიური ქალაქისკენ აღარ მიმიწევს. ნუთუ ამ მოკლე სანში ისე წაიშალა მთელი ჩემი წარსული, რომ კვალიც კი არ დამიტოვა არც სულში და არც მახსოვრობაში; ნუთუ იმ დიდმა ქალაქმა, ფირმამ და, რაც მთავარია, დოქტორმა მაქსმა შესძლეს, ასე უკვალოდ მოესპოთ ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებას ავსებდა?

დოქტორი მაქსი! ახლაც კი, ჩემს საკუთარ სახლში, მთელი ჩემი ფიქრები მაინც მის გარშემო ტრიალებს, გრძნობები, აზრები მაინც მისკენ მიილტვის, გული აღარ მითმენს, შინდა ნქარა წავიდე და ვგრძნობ, აქეთ პირს აღარასოდეს ვიბრუნებ.

VII

მოცალეობის ჟამს თანამშრომლებთან დავიწყე სიარული დროის მოსაკლავად; ხან ვახშმად მიწვევენ, ხან ტელევიზორის საყურებლად. ვალში არც მე ვრჩები, ზოგჯერ რესტორანში ვეპატიჟები, ზოგჯერ კინოში, ასე დავუახლოვდი საკავშრო სააგენტოს განყოფილების უფროსს — პლუტოსა და რეკლამის განყოფილების ჯერჯერობით უშტატო თანამშრომელს — პიპოს. ორივე დაოჯახებულია, პლუტოს სამი შვილი ჰყავს, პიპოს — ერთი გოგონა. ჩვენი საუბრები (მე ნაკლებად ვერევი, უფრო მეტად ვუსმენ) ძირითადად ორი თემის ირგვლივ ტრიალებს: ერთია დოქტორი მაქსი ანუ ფირმა, მეორე — სნეულებები; ყველა რაღაცას უჩივის: პლუტოს სამ-

წვერა ნერვის ანთება აქვს, ამის გარდა კუჭის წყლულზეც ეჭვობენ; პიპოს გულის ფრიალი აწუხებს და ნეფრიტის ნიშნებიც გამოაჩნდა. ჩვენი მასლაათის ეს ორი თემა — სამუშაო და სნეულებები, ისე ერწყმის ერთმანეთს, თითქოს ერთსა და იმავე საგანზე ვსაუბრობდეთ. არც ცოლები ჩამორჩებიან ქმრებს, რაც კი მათს განყოფილებებში ხდება, ყველაფერი წვრილად იციან; ამის გარდა, მათაც თავიანთი სნეულებები აქვთ: პლუტოს ცოლს, ფაბრიციას, საკვერცხეები აწუხებს, სოლო პიპოს ცოლს, ჩინციას, ნერვიული სისტემა აქვს მოშლილი და მხედველობის, სმენისა და შეგრძნების შესუსტებას უჩივის. ცოლებიცა და ქმრებიც ერთსმად გაიძახიან მკურნალობა და დასვენება გვჭირდებაო, მაგრამ ამის არც საშუალება აქვთ და არც უფლება.

ამას წინათ მე, პიპო და მისი ცოლი პლუტომ ვასშიად დაგვპატიჟა. სუფრასთან რომ ვისხედით და თან გაცხარებული ვსაუბრობდით, ბავშვებმა ტელევიზორის ჩართვა აიტეხეს; ჩვენც ნელ-ნელა მივჩუმდით და ბოლოს სულ დავდუმდით. მანამდე იმ უსიამოვნო ამბავზე ვმსჯელობდით, პლუტოს რომ შეემთხვა რამდენიმე დღის წინათ. თურმე თავის კაბინეტში იჯდა და რაღაც წერილს ასწორებდა, უეცრად იგრძნო, რომ ცივმა ოფლმა დაასხა, თვალთ დაუბნელდა, სკამიდან ნელ-ნელა ჩამოცურდა და მაგიდის ქვეშ გაიშლართა. მდივანმა ქალმა რომ დაინახა, იფიქრა, რაღაც უბედურება მოსდაო და განგაში ატეხა. გამოცვივდა სალხი, მე და დოქტორი მაქსიც მაშინვე იქ გავჩნდით (პლუტოს კაბინეტი ასალ შენობაშია); მყისვე გამოვიძახეთ ექიმი. დოქტორი მაქსი ისე აღელდა, რომ ესეც კი თქვა:

— აი, კაცი! ფირმისთვის სიცოცხლეს არ ზოგავს; სულ იმას ვეხიჩინები, მუშაობით თავს ნუ იკლავ, ორიოდე დღე მაინც დაისვენე-მეთქი, მაგრამ გაგონებაც კი არ უნდა! მთელი დღე ფუსფუსებს, დარბის, ყვირის, რა გასაკვირია, რომ ბოლოს ასეთ დღეში ჩავარდეს! პლუტო ბრწყინვალე მუშაკია, სამუშაოზე ასე გადაგებული კაცი აქ არ მეგულება, პირდაპირ სამაგალითოა!

ექიმმა პლუტოს საგანგაშო ვერაფერი აღმოუჩინა. ლოტარმა თავისი ხელით ჩაიყვანა ქვემოთ და შინ სამსახურის

ბანქასით ყააცილა. პლუტო მხოლოდ გზაში მოსულა გონს, არ ახსოვდა, რა დაემართა და ისევ შე მოვუყევი ცოლისა და სტუმრების თანდასწრებით.

— დოქტორი მაქსი მართალია! — კმაყოფილი ღიმილით თქვა ჭან.

მომეჩვენა, რომ ამ შემთხვევამ კიდეც გაახარა, რაკი დოქტორი მაქსის ქება დაიმსახურა. და ჩემი ექვი ხმამაღლა გამოვთქვი.

— ეს რა საოქმელია, ხომ შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი? სწორედ ამ დღლას დამირეკა ექიმმა და მითხრა, კიდევ ხუთი წუთი რომ გაგრძელებულიყო ეს უგრძნობლობა, კომაში ჩავარდებოდით!

— მე მხოლოდ დოქტორი მაქსის სიტყვებზე მოგახსენებდით!

— ჰოო, რასაკვირველია, სასიამოვნოა, როცა პატრონი შრომას დაგიფასებს, მაგრამ ძერჩიკნა კარგადაც ვყოფილიყავი და თავდადებითაც მემუშავა. სევრალგია რომ არ მაწუხებდეს და ადრინდებულად ჯანიც მომდევდეს, ასჯერ მეტს გავაკეთებდი!

— მერე, რა გაგიხდა ერთი კვირისა თუ ათიოდე დღის შვებულება, აიღე და დაისვენე, — ჩაერია საუბარში მისი ცოლი ფაბრიცია, — დოქტორი მაქსიც ხომ სულ ამას გეჩიჩინებდა? მეც კი მითხრა...

— შენ? შენ როდისღა ველაპარაკა? ჩემთვის რომ არაფერი გითქვამს!

— სანამ შინ მოგიყვანდნენ, დამირეკა, ძალიან თავაზიანად მესაუბრა, ეტყობა, ამ ბოლო ხანებში საქმე კარგად აეწყო, თორემ სხვა დროს იმისთანა გუნებაზეა ხოლმე რომ...

— ეგ საიდანღა იცი? — შეაწყვეტინა პლუტომ.

— შენ თვითონ არ მეუბნები ხოლმე?

— ჰოო! მაგრამ თქმა ერთია და საქმე მეორე. აბა ერთი ვთხოვო და მთელი კვირა წავიდე! ვის ანაბარა დავტოვო გასაყოფილება, როგორ მივატოვო ამდენი საქმე, აბა დაფიქრდი, რას ამბობ!..

ცოლ-ქმარი ერთხანს კიდევ დაობდა; პლუტომ კიდეც უსაყვედურა ცოლს, თვალი სულ გაქცევასა და დასვენებაზე

გიჭირავს, საკუთარი თავის მეტი არაფერი გაგონდებაო. მერე პიპო და ჩინციაც ჩაებნენ ამ ლაპარაკში და ერთი დავა გააბეს ოავოთავიანთ სატკივარზე; ასლა იმან უსაყვედურა ქმარს, მეტისმეტად ბევრ წამლებს სვამო და სხვა ათასი. სიმართლე თუ გინდა, მათ შორის მართლა ავადმყოფი მარტო პიპოა. სახე ერთთავად შეჭარხლებული აქვს და ხელებიც სულ უკანკალებს. მათთანაც მივახშმია. პიპოსაც ზუსტად პლუტოსნაირ სახლში აქვს ბინა, ფართობიცა და ოთახების განლაგებაც ერთნაირია, მაგრამ არსებითად, სრულიად განსხვავებულია; პლუტოს ბინა ჩვეულებრივი, თანამედროვე ყაიდაზე მოწყობილი და ძალიან უღიმღამოა, პიპოსი, პირიქით, ძველი ყაიდისაა; შემორჩენილი ძველებური ავეჯი, ოჯახური რელიქვიები, სადილის ვერცხლეული, სამშვენისები თუ სურათები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს საუკუნეების მტვერი დასდებიაო, ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს მისი მოხუცი დედა, რომელიც მათთან ცხოვრობს. ეს ყველაფერი ერთად სულ არ ეხამება არც ოთახების სწორ, კუბურ ფორმას და არც ამ ვეება, ერთნაირი ბინებისაგან გამარიულ, აწონილ სახლს. ეს ნივთები სადმე სხვენზე რომ ეწყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ასეთ სახლებს სხვენიც არა აქვს. პიპო და მისი ცოლი ჩინციაა, ეტყობა, შეეგუენ ერთსაცა და მეორესაც და დიდად არ აწუხებთ ეს შეუსაბამობა. სხვათა შორის, მათაც შეატყობთ იგივე წინააღმდეგობრიობას, ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ერთმანეთისადმი ლტოლვა უგრძნიათ და ცოლქმარი გამხდარან. ორთავეს რაღაც საერთო აქვს ამ ბინასთან და ამ ძველებურ ნივთებთან; ორთაკენი იმ განსაკუთრებულ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნიან, ჯერ კიდევ რომ შესდებით ამ ქალაქში; ისინი თითქოს სადღაც, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ორ სამყაროს, ცხოვრების ორ ყაიდას შორის გასიდულან და მათ შერიგებას ცდილობენო. პიპოს თავისი სენის პეშვედი სახეზე აბის, ერთი შესედვისთანავე მისვდებით, რომ მისი ოჯახი სულ სხვა სანას ეკუთვნის, ჩვენს დროში სტუმარივით გრძნობს თავს და ღიღინვ-ეადაშენებისთვის არის განწირული; იგივეს ამოიკითხავთ ჩინციასა და მათი პატარა კოგონას სახეზეც: ბავშვი ჯერ ორი წლისაა და უკვე სქელშუშიან სათვალეს ატარებს. სამივეს ნაზად ეყვარა ერთმანეთი (დეიდას ესოლოდ თვალი მოეკარა,

ს ფალზე მისვენებულიყო და გაქუცული ბეწვის ქურთუკი წაეყარებინა). ისინი ვერც კი ეგრძნობენ, რომ მათს თვალებში მოციმციმე სიყვარული დასასრულის წინასიგრძნობაა და სამიოდე სელისელსაკიდებული უასლოვდება არყოფნის და არარსებობის უფსკრულს. ცხადია, ოვითონ კი ვერ გრძნობენ, მაგრამ ოვით მათი ცხოვრების ყაიდა მეტყველებს ამაზე; მარტო ერთი ბინა რად ღირს! ასლა მოსუცი დედა თქვით, სული კბილით უჭირავს და მაინც არ ტოვებს მათ, შეეძლო კი დავრდომილთა თაეშესაფარში წასულიყო. თავად ჰიპო სულ ფუსფუსებს, შფოთავს, ვერ ისვენებს, მაგრამ აბა თუ კულს გაიტეხს; საბაში კი აქვს, ვერ იქნა და ფირმაში ფეხი ვერ მოიმაგრა. ერთხელ დოქტორ მაქსსაც ვკითხე, რატომ ჰიპოს შტატში არ ჩარიცხავ-მეთქი, მაგრამ ისე შემომხედა, უსიტყვოდ მივხვდი. ჰიპო უდავოდ საქმიანი კაცია, მაგრამ ხელები უკანკალებს, თანაც ძაღლი ჰყავს და ისე უყვარს ის თავისი ბებერი, ქეციანი ბოშია, რომ სამსახურშიც კი ატარებს, ვესტიბიულში ტოვებს ხოლმე, თუმცა კი ლოტარი სულ ებუზღუნება; მერე როგორ ელოლიავება, სულ ვიტამინებით ჭყიპავს; ეგებ კარგი ჯიშისაც კია, მაგრამ აღარაფერი ეტყობა, ისევ გაქუცული; ეს ამბავი ძალზე აღიზიანებს დოქტორ მაქსს, რადგან მისი აზრით, ცხოველების სიყვარული და მათზე ზრუნვა ფირმისადმი სიყვარულს ანელებს. ჰიპოს კი ეს ვერ გაუგია (ვითომ ვერ გაუგია?) გვერდიდან არ იშორებს ძაღლს; ნამდვილად კი უსდა გაეწია ანგარიში პატრონისთვის, შინ დაეტოვებინა და თუ რამეს ჰკითხავდნენ, ეთქვა, მოკვდაო, არც გაუკვირდებოდათ. ჰიპოს ერთადერთი წამალი ღვინოა და მთელ თავის წუხილსაც ღვინოში ახშობს; შეიტანს კაბინეტში (კაბინეტიც დროებითი აქვს) აპერიტივის ბოთლს და სვამს.

ჰიპოს ცოლი ჩინცია მასწავლებელია და კეთილშობილ გვარს ეკუთვნის; აი, კიდევ რა აღიზიანებს დოქტორ მაქსს და ფირმის სხვა თანამშრომლებსაც. აქ ხომ ერთ აზნაურული წარმოშობის კაცს ვერ ნახავთ, ყველა პროვინციიდანაა ჩამოსული და რაღაც ბიოლოგიური სიძულვილი აქვთ არისტოკრატიის მიმართ; ეს არის კიდეც ამ ახალი ფორმაციის, ამ ჯანმაგარი, გამძლე და მეტნაკლებად ერთი ყაიდის ადამია-

ნების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. ჩინცია მშვიდი ქალია, საკმაოდ ულამაზო, მაგრამ წინაპართაგან გამოყოლილი თავაზიანობა და თავშეკავება, მეტად სანდომიან იერს სძენს და ვერც ნევრასტენიას შეატყობთ. მათი კოგონა ერთი მტკაველის იქით ვერაფერს ხედავს; მშობლები მას ყოველთვის უფროსებთან ერთად სვამენ სუფრასთან (სკამზე რამდენიმე ბალიშს კი დაუდემენ ხოლმე); დიდივით სწორად და გამართულად ლაპარაკობს, სიტყვებს არ ამახინჯებს, ჭკვიანურად და აზრიანად გიპასუხებს კითხვებზე, ტელევიზორს არ უყურებს, სულ ერთია, მაინც ვერაფერს დაინახავს. მიელი ოჯახი გულისამაჩუყებელი გულმოდგინებით ცდილობს ფირმის ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაში ჩაებას, თუმცა საკუთარი ცხოვრების წესით ძალიან შორს დგანან მისგან. კოგონა ყველაზე უფრო ოინამედროვე საბავშვო ბაღში დადის, სადაც ბავშვებს სრული თავისუფლების პრინციპით ზრდიან და კარგა ბლომად ფულიც უჯდებათ მშობლებს; მაგრამ რა თავისუფლებაზე შეიძლება ილაპარაკო, როცა ბავშვი ვერაფერს ხედავს და სულ ერთ ადგილზეა მიჯაჭვული. რაც არ უნდა სდებოდეს მის ირგვლივ, ვერ გაინძრევა; მიაჩერდება კედელზე ჩამოკიდებულ საბავშვო საანგარიშოს და დგას დალურსმულივით, მისთვის გართობა არ არსებობს. პიპო სულ ერთთავად სამუშაოს ძეანაშია და დიდად ცდება, რომ ამაზე სმამაღლა ლაპარაკობს: დოქტორმა შაქსმა ამის გულისთვის ორჯერ დასაჯა, ხელფასი დაუკლო. ცხადია, რაკი პიპო აქამდე არ ჩაირიცხა შტატში, როცა მოეპრიანება, მაშინ მიაბრძანებს ფირმიდან: ბოლო დროს მაინც სულ ჯიბრში უდგას, ეტყობა, უნდა აიძულოს, რომ თავისით წავიდეს, მაგრამ პიპო სქელკანიანივით ირჯება და ფეხს არ იცვლის.

ერთი სიტყვით, პლუტოსა და პიპოს ოჯახებს თითქოს ბევრი აქვთ საერთო, მაგრამ სინამდვილეში ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს სხვაობა კი იმდენად მათ ხასიათებსა და ცხოვრების ყაიდაში არ უნდა ვეძიოთ (ჩვენ ყველა, ასე თუ ისე ერთნაირად ვცხოვრობთ), რამდენადაც მათს ბიოლოგიურ თავისებურებებში; პიპოსა და მისი ოჯახის წევრებს მოასლოებული აღსასრულის დაღი აზის. მე მგონია, პიპო დიდი-დიდი ერთი ან ორი წელი გააჩერონ ფირმაში პლუ-

ტოს კი არავითარი საფრთხე არ ელის, თუ ავადმყოფობა არ გაურთულდა და ექვებმა არ შეიპყრო, შეიძლება კიდეც დააწინაურონ. ამაში კი მის ცოლს ფაბრიციასაც მიეძღვის წვლილი; ეს ქალი რატომღაც კვერცხს მაგონებს, ისეთი მკვრივი და შეკრულია; მგონი არც ეს მსგავსებაა შემთხვევითი, თვითონაც სულ საკვერცხეებზე წუწუნებს და მართალაც რაღაც ინფანტილურები კავშირი არსებობს მის გარეგნობასა და შინაგან ორგანოებს შორის. წუწუნში თავის ქმარს არ ჩამორჩება, ეტყობა ჭკვნილია, რომ ამით თავისი არსებობის უფლებებს განამტკიცებს. მე კი დარწმუნებული ვარ, არაფერიც არა სტკივა და არც ექიმები უდასტურებენ რამეს. ყოველ შემთხვევაში, პლუტოს ეგარი არ მოისპობა; მისი სამი შვილი უკვე სამაგალითო პატარა კლერკები არიან და მოსამავალზეც აქედანვე ზრუნავენ. წარმოიდგინეთ, სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის ამბებშიც კი ჩემზე უკეთ ერკვევიან.

ერთ საღამოსაც ასე ვისხედით, ტელევიზორს ვუყურებდით და თან ვლაპარაკობდით იმაზე, კეთილია თუ ბოროტი დოქტორი მაქსი. კაცები ამტკიცებდნენ კეთილიაო და მორალურ დასკვნებს იშველიებდნენ, ქალები კი, განსაკუთრებით ფაბრიცია, ამას წმინდა რეალურ მოსაზრებებს უპირისპირებდა, მაგალითად, ხელფასს, ანდა ფიზიოლოგიურს — თეთრ ლაქებსა და საერთო ავადმყოფურ იერს. ამ ლაპარაკს მოჰყვა მათი საკუთარი დაავადებების აღწერაც და ყველამ სათითაოდ რომ დაასახელეთ თავისი სენი, ბევრი საერთოც აღმოაჩინეს; მაგალითად, გამოარკვიეს, რომ პლუტოს სამწვერა ნერვის ანთება რაღაც გარეგანი ნიშნებით პლუტოს გულის ფრიალს ჩამოგავს, ჩასვლის ყნოსვის დაქვეითება კი თურმე სერვეტთან კი არ ყოფილა დაკავშირებული, რასაც აქამდე ვარაუდობდნენ, არამედ საკვერცხეების საერთო მოშლილობასთან, რადგანაც ფაბრიცია თავისი ავადმყოფობის გამწვავებისას, წორედ ყნოსვის მნიშვნელოვნად გაუარესებას აბრალებს. მერე წამლების თაობაზე წამოიწყეს საუბარი. ბუნებრივია ყველა დაავადებას თავისი წამალი სჭირდება და თუმცა არავინ კმაყოფილი არ არის, საკმარისია რაიმე ახალი წამალი გამოჩნდეს, მაშინვე აფთიაქებში გარბიან.

ასე მგონია, რომ პიპო და პლუტო მარტო იმისთვის მუ-

შაობენ და იმისთვის იღებენ ფულს, თავიანთ სსეულებებს ელოლიავონ, თითქოს აავდმყოფობა ერთადერთი გამართლება იყოს პატრონისადმი მორჩილებისა, რაკი დოქტორი მაქსი მათთვის ობიექტური რეალობის განსახიერებაა. მათი ცოლებისთვის კი ერთადერთი ობიექტური რეალობა ქმრების ხელფასით განისაზღვრება. ისინი უწინ იმაზე ფიქრობენ, რომ მაინი ქმრები კარგად მოეწყონ და ხელფასიც მეტი მიიღონ. ცოლების სატკივარი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ქმრების სსეულებებთან, რადგან ცოლებსაც სჭირდებათ გამართლება; მაინი გაგებით, თუ ავადმყოფის ბეერდით ცხოვრობ, არ შეიძლება მთლად ჯანმრთელი იყო, ოჯახური კავშირი, მით უმეტეს, მტკიცე კავშირი, შეუძლებელია, თუ ერთ-ერთი ჯანმრთელია, მეორე კი ავადმყოფი. ამიტომ სიმპტომები ისე უნდა განაწილდეს, რომ ცოლსა და ქმარს შეეძლოთ თავთავიანი სატკივარზე შესხივლონ ერთმანეთს; მხოლოდ მაშინ აქვს ოჯახურ ცხოვრებას აზრიცა და მიზანიც (ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შვილები და გვარის გაგრძელება ხომ არ არის), თორემ სხვანაირად რა გამოვიდოდა.

ამ ორი წყვილის შემხედვარემ გონების თვალით წარმოვიდგინე მათი ცოლქმრობის მიელი საიდუმლო. პიპოსა და მისი მეუღლის ურთიერთობა რომ არაჩვეულებრივად სათუთი და ფაქიზია, ეს ორივეს სახეზე აქვს აღბეჭდილი, მით უმეტეს, ჩინციას სპეტაკ სახეზე; და ისე მესატება, როგორც ორი უბედური არსების მსუბუქი, ნაზი ალერსი, თითქოს ისინი იმაშიც კი უბედურებას სედავენ, რაც სხვებს, ჩვეულებრივ ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებს (ოუნდაც მათი ბეცი შვილი ვთქვათ). რაც შეეხება პლუტოსა და მის ცოლს, მათი ურთიერთობა ბუნებრივი და ჩვეულებრივი უნდა იყოს; ამ თვალსაზრისითაც ამ ორ წყვილს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა და ეს აშკარად ჩანს მათს შთამომავლებშიც; თუ პიპოსა და მისი მეუღლისთვის ცოლქმრული სიახლოვე მხოლოდ დამატებაა და თანაც ტრაგიკული დამატება იმ იმედისა, რასაც ეს ორი არსება თავიანთ კავშირზე ამყარებს, თუმცა კი არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ ამ იმედისა, მათი ალერსიც უბიწო და გრძნობით გამსჭვალული უნდა იყოს (უბიწოებისა და გრძნობის რეზულტატი კი სათვალიანი შვილი გახლავთ);

პლუტოსა და მისი მეუღლისთვის კი ღამეული ურთიერთობა ოვითმიზანია და ამდენად შეესატყვისება კიდეც მათი ცხოვრების პუნქტირივ მდინარებას.

ხანდახან ფირმის სხვა თანამშრომლებიც მიწვევენ ხოლმე სტუმრად; მათი ოჯახებიც მეტნაკლებად ჩამოგვანან პლუტოსს და პიპოს ოჯახებს, ყოველ შემთხვევაში, დიდ სხვაობას ვერ ვამჩნევ, თუ არ ჩავთვლით დაავადებებს, რადგან ყველას თავისი სატკივარი სჭირს.

ხშირად ვრჩები ხოლმე შინაც და სახლის პატრონები ყავაზე და ლიქიორზე მეპატიჟებიან. ისინი მთელ დღეებს ძილში ატარებენ და მიკვირს, რითი ცხოვრობენ. ოჯახის უფროსს იმიტომ სძინავს, რომ საქმე აღარა აქვს, იმ საქონელზე რითიც იგი ვაჭრობდა, დიდი ხანია მოთხოვნილება არ არის და არც მზადდება; მაშასადამე, უმუშევარია და აღარც ასაკი უწყობს ხელს, რომ ახალ საქმეს შეეჭიდოს; ერთი სიტყვით, თუ არა სძინავს, მე მესაუბრება; იგი უჭკუო კაცი არ არის; კარგად ხვდება, რომ წლებს თავისი მიაქვთ და ძისი წირვაც გამოსულია. რაც შეეხება მათ კოსტაპრუწა შვილს (სულ რამდენჯერმე ვნახე), პირდაპირ კომერციისოვისაა გაჩენილი; ეტყობა, საქმე ურიგოდ არ მისდის; სწავლაშიც წარმატებებს აღწევს და თავისუფალ დროს მუშაობს კიდეც; აი, დედამისი კი, ჩემი დიასახლისი, ნამდვილად არაფრის მაქნისია; მარტო თავის თავი ახსოვს და ის ავიწყდება, რომ ახალგაზრდა აღარ არის, თან უგემოვნოდ იცის ჩაცმა და ტაუდევრადაც; სულ ერთი გასუნებული სალათით დადის; მაგრამ ჩემი ოთახის შემინულ კარებში რომ ვსედავ, არაერთხელ დამიჭერია თავი, რა ნდომით ვუყურებ მის ვნებით ანთებულ თვალებს, შემრგვალებულ, თეთრ ეკლავებს, მსუქან თიოებსა და ველოდები, ერთი გადაკალთული ხალათი გადაეწიოს და ნაზი ხორცი გამოუჩნდეს-მეთქი. ზოგჯერ ყავა რომ მოაქვს ჩემთან, ისიც მიფიქრია, ჩემი შეცდენა უნდა-მეთქი (ამ დროს ქმარი მეზობელ ოთახში ხვრინავს) და თან არცთუ უანგაროდ. ჩამოვჯდები ხოლმე სახლის პატრონებთან, ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალებ დიასახლისს, ფესაკრეფით რომ დაფუსფუსებს სამზარეულოში და დროდადრო ღიმილით გადმომხედავს, მერე მივდივარ ჩემს ოთახში. წინათ

ცოტა არ იყოს, მაწუხებდა ჩემს ოთახს შემინული კარი რომ ჰქონდა, ხომ არ მითვალთვალებენ-მეთქი, მაგრამ ასლა აღარც ეს მაწუხებს; მივუჯდები მაგიდას და ვზივარ ასე, სანამ ძილი არ მომერევა. ხვეულებრივ ვფიქრობ ხოლმე დოქტორ მაქსზე, ჩემს მშობლებზე, მარიასა და საერთოდ, ჩემს ცხოვრებაზე. ზოუჯერ ჩემიანებთან გატარებულ იმ რამდენიმე დღეს გავიხსენებ და მიკვირს, რა გულგრილად ვფიქრობ მათზე. რა მოხდა მაინც, რომ ასე გამიცივდა გული! მაგრამ აღარაკითარი გრძნობა არავისადმი არ დამრჩა, მარტო ერთი დოქტორი მაქსისადმი მაქვს რაღაც გრძნობა და ისიც, ვერ გამირკვევია რანაირი. მარტო დოქტორი მაქსი და ფირმა ავსებს ჩემს ცხოვრებას, მარტო მათთან მაქვს ყოველდღიური დამოკიდებულება და მატერიალურად ხომ მაითზე ვარ დამოკიდებული. ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, მაინც რა გრძნობა მაქვს დოქტორი მაქსისადმი, რა ჰქვია ამ გრძნობას-მეთქი; მაგრამ ვხედები, რომ განწირულებისა და მიმსგავსების სურვილის მეტი სულში არაფერი ჩამრჩენია (განწირულება და მიმსგავსების სურვილი კი აბა, სადაური გრძნობებია). აი, რა აზრები მიტრიალებს თავში; გამოდის, რომ მე ვცხოვრობ არა როგორც დოქტორი მაქსის დანამატი, არამედ უკვე მასთან შერწყმული, თითქოს ის სხვა ადამიანი კი არ არის, ჩემივე ნაწილია, მამაზეც და დედაზეც უფრო ასლობელი. კარგად რომ დავუფიქრდე, ასეც არის: ფირმა ცხოვრებას იწყებს ცხრის ნახევარზე და მეც მასთან ერთად, ორი საათის შესვენება აქვს და მეც მასთან ერთად, სამის ნახევარზე შეუდგება მუშაობას და შვიდის ნახევარზე ამთავრებს, მეც მასთან ერთად. დანარჩენი საათები, იმის გარდა, რაც ძილზე, ჭამაზე, კინოსა თუ სხვა გასართობზე მეხარჯება, ვერაფრით შენიცვლია. ასე ეფლობა ადამიანი სიცარიელეში, კარგავს აზრს, ხდება არარაობა. რა განსხვავებაა ჩემსა და ფირმის ცხოვრებას შორის, ისიც რვა საათი ცხოვრობს და მეც, დანარჩენი დროს არც მასა აქვს რაიმე მნიშვნელობა, ბოლოს და ბოლოს ერთ უკაცურ ადგილსღა წარმოადგენს. დოქტორი მაქსი კი სულ სხვაა; აი, ვინ არის ფირმის გული, ღმერთი და ღვთაება; მის ფიქრებსა და ოცნებებში ფირმაც რვა საათზე მეტი ცხოვრობს. ამიტომ ეებადება სურვილი, მას მივემსგავსო, მა-

საკით ჩამნიქას და ჩამითრიოს ეეგმებმა და პრობლემებმა, რომ ჩემი ცსოვრებაც, ფირმასავით დროდადრო არ ჩაკვდეს. მე რომ სსვა თანამშრომლებივით შევეუებოდი იმ აზრს, რომ მარტო იარაღი ანდა რაღაც საბუღალტრო საანგარიშო მანქანა, თუ სსვა რამ ნივთი ვარ-მეთქი, და ამით დავკმაყოფილებულიყავი (თავდაპირველად ხომ აღფრთოვანებულიც ვიყავი), ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მეც უსულო ნივთივით ვიარსებებდი, არც ბედნიერებას ვიგრძნობდი და არც უბედურებას, ვიქნებოდი ჩემთვის და მორჩა! შეიძლება ცოლიც შემერთო, ოჯახს მოვკიდებოდი, შვილები მყოლოდა; მაშინ ეეებ მეც გამჩენოდა ამ ნივთებივით გულუბრყვილო და მორჩილი შეეუების გრძნობა და ვინ იცის, ნელ-ნელა, რაკი მაინც ადამიანი ვარ და არა ნივთი, დამეძლია ეს უმოქმედობა და სულ სსვა, განსაკუთრებულ ბედნიერებას ვწეოდი — წმინდა, თითქმის რელიგიური გრძნობა აღმძვროდა ნეტარებისა და ერთგულებისა ანუ ვქცეულიყავი დოქტორი მაქსის საოცნებო სელქვეითად, საყვარელ ნივთად, იარაღად, რომელიც იმითიც ბედნიერია, რომ ნივთია და იარაღი. მაგრამ ასე არ არის. თითქმის ყველა გრძნობა ნაკვდა ჩემში, აღარც ფირმა მიყვარს და აღარც დოქტორი მაქსი, თუმცა ისინი ჩემთვის გაიაივებულია; ერთი სიტყვით, აღარავინ მაღელვებს, აღარაფერი მასალისებს; და თუ მაინც მაღელვებს, ისევ და ისევ დოქტორი მაქსი; სართალია, სიყვარულით მე იგი არ მიყვარს, რომ ბყვარებოდა, არც ასეთ სჯა-ბაას მოვყვებოდი და შეკ ბრაა იარაღივით გავჩერდებოდი, მაგრამ ერთი რამ მაინც ბინდა—ბინდა მას მივემსგავსო; თუმცა ეს სურვილიც სრულიად უაზრო და განუხორციელებელია; ანდა როგორ უნდა წარმოიდგინო ჩემი თავი მის ტოლად, როცა არც მისი სიმდიდრე ექნება ოდესმე და არც მისი უფლებები; ან ეს განწირულებისა თუ ბიმსგავსების სურვილი რად უნდა გამჩენოდა! ვეცდები, უფრო სათლად ვთქვა, განწირულებაზე რომ ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ დოქტორი მაქსისადმი ჩემს დაუოკებელ და საბედისწერო ლტოლვას; მაგალითად, უეცრად მომივლის სოლმე მასთან ყოფნის სურვილი და სადაც არ უნდა ვიყო, მოვწყდები და მისკენ მივექანები; მიმსგავსება ანდა გარდასსვა კი ნიშნავს ჩემს გაურკვეველ და გაუცნო-

ბიერებელ სწრაფვას — გავითქვიფო მასში, ესე იგი იმაში, რასაც იგი წარმოადგენს. ერთი სიტყვით, დავიბენი, მთელს ამ აბდაუბდაში ერთადერთი სინათლის სხივი თუ მაინც ბჟუტავს, ეს არის რაღაც იმედი, ვითომ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს, არც დოქტორი მაქსი, არც ფირმა, არც ეს დიდი ქალაქი; თითქოს მთელი ამ ხვის გასეირნობაში მეძინა და ეს შავბნელი სურათები სიზმარში ვნახე, ამ ჩვენებებს არაფერი აქვთ საერთო რეალობასთან. . მაგრამ ვაი, რომ მათი არარეალურობის პიუსედაკად, ერთადერთი რეალობა მაინც დოქტორი მაქსი და მისი ფირმაა! აი, ამ დროს მომერევა ხოლმე შიში, სასოწარკვეთა და ეჭვნობ, რაგორ ვისთქმები მორეეში და გადარჩენის ერთადერთ გზად დოქტორი მაქსის რეალური სიკვდილი მესახება, სეტივი უეცრად მოკვდებოდეს, მოულოდნელად გაქრებოდეს და ვერასოდეს ვეღარ ვნახავდე. საკმარისია ეს გავიფირო და მაშინვე მიბრუნდება რეალობის სრული შეგრძნება, მაშინ ადამიანი ადამიანია, ნივთი-ნივთი და მეტი არაფერი; კვლავ ცოცხლდება ის სახეები და ადგილები, რასაც დოქტორი მაქსის გამოჩენამ ჩემს ცხოვრებაში სულ დაუკარგა აზრი.

VIII

ფირმაში დიდი ამბები ხდება. ბევრი რამ შეიცვალა და კიდევ უფრო მეტი ცვლილებებია მოსალოდნელი. ეს კი ორ გარემოებასთანაა დაკავშირებული — დოქტორი მაქსის ქორწინებასთან და ფირმაში დოქტორი რებოს გენერალურ დირექტორად დანიშვნასთან. იწყება ფირმის გადახალისება და იმ გეგმის განხორციელება, აპას წინათ დოქტორმა მაქსმა რომ გამაცნო.

სანამ ამ ცვლილებებზე მოგიყვებოდეთ, მოგახსენებთ, რომ კაბინეტი შევიცვალე; დოქტორი მაქსის ყოფილ საპირფარეშოში კი აღარ ვზივარ, ახალ შენობაში გადავედი, პლუტოსთან. ამასთან, საჭიროდ მიმაჩნია რებოც აგიწეროთ. მე მას „სიმეტრიული კაცი“ შევარქვი; მართლაც ყველაზე მეტად ამ ადამიანის სიმეტრიულობა მაკვირვებს; ამ ორმოციოდე

წლის კაცის მარცხენა მხარე, მარცხენა თვალი, მარცხენა ნესტო, ლოყა, ყური, ხელი, ფესი, ერთი სიტყვით, მისი სხეულის მთელი მარცხენა ნაწილი, მარჯვენა მხარის ზედმიწევნით ზუსტი ასლია. ეს კი სრულყოფილი სიმეტრიულობის საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს; თითქოს რებო სრულიად განსხვავებული ადამიანია; ბევრიც რომ ეცადოთ, მაინც ვერ აღმოუჩენთ ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელ თუნდაც იოტისოდენა უსწორობას, ვერც ასიმეტრიულობას და ვერც უსიამოვნო (თუ პირიქით) ნაკვთს. თითქოს რაღაც ხელოვნური თუ მექანიკური აქვს და ერთი შეხედვისთანვე რაღაცნაირი უსიამოვნო გრძნობა აგიტანთ. თუ სიშიშვლეა წმინდა აბსტრაქტულ ფორმაში, ანუ გეომეტრიაში არ გამოვლინდა, მაშინ სულ არ არის სილამაზის ტოლფასი; შეიძლება სილამაზის მაღალ იდეალს კი პასუხობდეს, მაგრამ ეს იქნება მეტაფიზიკური სილამაზე და არა ადამიანური. აშიტომ რებო, თუ გვერდიდან შეხედავთ, შეიძლება ძალიან ლამაზიც მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთიანად, საშინელია. სახე, ხელები, სიარული თუ ლაპარაკი, ყველაფერი სიმეტრიული აქვს, ასე გეგონებათ, მის აზრებსაც ისეთივე უზადო, თუმცა ძნელად გასაგები პარაბოლების სიმეტრია ახასიათებდეს, რასაც მხოლოდ უმაღლესი მათემატიკის ნაშრომებში თუ ნახავთ. მისი შავი, თხელი და მბზინავი თმა მანეკენის ნეილონის პარიკს გაგახსენებთ, თვალები შუშისა გეგონებათ, კბილები პლასტმასისა, თუმცა ყველაფერი თავისია, ბუნებრივი. ხმაც ასევე ვაჟკაცური აქვს, მაგრამ იმდენად რბილი და უმეტყველო, გეგონებათ, შიგნით პაწაწინა აპარატი უდგას და ამ ბგერებს ის გამოსცემსო. ისე დავახასიათე რებო, ალბათ იფიქრებთ, ეს ხომ ნამდვილი რობოტიაო, მაგრამ სინამდვილეში არც ასეა: რებო გახლავთ რებო, მსხვილი სავაჭრო ფირმის ხელმძღვანელი და დოქტორმა მაქსმა იგი მაღალი ხელფასით მოხიბლა. რებოს ჩაცმულობას აღარ აგიწერო, მასაც ისე აცვია, როგორც ყველა სხვა ფირმის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს. სათვალეს ატარებს? რა თქმა უნდა.

ასეა თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს იღება ჩემი კაბინეტის კარი, შემოდის დოქტორი მაქსი რებოს თანხლებით

და ერთმანეთის გეცნობის. მე ვდგები, რებო რობიტიეით მიწვდის ხელს და ღიმილით შეუბრუნება:

— ფრიად მოსარული ვარ თქვენი გაცნობის, დოქტორმა მაქსმა ძალიან გაქოთ. თქვენ, მეგონი სავაჭრო დაგეგმარებაზე აპირებთ მუშაობას, თუ უკვე დაიწყეთ კიდეც! სამუშაო შემოქმედებითიცაა და საინტერესოც; ოთახიც შესაფერისია, საკმაოდ მყუდროა და გულისყურითაც იმუშავებთ, ოღონდ, ეს კია, ვასალების განყოფილებასთან მაინც შორსა ხართ და, ალბათ, მარტო ტელეფონით უკავშირდებით; ცოტა გარიყულობის გრძნობა ხომ არ გაქვთ? დოქტორი მაქსის კაბინეტთან სიახლოვე შეიძლება თქვენზე მაგნეტურ გავლენას ახდენს, თუმცა ჯერ ვერ ვიტყვი, დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი.

მკონოლოგი რომ დაასრულა, პირი მომუწა, მაგრამ იმავე წამში კვლავ თვალსმომჭრელი კბილები გაიელვა.

— რებო ფირმის გენერალურ დირექტორად დავნიშნეთ და ძირითადად მოსამსახურე პერსონალს უსელმძღვანელებს, — ამისსნა დოქტორმა მაქსმა, — გადავწყვიტე ყველაფერი ძირფესვიანად გარდავქმნა, პირადად მე, ალბათ, ვერ მოვასერსებ თვალყური ვადევნო წესრიგს, რებო კი თვითონვე დაამყარებს წესრიგსაც და თუ საჭიროდ მიიჩნია, თვალყურსაც ადევნებს ყველას.

რებომ კვლავ გააღო პირი.

— წესრიგი არის თვისება, რაც დაბადებიდანვე დაჰყვება ადამიანს და ისე აქვს ძვალ-რბილში გაჟღდარი, როგ სშირად მის გარეგნობასაც ანსებს კვალს (საკუთარი თავი ხომ არა ჰყავს მსედველობაში?) ამავე დროს, ადამიანმა შეიძლება ეს თვისება კიდეც შეიძინოს სხვათა მიმსედურობით და საკუთარი სურვილითაც. საერთოდ, წესრიგის სიყვარულმა ყველა სხვა თვისება უნდა დაჩრდილოს. ზოგჯერ შეძენილი, თანდაყოლილ წესრიგის სიყვარულზე უფრო მტკიცეა, რამეთუ ამ უკანასკნელმა შეიძლება სრულიად მოულოდნელი და არცთუ ყოველთვის სასურველი გადასრები მოგვცეს.

რებომ პირი დამუწა. ამ საუბრის მერე ორი დღე არც ისა და არც დოქტორი მაქსი აღარ მინახავს. მესამე დღეს კი გამომეცხადა შიკრიკი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გა-

რეზე, ფიროსმანის ნიშნისმოგებითაც კი (ადრეც ვიქვი, ჩემი უბრალო კაბინეტი, ეს ადამიანური ღირსებების დამამცირებელი ოთახიც კი, დოქტორი მაქსის კაბინეტთან სიახლოვის გამო, ყველაზე შურის საგნად იქცა), სიცილით გამომიცხადა:

— ადგილსამყოფელი უნდა შეიცვალოთ!

პირველ სიტყვებმა სულაც არ გამაკვირვა, მაშინვე წამოვკრიფე ჩემი მცირეოდენი ნივთები და ავდექი. სხვა დროს ამისთანა უმნიშვნელო ამბავი ეჭვებისა და სასოწარკვეთილების მორევში ჩამაყდებდა, ახლა კი ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა. მშვენივრად მივხვდი, რომ ეს რებოს ბრძანება იყო და არა დოქტორი მაქსისა, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მაქსს კიდეც მოენატრებოდა ის ერთადერთი ადამიანი, ვინც უსიტყვოდ და ლამის სისარულითაც კი დათანხმდა დაეკავებინა ეს უბრალოზე უბრალო კუთხე, ოღონდაც პატრონის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ გვიან იქნება. ჰოდა, მეც მოვკრიფე ჩემი ბარგი და ავედი მეოთხე სართულზე, პლუტოს კაბინეტში, სადაც ჩემთვის მაგიდაც დაედგათ (პლუტოს გვერდით). პლუტო გულითადად შემხვდა, თუმცა მივხვდი, ცოტა წყინდა, რომ ოცნებით წარმოდგენილ საკუთრებაში სხვაც შეეზიარა. მაგრამ კარგად მიცნობდა და ისიც იცოდა, რომ ყველასგან განსხვავებით, სულ არ ვისწრაფოდი ფირმის სულ მცირე საკუთრების მითვისებაც კი ზრად გამევლო, პირიქით, მარტო იმას ვცდილობდი, ფირმის საკუთრებად მეევე ექცეულიყავი და ეტყობა, ამან დააშოშმინა.

ჩემს ყოფილ კაბინეტში კვლავ საპირფარეშო მოწყვეს, ასე რომ, ბულდასწყვეტიც ორაფერი მქონდა. ეს განკარგულებაც ალბათ რებომ გასცა (უსარგებლო ეჭვების გასაქარწყლებლად). ოღონდ დოქტორ ურბანს კარსახეი, . რადგან მისი უფრო ადვილ და ლამ მარტო შვილს დასტრიალებდა.

ფირმაში სხვა სიახლეებიც დაინერგა; მაგალითად, ალადგინეს უფრო მოცრავი ბიბლიოთეკა და . ბინის ნაბარეს. იგი დიდს გულისყურებისებით შეუდგა ბიბლიოთეკის გამდიდრებას უახლესი ლიტერატურით. რომანები და მოძველებული, უვარგისი ნარკვევები გადაეყარეს და რაკი მინის კომოდების შეტანა არაფერი ოფიციალურ, მოაქვეა და ბანდრეიკიდან

დაწყებული „ნიღბიანი კაცით“ დამთავრებული, ყველაფერი შეიძინა, თანაც რამდენიმე ცალად. უნდა ვაღიარო, მისის წარმოწყებას დიდი წარმატება აქვს. ბიბლიოთეკის მოკცრო დარბაზი, სადაც იგი თავის მეგობრებთან ერთად ზის, მუდამ სალსითაა სავსე. მისი ერთი წიგნის მეტს არავის ატანს; ალბათ, სწორადაც იქცევი, რომ გორდონის, სუპერმენისა და ბატუნია პეპერისის თავგადასავლებს სერიებად არ არიგებს, ალბათ იცის, რომ მკითხველი ასე უფრო გაიგრძელებს სიამოვნებას, განსაკუთრებით ქალები. ამის გარდა, მისიმ რამდენიმე ამერიკული კომიქსიც იშოვა, თან ვინც ინგლისური არ იცის, თავისივე თარგმანს სთავაზობს.

ერთი სიტყვით, მისის დიდი წარმატება აქვს, ყველა იცნობს, პატივს სცემს და ბიბლიოთეკაშიც მუდამ სალსმრავლობაა. ბევრი ქალი (წარმოიდგინეთ, ზოგი ახალგაზრდა კაციც) ცდილობს მასავით იარის, მასავით შორისდებულებით ილაპარაკოს; ასლა დერეფანში ხშირად გაიგონებთ „სმაკებს“, „სპანგებს“. „გრონ-გრონებს“ და სხვა მრავალს. ასე რომ მისი ყველაზე ცნობილი პიროვნებაა ჩვენთან, ამ ამბავმა ჩვენს ფირმაში ცოტა სითამამე შემოიტანა, თუმცალა რებოს სიდარბაისლე ყველაფერს აწონასწორებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ რებოს კაბინეტი არა აქვს და სულ ოთახებში დადის; სან აქაა, სან აქ; ისეთ დროს დაგადგება თავზე, რომ არ ელი. უჭირავს სელში თავის ჭილის, შრელბაბთიანი ქუდი და დადის აღპა-დაღმა ფრენკ სინატრასავით. თან ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, ვითომ ერთი წუთით შემოიარა, აქ დროებით მუშაობს და დასაჯდომი ადგილიც არა აქვს. დოქტორმა მაქსმა ამიხსნა, ეს ორ მიზანს ემსახურებაო: ჯერ ერთი, საში გაუსვას რებოს მეშაობის და საერთოდ მუშაობის დინამიურ სტილს; და მეორეც — პატრონის სახე არ დაჩრდილოსო, საერთოდ არავინ დაჩრდილოს და ამით სალსში შური არ გაიღვიძოსო. ასე და ამგვარად, რებო თითქმის სულ ზეზეულად მუშაობს, ყველას უღიმის, ყველას ერთნაირად ელაპარაკება, შენიშვნას არავის მისცემს, მარტო კითხვებს უსვამს და თან ისე თავაზიანად, არ შეიძლება არ უპასუხო. სწორედ ამ შეკითხვების მეშვეობით მიახვედრებს ხოლმე სელქვეითს

ესა თუ ის სამუშაო შეიძლებოდა სულ სხვანაირად შესრულებულიყოფილ და სწორ გეზს აძლევს; სელქვეითიც შუბლზე ხელს შემოირტყამს და წამოიძახებს: „აბა უყურე, თავად ვერც მოვიფიქრებდიო“, და შესაბამისადაც იმოქმედებს. რებო არც უყვართ და არც სძულთ, საერთოდ არავითარ გრძნობას არ აღუძრავს ადამიანს და მისი ყველაზე დიდი ღირსებაც, ალბათ, ეს არის. ერთხელაც არ გაშიგია, ვინმეს აუგად ეხსენებინოს ან შეექოს, ეს კია, ყველას აინტერესებს, რა კაცია და თან ყველა კანკალებს მის წინაშე; დოქტორი მაქსის წინაშეც კანკალებენ, მაგრამ რა შედარებაა! რებოსთან საუბრის შემდეგ რაღაც რწმენა მაინც გემატება. როცა რებო (ეს მაღალ-მაღალი, სიმეტრიული კაცი, ქუდს რომ ხელიდან არ გაუშვებს) კაბინეტში შემოდის, გეგონებათ შემთხვევით შემოიარა და ფირმასთან არავითარი ურთიერთობა არა აქვსო; მოჰყვება ამ მთისას, იმ მთისას, ნელ-ნელა საქმიან საუბარზე გადავა, თანამშრომელთა შრომის მეთოდებზე ჩამოაგდებს სიტყვას; ამგვარად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უცხო კაცი მოსულა და თავისივე სურვილით რჩევა-დარიგებას გაძლევს, რომ შენვე შეგიმსუბუქოს მუშაობის პირობები. თანამშრომელი არ შეიძლება არ დაეთანხმოს რებოს ლოგიკასა და დიალექტიკას, თანაც მისი რჩევა თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს, და ამავე დროს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი თავადვე მოიფიქრა და თუ საკუთარ სარგებელზე ზრუნავდა, არც საქმისთვის დაუკლია ხელი.

დარწმუნებული ვარ, რებო ფირმისთვის დიდი მონაპოვარია და ტყუილად არ უსდიან ამდენ ფულს. ისიც სწორია, რომ მინიმ და მისმა ბიბლიოთეკამ ფირმის უღიმღამო გარემოში სულ სხვა სილაღე და სიცოცხლე შემოიტანა. ოტა კი მეეჭვება რომ დოქტორ მაქსს დიდად უჯდებოდეს ჭკუაში ამ ახალი წესების მორალური მხარე, მაგრამ არ შეიძლება მისი სარგებლიანობა არ აღიაროს.

— დიახ, დიას, — რაღაც დაეჭვებით მითხრა ამას წინათ და ხელი გამომდო, — მინის კომიქსებმა და რებოს მოძღვრებებმა ხალხი კარგ გუნებაზე დააყენა და რაკი გამხიარულდნენ, მაშასადამე, უკეთესად იმუშავებენ, თუმცა შეგნება არ მომატებიათ; აი, რა არის დამაფიქრებელი. ისე გამხიარულდნენ,

თითქოს შრომა გართობა იყოს და არა ზნეობრივი მოვალეობა. მართალია, ჩემი მიზნის მისაღწევად ერთიც მჭირდება და მეორეც — თან მხიარულად მუშაობდნენ და თან ისიც შეიგნონ, ფირმის აყვავებისთვის რომ იღვწიან, ამავე დროს მორალურ ვალსაც ისდიან ჩემს წინაშე. ადრე მათ მორალური მოვალეობის შეგნება კი ჰქონდათ, მაგრამ მხიარულები არ იყვნენ, ახლა გამხიარულდნენ და მორალური მოვალეობის შეგნება დაკარგეს. მე ასე მგონია, ეგებ ვცდები, თქვენ რას იტყვით?

რა უნდა მეთქვა? მართალი იყო. უფრო მეტიც (ამის თქმას რასაკვირველია, მოვერიდე), თუ ადრე დოქტორი მაქსი განასასიერებდა მორალურ მოვალეობას, ახლა მინი და რებო განასასიერებენ მხიარულებას, ესე იგი, ხელქვეითთა გულიდან განდევნეს დოქტორი მაქსი და მისი ადგილი თვითონ დაიკავეს. ეს კიდევ იმხელა უბედურება არ იქნებოდა, რომ დოქტორ მაქსს მათ სინდისზე მაინც შეენარჩუნებინა ბატონობის უფლება, მაგრამ ვაი, რომ მხიარულებამ მთლად დაავიწყათ მოვალეობა. როგორც ჩანს, მათი მოვალეობის გრძნობა ბეწვზე ეკიდა და მარტო პატრონის რისხვისა ეშინოდათ. თანაც მას ჰგონია, რომ უყვართ, სინამდვილეში კი აღარც ამის იმედი უნდა ჰქონდეს. თუმცა ჯერ ეს არ იცის, თუ იცის და, ურჩევნია, ეს ამბავი რებოს კი არა, ისევ მინის გადააბრალოს, რაც არ უნდა იყოს, მისი ცოლია. მეც ვეცადე როგორმე დამეძვრინა თავი და, სხვათა შორის, ვუთხარი:

— დიახ, ასეა, — დაფიქრებით ვთქვი, — ზნეობრივი მოვალეობის გრძნობა, რასაკვირველია, ცოტა დაჩრდილა მხიარულებამ.

— მერე თქვენ ეს ჩვეულებრივ ამბად გეჩვენებათ? — შეშფოთდა დოქტორი მაქსი.

— ჩემის აზრით, ერთი და იგივეა.

— როგორ თუ ერთი და იგივე? მე მგონია, პირიქით, სულ საპირისპიროა! გესმით, რას ამბობთ?

შევსხედე და გამეცინა.

— მაგრამ მუშაობით ხომ მუშაობენ? — ვკითხე მე.

— მერე რა, რომ მუშაობენ?

— მხიარულად მუშაობენ?

— მსიარულად მუშაობენ, მერე?

— მერე ის, რომ მსიარული მუშაობა უფრო ნაყოფიერია, ფირმაც უკეთ მოქმედებს, შემოსავალი იზრდება. ვის აძლევს ეს ხელს? ისევ თქვენ!

— მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის მატერიალიზმია, ჩემო კარგო! — აღშფოთდა დოქტორი მაქსი. ვატყობდი ბრაზი ერეოდა, ტუჩის კუთხეებში თეთრი ლაქები დააჩნდა. — კაცს ეგონება, თითქოს მე მარტო იმაზე ვფიქრობდე, როგორ გავზარდო ჩემი შემოსავალი და თანამშრომლებს ხელფასი მოვუმატო! თქვენ გავიწყდებათ, რომ ისინი მიეჩვევიან მფლანგველობას, დაიწყებენ სირბილს, ყიდვა-შეძენას, ფული წყალივით წავა; ეს ხომ გარყვნილებაა, მე კი პირიქით, მინდა ამას ავაცილებ! მე თვითონ უნდა გადავწყვიტო, რამდენი ხარჯონ და როგორ ხარჯონ! უფრო მეტსაც გეტყვით, მათ ჯერ სამუშაოზე უნდა იფიქრონ და მერე ფულზე! ფული ფირმის სეიფში უნდა ეწყოს და არა მათ ჯიბეებში. მე ვიცი ფულის ყადრი, მათ კი არა. გასაგებია? იქნება კარგად ვერ აგიხსენსით? — ამ სიტყვებით დოქტორმა მაქსმა შუბლზე თითები ამოიკაკუნა.

— მაგრამ აქამდე ხომ სელფასის მომატებაზე კრინტიც არავის დაუძრავს? იქნება...

— აი ნასავთ, თუ არ დაძრავენ! პირველად რებო მოითხოვს მომატებას, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! ჯერ სხვებისთვის მოითხოვს, მერე თავისთვისაც!

— სამაგიეროდ, სინიორა მინი არ მოითხოვს!

— ის რაღა შუაშია? მინი ჩემი ცოლია, ის ხომ ფულის გულისთვის არ მუშაობს, უბრალოდ მოსწონს და მუშაობს. ყველა რომ მას ჰგავდეს...

— და მაინც, სწორედ სინიორა მინიმ ბრძანა, ყველა კაბინეტში რადიომიმღები დავდგათ და ამერიკულ მუსიკას ვუსმინოთო!

— არა, ძვირფასო, ეს ჩემი აზრი გახლავთ!

— ამერიკულ მუსიკაზეც?

— არა, ამერიკული მუსიკა მინის აზრია, კაბინეტების რადიოფიცირება კი მე მოვიგონე... თუმცა სულ სხვა მიზნით...

— მაინც რა მიზნით, მითხარით, თუ შეიძლება!

— არ გეტყვით.

— მითხარით, თუ შეიძლება!

— კარგი... მინდოდა საეკლესიო გალობის გადაცემები მოგვეწყო, ჯერ ამერიკული მუსიკით დავიწყებდით, მერე კი შენაცვლებით... საგალობლებსაც გადავცემდით...

— ძალიან კარგი, მაგრამ მხიარულებას რაღას უზამდით?

— იმას, რომ ჯერ მსუბუქი და ზედაპირული მხიარულებით დავიწყებდით — ამაში ამერიკული მუსიკა დაგვეხმარებოდა — მერე კი ნელ-ნელა მივიყვანდით იმ შინაგან მხიარულებამდე, რასაც საეკლესიო გალობა ანიჭებს კაცს. ამგვარად დიდ მიზანსაც მივაღწევდით — გულუბრყვილო გაჭოობას მაღალი, მორალური ტკბობით შევცვლიდით!

— ერთი სიტყვით, თქვენ გინდათ ხელქვეითები მორწმუნეებად აქციოთ!

— სწორედ ეგ მინდა...

— მერე ვის უნდა სცენ თაყვანი?

— რაკი ჩემს ფირმაში მუშაობენ, მაშასადამე, მე!..

ამ დროს დერეფნის ბოლოში გამოჩნდა რებო; თავის ჩვეული ღიმილით სახეგაბრწყინებული ჩვენსკენ მოდიოდა და ქუდიც ჩვეულებისამებრ ხელში ეჭირა. დოქტორი მაქსი კი იმის მაგივრად რომ შეგებებოდა და ღიმილზე ღიმილითვე ეპასუხა, ელვის სისწრაფით შეტრიალდა და თავპირისმტვრევით გავარდა ლიფტისკენ, კარი პირდაპირ რებოს ცხვირწინ მიჯახუნდა (ამ დროს მან ნაპიჯს აუჩქარა). რებოს წარბიც არ შეუხრია. „სიმეტრიულმა კაცმა" ისეთი სახე მიიღო, ვითომც აქ არაფერიაო, მაშასადამე, თავისივე თავს დაუქნია, რომ დოქტორი მაქსი სწორედ მას გაექცა. მოქიასლოვდა, ხელი ჩამომართვა და მთელ სხეულში უცხო სითბომ ღვარა. მერე ორივე ხელით ქუდი ჩაბღუჯა, თავი ზევრდზე გადახარა და ისევ ისე დამიწყო ყურება, თან იღიმებოდა კიდეც.

— აქ საიდან გაჩნდით? ბომბოლოსთან ხომ არ მიდიხართ? მაშინ ერთი გზა გვქონია, წავიდეთ!

— არა, მე სხვა მხარეს მივდივარ!

— აა, კარგი, მაგრამ მაინც საით? თუ კაღნიერებაში არ ჩამომარიმევთ, მითხარით!

— რას ბრძანებთ, საპირფარეშოში მივდიოდი!

რებომ სიმეტრიულად აქნია ხშირი, მბზინავი წარბები და ეაოცებით შემომხედა, ძერე ხელი ასწია და საათზე მიშითითა.

— რიკორ? დილის თერთმეტ საათზე?

— დიას, თერთმეტ საათზე!

— ემადლობთ!

— არაფერს! — ვუპასუხე მე. რებომ ჩვეული მსუბუქი ნაბიჯით განაგრძო გზა.

ასე და ამგვარად შევიტყვე, რომ რებოს დანასვაზე დოქტორი მაქსი გარბის. რატომ? აკი თვითონვე მოიწვია და თან ხულ ასლასანს! იქნებ მისი წარმატებები შეშურდა? შეიძლება ესეც მისი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების კიდევ ერთი გამოვლინებაა! ანდა იქნებ დოქტორი მაქსის თვალში რებო იმ მხიარულების განსახიერებაა, სწორედ მისი და მისის გამორჩენის შემდეგ რომ დამკვიდრდა ფირმაში? ესე იგი, ძორალური მოვალეობის სრულიად საპირისპირო რამ. ანდა ძესაძლოა თვითონ დოქტორი მაქსი ერიდება, თუმცა რებო მისი ხელქვეითია და უსერსულ მდგომარეობაში რომ არ ააყდოს, გარბის! მაშინ კაცმა სულ უთავბოლო დასკვნა ესდა გამოიტანო: დოქტორმა მაქსმა რებოს სასით ასალი პატრონი წარმოიდგინა! მაგრამ განა შეიძლება პატრონს პატრონი ჰყავდეს? ანდა ვიღაცაზე ფსიქოლოგიურად იყოს დამოკიდებული? ნუთუ დოქტორ მაქსს პატრონი ჰყავს? შეუძლებელია! პატრონი თვითონ არის! მაგრამ გაქცევა რაღას ნიშნავს? ასე მარტო ხელქვეითი გაიქცევა პატრონის დანახვაზე! მე ხომ არ გავქცეულვარ, ადგილზევე დავრჩი და პირდაპირ ვუპასუხე, საპირფარეშოში მივდივარ-მეთქი, არ მოვრიდებივარ, რადგან რებოც ჩემსავით ხელქვეითად მიმაჩნია. მაგრამ თუკი დოქტორი მაქსი, თავად პატრონი ხელქვეითივით გარბის, გეგონებაო დანაშაულზე წაასწრესო, მაშინ მე რაღა მელის ასეთი პასუხის შემდეგ?

დოქტორ მაქსს პატრონი ჰყავს! არ მინდა დავიჯერო, ისევ ის ძირჩევნია, მისი გაქცევა ეჭვიანობის შეტევას დავაბრალო (ესეც შემაშფოთებელია); დოქტორი მაქსისთვის რებო გახდა ფირმაზე და მირიზე ეჭვიანობის მიზეზი. ისედაც ყველა ამ

წყვილზე ლაპარაკობს — მინიზე და რეგბოზე! დოქტორი მაქსი ვიღას ახსოვს! ახლა კი მივხვდი, რატომ დაეკვეთა დოქტორ-ია მაქსმა მხატვარ ორაციოს თავისიკე შეორზული მოთხრობისთვის ილუსტრაციები და ეს დასურათებული „კომიქსი" ყველა განყოფილებაში ჩამოარიგა.

მოთხრობას ჰქვია „აბრეშუმის ჭია"; მე თვითონ გადავწერე საკუთარი ხელით. სურათებზე ვერაფერს ვიტყვი, იღონდ ერთი ვერ გამიგია, რატომ მაინცდამაინც ორაციოს დაასურათებინა, რაცა სულ უბრალო რამ იყო დასასატი — ფირმის ერთი ოთახი, მაგიდა და მაგიდასთან ერთ-ერთი თანამშრომელი; ორაციო კი ნამდვილი მხატვარია, რაც არ უნდა იყოს.

აი, ეს მოთხრობაც:

„ერთ ფირმაში თითქმის ათი წელია მუშაობს ვინმე სინიორ მარიო; ჰყავს ცოლი და ორი შვილი. გაზაფხულია. ეს ჩვენი სინიორ მარიო, იმის მაგივრად, რომ საქმეს მოჰკიდოს, ხელი და უქმად არ იჯდეს, ფანჯარაში იყურება და ფიქრობს: რა დიდებული ამინდია, ახლა ერთი ქალაქგარეთ წამიყვანა, მდელოზე წამომაწვინა და დამატკბო ცისა და ჰეპლების ქვრეტით! ამას რა ჯობია, უსმინე კალიების ჭრიჭინს და წიწკნე ბალახი! ალბათ, რა ბედნიერებაა ჰეპელასავით იფრინო, კალიასავით იჭრიჭინო და მუმლივით იბორიალო ველად! — ამ ფიქრებში გადის მთელი დილა და შუადღეც. სინიორ მარიო ხან ცხენად წარმოიდგენს თავს, ხან ძაღლად, ხედ, ჰეპელად, ჭრიჭინად და ხანაც ჭიანჭველად (ზამთრის სარჩო რომ დაგროვა, ჭრიჭინა კი შიმშილით კვდება), და აჰა დღეც მიიწურა, სინიორ მარიოს კი მაგიდაზე დახვავებული სამუშაოსთვის ხელიც არ უსლია. უეცრად რაღაც ხმაური შემოესმის, უყურებს კარებს, არავინ ჩანს, ხმაური კვლავ ისმის და აი, მის წინ, საწერ მაგიდაზე, ზედ ცხვირწინ დასკუპულა აბრეშუმის ჭია. აქ როგორ გაჩნდა? სინიორ მარიო თვალებს არ უჯერებს; მაგრამ როცა აბრეშუმის ჭია ალაპარაკდა, მაშინ კი მის გაოცებას საზღვარი აღარა ჰქონდა.

— რატომ გგონია, რომ შენ ყველაზე ჭკვიანი ხარ, — სიცილით ეუბნება ჭია, — ან იმისი იმედი რატომ გაქვს, რომ თვალყურს არავინ გადევნებს! არა, არც ფირმა მაქვს მხედველობაში და არც ის საცოდავები, ვინც ფიქრობს, რომ შენც

ეასსავით პატიოსნად ასრულებ შენს მოვალეობას! მე სულ სიცა მაქვს მსედველობაში! იმ თვალყურს ვგულისსმობ, რომელსაც ბუნება ასორციელებს და მას კი არაფერი გამოეპარება. ახლა შენ ზისარ და ფიქრობ ჩემზე, შენის აზრით, მე არაფერსაც არ ვაკეთებ, სულ არ ვშრომობ. სინამდვილეში, საქმეს არ გამოვილევ, შრომაშიც ბადალი არა მყავს, ყოველ შემთსვევაში, შენზე მეტს მაინც ვაკეთებ, შე უსაქმურო, მთელ დღეს ბუზების თვალში ატარებ! აბა მე მიყურე, დღედაღამე ვშრომობ, ქამითაც მარტო იმიტომ ვჭამ, რომ მუშაობა შევძლო და მეუღლეც იმისთვის მინდა, რომ ჩემს შემდეგ აბრეშუმის გამომყვანი დარჩეს. ვსედავ, ახლა შენც დაფიქრდი და მისვდი, რამდენად ყალბია შენი მდგომარეობა, ყალბია შენი დამოკიდებულება დოქტორ მაქსთან და უპირველესად კი ბუნებასთან! შენ ხომ სულ არაფერს ქმნი, ესე იგი, პარაზიტი ხარ, მუქთასორა. მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში პარაზიტი კიდევ ასატანია, მაგრამ შენ ხომ ადამიანი ხარ! რა უფლება გაქვს ასე იცხოვრო? როგორ შეგიძლია რაიმეს არ ქმნიდე? აბა თქვი, რას აკეთებ, რას ქმნი?

ნისში მიმწყვდეული მარიო პასუხს აყოვნებს, დრო გაჰყავს, ჭია კი არ ეშვება და არა:

— ჰო, ჰო, აბა თქვი!

სინიორ მარიო ფიქრობს: „რა უნდა ჩემგან? მე ხომ აბრეშუმის ჭია არა ვარ!" და უპასუხებს:

— რატომ უნდა ჩაგაბარო ანგარიში? ბოლოს და ბოლოს მე ადამიანი გახლავარ და არა თქვენისთანა აბრეშუმის ჭია! ართეო ეგ თქვენი აბრეშუმის ძაფი და იყავით თქვენთვის, მე კი თავი დამანებეთ!

აბრეშუმის ჭია იცინის.

— მით უმეტეს, ადამიანი რომ ხარ, სწორედ ამიტომ უნდა იმუშაო კიდეც და უქმად არ გაატარო წუთისოფელი! მე თუ მიყურებ, ერთი პატარა აბრეშუმის ჭია ვარ, ვახვევ პარკს და მეტიც არაფერი მომეთსოვება; შენ კი კაცი ხარ, მორალური პასუხისმგებლობის გრძნობაც უნდა გაგაჩნდეს!

— ნეტავი შენ, რა მოხდა, რომ ამისთანა მშვენიერ ამინდში ოცნების გუნებაზე დავდგე? — ბუზღუნებს სინიორ მარიო.

— ის მიხდა, რომ სწორედ კარგ ამინდში შრომობენ ფუტკრები, პეპლებიც, ჭიანჭველებიც, ყველა ბსერი და მსეცი და შენც უნდა გაისარჯო; რა დროს უქნად ყოფნაა! ღიას, სწორედ შრომით მიემსგავსები მათ და მაისავით ბუნების კანონების თანახმად იცხოვრებ!

— მე კი ქალაქგარეთ ვასეირნება ყველაფერს მირჩევნია! — მაინც თავისას გაიძახის მარიო.

— რა სულ სეირნობაზე ლაპარაკობ, ხომ არ გგონია, რომ ჩვენც მარტო სეირნობასა და მსიარულებაში ვატარებთ დროს და კიდეც შეგშურდა? აბა დაფიქრდი, რას ამბობ! არა გჯერა, მთელი დღე მოსვენება არა მაქვს-მეთქი, რომ გეუბნები?

— მაშ როდისღა ერთობი?

— ჩემი გართობა შრომაა! ყველა ჩემი მსგავსი ასე ცხოვრობს, ვინც არ მუშაობს, ის არც ცოცხლებში ითვლება და აბა რაღას გაერთობა! ყველამ რაღაც სასარგებლო უნდა გააკეთოს, ასეთია ბუნების კანონი. ამიტომ გეუბნები, უქნარა ხარ-მეთქი!

სინიორ მარიო ააფიქრდა. თავი რომ ასწია, აბრეშუმის ჭიის კვალიც გამქრალიყო. გასედა ცას ფანჯრიდან სინიორ მარიომ და აღიარა, რაც კი აბრეშუმის ჭიამ მითხრა, ყველაფერი მართალიაო. სინდისის ქენჯნა იგრძნო, მთელი ღღე მართლაც უქმად გავატარეო და მაშინვე მსიარულად შეუდგა შრომას.“

მოთხრობას დიდი წარმატება არა ჰქონია; სურათები ყველას ერთფეროვნად ეჩვენა, ხოლო აზრს, უბრალოდ ვერავინ ჩასწვდა. რაკი მოთხრობა სელმოუწერელი იყო, ამაზე არავინ დაფიქრებულა და ყველა მინისთან გარბოდა საჩიქელელად, სუპერმენი, ნემბო კიდი ანდა ტოპოლინო ალასჯერ უფრო საინტერესოა, ვიდრე ეს სისულელეო.

პიპომაც სრულიად არაფერი იცოდა (სულ რამდენიმე კაცმა გაიგო, რომ „აბრეშუმის ჭიის“ ავტორი დოქტორი მაქსი გასლდათ) და სასალსოდ განაცხადა, ამისთანა აბდაუბდა არაფერი წამიკითხავსო.

დოქტორი მაქსი შემთხვევით შეესწრო ამ საუბარს, მკვდრის ფერი დაედო და პიპოს დაეძგერა:

— რატომ არის აბდაუბდა, ერთი ამისსენიი!

— აბრს ვერ გამოიტანს კაცი, სისულელეა! ნუთუ თქვენ მოგეწონათ!

— მოეწონა თუ არ მოეწონა, არავის საქმე არ არის! თქვენ ის აბიხსენით, რატომ არის აბდაუბდა?

პიპოს ცასცახი აუტყდა, ვერ გაეგო, რა იყო ხელში, მაგრამ დოქტორი მაქსის რისხვაზე უფრო საშიში რა უნდა ყოფილიყო, ეს არ კმაროდა?

— აკი მოგახსენეთ, დოქტორ მაქს, მოთხრობა გაუგებარია, ეროკელ შემოხვევაში, მე ვერაფერი გავიგე-მეთქი. დიახ ვერ ავიტაე, ადამიანი აბრეშუმის ჭიასთან რა შესადარებელია და საერთოდ, ვერც ამ შედარების აზრს ჩავწვდი! — ბუტბუტებდა პიპო.

— რა შისვეღრა უნდა, აქ ლაპარაკია ადამიანის ფუნქციაზე ბუნებაში, — ვუკარნახე მე.

— თქვენ გაჩუმდით! — დამიღრიალა დოქტორმა მაქსმა.

პიპო დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით; დილით მიღებულმა აპერიტივმა და ამ მოულოდნელმა უსიამოვნებამ სულ ბილად აუმღვრია თვალები.

— მართალია, მეც მომეჩვენა, თითქოს ლაპარაკი იყო...

— შერე!.. — უტევდა დოქტორი მაქსი.

— შეგონა... შეიძლება... ერთი სიტყვით, არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცით? აბა, აბა...

— არ ვიცი, დოქტორ მაქს, მართლა არ მესმის... მაპატიეთ, მაგრამ... — ძლივს ამოღერღა პიპომ. თავდაპირველად ალბად შეეძლო შეპასუხებოდა, მერე შეყოყმანდა და რაკი დოქტორმა მაქსმა შეუტია, საბოლოოდ დაშინებული, სულ მიჩუმდა.

— მაშინ მე აგიხსნით, რატომ არაფერი არ გესმით, პიპო! იმიტომ, რომ ლოთი ხართ, დაღუპული კაცი ხართ და მე სამადლოდ გინახავთ! კარგად დაისომეთ, სამადლოდ გინახავთ! ახლა კი თავს ძალა დაატანეთ და მიხვდებით, რომ იმ მოთხრობაში არაფერი არ იყო გაუგებარი!

წარმოთქვა ეს სიტყვები დოქტორმა მაქსმა, მოტრიალდა და წავიდა; პიპო კი დარჩა დათრგუნვილი და გაოგნებული. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, „აბრეშუმის ჭიის" მარცხი დოქტორ მაქსს ლახვარივით მოხვდა გულში, თუმცა კი ისტი-

ბარს არ იტეხს. რებოსა და მინისადმიც კი აღეძრა შური, იმიტომ რომ მათ დიდი წარმატება ჰქონდათ. დოქტორი მაქსი სულ შსამს აფრქვევს, აღარავის ინდობს. ამას წინათ მე გამომიცხადა:

— იცით, ამ დილას, საპირფარეშოში რომ შევედი და უნიტაზს შევსედე, თქვენ მეგონეთ, რას ნიშნავს მისვლა! ცოტაც და დავულაპარაკებოდი, ისე ჭკვიანურად ერთმანეთს! — თავის სიტყვაზე ოვითონვე გაიცინა და გამეცალა.

საწყალი პიპოსგან განსხვავებით, თავის კაბინეტში რომ შეიკეტა და ცრემლად იღვრებოდა, მე ეს ბოროტი ხუმრობა აინუნშიც არ ჩამიგდია. რაც არ უნდა თქვას დოქტორმა მაქსმა, მე მაინც ადამიანი ვარ და არა უნიტაზი, თუნდაც იმდენად უღირსი ვიყო, რომ უნიტაზში შევეშალო კაცს (თუმცა ეს სხვა საკითხია); პიპო კი სწორედ ის არის, რაც დოქტორმა მაქსმა უთხრა, მაგრამ თვითონ ვერ ხვდება. დიდხანს ვერ შეაღწევს საწყალი. საღამოს დავინახე, რა დაუზოგავად სცემდა თავის ძაღლს საფუთავი ყუთის ფიცრით, საბრალო მიწას გაჰკვროდა, შიშისაგან ყურები დაეწკიპა და გაბმით წკმუტუნებდა, თითქოს სლუკუნებსო, ოღონდ არც იყეფებოდა, არც ყმუოდა და წარმოიდგინეთ, არც გაქცევა უცდია. პიპო ისეთი სიშმაგით ურტყამდა ფიცარს, რომ ქუჩის სმაურიც კი ვერ ახშობდა რასუნს, გეგონებოდათ, ძონძების გროვას უტყაპუნებენო. შორიდან დავინახე, გარშემო ხალხი შემოხვეოდა და უსიტყვოდ უყურებდა ამ შემზარავ სურათს; მაშინვე გავექანე და ფიცარი ხელიდან გამოვკლიჯე. პიპო მოწყვეტით დაენარცხა ტროტუარზე, სახლის კედელს მიეყრდნო და ერთსანს ასე ვარინდებული იჯდა; უგონოდ მთვრალი იყო; ცოტა ხნის მერე წამოდგომა სცადა, კედელს ეპოტინებოდა, ხელებს აქნევდა, ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ მიხვდა, რაც მოიმოქმედა, დაიხარა და აქოშინებულ ძაღლს ალერსი დაუწყო, კოცნიდა და თან მოჩვარულ ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ძაღლი ტროტუარზე გართხმულიყო, როცა პიპომ თათები გაუსწორა და სცადა ფეხზე წამოეყენებინა, დაიყმუვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელში აიყვანა და მინისაკენ წაჩანჩალდა.

* * *

ალბო დიდის გულმოდგინებით შეუდგა ჩვენი ფირმის ყველაზე მტკივნეული საკითხის — მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობების საკითხის — მოგვარებას. თითქოს ყველა თანამშრომელს რაღაც სატკივარი აწუხებს, ზოგს უფრო მძიმე, ზოგსაც მსუბუქი. მძიმედ დაავადებულებს სამკურნალოდ სასელმწიფო საავადმყოფოებში ათავსებენ, მსუბუქად დაავადებულები კი არცთუ სანდო სასელმწიფო ექიმებს მიმართავენ, მაგრამ უშედეგოდ; ამიტომ ისევ თვითონ დაეძებენ ექიმებსაც და წამალსაც. კმაყოფილი მაინც არავინ არ არის, ხან რაც საჭიროა იმას არ უწერენ, ხან წამალი არ მოქმედებს კარგად და ასე დაუსრულებლად. ამიტომ სულ ედავებიან და უჩივიან ექიმებსა და აფთიაქარებს. ერთი სიტყვით, ავადმყოფობა პირდაპირ ფირმის უბედურებად იქცა. თანამშრომელმა იცის, რომ უფლება არა აქვს მძიმედ დაავადდეს და ამიტომ უნდა თუ არ უნდა, თავს უნდა მოუაროს და გაუფრთხილდეს. ჩვეულებრივ მძიმედ ავადდებიან ყველაზე დაბალი რანგის მოსამსახურეები — საწყობის მუშები, მტვირთავები და სხვანი. ავად გახდომა კიდევ იმითიც არის საშიში, რომ კაცი რამდენიმე თვე სამსახურში თუ არ გამოჩნდა, სულ დაივიწყებენ. ამიტომ ხშირად ავადმყოფები სამსახურში მაინც ცხადდებიან, მაგრამ თითქოს იყვედრებიან, ხომ ხედავთ, ავად ვართ და მაინც დავდივართო; თუ თქვენს მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ, რა ვქნათ მიზეზი ავადმყოფობაა; გამოთაყვანებულებიც ამიტომა ვართ, ხელებიც ამიტომ გვიდუნდება, მსედველობა და სმენა გვღალატობს და სხვა ათასი რამეც ამიტომ გვემართებაო. თუ თანამშრომელი იმდენად მძიმედ დაავადდა, რომ სამსახურში ვეღარ დადის, მაშინ დაუყოვნებლივ წამოიჭრება მისი შეცვლის საკითხი. იგივე ხდება მემკვიდრეობითი ავადმყოფობების შემთხვევაშიც, ან დიდი ხნით უნდა განთავისუფლდეს, ან სულ დაანებოს სამსახურს თავი; რაც არ უნდა იყოს, სამსახურს ზარალს აყენებს, თან მისი მორალური სახეც ნათელია. დოქტორმა მაქსმა ამ საკითხზე შემდეგი აზრი შეიმუშავა: „ძალზე ვწუხვარ, მაგრამ ასეთია ბუნების კანონი, თუ კაცს მუშაობა არ შეუძლია, ფული რიღასთვის უნდა მივცე? თუ კვდება, მაშინ ბუნებას არ

სურს, რომ მან იცოცხლოს! თუ აღსასრული წელა ასლოვდე-ბა, ანდა ძალიან ქვასურვეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კაცს ნათელი წარმოდგენა არა ჰქონია არაფერზე; თუ იგი დარ-წმუნდა, რომ სარეგებელს ვეღარავის მოუტანს, სიცოცხლეს კი არ უნდა ნაებლაუჭოს, პირიქით, კიდეც უნდა ისტროს სიკვ-დილი." მაგრამ თუ ავადმყოფი კაცი მაინც დადის სამსახურ-ში, ამაზე დოქტორი მაქსი ამბობს: „აი, სედავთ? კაცი ავადაა, მაგრამ მაინც მუშაობს. მაშასადამე, მუშაობისა და, მით უმე-ტეს, სიცოცხლის წყურვილი ავადმყოფობაზე ძლიერია!" და დასკვნის: „ბედისწერას ვერ გაექცევი. კაცი ეს ძლიერია ეს სუსტი (ამბობენ სისუსტე მემკვიდრეობითია, მაგრამ ეს არ არის ამოსავალი და ძალზე შორს წაგვიყვანდა; სხვათა შო-რის, ოჯახური მორალის თვისებებიც ასევე გადაეცემა თაო-ბიდან თაობას), ადამიანი იმიტომაა სუსტი, რომ საკმარისი მორალური ძალა არ გააჩნია. აქ უკვე ვეღარაფერს უშვე-ლი, ჩემი კარგო, კაცი ბედისაგან ყოფილა გასწირული და ადრე თუ გვიან, მაინც მოკვდება."

სხვათა შორის, ამას წინათ დოქტორი მაქსი იძულებუ-ლი იყო დაედგინა, რომ ფირმის სამ მეოთხედზე მეტი თანამ-შრომელი რაღაც სენით იყო დაავადებული. ითქოს არცთუ მძიმე ავადმყოფები იყვნენ, მაგრამ დიაგნოზის დასმა კი გა-ჭირდა; ანდა რა დიაგნოზი უნდა დაუსვა კაცს, რომელიც ნაშუადღევს უკვე ვეღარაფერს სედავს, ან სულისხუთვა და-ეწყება ან სველა აუტყდება, ზოგჯერ კი ფსანა, რას გააწყობ იმათთან, ვისაც თვალი სულ ჩხუბზე უჭირავს, ანდა საპირფა-რეშოში რომ იკეტებიან, მთელი დღე რომ კურკურებენ, ან ჩივიან და წუწუნებენ თვალთ დაგვაკლდა, ხელ-ფესი წაგვერ-თვაო. ვითომ ამას ავადმყოფობა ჰქვია ანდა თუ ქვია — განუ-კურნებელია? მაშინ სამსახურში ხომ წესიერად დადიან, ზუ-სტად ათის ნახევარზე ცხადდებიან. რა უნდა იღონო კაცმა? ერთხანს დოქტორი მაქსი კიდეც ამაყობდა იმ სალსით, ვინც ავადმყოფობის მიუხედავად მაინც დადიოდა სამსახურში, მაგ-რამ მერე ეჭვით დაუწყო ყურება. იფიქრა, ეს ალბათ მარტო საბაბია, რომ საყვედურები და სასჯელი თავიდან აიცდინონო. ვისაც ფსიქიური აშლილობის გამო ქავილი აუტყდება და სა-პირფარეშოში იკეტება საათობით, დოქტორი მაქსი „სექსუა-

ლურად დაავადებულს“ ეძახის; ყველაზე მეტად კი მაინც ის აწუხებს, რომ ამ ავადმყოფებს სამუშაოსთვის ძალიან ცოტა დრო რჩებათ. ხოლო რებო სულ იმაზე წუხს, როგორ მოუაროს ამ პრობლემას და გადაწყვიტა ასალ შენობაში აპბულატორია და აფთიაქი მოეწყო. ამ სიახლემ ისეთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ისე ბაებლაუგა ყველა თავის ავადმყოფობას, თითქოს ფირმაშიცა და ცხოვრებაშიც ავადმყოფობის წყალობით მოეთავსებინოთ ადგილი. დოქტორი რებო ცდილობს ექიმებითა და წამლებით დაამოშმინოს ეს სალსი; ხოლო დოქტორი მაქსის აზრით, დაავადებანი გარდუკალია და თუ ამდენ ყურადღებას გამოვიჩენთ, მაშინ მთელი ქალაქის ექიმები ჩვენ კბილა გადმოვიბირეთო. მათი შეხედულებების დაპირისპირებისას კი აშკარად ხანს რებოს (აგრეთვე მინის), არცთუ პტკიცა ზობიცია.

IX

დოქტორი მაქსის სახელის გაგონებაც კი აღარ მინდა, ბაგრამ ბაინც ვერ ვამბობ, იგი ჩემთვის არ არსებობს-მეთქი. იგი არსებობს და უფრო მეტიც, ისე ვარ გაიგივებული მასთან, რომ საკუთარ თავზეც კი ვეღარ მიფიქრია მის გარეშე. შარტო მე არ გეგონოთ ამ დღეში, ფირმის ყველა თანამშრომელი ისეა, დოქტორი მაქსისა და თავიანთი სნეულებების მეტი სალაპარაკო არა აქვთ. ეროია, ჩემთან შედარებით ისინი უფრო თავისუფლები არიან, რადგან დოქტორ მაქსს ყოველგვარი დაავადება აფრთხობს, მე კი ჯანმრთელი ვარ და არაფერი მაწუხებს; სულ გვერდით უნდა ვყავდე, რომ მელაპარაკოს, მიყუროს, თვალი მადევნოს. ვერა, თავს ვერასოდეს დავაღწევ!

დოქტორი მაქსს ვეღარანაირად ვეღარ აღვიქვამ; ჩემს თვალში იგი რეალურად არ არსებობს, სხვათათვის ფულისა და ძალა-უფლების ცოცხალი განსახიერებაა; და რაკი ყველა ფულზე და ძალა-უფლებაზე ოცნებობს, სულ იმას ცდილობენ მიბაძონ და მიემსგავსონ მას; ოღონდაც! ის ხომ მდიდარია, ძალიან მდიდარი! თუმცა მათ რომ ჰკითხო, ფულის ყადრი არ იცის, ხოლო მათ რომ ჰქონოდათ პატრონის ფულე-

ბი, იცოცხლე, გზას მოუსასავლეს! სურც აჭმევ და სურც ასმევ, მარტო იმაზე აოცხეე, როგორ დაამღერებდნენ დოქტორი მაქსის ფულებს, მე კი დოქტორ მაქსს ველარც სიმდიდრის სიმბოლოდ აღვიქვამ. ჩემთვის ის არის მხოლოდ პატრონი, ჩემი დროის, ჩემი მოქმედების, ჩემი ფიქრების, გრძნობების, მოცალეობის პატრონი და მთელ დროსაც მასთან ვფლანგავ დაუზოგავად. დოქტორი მაქსივით მდიდარი რომ ვყოფილიყავი, მე თვითონვე ვიქნებოდი პატრონიც და ჩემი დაუძისებელი მტერი ფუსდაფეხ ველარ მდევდა, მაგრამ ღარიბი ვარ, არც გამდიდრების იმედი მაქვს და ამიტომ იძულებული ვარ დღენიადაგ ვიფიქრინო მისი დაუსრულებელი ქაღაგებები მორალსა და ზნეობაზე! განა გასაკვირია, რომ მისი მოკვლის სურვილი დამებადა?.. რამდენჯერ მომსვლია თავში ეს აზრი! ზოგჯერ ისე ძძულს, რომ მზადა ვარ ყელში ვწვდე და დავახრჩო! მაგრამ თავს ვიჭერ, ლოგიკასა და საღ აზრს თავისი გააქვს. ეს უფრო მაშინ მემართება ხოლმე, როცა დოქტორი მაქსი გასაკუთრებით ცხადად შეიგრძნობს თავის გასუსაზღვრელ უფლებებს. მას ხომ აზრადაც არ მოვა, რომ სწორედ მაშინ, როცა ამ უმაღლეს ძალა-უფლებას, აბსოლუტს აღწევს, სწორეო მაშინ აგდებს საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე! ეს რომ იცოდეს, განა ასე დამელაპარაკებოდა და ასე მომექცეოდა? ასეთ წუთებში თავს ვეუბნები: კარგი, მაგრამ რისთვის? დავუშვათ, კიდეც ჩავაძალეე, აქვე, ადგილზეეე ვწვდი ყელში გაძვინვარებული ქოფაკივით და მორჩა! მერე რა იქნება? მე სამუდამოდ გამომამწყვდევენ ციხეში, დოქტორ მაქსის ადგილს კი სხვა დაიჭერს! ეს ჩემი სამუდამოწერო ნაბიჯი ყველანაირ შემთხვევაში ფუჭად ჩაივლის; მაინც ვერ ვიხსნი თავს დოქტორი მაქსისგან, ის კი არადა, მთელი ჩემი ცხოვრება კვლავ მასთან უშუალო კავშირში წარიმართება. თუ კაცი აფექტის მდგომარეობაში ჩაიდენს მკვლელობას, ის არც ასეთ მსჯელობას მოჰყვება, თუ მოჰყვება და, მაშინ არც მხეცური ინსტინქტები ჰქონია, ურომლისოდაც კაცი კაცს ვერ მოკლავს! ამიტომ გამუდმებით ვეჩიჩინები ჩემს თავს, რომ დოქტორი მაქსი მართალია, რომ მდიდარი ყოველთვის მართალია და ღარიბი არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. მაშასადამე, ჩემი მხრივ თვითნებობის ყოველ-

ვვარი ვამოვლინება არა მარტო უაზრობაა, არამედ უზნეობაც, მაშინ როცა დოქტორი მაქსი თავის ძალა-უფლებებს რომ იყენებს, კანონიერიც არის და ზნეობრივიც. ესეც არ იყოს, იგი არავის კლავს, რადგანაც მისი ძალაუფლების იარაღი — სიმკაცრე, ამას არც საკვირველს, მისთვის საკმარისია სალხი ამუშაოს! დოქტორ მაქსს მთელი არსებით სძულს ყველა, ვინც მასზე უფრო მდიდარია და სიამოვნებით მოსპობდა კიდეც მათ, მაგრამ ასეთ აუცილებელ მიზნებს არ ისახავს, საბედნიეროდ, თავისი ფირმით ისაზღვრება და სულ არ იწუხებს იმაზე ფიქრით თავს, რომ არიან ადამიანები, ვინც მის საკუთრებას არ წარმოადგენენ და არსებობის უფლება კი აქვთ.

ამავე დროს დოქტორი მაქსი სულაც არ არის ყოვლისშემძლე, არავითარი საფუძველი არა აქვს თავის თავზე და თავის დანიშნულებაზე ესოდენ დიდი წარმოდგენა შეიქმნას და საკუთარი თავი სხვათა ბედის გამგებლად მიიჩნიოს. სწორედ ამაში მდგომარეობს კიდეც მისი საბედისწერო წინააღმდეგობრიობა, რომელიც საფუძვლად უდევს მის მორალურ ქცევებს; ყველაფერს, რაც კი მისი პიროვნების განდიდებას ემსახურება, სიკეთედ მიიჩნევს, დანარჩენს — ბოროტებად. ესეც არ იყოს, რამდენიც არ უნდა იქადაგოს მორალზე, იმსჯელოს სიკეთესა და ბოროტებაზე, მაინც ვერ შესძლებს ყველას კერპი გახდეს, თუმცა კი დღესიადაგ ამაზე ოცნებობს. ეს კი იმდენად ნათელია, რომ ვგონებ აღარც მისთვის წარმოადგენს საიდუმლოს და საკუთარი პიროვნების განსამტკიცებლად მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების იმედიღა აქვს. იგი ასე მსჯელობს: „ჯობია შიშით იხრიდნენ ჩემს წინაშე თავს, ვიდრე სულ არ იხრიდნენო". უნდა ვაღიარო, რომ ნაწილობრივ მაინც მიაღწია წარმატებას — ყველა მასზე ლაპარაკობს და მასზე ფიქრობს.

სანღასან მეჩვენება ხოლმე, რომ ყველაფერს ვაზვიადებ. ისე დამდალა ღღესიადაგ მის გვერდით ყოფნამ, რომ ყველა ჩემი უბედურების მიზეზს მასში ვეძებ; თუმცა სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი კაცუნაა, სათვალავშიც კი არ არის ჩასაგდები. მაგრამ თან არც მთლად ასეა! ის რომ პატარა კაცუნაა, შეიძლება სწორია და ნამდვილადაც არის! ფირმა ინერ-

ციით მუშაობს და არა მისი გიჟური დირექტივებითა და იდეებით, მორალისა და ზნეობის იმიერ სამყაროში რომ წარმოიქმნებიან, მაგრამ მის ხელში ძალაუფლებაა! სხვა ფირმების მუშა-მოსამსახურეთათვის იგი არის ერთი ჩვეულებრივი კაცი, რომელიც საზიზღარ მწერს წააგავს, მაგრამ ჩემთვის მაინც დოქტორი მაქსია, ჩემი ცხოვრების ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ნემი ფიქრები, აზრები და ოცნებები.

შერისგების პავშვური ეეგმები გამუდმებით მიტრიალებს თავში; სულ იმაზე ვფიქრობ, რიგორ მოვკლა ისე, რომ არავინ ვაიგოს! ჰოი, რა სასწაული იქნება! ციანმჟავას კრისტალებიც კი ვიშოვე და ასპირინის შუშაში ჩავყარე. ერთი ჩემი სკოლის მეგობარი დიდ ქიმიურ ფირმაში მუშაობს და საგანგებოდ წავედი მასთან ლაბორატორიის დათვალიერების საბაბით. ბევრი რამ მაჩვენა და მით შორის ციანმჟავაც; სწორედ ამ დროს გავიდა, რომ ყავა დაეკვეთა, მეც დრო ვისელთე და ერთი მწიკვი ამოვიღე (ჩემს ცხოვრებაში პირველი ქურდობა ნავიდინე). თუ გამეღავნდებოდა, ბოდიშს მოვიხდიდი რამეს მოვიმიზეზებდი, მაგრამ ვერ ვაიგო. ღამლიეთ ყავა, მერე დავემშვიდობე და დავპირდი კიდევ გინახულებმეთქი. ეზად სულმა წამძლია, ჯიბეში ციანმჟავა მოვსინჯე, ითითთაც გავსრისე და კისაღამ გემოც კი გავუსინჯე, მაგრამ შემეშინდა. სახლში რომ მივედი, ფრთხილად აშოვიღე, თეთრი ქაღალდის ფურცელზე დავყარე და შუქზე გამადიდებელი შუშით კარგად დავათვალიერე; სულ ძვირფას ქვეს წააგავდა, ოღონდ სველს; ასპირინის ბოთლში ჩავყარე და ძაგრად დავსუფე. ერთი პირობა ვიფიქრე, მოღი, ლოტარს გამოვიყენებ-მეთქი (ესე იგი, ლოტარი კვლავ იარაღად წარმოვიდგინე), ისედაც ყოველდღე შედიოდა დოქტორ მაქსთან ნემსის გასაკეთებლად. ვიცოდი, ჩვეულებრივ ორ ამპულას ურევდა ერთმანეთში, ისიც შემიმჩნევია, რომ ვიტამინის პატარა ამპულა ბოთლს წააგავდა და ფაბრიკის მარკაც კარგად მასსოვდა; ვიფიქრე, ციანმჟავას ხსნარს დავაყენებ და როგორც კი დროს ვიხელთებ, შევუცვლი-მეთქი. ეს მაინცდამაინც არ გამიჭირდებოდა, რადგან მე და ლოტარს უკვე კარგი ურთიერთობა გვქონდა, ყოველ შემთხვევაში, ნდობით მაინც

მენდობოდა და ფანჯრის გასაღებად რომ მიტრიალდებოდა, სწორედ ამაში შეეცვალოდი. დიდხანს ვიფიქრე და დავასკვენი, რომ ეს ცდაც ფუჭად ჩაივლიდა. რაღა თქმა უნდა, ექვს პირველად ლოტარზე მიიტანდნენ, მით უმეტეს, რომ ნათქვამი აქვს, ვინც ჩემს ადგილს დაიჭერს, შემომაკვდებაო. ამის გარდა, ლოტარი ძალიან ეჭვიანია და პატარა რამეც კი სწყინს (ამას ყველა აღნიშნავს და ისიც იციან, რომ მისი გუნებ-განწყობა უშუალოდ დოქტორი მაქსის გუნებ-განწყობაზეა დამოკიდებული); რატომ არ შეიძლებოდა შურისძიებაში ეკიცერად? ჩემზე ეჭვს ვერავინ მოიტანდა, მაგრამ ალბათ ისევ ამაში შემიპყრობდა, რომ ჩემი პირით დავფქვავდი ყველაფერს! ვერე ვიფიქრე, მესამე პირი სულ არ არის საჭირო, მარტო მე ვეყოფი-მეთქი. ერთი სიტყვით, ყოველდღე ახალ-ახალი აზრები და გეგმები მოსდიოდა თავში, წარმოსასვლელ-ჩამოსასვლელ ფლიდა ფრთებს. ბოლოს ციანმჟავა აღარ მომივიდა თავში და გადაგწყვიტე, სხვა უფრო სწრაფი და პირდაპირი საშუალება გამომეძებნა; პირდაპირი და სწრაფი დანაა! ეს მეც ვიცნობ; ერთ მშვენიერ საღამოს ქუჩაში დავუსვდები, ვითომ შემთხვევით გადავეყარე, დამინახავს და მანქანას გამიჩერებს, ვერც კი წარმოიდგენს, რას ვუპირებ! მერე დავარეკავ დანას გულში და პირდაპირ მინდორში გავვარდები! ვინ რას გაიგებს? ეს სურათი ისე ცხადად და აუღელვებლად წარმოვიდგინე, რომ ვიფიქრე, არც ამის განხორციელება გაჭირდება-მეთქი. სურათი ძალიან ნათლად დავხატე — აი, ვჯდები მანქანაში, მარჯვენა ხელით ვიღებ დანას (ზუსტად დავინახე როგორი იყო დანა) და პირდაპირ გულში გავუყრი; ისე ცოცხლად წარმოვიდგინე, რომ თითქოს მისი წინააღმდეგობაც კი ვიგრძენი, ვიგრძენი ისიც, როგორ შევიდა დანის ბასრი წვერი ნეკნებშუა, დავინახე დოქტორი მაქსის სახტად დარჩენილი სახე და გავიგონე სიტყვებიც: „ახლა მე შენზე ძლიერი ვარ, მაშასადამე უფრო ზნეობრივიც!" ესეც კი მოასწრო. მე უფრო გავშიაგდები ამის გაგონებაზე. ჰო, მართლა სისხლით არ დავისვარო, უნდა გავფრთხილდე; ამიტომ გამოსაცვლელად სხვა ტანისამოსს წავიღებ, სისხლიანს კი ტყეში გადავმალავ ან მოვსპობ. მაგრამ ვაითუ ვინმემ დამინახა, ან თვითონ დოქტორმა მაქსმა მოასწრო და განგაში ატეხა!

მაგრამ ყველაზე უარესი ის იქნება, რომ ზამთრის საღამოს, ბურუსში ჯერ დამინახოს და მანქანა არ გამიჩეროს... ბუნებრივია, მის საათსა და ჰორტფელსაც გავიტაცებ! მკვლელობა ხომ უმეტესად გაძარცვის მიზნით ხდება! ერთი წამით კი მივაყურადებ, ხომ არ ხროტინებს ან მორალზე ხომ არ ბუტბუტებს-მეთქი. რა ფულებს დაეშვიდობება ეგ ყეყეჩი, ეგ ძაღლის რჯულისა! მერე მინდორში გავვარდები, ქალაქს სულ გავეცლები... გოსება მინათდება, უკან მრჩება ქალაქის თავზე აღმართული ვეება ასოებით გამოყვანილი წარწერა: „ტორნადო". აჰა, უკვე ტრამვაიშიც ვზივარ, მერე ტროლეიბუსში... აი, ავირბინე კიბეზე და უკვე შინა ვარ....

სწორედ ამ წუთში დარეკა ტელეფონმა.

— ყეყეჩო, რას აკეთებ, ხომ არ გძინავს?

ის არის, ის, დოქტორი მაქსი!

X

პიპომ თავი მოიწამლა. გუშინ სასტუმროს ოთახში ჩაკეტილა და დიდი დოზა ძილის წამალი დაულევია. ვერავინ გაიგო, რატომ მაინცდამაინც სასტუმროში მოიკლა თავი. იქნებ სადმე აპირებდა წასვლას, მაგრამ დოქტორი მაქსის სიტყვები გაახსენდა: „ბედს ვერსად გაექცევიო!" და განზრახვაცა და გეზიც შეიცვალა.

ამ დილას ჩინციას სანახავად წავედი, ეგებ ჩემი დახმარება დასჭირდეს-მეთქი. პიპო უკვე სახლში მოასვენეს. კარგი ვქენი რომ წავედი. ჩინცია ბრძასავით დაბორიალობდა, სულ ველარაფერს სედავდა; დედა ჩვეულებისამებრ იწვა, ბავშვი კი კედელ-კედელ დადიოდა, უაზროდ დაფრატუნობდა. ჩინციას ვკითხე, საოვალე რა უყო-მეთქი. მერე ვეძებე-ვეძებე და როგორც იქნა მოსუცის საწოლის ქვეშ მივაგენი. გოგონამ პირდაპირ სელიდან გამომგლიჯა და მაშინვე გაიკეთა; მიისედ-მოიხედა და რომ დაინახა დედა სამზარეულოში იჯდა და ტიროდა, ფრთხილად მიუახლოვდა, სათვალეებით ლამის სახეზე მიეკრა და ალერსიანად უთხრა:

— ნუ ტირი, ჩინცია, აი, ნახე, სათვალე ვიპოვე!

საძინებელში შევედი; საწოლზე უპერანგოდ და უპიჯაკოდ, მარტო შარვლისა და ჭუჭყიანი მაისურის ამარა ესვენა პიპოს; ოთახში რაღაც მომჟავო სული იდგა და მაშინვე ფანჯარა გავაღე. სანამ გავსდიდი, გავბანდი და კვლავ ჩავაცმევდი, დიდხანს ვუყურებდი (ეტყობა, ჩინციას მეზობლების შეწუხება არ უნდოდა, ალბათ, ერიდებოდა). მიცვალებულზე ჩვეულებრივ იტყვიან, იღიმებაო; პიპოც იღიმებოდა, ჩვეული, დანდლო ღიმილი შეჰყინვოდა პირზე, ტუჩის კუთხეები ლაშის ნიკაპამდე დაშვებოდა ნაოჭებად; ვიფიქრე, ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა-მეთქი, მაგრამ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე ვვარაუდობდი. მართალი აღმოვჩნდი; ეს ჯერ კიდევ იმ საღამოს მიგრძნო გულმა, როცა ისე დაუზოგავად სცემდა ძაღლს, მერე კი რატომღაც აღარ გამხსენებია. ძაღლი კუთხეში, ძველ საბანზე იწვა, სამი ფეხი თაბაშირში ედო, გვერდით საჭილისა და წყლის ჯამები მიედგათ, ორივე ცარიელი იყო. ძაღლი წყნარად იწვა და ბებრულად, მძიმედ სუნთქავდა. ფანჯარა რომ გავაღე და ბუზები შემოფრინდნენ, მაშინვე მათკენ გაექცა თვალი, მაგრამ განძრევა არ შეეძლო.

პიპოს გაბანვასა და ჩაცმას რომ მოვრჩი, ჩინცია შემოვიდა და მთსოვა, ბავშვი გაართეო. სამზარეულოში შევედი; ჩინციას ხმა გარკვევით მესმოდა, მშვიდად, ხმადაბლა ელაპარაკებოდა მიცვალებულს, გეგონებათ, თავისთვის ხმამაღლა მსჯელობსო: „ახლა რაღა ვქნათ? ხომ იცი, ჩემი ჯანმრთელობის ამბავი, თან მთელი დღე სამსახურში ვარ, ბავშვს რა ვუყო, ამ თვალების პატრონი გასანგრძლივებულ საბავშვო ბაღში როგორ დავტოვო? დედა კი საწოლზეა მიჯაჭვული; მითხარი, რა ვიღონო, მოსამსახურე ავიყვანო? განა ერთხელ და ორჯერ დაგვიანგარიშებია ჩვენი შემოსავალ-გასავალი? ხომ იცი ძლივძლივობით გაგვაქვს თავი. ახლა კი აღარც შენ ამომიდგები მხარში! რისი იმედით დაგვტოვე, მირჩიე, რა ვიღონო, მირჩიე!" ეს სიტყვები გარკვევით გავიგონე, მერე ფეხის ხმა შემომესმა, ჩინცია ოთახში დადიოდა, ჭერე კარადა გამოაღო, პირსახოცი გამოიღო და სააბაზანოში გავიდა; წყლის შხაპუნიც შემომესმა; სააბაზანოდან ისევ საწოლ ოთახში შევიდა. იქ თითქმის ერთი საათი დაჰყო, ხან ბუტბუტებდა, ხან მიჩუმდებოდა.

ბავშვი წყნარად მეკიდა მუხლებზე, და ქალების ყურსაკალს ფურცლავდა, ვითომ მოდების ათვალიერებდა; მერე საბავშვო სურათებიანი წიგნი აიღო. ცოტა ხანს შემდეგ პლუტო და ფაბრიციაც დაბრუნდნენ, დაკრძალვის საქმე მოეგვარებინათ. მე ქუნაში გავედი, ვიფიქრე, ცოტას გავიცლი-მეთქი და ამასობაში დამშარხავი საკვესტოს ფორანიც მოვიდა. პიპო კერძო სამლოცველოში გადასვენეს, ისევ გამოუცვალეს ტანსამოსი, შავი კოსტიუმით შემოსეს და ისევ კუბოში ჩასვეს. სამლოცველო სასტუმრო ოთახს მოვავონებდათ, ნაცრისფერი დივნები და საკრძალები იღვა და უახლესი კონდიციონერიც ზუზუნებდა. ბალე ფირმის თანამშრომლები მოვიდნენ, მათ შორის იყო რებეკა.

დღის ბოლოს სიცხისაგან ჩახუთულ ქუნაში გავედით და სასაფლაოსკენ გავემართეთ, ბავშვიც თან წამოიყვანეს; ფაბრიციას უნდოდა თავის ბავშვებთან ერთად შინ გაეგზავნა, მაგრამ ჩინციამ დაიჩემა, ჩემთან ერთად წამოვიდესო. გოგონას თეთრი კაბა ეცვა და გულზე შავი დოლბანდის ყვავილი ეკეთა. წყნარად იდგა, ჩინციასავით გარკვევით და სწორად ლაპარაკობდა, კითხვებზე ჭკვიანურად პასუხობდა და თან თავს მწუხარედ აქნევდა. უეცრად ვიგრძენი, რომ პიჯაკის კალთაზე მეწეოდა; დავიხარე, სათვალე რომ სასესთან მომიტანა, მაშინდა დარწმუნდა რომ მე ვიყავი, გამიღიმა და მითხრა:

— რა სამწუხაროა, რომ მამა გარდაიცვალა! რამდენი საზრუნავი გაგვიჩინა!

დიახ, სწორედ ასე თქვა; ან არ ესმოდა, რას ამბობდა, ან დედის თუ პლუტოს სიტყვებს იმეორებდა. სასაფლაოდან შებინდებისას დავბრუნდით. პლუტო მაშინვე შინისკენ გაემეურა, საამწვერა ნერვის ტკივილმა წამოუარა და უნდა დაწოლილიყო; ფაბრიცია კი ჩინციასთან დარჩა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პიპოს დასაფლავების დღე, ყველა სხვა დღესთან შედარებით, უფრო რეალური მეჩვენა. მანამდე, ასეთივე გრძნობა განვიცადე მხოლოდ ერთხელ, დოქტორ სატურნოსთან შეხვედრისას. მაშინაც დოქტორ სატურნოს თვალებში თუ სიტყვებში ისეთი რამ ამოვიკითხე, რამაც მიმახვედრა, დიდი დღე არ ეწერა. ასლაც ისევ

სიკვდილმა განშაცდევინა რეალობის ეს შეგრძნება. უეცრად აზრმა გამიელვა, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ იყო. მაშასადამე, უნდა ვიფიქრო, რომ ამქვეყნად არსებული ერთადერთი რეალობა სიკვდილია! მაშ ყველაფერი დანარჩენი რაღაა?!

XI

ამ დილას ისევ გამომეცხადა სელენე, — როგორც იცის ხოლმე, ჩუმად შემოიპარა ოთახში, დამანახა თავისი დიდებული მკერდი, ამერიკული კალენდრის ყდაზე რომ გინახავთ, — და მამცნო, რებოს თქვენი ნახვა სურსო. პირველად ავედი ახალი შენობის ბოლო სართულზე, ფირმის გამგეობის უზარმაზარ საკონფერენციო დარბაზში; მომწვანო-მოცისფრო შუშებს ოთხივე მხრიდან აჭერდა მზე და თვალისმომჭრელი სინათლე იდგა, თანაც სხივები ალუმინის იატაკიდან ირეკლებოდა, მტვრის ოქროსფერ ბურღში ატანდა და ჭერსა წვდებოდა; ფარდები არ ეკიდა და ამ უზომო შუქისგან შუშებიც შავად ჩანდა და კედლის მიღმა მზის დისკოც.

რებო სავარძელში იჯდა თეთრი მარმარილოს მაგიდასთან და მე მელოდებოდა. დიდი შავი სათვალე ეკეთა და ამ უზარმაზარ დარბაზში, რომელიც თავისი დიდებულებით ტაძარს მოგაგონებდათ, თუმცა ამავე დროს საბარის ელფერიც დაჰკრავდა, მით უმეტეს, იმ სიშორიდან (მანძილი ამ სიჩუმეში ჩემი ფეხსაცმლის კაკუნის მიხედვით გავზომე) ბუზად მომეჩვენა. ლიფტის კარი რომ მიიხურა, პირდაპირ მისკენ გავემართე. მან გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და სკამი შემომთავაზა.

— უწინარეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოგისადოთ, რომ აქ ამოგიყვანეთ, მაგრამ მოგეხსენებათ, საკუთარი კაბინეტი არა მაქვს და ვიფიქრე, აქ შედარებით წყნარად ვისაუბრებდით, საწინააღმდეგო ხომ არა გაქვთ?

— არა, — ვუპასუხე მე. — მით უმეტეს, რომ ეს დარბაზი ჯერ არ მინახავს.

— რას ბრძანებთ? ჩინებული დარბაზია, შეიძლება ითქვას, არქიტექტურის შედევრი; ოღონდ ეგ არის, მეტისმეტად

შუქიანია, ფარდები კი არა აქვს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ არქიტექტორის ნანაფიქრის მისედვით, სიმბოლურად უნდა გამოსატავდეს „აზრის სინათლეს“, ანდა როგორც თვითონ ბრძანებს „უმაღლეს მათემატიკას“, მაშინ ღიდებულია! — რებომ გაიცინა; მისი სიცილი წკრიალა და სიმეტრიული იყო.

— სხვა როგორ ცხოვრობთ, სომ კარგად?

— ძალიან კარგად, გმადლობთ.

რებო კარგა ხანით დადუმდა, მაგრამ ისევ ისე მიყურებდა და იღიმებოდა ნასევრად სანდო, ნახევრად უნდო ღიმილით, თითქოს უნდოდა ეთქვა, შეგიძლიათ ჩემთან გულახდილი იყოთ, აქაც ამისთვის გისმეთო. მერე თქვა:

— მე კი მომეჩვენა, რომ კარგად ვერა გრძნობთ თავს, ანდა რაღაც გაწუხებთ.

— არა, რას ბრძანებთ! — ვუპასუხე და მეც კარგა ხანით გავწუმდი. ეტყობა, რებო ამას არ მოელოდა; შავ სათვალეში ვერაფერს ვარჩევდი, მაგრამ როცა დაინახა დუმილში დიდი დრო გადისო, ხელით რაღაც მანიშნა, თითქოს სალაპარაკოდ მიწვევსო.

— მართლა კარგად ვგრძნობ თავს, — დავუდასტურე ღიმილით.

რებო, ეტყობა, ჩემმა პასუხმა დააბნია, აშკარად საქციელი წაუხდა.

— თუ ასეა, მოხარული ვარ, მაშინ ჩავთვალოთ, რომ ჩვენი საუბარი ამოწურულია და მეტი სათქმელი არა მაქვს. ის კი იცოდეთ, რომ ზოგჯერ კაცს ჰგონია ყველაფერი თითქოს კარგად მიდის, მაგრამ ასე არ არის; ხომ იცით, გარეშე თვალი უკეთ ხედავს.

— მაშასადამე, თქვენ გგონიათ, რომ რაღაც მაწუხებს, ცუდად ვგრძნობ თავს?

— არა, არა, თუ ღმერთი გწამთ, ნუ შეშინდებით! თავადაც ვხედავ, რომ მშვენივრად გამოიყურებით და ვგონებ, არც ჯანმრთელობას უნდა უჩიოდეთ, თუ ეს იგულისხმეთ. მაგრამ გულახდილად გეტყვით, შეჩვენება, თითქოს გუნებაზე არ უნდა იყოთ, არადა, ახალგაზრდა ხართ, ასეთი თანამდებობა გიჭირავთ, დოქტორი მაქსი მფარველობას გიწევთ, სულ სა-

ხევაბრწყინებული უნდა დადიოდეთ... თქვენ კი ცხვირ-პირი ნამოგტირით!.. იქნებ ვცდები?..

„ასეთი თანამდებობაო"! მაინც რაგორი თანამდებობა? რა თანამდებობაზე მელაპარაკება? მე უბრალოდ ვუპასუხე, არაფურს ვუჩივი-მეთქი. რებომ თავისი აბრეშუმის კოსტიუმი ააშრიალა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ერთი ხელი მუხლზე აიაცცუნა და განაგრძო:

— დაე, ასე იყოს, მაგრამ ერთი რამ მაინც გაითვალისწინეთ, თქმა, რომლის გარშემოც მინდა გესაუბროთ, თქვენთვის შეიძლება ახალი კი არ იყოს, მაგრამ სათანადოდ უნდა შეაფასოთ... ერთი სიტყვით, მხიარულებაზე მინდა გესაუბროთ...

— მხიარულებაზე?

— დიახ, მხიარულებაზე, რამ შეგაშინათ?

— არ შემშინებია!

— აი, ყოჩაღ! მე შეგამჩნიეთ, რომ მხიარული არა ხართ. მოგეხსენებათ, რომ ყველა ცოცხალი არსება, დაწყებული პატარა მცენარით და დამთავრებული ადამიანით, თუ ჯანმრთელად და მხნედ გრძნობს თავს, ცხოვრებით ტკბობას მხიარულებით ვამოხატავს! მცენარეთა და ცხოველთა მხიარულება თვით არსებობის აქტში ვამოიხატება, ადამიანისა კი შრომაში. მაგალითისთვის ავიღოთ ჩვენი ფირმის მუშა-მოსამსახურეები, როგორ გგონიათ, მხიარულები არიან ისინი, თუ მოწყენილები?

— სწორე გითხრათ, ყველას არ ვიცნობ...

— ვისაც იცნობთ, იმათზე მითხარით!

— ვერც იმათზე ვიტყვი ვერაფერს...

— თქვით, თქვით, ნუ გერიდებათ! თქვენის აზრით, მხიარულები არიან, თუ არა?

— ზოგიერთები ხშირად ავადმყოფობენ!...

— ავადმყოფობაზე ნუ ვილაპარაკებთ, თავად კარგად მოგეხსენებათ, რომ ავადმყოფობა ხშირად წარმოსასვის ნაყოფია! ამიტომ ჯობს, პირდაპირ კითხვაზე მიპასუხოთ! — შემაწყვეტინა ცოტა არ იყოს, განაწყენებულმა რებომ

„რას ჩამაცივდა? — აღვშფოთდი გულში, — ესეც დოქტორი მაქსი გამიხდა? რა უნდა ვუპასუხო?"

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, ჩემის აზრით, მსიარულების ხარისხი ხელფასით განისაზღვრება...

— სამართლიანი შენიშვნაა. თქვენის აზრით, მსიარულება დამოკიდებულია ხელფასზე ანუ ფულზე, არა? ერთი სიტყვით, ფული ყველაფერია, მსიარულების წყარო მხოლოდ ფული! ასეა, არა?

— დიახ, მე მგონია, ასეა...

— კეთილი, ახლა ერთი წუთით ყური დამიგდეთ! ფული განისაზღვრება სამუშაოს ხარისხითა და მოცულობით, ასე არ არის? ეგებ მსიარულების წყარო შრომაა? როგორ გგონიათ, ფული რომ გაურჯელად მოსდიოდეთ, მაშინაც მსიარულები იქნებოდნეს?

— ალბათ!..

— ჩინებულია! ახლა ეგებ ისიც დავამტკიცოთ, რომ ადამიანის მსიარულება პირდაპირ დამოკიდებულებაშია ფულის რაოდენობასთან?.. მაშასადამე, თუ კაცზე მისი ფულების რაოდენობის მისედვით ვიმსჯელეთ, მაშინ გამოდის, რომ ვინც ასი ათასს იღებს, იმაზე ნაკლებ მსიარულია, ვინც ხუთას ათასს იღებს, არა?

— ბუნებრივია!

— იცით, რითი აიხსნება მსიარულების ღონის ასეთი შეუთავსებლობა? იმითი, რომ ადამიანს ყოველთვის იმაზე მეტი უნდა, რც აქვს, მაგალითად, თუ კაცს თვეში ასი ათასი აქვს, ხუთასი ათასი უნდა და ასე შემდეგ. გამოდის, რომ მსიარულება ფულით არ შეიძლება გაიზომოს! აჰა, ხომ გაებრა!

რეპომ კმაყოფილებით გაიცინა, თუმცა მე მაინც ვერ მივხვდი, ამით რა დამისაბუთა.

— კეთილი, მთავარია, რომ დასკვნა გამოვიტანეთ: მსიარულების წყარო ფული კი არა, შრომა ყოფილა; შრომით კი ყველა ერთსაირად შრომობს, ისიც, ვინც ასი ათასს იღებს და ისიც, ვინც ხუთასი ათასს.

— და მაინც ყველას სხვადასხვა ხელფასი აქვს...

— ახლა ავდგეთ, ამ ხელფასებს შორის სხვაობას მოვეშვათ და მარტო სამუშაოზე ვიფიქროთ. განა შრომა არ არის მსიარულების წყარო? ჰო, თუ არა?

— არა, მსიარულების წყარო ფულია!

— ცდებით! ახლა არ დავამტკიცეთ, რომ მსირულების წყარო შრომაა? ასეა თუ არა? დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ, შრომა თუ ფული?

— ფული!

— კეთილი, დაე, ასე იყოს! მაშინ მითხარით, ფულს რა დანიშნულება აქვს? რომ დაიხარჯოს, არა?

— დიახ, რომ დაიხარჯოს!

— იქნება ახლა დავასკვნათ, რომ ფულს სხვა დანიშნულება არა აქვს, უნდა დაიხარჯოს, ჩინებულია!

რებომ თავი დახარა და შუბლზე დიდი და საჩვენებელი თითები შემოიწყო, ჩაფიქრდა, თან თავისთვის ბუტბუტებდა:

—დავუშვათ, რომ მსიარულების წყარო ფულია. არა, არა, პირიქით, მხიარულების წყარო შრომაა! შრომა გვაძლევს ფულს, ფული უნდა დაიხარჯოს... არა, კარგად უნდა გავარკვიოთ... ჰო, აი, რა მინდოდა მეთქვა... ფული უნდა დაიხარჯოს, ხოლო შრომა, რაც წარმოადგენს მხიარულების წყაროს... არა, რაღაც ასე არ გამოდის...

რებომ ტუჩების მოძრაობა შეწყვიტა და ახლა ხელების ქნევას მოჰყვა, თითქოს თავისთვის იმეორებს, რა და როგორ უნდა თქვასო. დრო გადიოდა; მივხვდი, რებო ღელავდა, თუმცა გარეგნულად სრულიად დამშვიდებული ჩანდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ერთი სიტყვით, მე ის მინდოდა მეთქვა, რომ მხიარული არა ხართ! ასეა თუ არა?

— არ ვიცი, არა მგონია...

— რატომ არ იცით? მაშ ვინ უნდა იცოდეს? მე მგონია, რომ თქვენ მხიარული არა ხართ!

— შეიძლება ასეცაა!

— ჰოდა, რაკი ასეა, მაშასადამე, რაღაც გაწუხებთ!

— არა მგონია, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— ჩვენ ხომ ეს-ეს არის დავადგინეთ, რომ ყველა ცოცხალი არსება, თუ იგი ჯანმრთელია, მხიარულიც უნდა იყოს! ასე უხალისოდ რატომ მპასუხობთ? ეს საუბარი მე იმდენადვე მეჭირდება, რამდენადაც თქვენ...

— რა გიპასუხოთ? თავს მშვენივრად ვგრძნობ, რაც შე-

ეხება მხიარულებას, ეგებ საერთოდ არ გამაჩნია ეს თვისება!..

— მაშ მითხარით, რატომ?...

— არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცით? ეს როგორ შეიძლება? აბა, აბა, დაფიქრდით, რაღაც მიზეზი ხომ უნდა გქონდეთ? იქნებ მიზეზი, თუ თქვენი თეორიების მიხედვით ვიმსჯელებთ, დაბალი ხელფასია? მაგრამ მე და თქვენ ისიც დავადგინეთ, რომ მხიარულების წყარო ფული კი არა შრომაა. ეგებ სამუშაო არ მოგწონთ? პირდაპირ თქვით, დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ!

„რას შემომჩჩნდა! მოდი და უთხარი, რატომ არა ვარ მხიარული! კიდეც რომ მიწყრება!..“

— ეტყობა, ბუნებით არა ვარ მხიარული!

— შეუძლებელია, აკი ესეც დავადგინეთ! მაშინ გამოდის, რომ ავადა ხართ. თუმცა, არა, აკი ცნობილია, რომ ავადმყოფობა ადამიანის წარმოსასვის ნაყოფია, — წარმოთქვა მან, თითქოს კვლავ ხმამაღლა ფიქრობსო, — უკაცრავად, განაგრძეთ!

— ჩემი სამუშაო, — თუ შეიძლება ამას სამუშაო ეწოდოს, — კარგად მიდის. სამუშაო მაინც სამუშაოა, თითქოს მომწონს კიდეც. მართალია, დიდი ხელფასი არა მაქვს, მაგრამ დოქტორი მაქსი მპირდება, მოკიმატებო. ასე რომ, ვერ გეტყვით, რატომ არა ვარ მხიარული, — ვთქვი მე.

რებო ადგა და ხელები გაასავსავა.

— არა, ასე მუშაობა შეუძლებელია, ასე ვერაფერს გავიგებ! წესრიგი დაამყარეთ! ადვილი სათქმელია! წესრიგი როგორ დავამყარო, როცა კითხვებზე არა მპასუხობენ, მაბნევენ, ცრუობენ და ფულსა და შრომას ერთმანეთში ურევენ. განა ასე შეიძლება? ჩემს მდგომარეობაშიც ხომ უნდა შეხვიდეთ! თქვენ თვითონ მითხარით, გეთაყვა, როგორ მოვიქცე?

— როგორ მოიქცეთ? — ვკითხე გაოცებულმა.

— თუ მასსარად მიგდებთ, მაშინ პირდაპირ მითხარით და მორჩა! — თქვა რებომ. მერე დაჯდა და ისევ დაანდო შუბლი დიდსა და საჩვენებელ თითებს. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართალს მოგასსენებთ, მასხრად აგდება რა საკადრი-

სია! — მოწიწებით ვცადე ამესსნა, — თქვენ მკითხეთ, მსიარული ვარ თუ არა, მე გიპასუხეთ, არ ვიცი-მეთქი, თქვენ მითხარით, მოწყენილი სარო, მე გიპასუხეთ, შეიძლება-მეთქი, ვერ გამიგია, მეტი რა ვინდათ ჩემგან. მკითხეთ და გიპასუხებთ.

— ეეჰ, მე ოვითონაც აღარ ვიცი... — თქვა რებომ და თავი ასწია, — ერთი წუთით კიდევ მოიცადეთ, თუ არ გეწყარებათ.

— დიახ, დავიცდი! — ვეპასუხე მე.

— მაშ ასე, ასლა ვეცდები, უფრო გასაგებად გითხრათ. ცოლს რატომ არ ირთავთ? — ცოტა სხის დუმილის შემდეგ მკითხა რებომ, — თქვენი პირადი საქმიდან ვიცი, რომ უკვე ოცდაორი წლისა ხართ, ცოლს კი არ ირთავთ. საცოლე მაინც გყავთ? ქალებთან დადისართ?

— არა, საცოლე არა მყავს. ადრე მყავდა, ასლა აღარა მყავს. ქალებთან დავდივარ, ცოლის შერთვას კი ჯერ არ ვაპირებ! — სსაპასხუპით მივაყარე იმ იმედით, ჩემი დაკითხვა დასასრულს უახლოვდება-მეთქი. მაგრამ ჩემდა გასაოცრად, რებოს პირისახე ღიმილმა გაუნათა, თავი ასწია და ხელები გაშალა.

— ოჰო, ძლივს არ აგალაპარაკეთ! ასლა ეს მითხარით, ქალებთან რას აკეთებთ?

— იმას, რასაც სხვები.

— მაინც რას, მითხარით!

— სქესობრივ ურთიერთობას ვამყარებ!

— ნინებულია, მაგრამ მაინც რანაირს?

— ისეთს, როგორსაც ყველა!

— სისულელეა! თქვენ ალბათ, მაინც თქვენებურად იქცევით!

— რასაკვირველია!

— მაშ მითხარით, როგორ!

— ჩემებურად.

— მაინც როგორ!.. კარგით, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. მაშასადამე, დავადგინეთ, რომ სქესობრივი ურთიერთობები გქონიათ, ცოლი არა გყავთ და არც შერთვას აპირებთ. მაშინ დაეწყოთ თავიდან, რატომ არა გყავთ ცოლი?

— არა მყავს იმიტომ, რომ არა მყავს.

— გთხოვთ, თავაზიანად მიპასუხოთ! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ სამსახურში ვართ! რასაკვირველია, თქვენ ეს პრობლემები...

— ცოლი იმიტომ არა მყავს, რომ აქამდე შესაფერისი ქალი არ შემხვედრია.

— დანიშნული ხომ იყავით!

— ვიყავი.

— ნიშნობა რატომ ჩაიშალა?

— დავშორდით ერთმანეთს და იმიტომ.

— რატომ დაშორდით?

— იმიტომ, რომ არ მიყვარდა. ამის გარდა, მინდოდა ჯერ სამუშაოსთვის გადამედო მთლიანად თავი, ყოველ შემთხვევაში პირველ წლებში მაინც...

— ჩინებულია, ყოჩაღ! საცოლესთან თუ გქონდათ ინტიმური ურთიერთობა?

— არა.

— რატომ? ფიზიკურად არ გიზიდავდათ?

— მიზიდავდა, მაგრამ სიახლოვე მაინც არ მქონია. ჩვენ ისე ვიყავით აღზრდილი, რომ ამას ქორწინებამდე ვერ გავბედავდით!

— მაშ ასე! ახლა ხომ გაქვთ ქალებთან ურთიერთობა?

— დიახ.

— ცოლის შერთვას კი მაინც არ აპირებთ.

— არა.

— დოქტორ ურაძას იცნობთ?

ვკითხე დოქტორი ურაძა რაღა შუაშია-მეთქი.

— სწორედაც რომ შუაშია! — მიპასუხა რეპომ და თითით წრე შეეხაზა, თითქოს რაღაც ყოვლისმოიცველი გამოხატაო.

— იცნობთ?

— დიახ ვიცნობ.

— ჰოდა, დოქტორ ურაძას ძალიან ასიამოვნებდით, თუ ნაშუადღევს ოთხ საათზე აღმზრდელობით ცენტრში გაჰყვებოდით. დღეს იქ ქალი-პატრონები იკრიბებიან და თან სკოლის დათვალიერებაც მოეწყობა. დრო გაქვთ?

— დიახ, — მივუგე მე.

— ძალიან კარგი, დღეისთვის კმარა, — თქვა რებომ, — მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და წარმატებას გისურვებთ. თქვენ საით მიდისართ? ლიფტით ხომ არ ჩავიდეთ?

რა წარმატებას ისურვებს? ან რაში ენაღვლება ჩემი წარმატება? ერთად ჩავედით ლიფტით. სელენუ უკვე ჩემს კაბინეტში მიცდიდა. ამჯერად ბოლომდე შეიხსნა სალათი და წამიერად თავისი მზით გარუჯული, მშვენიერი სხეული დაძანახა.

ოთხი საათისთვის ლოტარმა შემახსენა, რომ ქვევით ჩავსულიყავი. ზუსტად ოთხზე ადგილზე ვიყავი. დოქტორი ურაძა შავ მანქანაში იჯდა; როცა მომესალმა, აბულულებული თავი გარეთ გამოყო. მე ლოტარის გვერდით დავჯექი.

— რარიგად გამახარეთ, რომ მოხვედით! — წამოიძახა ღიმილით დოქტორმა ურაძამ, — მაგრამ იცით, სად მივდივართ?

— რებომ რაღაც მითხრა, მაგრამ მართალი გითხრათ, ვერ ვავიგე.

— გაიგებთ, სულ მალე გაიგებთ! სიურპრიზს გიმზადებთ!... — წაიღიღინა მან და მუხლებზე გაშლილ საქაღალდეში ჩარგო თავი.

მანქანა ნელა მიდიოდა; ლოტარის გვერდით ჯდომა მზარავდა; რამდენი თვე მაწამა და მტანჯა ამ კაცმა (სხვისი ნებით, მაგრამ საკუთარი ხელით); ვაკვირდებოდი, როგორ მიჰყავდა მანქანა; რაღაც მოლუშული, ეროტული გაფაციცებით ჩაფრენოდა საჭეს. ქალაქს გავცდით და მანქანაც ისარივით გაქანდა, უხმაუროდ და მსუბუქად. მალე მარჯვნივ შევუსვიეთ; გზა თეთრი სრეშით იყო მოკირწყლული და ინგლისურ ყაიდაზე შეკრეჭილ მდელოებს მიჰყვებოდა. ალაყაფში შევედით და უეცრად აღმოვჩნდით უზარმაზარი ლარიქსებითა და კედრებით შემორაგვულ მზესუმზირებით სავსე ბაღში. ხეებს შორის რამდენიმე შუშის პავილიონი ბრჭყვიალებდა (ეტყობა, იმავე არქიტექტორის აგებული იყო, ვინც ფირმის ახალი შენობა დააპროექტა). მანქანა ერთ-ერთ პავილიონთან შეჩერდა. იქიდან ერთი ყიჟინითა და ხელების ქნევით გამოცვივდა ქალების მთელი ჯგრო.

— გაუმარჯოს ჩვენს დამაარსებელს! გაუმარჯოს, გაუ-

მარჯოს! — ერთხმად გაჰკიოდნენ ისინი. ერთ-ერთი ქალი ყვავილების დიდი თაიგულით მანქანასთან მოიქცა.

— ოჰ, როგორ მომაბეზრეს თავი! გაისად უეჭველად გადავდგები! — მიწურწულა დოქტორმა ურაძამ. უცბად მიტრიალდა, კიდეც გაიღიმა და ცრემლიც მოერია; გამოართვა თაიგული, რამდენიმე ქალი გადაკოცნა, მე მანიშნა მანქანიდან გადმოდიო და ქალებისაკენ წარმადგინა. ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან ამდენ ქალებში ერთადერთი მამაკაცი ვიყავი, თუ არ ჩავთვლიდით ლოტარს, რომელიც ისევ ისე მოღუშული იჯდა და ხელთაითმნიანი ხელები საჭეზე დაეწყო.

— ოოჰ, ეს თქვენა ბრძანდებით დოქტორი მაქსის ცნობილი თანამშრომელი? — მითხრა ერთ-ერთმა ქალმა და ოდნავ მიბიძგა პავილიონთან შეჯგუფული ქალებისკენ. მერე ხმადაბლა დაუმატა: — ალბათ, დოქტორი ურაძა რამდენიმე სიტყვას გვეტყვის მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით, თუმცა თქვენ ხომ ამისთვის არ ჩამოსულხართ!.. — შეთქმულივით გაიღიმა მან.

— თუ დამიჯერებთ, მართლა არ ვიცი, რისთვის ჩამოვედი! — ვუთხარი მე.

— ოოჰ, რა ეშმაკი ყოფილხართ! ვითომ არ იცის!..

— მართალს მოგახსენებთ, არ ვიცი!..

— ჰო, კარგი, გასაგებია!.. — მერე თითქმის ჩურჩულით დაუმატა, — ცილიეტასთვის, ვითომ არ იცით, დოქტორი ურაძას პროტეჟესთვის.

ეტყობა, დოქტორმა ურაძამ ყური მოჰკრა ბგერა „ც"-ს, ან სულაც ყველაფერი კარგად გაიგონა, რადგან მიუბრუნდა და უკმეხად მიახალა:

— გაჩუმდი, ენა ნუ წაიგრძელე! — და მეც კარგა მაკრად მომექაჩა სახელოზე (მაინც რა ღონის პატრონი ყოფილა!), მერე თავისთან ახლოს დამაყენა. ქალები გარს ეხვეოდნენ, ყველას უნდოდა მასთან ლაპარაკი, დოქტორი ურაძა ხელით აჩერებდა, ანიშნებდა, ყველას ერთად ვერ გაგწვდებით, ცოტა მოიცადეთო. ამ დროს ქალების ჯგროს გამოეყო ძალზე უბრალოდ ჩაცმული ქალიშვილი, ღია ფერის, სადად შეკერილ მწვანე კაბაზე თეთრი. მძივი ეკეთა, სწორი, გაფაგლესი-

ლი ოპა მსრეებზე ჩამოშლილა და სახეს ნახევრად უფარავდა. ნაზი, ოდნავ გაოცებული სახე ჰქონდა, მაგრამ იდიოტიზმის ნიშნები აშკარად ეტყობოდა — უზომოდ დიდი ყურები, პირი და თვალები თითქოს წინ ჩაერეალებულ კისერზე მოყასფალე ოავს უმეძიმებდა და გეგონებოდათ, საკინძელად მოიწევსო. და მაინც ზიზღსა და სიბრალულს არ იწვევდა სხვა მისი მსგავსებივით; ტანი ურიგო არ უნახდა, მაგრამ ტერფები და ხელის მტევნები ხვილი ბავშვივით ფუსფუსა ქმნიდა და ხვილი ბავშვივით იქნევდა იმ ოავის უმწეო თითებსა და ხელებს; უცოდველი, უმწიკვლო ფერიც ამიტომ დაჰკრავდა, ერთია, ასაკთან ერთად ეს სისაზე და ბავშვური სილბო, თითქოს, შეუცნობელ და დაუცხრომელ ცხებიანობაში გადაზრდილიყო.

იკი დოქტორ ურაძასთან მივიდა და აკოცა. მან მკერდში ნაიკრა ქალიშვილი, მერე მე მომიტრიალდა და მითხრა:

— აი, ეს გასლავთ ცილიეტა, ხენი პროტეეე, საკუთარი შვილისგან ვერ ვარჩევ!

ცილიეტამ ხელი ვაპომიწოდა. შემომსედა, დამაკვირდა, ნერე ვითომ შერცხვა, შეფაკლული სახე დოქტორი ურაძას აკერდში ნამალა. დოქტორი ურაძა ეტყობა, მისმა დარცხვენამ წაათამამა, ნერსკენ ვადმოიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— საბრალო ცილიეტას ძოფერება უნდა! მშობლები ადრე დაეხოცა, მეტი არაეინ ჰყავს, ახლა ქმარი უნდა მოვუებნოთ! — ფანაკნელ ბიტყვაზე რაღაც ეშმაკურად ნაიცინა; — ახლა წავიდეთ, სკოლა ვაფათვალიეროთ; აქ აღზრდის ხემი ჰბინიციებით მუშაობენ; ოგიკე მეთოდები ვამოვიყენე დოქტორი ძაესის აღზრდაშიც, პირველად მასზე ვცადე.

ქალების ამალის თანხლებით მივედით შუშის ერთ-ერთ ბავიკონთან, ვავიარეთ ფართო, ცარიელი ვესტიბიული (კედელზე ეკიდა დოქტორი ურაძას პორტრეტი და ხელში პატარა დოქტორი მაესი ეჭირა) და საკლასო ოთახში შევედით. რეზინის თეთრ იატაკზე აიიოდე ბავშვი იჯდა, იქვე იყო ზედაბნეფოველიც; ბავშვები ჩუმად თამაშობდნენ, წინ კონსტრუქტორის დეტალები ეყარათ და ცათამბჯენს აშენებდნენ. აქ იყვნენ გოგონებიც და ბიჭებიც, კარგად დავაკვირდი, ვარდისფერი და ცისფერი წინსაფრები ეკეთათ, მაგრამ დიდებს

უფრო ჰგავდნენ; ბიჭების რადაც უფრო ძალადობის საპერწალი უფლავდათ თვალებში, გოგონების — ქედმაღლობა და ზიზღი შეეტყინა. ბავშვები ბოლოდროინდელ მეშაბდნენ, მკაცრი თუ გაბრაზებული გამომეტყველება ჰქონდათ. ყველელ მათგანს სახლის რადაც დიდი ზიზღები — კიბე, ფანჯარა, პაწაწა ფანჯარა, — და ისე მიადგამდა ხელს შენობას, თავის შეზობელს არც უყურებდა; საერთოდ ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, თითქოს დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

ნელს გამოსვლაზე ცხელწყლიანებული ზედამხედველი წამოდგა, მაგრამ დოქტორმა ურაძემ გაანერა, ანიშნა, იჯექით. ამ დროს ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა; ერთ ბიჭესას, ცათამბჯენის აშენებაში რომ იყო გართული, გაეპარა იატაკზე. მთელი ჯგუფი ნუნად, უსიტყვოდ გადგა განზე; ბიჭი მაშინვე წამოსტა, კუთხეში მიეყუდებული ნიჩაბი აიღო და თავისი დასვრილი აწმინდა; მაგრამ საჭირო ოთახისკენ რომ მიპქონდა, უეცრად, ეტყობა გადაიფიქრა, სელი ჩასტაკა სიბინძურეში და ერთ თავის ამსანაგს პირდაპირ სახეზე წაუსვა. ბავშვი გაბოროტებული ჩხავილით დაეძგერა შეურაცხმყოფელს; გაიმართა სასტიკი ჩხუბი, სულ დიდებივით იბრძოდნენ, ყველა აკრძალულ ილეთს იყენებდნენ, ერთმანეთს ჰკბენდნენ, კაწრავდნენ, მუშტებს უშენდნენ, სადაც მოხვდებოდათ, ცდილობდნენ ყველაზე მტკივნეულ ადგილზეც მოერტყათ. სხვები კი ამ სურათს მშვიდად და გულგრილად შესცქეროდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მოჩხუბარნი დაშომმინდნენ და ერთად გაემართნენ საჭირო ოთახისკენ, სოლო იქიდან უკვე ხელიხელგადახვეულები გამოვიდნენ. ოთახში ისევ წესრიგი დამყარდა და ცათამბჯენის გარშემო კვლავ მუშაობა გაჩაღდა.

— იცით, ზოგიერთი ამათგანი მომავალში ჩვენი თანამშრომელი იქნება, — ამიხსნა დოქტორმა ურაძემ, — ზოგიერთი უკვე ფირმის პატრონიცაა (მათი ფირმა ჩვენს ფირმაზეა დამოკიდებული). ამ სკოლის ძირითადი პრინციპია ბავშვის პატივისცემა; იგი დამოუკიდებელია, რაც უნდა, იმას აკეთებს, რადგან ამ ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გამოცდილების იმედი უნდა ჰქონდეს კაცს... ოღონდ, როცა ძალიან გამწვავდება ხოლმე საქმე, ეს კი ხშირად ხდება, მაშინ ზედამხედველიც ჩაერევა; საერთოდ, თავალი არ უნდა მოაცი-

ლო, თორემ ზოგი ბავშვი ძალიან ღონიერია და შეიძლება თავისი მოწინააღმდეგე კიდეც დაასრჩოს, მაშინ მეტი რა გზაა, უნდა გაამკელო! სხვა დროს კი არ უნდა ჩაერიოს, ეს უკანონობაა, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად ამას ჩემი მეთოდი არ ითვალისწინებს.

დოქტორმა ურაძამ კიდევ სხვა კლასები და პავილიონებიც დამათვალიერებინა; ცილიუტაც სულ თან დაჰყავდა; იგი ჩუმად მოფრატუნობდა უკან. ქალები, რომლებთანაც დოქტორმა ურაძამ გამოლაპარაკება ვერ მოასწრო, განაწყენდნენ. ბოლოს შეკედით ერთ დიდ ოთახში, სადაც სუფრა გაეწყოთ; აქაც ტაშით შეგვხვდნენ. დოქტორი ურაძა მომცრო კათედრასთან მივიდა და იქ მყოფთ შემდეგი სიტყვით მიმართა:

— ჩემი ძვირფასო მეგობრებო, არაერთხელ მითქვამს და კიდევ გაგიმეორებთ, მიზანი, რომელსაც ჩვენ ვისახავთ მაღალზნეობრივი და ფრიად ნაყოფიერია; ბავშვები იზრდებიან თავისუფალი კონკურენციის ვითარებაში, ეჩვევიან იერარქიის პრინციპის პატივისცემას, რადგან თითოეულმა კარგად იცის თავისი ოჯახის შემოსავალ-გასავალი, საღად აფასებს თავის ფიზიკურ ძალას და გონებრივ შესაძლებლობებს; საერთო შრომითი ინტერესების მიუხედავად, ისინი ხშირად ჩხუბობენ (ამიტომაც ადგათ თავზე ზედამხედველი); ნაკლებად შეძლებული ბავშვების მომეტებული აგრესულობის გამო ზოგჯერ უსიამოვნო შემთხვევებსაც აქვს ადგილი, მაგრამ დარწმუნდებიდით, რომ ყველაფერი კეთილად მთავრდება, მაინც ურიგდებიან ერთმანეთს და საკუთარი გამოცდილების მისედვით აფასებენ ამსანაგის რეალურ ძალას. როცა გაიზრდებიან სასაყვედუროც აღარ ექნებათ. ჩვენთან ყველას ერთსაირად ექცევიან, მდიდრებსაც და ღარიბებსაც, სუსტებსაც და ძლიერებსაც. ისინი თვითონვე გააცნობიერებენ იმ ძირითად კანონებს, რომელსაც ეფუძნება ადამიანთა საზოგადოება. კვლავ თქვენ მოგმართავთ ჩემო ძვირფასებო, მოგიწოდებთ დამეხმაროთ, ხელი შემიწყოთ, რომ განვასორციელო ეს ძნელი საქმე, რომელიც მე მომანდო განგებამ თუ შემთხვევამ, უფრო შემთხვევამ.

გაისმა მქუხარე ტაში. დოქტორ ურაძას გული აუჩუყდა, კათედრიდან ჩამოვიდა და ყველას სათითაოდ მოეხვია.

მათ სელში აიტაცეს თავიანთი პატრონი და ციმციმ ძიიყვანეს სუფრასთან, სადაც უზარმაზარი ტორტი იდო. ამის შემდეგ ყველანი ჩამოსხდნენ ოთახში ჩამორიგებულ სკამებზე და ახლა სხვა მომსხენებლები გამოისმენ კათედრაზე. მსურველი ბევრი აღმოჩნდა; ჯერ ვიღაც ქალაბიჭა სინიორა გამოვიდა და ნამღვილი ფოკუსები წარმოადგინა, მერე თანამედროვე მუსიკაზე მოვისმინეთ ლექცია; კიდევ ბევრი სხვა მოხსენება იყო, მათ შორის ჰორმონების საკითხზეც ილაპარაკეს, მაგრამ ამ მომხსენებელს დოქტორმა ურაძამ უკმეხად შეაწყვეტინა:

— ძალზე ვწუხვარ, ჩემო კარგო, მაგრამ ჰორმონებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს!

— მე მინდოდა დამემტკიცებინა... — თავი გაიმართლა ახალგაზრდა, მეტად ლამაზმა, გემოვნებით ჩაცმულ-დახურულმა და უზომოდ შეღებილმა ქალმა; რომელსაც საოცრად დასკეწილი მიხრა-მოხრა, ნატიფი ტანი და მაღალი ფეხები ჰქონდა; იიქოებზე ფარშავანგის კუდივით ჭრელი აბრეშუმი შემოკვართოდა, პატარა, ამაყ თავზე მსუბუქი ფარფლებდაშვებული ქუდი ეხურა, — დოქტორ ურაძა, ჩემი მოხსენების თემაა ჰორმონები. ფოლიკულინი...

— ვიცით, ვიცით, ეგ ყველას კარგად მოგვეხსენება, — კვლავ შეაწყვეტინა დოქტორმა ურაძამ, — მაგრამ მაინც არა გაქვთ უფლება ქორწინებას ყოველგვარი პოეტურობა შემოაძარცვოთ.

— პოეზიაც ხომ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების შედეგია. სულაც არ მიფიქრია, ქორწინების პოეტურობას შევხებოდი, პირიქით... თუ გნებავთ, მე თქვენ აგიწერთ ყვავილს, მის ფურცლებს, როცა ფუტკარი...

— კმარა, კმარა, ჩემო კეთილო! მგონი თქვენ გავიწყდებათ, რომ დაწყებით სკოლაში ვიმყოფებით. თავად საიდან ბრძანდებით? უკაცრავად, ჩემო ძვირფასო...—კვლავ გააწყვეტინა დოქტორმა ურაძამ და მის უკან ატუზულ ქალებს მიუბრუნდა: — ამას მარტო ჰორმონები და ყვავილები ახსოვს. ერთი გამაგებინეთ, ვინ ბრძანდება ასეთი?

ერთ-ერთმა ქალმა პლასტმასის წარმოებასთან დაკავშირებული საკმაოდ ცნობილი გვარი დაუსახელა. დოქტორი ურაძა

გაშმაგდა, წითელი თმა მრისხანედ აულივლივდა და მკაცრი, ხრინწიანი სმით წამოიკივლა:

— ასეც ვიფიქრე! მერე ვინ გაბედა ამ ქალბატონის მოპატიჟება, ვის! ახლავე მითხარით, ვის!

დაუსახელეს.

— მაშ ასე, ხომ! კეთილი და პატიოსანი! — წამოიძახა მან, წამოსტა და გავარდა. შეშფოთებული ქალებიც იმ წუთშივე წამოიშალნენ, აჩოჩქოლდნენ. დარბაზში შეშინებული ხმები გაისმა. ლამაზი სინიორა კი ისევ ისე იდგა კათედრაზე და თვალისმომჭრელი და გამომწვევი ღიმილი გადაჰფენოდა.

მეც, რასაკვირველია, იმ წუთშივე წამოვდექი, დოქტორ ურაძას მარტო ხომ არ გავუშვებდი! წამოვდექი, მაგრამ ცილიეტას ისე მაგრად ჩაებღუჯა ჩემი ხელი, რომ ძლივს გამოვტაცე; სანამ დოქტორი ურაძა ჩვენს გვერდით იჯდა, არ ვიმჩნევდი, ახლა კი მოკტრიალდი და პირდაპირ კარებისკენ გავემართე, მაგრამ ცილიეტა მაშინვე უკან გამომედევნა. მაშინ შევამჩნიე, რა მოსდენილი ტანი ჰქონდა, წვრილი წელი, მაღალი ფეხები, ლამაზი მკერდი.

დოქტორი ურაძა უკვე მანქანაში იჯდა და მოუთმენლად მელოდა. სასწრაფოდ აკოცა ცილიეტას, მე დამტუქსა, „აბა ჩქარაო!" — დამიყვირა, ლოტარს ნიშანი მისცა და მანქანაც უხმაუროდ დაიძრა. იმავე წუთს გამოცვივდნენ ქალები და ისეთი სპაური ატეხეს, ძლივს გავასწარით.

ამჯერად დოქტორი ურაძას გვერდით დავჯექი, მაგრამ იგი ფიქრებში იყო გართული და ხმას არ იღებდა. ცოტა ხნის მერე თითქოს გადაუარა სიბრაზემ, სარკმელი ჩამოსწია და წამოიძახა:

— ჰაერი! ჰაერი! — ღია ფანჯარაში შემოჭრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, — შეიძლება კაცი გადარიოს ამაგათმა ნელსაცხებლეშმა თუ სუნამოეშმა, ბრტყელბრტყელმა ლაპარაკმა და სიყეყეჩემ... არა, ეს განზრახ მომიწყეს, განზრახ! არა, ამას ასე არ დავტოვებ! ვინც გაბედა და... ააჰ, შავ დღეს დავაყრი... ჰაერი, ჰაერი! სუფთა ჰაერს არაფერი შეედრება! ეს სამყარო, ჩემო კარგო სუფთა და დახუთული ჰაერისგან შედგება, ეს არის და ეს. მართალს არ ვამბობ?

— ასეა, — დაეთანხმა მე, — ბევრ რა უნდა მელაპარაკოს.

დოქტორმა ურაძემ სელი სელზე მომკიდა, გამიღიმა და მითხრა:

— რა ანალგაზრდა ყოფილხარ, რა საყვარელი ხართ! მე მგონია, არ უნდა ეფიქრებოდეს... ბევრ ასეა, მე მინდა ყველაფერი ახლავე გაგაგებინოთ. ალბათ, მისაღები კიდეც, რისთვის წამოგიყვანეთ ამ ჩარჩენების შეკრებილობაზე... მინდოდა ცილიეტა გენახათ... სრულიად მარტოსელია, ობოლი, ჩემს მეტი პატრონი არა ჰყავს. სულ ბატარა იყო, რომ ავიყვანე და დღემდე ვზრუნავ მასზე, მაგრამ ახლა უკვე გათხოვების დრო მოუვიდა, მინდა ოჯახი შექმნას, ქმარი და შვილი ჰყავდეს. რებოსგან ვიცი, რომ თქვენ უცოლო ხართ, თუმცა კი ქალებთან ურთიერთობა გქონიათ, ჩვენც გიცნობთ, უკვე რამდენი სანია მაქსთან მუშაობთ, თქვენი ოჯახის ამბებიც გავიკითხეთ. ერთი სიტყვით, ძალიან მინდა ცილიეტა ცოლად შეირთოთ. მე უკვე აღარ შემიძლია მასზე ზრუნვა, თავის დროზე არაფერი დავიკელი, ახლა კი ძმიმე მორალურ ტვირთად მაწევს. თავად ხახეთ, ლამის კალთაზე მყავს გამობმული. ესეც არ იყოს, გათხოვება მისთვის აუცილებელიცაა, ექიმებიც ამას გვირჩევენ. მზითევსა და ბინაზე, რასაკვირველია, მე ვიზრუნებ, თქვენ არაფერზე შეგაწუხებთ... ქორწინების მერე კი თავად იფიქრეთ თქვენ თავზე, საზოგადოებრივ მდგომარეობაზეც და სხვა ათას რამეზე. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ქორწინებისთვის აუცილებელია მექორწინეთა სისხლის შეთავგესლობა. მათი მემკვიდრეობითობის გამოკვლევა იუ სხვა ასეთი... მაპატიეთ, რომ ასე პირდაპირ გეუბნებით ყველაფერს, მაგრამ პირდაპირ თქმა ჯობს, განა არა?

— ცილიეტა სთხ ავადმყოფია... — წავიბუტბუტე გაუბედავად, მაგრამ დოქტორმა ურაძემ არ მაცალა.

— ავადმყოფი? სულაც არ არის ავადმყოფი!

— არა, შეიძლება ამას ავადმყოფობა არა ჰქვია, მაგრამ ჭკუასუსტი რომაა, ეს ცხადია... ცუდი არაფერი მინდა ვთქვა, მაგრამ...

დოქტორმა ურაძემ კვლავ შემაწყვეტინა სიტყვა:

— აბა რა სასულელეებს ბმასავთ, ყეყეჩო? ვინაა ჭკუასუსტი, რა შეატყვეთ ამისთანა? სრულიად ჯანსაღია და თან

რა ლამაზი! მშვენიერი ტანი აქვს, დარწმუნებული ვარ, შესანიშნავ შვილებს გაგიჩენთ!

— მაკრამ სახე... — მაინც შეეპასუხე, — ხელ-ფეხი...

— რას ამბობთ, ასეთი წმინდა, კეთილშობილი და პატიოსანი სახე იშვიათია. სწორედ ასეთი სახე უნდა ჰქონდეს ქალს, ვინც მარტო გაიხოვებასა და ოჯახის შექმნაზე ფიქრობს. ეს ხომ პატარა ნადირია, უცოდველი და ლამაზი! ნუ-თუ ვერ დაინახეთ! ერთი შეხედვაც კმარა! თუმცა თქვენი ნებაა, მე ჩემი გითხარით, თქვენ კი ისე მოიქეცით, როგორც კენენთ; ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენთვის ეს ორპაგად სახეიროა: ჯერ ერთი, სიკეთეს ჩაიდენთ, მეორეც, ცოლი გეყოლებათ, შემოსვევით ურთიერთობებს ეს გერჩივნოთ! უარს ამბობთ? რა გაეწყობა. ჩვენც ავდგებით და თქვენი უარის მიხედვით ვიმოქმედებთ, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება თქვენს მორალურ სახეზე, რაც აქამდე არცთუ ისე ნათელი იყო ჩვენთვის; უფრო სწორად, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მორალური თვალსაზრისით სქელკანიანი და თავკერძა ყოფილხართ. თუმცა ეს, პირადად ჩემთვის პირველივე დღიდან ამკარა გახდა; ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ ერთხელაც არ ჩაგიცვამთ დოქტორი მაქსის კოსტიუმი, თუმცა ალალი გულით გაჩუქეთ. ერთი სიტყვით, სულ არ გენაღვლებათ არც დოქტორი მაქსი, არც ფირმა და არც მე.

დოქტორი ურაძა გაჩუმდა, მთელი გზა კრინტიც აღარ დაუძრავს, ბაკვეზე მწარე ღიმილი შეეყინა; ამაოდ ვცდილობდი, რაიმე მეთქვა, რამდენჯერაც პირი გავაღე, იმდენჯერ ხელით მანიშნა, შენი ხმა არ გამაგონოო. ასე მივედით ვარაკამდე. იგი უსიტყვოდ შევიდა ლიფტში, მე კი ჩემს კაბინეტს მივაშურე.

სულ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ჭოჭმანის ამბავი დედამ დაუყოვნებლივ აცნობა შვილს. პირველივე შეხვედრაზე დოქტორმა მაქსმა ისეთივე ოინი მიყო მეც, მაშინ რებოს რომ მოუწყო; როგორც კი დამინახა, მიტრიალდა და უახლოეს კაბინეტს შეაფარა თავი, მერე იქიდან ჩემ-ჩუმად მითვალთვალებდა, სანამ თვალს არ მივეფარე.

არა, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა შევირთო ცოლად ის უშედური ცილიეტა ასე ხელაღებით? კეთილიაო! მაკისთანა

ჭკუასუსტების სიკეთე კარგად მომეხსენება, იმისთანა სისულელეს ჩაიდენს, ვერც მოიფიქრებ! ან ხელ-ფეხი რას უგავს, ან პირისახე! მაგისთანები მგონი, ოც წლამდე ვერც აღწევენ, ყურპანტურა, თვალებგადმოკარკლული, ახალფეხადგმულივით დაბანცალებს, ეგენი სომ სულ ხელით სათრევი არიან! რატომ უნდა შევირთო მაინც? იმიტომ რომ დოქტორ ურაძასა და მის ოჯახს მორალური ტვირთი მოვხსნა და ცილიეტას ნორმალური სქესობრივი ცხოვრება უზრუნველყო, რაკი ასეთი მოთხოვნილება გაუჩნდა? აქამდე მეგონა, რაკი დიდ ხელფასს არ ვიხოულობ და თავი დოქტორი მაქსის საკუთრებად გავწირე, თავისუფლებას მაინც შევინარჩუნებ-მეთქი, მაგრამ ეტყობა, მწარედ შევცდი და ეს შეცდომა ძვირადაც დამიჯდება! სანამ მარტო ვარ, კიდევ შემიძლია სხვა სამსახური მოვძებნო, მაგრამ ამის იმედიც არა მაქვს, ესეც კარგად გავიგე, რას ნიშნავს; რამდენიც გინდა ილაპარაკონ კონკურენციაზე; ჩემი ფირმიდან რომ წავიდე, სულ ცარიელზე დავრჩები; მოხსნილსა თუ განთავისუფლებულ მოსამსახურეს, რაც არ უნდა უმწიკვლო და საქმიანი კაცის სახელი ჰქონდეს, იშვიათად მიიღებს სხვა ფირმა. გადაბირება მაინც სხვა საქმეა; მაშინ ავსა და კარგს არც დაგიდევენ; ოღონდ თავის მეტოქეს აჯობონ, თუმცა კი ამ დროსც კარგი სიფხიზლე ვმართებს, რომ სულ არ დაკარგო ყველაფერი; ჩემთვის ჯობია, გავჩუმდე და მოვითმინო, გაივლის დრო და შეიძლება საქმე ჩემივე სასიკეთოდ შეტრიალდეს. ისიც კარგად ვიცი, რომ პატრონი თავის ხელქვეითს ეჩვევა, რაც არ უნდა უბადრუკი იყოს და ადვილად ვერ ელევა საკუთრებას, მაგრამ დაფასებით მაშინ დააფასებს, როცა სხვა გამოაცლის ხელიდან. ახალი პატრონი კი ახალი თავსატესია! როგორც კი თავისას გაინაღდებს, მერე ასე იწყებს მსჯელობას: თუკი კაცმა ამდენი ხანი იმუშავა ფირმაში და წმინდა ეკონომიური მოსაზრებების გამო გასცვალა, მაშასადამე, არც მე მეშახურება რწმენითა და სიმართლით; ესე იგი, დიდად სანდო არ უნდა იყოს! სოლო ამაზე უარესი ისაა, რომ კაცი სულ უმუშევარი რჩება; მაშინ გაცილებით უფრო უჭირს სამსახურის შოვნა, მართალია, ძველ პატრონზე ნაწყენია, მაგრამ მაინც მისკენ მიუწევს გული; იგი ქალსა ჰგავს, რომელიც საყვარელმა მიატოვა

და საარსებო წყარო დაკარგა; პირველ ხანებში კიდევ აქვს ასალი შფარველის პოვნის იმედი, მერე კი შეიძლება ქუჩაშიც აღმოჩნდეს. ასე ემართება უსამსახუროდ დარჩენილ კაცსაც; მცირეოდენი დახმარება დიდხანს არ გასწვდება, ამიტომ თუ თავისი ხელობის შესაფერისი ვერაფერი იშოვა, რაც მოხვდება, იმას უნდა სტაცოს ხელი, თუნდაც იმ საქმისა არა გაეგებოდეს რა. განა ისე ადვილია თავიდან გაიარო შემოწმებები და გამოცდები, აიტანო ალმაცერი გამოხედვები, ამას ხომ ისა ჯობია, ძველ ადგილზე დაბრუნდე და პატიება ითხოვო; სხვანაირად ვერ გადაურჩები დიდი ქალაქის აბობოქრებულ ლავას, ყველაფერს რომ სპობს და ანადგურებს, თუკი რამ უსარგებლო და უმაქნისია.

ვიცი, კარგად ვიცი ყველაფერი, მაგრამ მაინც არ მინდა ცილიეტა შევირთო ცოლად, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ მინდა, ცოტა ხანს თავს შევიკავებ. არ ვიცი, ჯერჯერობით რას ვიზამ, მაგრამ სამი გზა კი მაქვს: ან ცილიეტა უნდა შევირთო ცოლად (არც ესაა გამოსავალი), ან დროის მოგება უნდა ვცადო (ვერც ამაში ვხედავ ხსნას), ანდა სხვა ფირმაში უნდა ვეძებო ადგილი (რა იმედიც უნდა მქონდეს, უკვე მოგახსენეთ).

XII

ჩემი რიგიც დადგა. ამ თვეში ხელფასი დამიკლეს, ლოტარმა ნემსები გამიასლა, ორჯერ გადამიყვანეს ერთი ადგილიდან მეორეზე და აღარც დოქტორი მაქსისთვის მომიკრავს თვალი. ძალიან კი მიკვირს, როგორ ახერხებს დამალვას; ისე უეცრად გაქრება, გეგონება მიწამ უყო პირიო. ამ ფოკუსებს, უფრო სწორად, დაშინების მეთოდებს მარტო თვითონ კი არ მიმართავს, მთელ თანამშრომლებს აიყოლიებს ხოლმე! ყველა ეხმარება და არც მიკვირს, რადგან ჯერ ერთი, საშუალება ეძლევათ პატრონს ერთგულება დაუმტკიცონ და ნდობა მოიპოვონ, მეორეც, ერთობიან, თუმცა კი იციან, რომ ადრე თუ გვიან ეს დღე არც მათ ასცდებათ; ეს ხდება ან „უმაღლეს დონეზე“ ესე იგი, დოქტორი მაქსის ნება-სურვილით, ან რიგითი განყოფილების გამგის დონეზე (თანამდებობის მიხედ-

ვით); ამიტომ ხშირად ხდება ასეც, მაგალითად, დოქტორი მაქსი რომელიმე გასაყოფილებაში ზის, მე კი საქმე მაქვს და ძალაუსებურად უნდა შევიდე, მაგრამ გავიდეს თუ არა კარს, უეცრად გაქრება; მისი გაქცევის მოწმეები კი სიცილ-სარხარით მსვდებიან.

სხვა კაბინეტში მოსამსახურის გადაყვანა მუდამ ერთი და იმავე წესით ხდება; გამოვეცხადება ერი მშვენიერ დილას შიკრიკი და გაცნობებს, ადმინისტრაციისა თუ დირექტორის ბრძანებით სხვა ადგილზე უნდა გადახვიდეო. ასე გადავედი მეხუთე სართულიდან უფანჯრებო, თუმცა საკმაოდ ვრცელ სარდაფში, იქიდან ახალ შენობაში, სადაც ცალკე კაბინეტი არ მოუციათ, უბრალოდ მაგიდა და სკამი დამიდგეს საერთო დარბაზში, სალაროებთან, სულ რომ ხალხი ირევა. ჩემი იქ გადაყვანა იმის ნიშანი იყო, რომ ცოტაც და ქუჩაში გამაბრძანებდნენ. სანამ სარდაფში ვიჯექი, ნემსებს იქვე მიკეთებდნენ, ასლა კი ლოტარი ტელეფონით მირეკავს ხოლმე და მეც ვეასლები ხან მის ოთახში, ხან მისაღებში, ხან საპირფარეშოში და ხანაც აფთიაქის უკან კუნჭულში, მოკლედ, სადაც მოხვდება.

ეს ჩემი სავალალო მდგომარეობა ყველაზე მეტად ბომბოლოს ახარებს. თავად საცაა ფირმიდან სულ გავარდება და თავს იმით ინუგეშებს, სანამ სხვებს ერჩიან, მე არ გავახსენდებითო. მან მშვენივრად იცის, რომ ჩემზე უარესად აქვს საქმე; ჩემი უსიამოვნება მაინც დროებითია, დაე დამიკავონ სელფასი, გადამისროლონ ერთ კაბინეტიდან მეორეში, შემიქმნან უარესი და უარესი პირობები, მჩსვლიტონ ნემსები; ეს რასაკვირველია იმაზე მეტყველებს, რომ დროის ამ მონაკვეთში მართლაც არაფრად მაგდებენ; ბომბოლო კი ზის და ელოდება, აი ასლა გამაგდებენ, აი, ასლაო. მარტო იმისი იმედია აქვს, სანამ მე მაწვალებენ, იმას ხელს არ ასლებენ, მერე კი შეიძლება რაღაც ეშველოს; ტყუილი ნუგეშია, ჩემი წვალება იმას ვერ ისსნის. ჩემი მდგომარეობა მარტო იმან შეარყია, რომ დიდი აღფრთოვანება ვერ გამოვსატე, როცა დოქტორმა ურაძამ წინადადება მომცა, ცილიეტა ცოლად შეირთეო. მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, უფსკრულის პირსაც რომ მივიდე, ესე იგი, სულ უმუშევარიც რომ

დავრჩე, დრო მაინც უნდა მოვიკლო, კარგად დაეფიქრდე და ყველაფერი ავწონ-დავწონო-მეთქი. ამიტომ აედექი, დოქტორ ურაძას წერილი მივწერე და ვთხოვე, თუ შეიძლება ცილიეტას ერთხელ კიდევ შევხვდები-მეთქი; თან ამასობაში სამედიცინო შემოწმებასაც გავიარ და ცოტა სულსაც მოვითქვავ. მე მგონია, სწორად მოვიქეცი, თან ისიც გავითვალისწინე, რომ ცილიეტას ვათხოვება და მით უმეტეს, მათ მოსაწონ კაცზე ვათხოვება არც ისე იოლი საქმე იქნებოდა; რაღა თქმა უნდა, საწყობის მუშებს შორის საქმროს ძებნას არ დაიწყებდნენ, თორემ მსურველი რამდენიც გინდა გამოჩნდებოდა; მაგრამ დოქტორი ურაძა ხომ არავის ათქმევინებს, ცილიეტას ვათხოვება იმიტომ ეჩქარება, მორალური ვალდებულებისგან და ზედმეტი სარჯებისგან განთავისუფლდესო; თავი ისე უჭირავს, ვითომ დიდად ზრუნავდეს ცილიეტას ბედზე, მის წინაშე ვალი უნდა მოიხადოს და თავისი მაღალზნეობრივი ვალდებულება ბოლომდე შეასრულოს; რასაკვირველია, ამაში კიდევ ისიც იგულისხმება, რომ ცილიეტას მეუღლეს მოშავალი უზრუნველყოფილი ექნება, ეგ არის მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრება (არცთუ პატარა პასუხისმგებლობაა ავადყოფი ქალის მოვლა-პატრონობა!); ხოლო აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნა, თუ ცილიეტას მე ამკიდებდა, ესე იგი, ფირმაზეც სამუდამოდ მიმაჯაჭვებდა.

დოქტორმა ურაძამ ჩემი წერილის პასუხად მდივნის პირით შემომითვალა, რა და რა სამედიცინო შემოწმება უნდა ჩამეტარებინა. მეტი რა გზა მქონდა, დავიწყე ექიმებთან სირბილი; სისხლის, შარდის და განავლის ანალიზებს რომ მიკეთებდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ ლორწოვანი გარსისა და შინაგანი ორგანოების გამოკვლევა რომ დამიწყეს, მაშინ კი გამიჭირდა. ანალიზებს მთელი კვირა მოვუნდი. სულ იმედი მქონდა, ეგეთ ექიმებმა რაიმე ნაკლი აღმომიჩინონ და ქორწინება არასასურველად მიიჩნიონ-მეთქი. მაგრამ მე ისეთი რა უნდა აღმომჩენოდა, რაც მეორე მხარეს, ესე იგი, ცილიეტას სჭირდა, მონგოლოიზმზე უარესი რა შეიძლება იყოს! მე რომ ჯანმრთელი ვარ, ისედაც ჩანს, ცილიეტა კი მართლა შესამოწმებელი და გამოსაკვლევია. თუმცა რას ვამბობ, ან რა გამოკვლევა უნდა, ერთი შეხედვაც კმარა! სულ ორჯერ შევ-

სედი და კარგადაც დავტკბი მისი ყურებით! უყურე არ უყურე, რას აღმოუჩენ, იდიოტი, იდიოტია! ჩაცმა, თმის დავარცხნა და ლაპარაკი ისე უსწავლებიათ, რომ ცოტა მაინც დაეფარა თავისი ნაკლი (ნაკლი-მეთქი ვამბობ, მაგრამ „ნაკლი" რა სათქმელია, უბრალოდ არანორმალურია), თუმცა ამ „ნაკლს" რა დამალავს! იმ თავის გადმოკარკლულ თვალებს ისე აფეთებს აქეთ-იქით, რომ მგონი ვერც ხედავს, ტუჩები სულ დამსკდარი აქვს და სანამ ხმას ამოიღებდეს, სქელი, დასიებული ენით ილოკავს; ხელებს ძლივძლივობით იმორჩილებს, ტერფებს რომ დავყურებ, სულ სპილოს ფეხები მახსენდება, მაგრამ სხეული კი მართლა გასაოცრად ლამაზი აქვს — მკვრივი მკერდი, წვრილი წელი, განიერი თეძოები, გრძელი, ქოხდენილი წვივები. პატარა ბავშვივით წრიპინა ხმით ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ხმას ძლივს ამოაღებინებ და ყურებს არ დაგიღლის, თან სიტყვას არ დაძრავს, რომ არ გაწითლდეს; სხვა მისი მსგავსი ჭკუასუსტებისაგან განსხვავებით, შეკითხვას გაიგებს და კიდეც გიპასუხებს. ხელი მოკიდე და ბაღში გავასეირნე, ყვავილი დავანახვე და ეკითხე, რა არის-მეთქი, ყვავილიო მიპასუხა; მერე ცაზე მივუთითე, ცაო, მიპასუხა, კიდევ სხვა ბევრ შეკითხვაზე გამცა პასუხი, თან ყველაფერს ხელით უნდა შეეხოს, თითქოს სიტყვას ნივთიერი მტკიცება სჭირდებოდეს, რაკი ბგერები იფანტება, საგანი კი სახეზეა.

ერთი სიტყვით, ცილიეტამ მრავალი საგნის სახელი იცის. სანამ სიტყვას წარმოთქვამდეს, შეიჭმუხნება, თუ გასამხნევებლად თავს დავუქნევ, ანდა „ჰო-ს" ვეტყვი, პირზე ბედნიერი ღიმილი გადაეფინება. ერთხელ ჩაიზეც დამპატიჟა (ჩაის მომზადებაც უსწავლებიათ და ზოგიერთი სხვა საოჯახო საქმეც), თვითონაც დალია. ეკითხე, ჩაი თუ გიყვარს-მეთქი, მაგრამ პასუხი არ გამცა, მერე კითხვა შეეუბრუნე, ჩაი გემრიელია თუ არა-მეთქი, მაგრამ ვერც ამ კითხვაზე მიპასუხა. მეორე შეხვედრისას სხვა კითხვები მოვამზადე; დავანახვებ ყვავილს, იგი ჯერ ხელით შეეხება, მერე იტყვის „ყვავილიო", ვეკითხები ლამაზია თუ არა-მეთქი და ჩუმდება; მაშასადამე, საგნის სახელს თუ ვეკითხები, დაფიქრდება და მაინც მიპასუხებს, საგნის თვისებაზე კი საერთოდ არავითარი რეაქცია

არა აქვს, გეეონებათ, კითხვა სულ არ გაუგონიაო. ერთი კი-ლევ ვცადე, ვკითხე, გიყვარვარ-მეთქი? თან კითხვა ორჯერ ოუ სამჯერ გავუმეორე, პირველად ყურიც კი არ შეუტერ-ტყავს, მერე გაიღიმა, მაგრამ აშკარა იყო, ვერაფერს ბისვდა. ერასელაც ვკითხე, მე ვინა ვარ-მეთქი, მიპა-სუხა კაციო და გაწითლდა. ამ კითხვა-პასუხის დროს ჩემი სელი ეჭირა და ხანდახან კოცნიდა, როცა გამორ-თმევა ვცადე, ეწყინა, სასოწარკვეთილი თვალებით შემომხე-და და მოიღუშა. მეც ავდექი და დაკითხვა განვაგრძე: დავა-ნახვე ჩიტი, ცილიეტამ გაიღიმა და თქვა:

— ჩიტი!

— რა არის ჩიტი?

იგი ჩაფიქრდა, კარგა ხანს იკვნეტდა თითებს, მერე კი ისევ გაიმეორა: — ჩიტი!

— კარგი, მაგრამ რა არის, ცხოველი, მცენარე, თუ ადა-მიანი?

— არა, ჩიტი!

— ეს რაღაა?

— ავტომობილი!

— ავტომობილი რაღაა?

ამ კითხვაზე არ მიპასუხა, საერთოდ ასეთ კითხვებზე ვე-რაფერს მიპასუხებს ხოლმე, (აბა, სხვა რა უნდა მექნა, თუ კითხვებსაც არ დავუსვამდი, რაღაცნაირად ხომ უნდა გამე-ცნო და დავვახლოვებოდი), მეც დავანახვებდი რაიმე საგანს, ის დაასახელებდა და გაჩუმდებოდა. მერე გადავწყვიტე, სულ აღარ გავცემ ხმას და ჩუმად ვიქნები-მეთქი; რა თქმა უნდა, თუ მოვინდომებდი, ჩიტსა და ყვავილს შორის განსხვავებას მაინც ვასწავლიდი, მაგრამ რისთვის? ისედაც ბედნიერია. როცა ყვავილს ან რაიმე სხვა საგანს ხელით ეხება, ეს შეხე-ბა თითქოს ღრმად რეალურიც არის და პოეტურიც; ამ რეა-ლობას კი მორჩილად, უსიტყვოდ იღებს, არავითარი კითხვა თვითონ არ ებადება და არც მეტი არაფერი უნდა. სხვათა შო-რის, ამ ცხოვრებაში მეტი არც არაფერი სჭირდება, რასაც ხედავს და რისი სახელიც იცის, მისთვის ისიც საკმარისია, სულ ერთია, მაინც მარტო სახელით ასხვავებს.

ბუნებრივია, ჩემი ქორწინების ამბავი ერთი წამით არ მა-

ვიწყდება, იავში მარტო ეს მიტრიალებს. ნეტავ, რა სიკეთეს მომიტანს? თუ მაინც მომიტანს რამეს, შევძლებ ცილიეტასთან ცხოვრებას? შვილებზე აღარ უნდა ვიფიქრო? ჯანსაღები იქნებიან, თუ დედასავით ჭკუასუსტები?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. ცხადია, ცილიეტაზე დაქორწინება ხელს მაძლევს, თუნდაც იმიტომ, რომ ფირმაში საბოლოოდ და მტკიცედ მოვიკიდებ ფეხს, ბინასაც მომცემენ და ბოლოსდაბოლოს ოჯახი მექნება! მასთან ერთად ცხოვრება გამიჭირდება თუ არა, ჯერ არ ვიცი, უნდა ვცადო. რასაკვირველია, ცილიეტაზე ლამაზი ქალიშვილი ბევრი შემხვედრია, თუნდაც იგივე სელენე, მაგრამ ასეთი კითხვები განა მაშინ არ დამებადება? რაც შეეხება შვილებს, ავადმყოფი ბავშვი სრულიად ჯანმრთელ ქალსაც შეიძლება გაუჩნდეს; ცილიეტა რომ ჯანმრთელ ბავშვებს ვერ გააჩენს, ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ რიცა ჩემი ზოგიერთი თანამშრომლის შვილს ვიხსენებ, დიდი საღსალამათები არც ისინი მეჩვენებიან. ამიტომ თავს ვიიმედებ, მე და ცილიეტა რომ დავბერდებით, ჩვენს იდიოტ შვილსაც გამოუჩნდება თავისი დოქტორი ურაძა და მფარველობას გაუწევს-მეთქი. ამ ფიქრებმა ისე ამირიეს ჭკუა-გონება, რომ ავდექი და მამაჩემს მივწერე წერილი; გაკვრით ავუწერე შექმნილი ვითარება და დედაჩემიც შევამზადე, შეიძლება მალე ვიქორწინო-მეთქი.

სულ ორიოდე დღე არ გასულა და თვითონ ქამაჩემი ჩამომეცხადა; სადგურიდან პირდაპირ სამსახურში მოვარდა გულგახეთქილი. სალაროების სარკმელებთან, საერთო დარბაზში, პატარა მაგიდასთან საცოდავად მიკუნჭული რომ დამინახა, ისე გაწბილდა, თავის შეკავებაც ვერ მოასერხა.

— ეს არის შენი კაბინეტი? — აღმოხდა მას და ჩემოდანი იატაკზე დადგა.

— აქ დროებით ვზივარ, მამა, გარეთ გავიდეთ და ყველაფერს აგიხსნი, — ვუპასუხე მე და გასასვლელისკენ წავიყვანე; ვიფიქრე, ჯობია სადმე სხვაგან, კაფეში ვილაპარაკოთ-მეთქი. — ჩემი საქმე ისე გართულდა, რომ ადვილად ვერ გაერკვევი, — დავიწყე მე, — ამიტომ ამ წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევ.

მამაჩემმა მაშინვე შემაწყვეტინა:

— რა არის გასარკვევი! თქვენი ფირმის სავაჭრო აგენტმა მიაცხრა, პირდაპირ სასარბიელო მდგომარეობა შეიქმნა, ისა და დოქტორი მაქსი განუყრელი მეგობრები გასდნენო. შენ კი აქ, სად ვნახე! შიკრიკივით შესასვლელში ზიხარ! ამას კი არასაბით არ ველოდი; წინასწარ მაინც შეგემზადებინე, გეცნობებინა, რა ხდება შენს თავს! შიკრიკობა კი რა ისეთი საამაკილია, მაგრამ!.. ასლა ერთი ეგ შენი ქორწინების ამბავი გამაგებინე. კარგად იცი, სახლიდან იშვიათად გამოვდივარ, მკბავრობას ვერიდები, მაგრამ შენი წერილი რომ წავიკითხე, გულმა მიგრძნო, რაღაც ფარსაგი არ იყო შენს თავს! აკი ასეც ყოფილა! შენისთანა მცოდნე, სავაჭრო საქმეებში ჩახედული კაცი შიკრიკის ადგილზე როგორ უნდა დაესვათ!

— ამაზე ნუ დარდობ, მამა, ეს მდგომარეობა დროებითია, სულ ხომ ასე არ იქნება! დამაცადე, საქმის ვითარებაში გაგარკვევ და მერე მისვდები. თუმცა რას მისვდები, ისე ჩაბერდი პროვინციაში, აღარ გესმის, რა ხდება ამ ქვეყანაზე!

— ჯერ ერთი, სასირცხვილოს აქ ვერაფერს ვხედავ, შენ ჩემი შვილი ხარ და სადაც არ უნდა მუშაობდე, მეეზოვეც რომ იყო, მაინც ისევ ისე მეყვარები! ეს ამისთანა მდგომარეობა როგორ შეგექმნა! ვიცი, ქალაქში სხვა ყაიდის ხალხია, ჩვენსავით არ ცხოვრობენ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: იმ ერთი ციდა, ულაზათო მაგიდასთან რატომ დაგსვეს, ქალალდის ერთი ფურცელიც კი არ გედო წინ! ან იმ ხმაურში და ორომტრიალში რა უნდა გაგეკეთებინა! მერედა რა იმედებს ვამყარებდით შენზე! მაინც რა მოხდა ასეთი?

— ვერ დაინახე, რომ ამ ქალაქში სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ღრიანცელი და ორომტრიალია?

— დავინახე, როგორ არ დავინახე, მაგრამ შენ ხომ ჩემზე უკეთესად იცნობ ამ ქალაქს! ტაქსით რომ მოვდიოდი, გზად ბევრი სხვა ფირმა შევამჩნიე!.. საერთოდ რას აკეთებ? რატომ ზიხარ ცარიელ მაგიდასთან? სად ცხოვრობ, საკუთარი ბინა გაქვს, თუ ისევ ნაქირავებში ხარ? წერილებს არა გვწერ, არაფერს გვატყობინებ; რაც აქ ჩამოხვედი, ორჯერ თუ სამჯერ ენახეთ! მანქანა გაქვს? რამდენს იღებ? ჩვენ არც ეს ვიცით! კი არ გეკითხებით, მაგრამ შენ თვითონ ხომ უნდა გეთქვა! ასლა ამ ქორწინების ამბავიც გამაგებინე, რატომ უნდა შეირ-

ითო ის ჭკუასუსტი? მარილა ასეთი ჭკუასუსტია? მონეტოლოიდი თურმე ჭკუასუსტს ნიშნავს. პირველად მონღოლი მეგონა, ვიფიქრე, ეს კიდევ დიდი უბედურება არ არის, დიდ ქალაქში ცხოვრობს, ვინ იცის, რა ჯურის ხალხს არ ხვდება-მეთქი; მერე კი გავიგე, მონღოლი კი არა მონგოლოიდი ყოფილა. სახელმძღვანელოშიც წავიკითხე, მონგოლოიდი ფსიქიურად არასრულფასოვან ადამიანს ნიშნავსო. შენი წერილიდან ისე გავიგე, თითქოს გაიძულებენ, რომ შეირთო! რისთვის? ისეთი რა ჩაიდინე?

მამა ს

რამ არ გაიცინა. წარმოუდგენელია პირდაპირ, რამდენი რამ გადაგიტანია! უსიამოვნება ყველას შეხვედრია, მაგრამ ასეთი? თავს ასე როგორ დავაჩაგვრინებ ვინმეს, რაც არ უნდა მდიდარი იყოს! იცი, რას გეტყვი ჩემი ჯარგო, მალები კრავებს ჭამენ, შენ კი კრავი არა ხარ! რამე უნდა იღონო! კარგად მოვიფიქროთ და რაიმე გადავწყვიტოთ, რა გზას დავდგეთ! უპირველეს ყოვლისა, სხვა სამსახური უნდა მოძებნო, შენი ნიჭისა და უმწიკვლო რეპუტაციის კაცს ეს არ უნდა გაუჭირდეს! აი, სწორედ აქედან დავიწყოთ! მოთავარია, სულით არ დაეცე, გამაგრდი. ჯერჯერობით სადმე პატარა სასტუმროში გავნერდები, შენს გვერდით რომ ვიყო, ეგებ რჩევა მაინც მოგცე რაიმე. წავიდეთ, რასა ვზივართ ამ სოროში, რა ცხვირი ჩამოგვიშვია! მირჩიე, რომელ სასტუმროში მოვეწყო, რომ არც ძალიან შორს იყოს და არც ძვირი დამიჯდეს!

მამა ისევ წამოდგა, მაგრამ მაშინვე ვტაცე ხელი და დავსვი. ახლა კი გაბრაზდა:

— რა იყო? ასე უქმად როდემდე უნდა ვისხდეთ? ცარიელი ლაპარაკი რას გვიშველის! მოვიფიქროთ, გადავწყვიტოთ და ვიმოქმედოთ!

— გამიგონე, მამა, მე სომ არ მითქვამს ამ ცილიეტას აუცილებლად შევირთავ-მეთქი. ჯერ მარტო შექმნილი ვითარება აგიწერე და გითხარი, შეიძლება ასეთი საკითხიც დადგეს-მეთქი. რაც შეეხება სამუშაოს, მე წერილობითი ვალდებულება ვიკისრე, ხელი მოვაწერე ხელშეკრულებას, რომ ყველა ჩემი შედგენილი პროექტი დოქტორ მაქსს ეკუთვნის. ეს რომ არ მექნა, ესე იგი, ამ საბუთისთვის ხელი რომ არ მომეწერა, მარტო შრომისუნარიანობა და ნიჭი ვერას მიშველიდა, სამუშაოს იოლად ვერ ვიშოვიდი. იცი რამდენი დრო, სირბილი და მოლაპარაკებები სჭირდება ამას?..

— რა ვალდებულებებზე მელაპარაკები, მე სომ ვიცი, რომ პროექტების ავტორი შენა ხარ! თუ საჭირო გასდა, მოწმედ დაიდგები! ამისთანა მონურ ვალდებულებებს არც ერთი კანონი არ იოვალისწინებს; ეს მეც კარგად ვიცი. რასაკვირველია, სისულელე ნაგიდენია, რომ ხელი მოგიწერია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხელშეკრულება რაღა ბედენაა, ერთი ფა-

რატინა ქალალდის მეტი სომ არაფერია, შეგიძლია სასამართლოში იჩივლო და გააუქმებინო!

— ამას შენ მეუბნები? სწორედ შენგან გამიგია, საქმე სასამართლომდე არ მიიყვანო, თორემ დროსაც დაკარგავ და ზღვა ფულსაც! ვასა შენ ჩემს ადგილზე დოქტორ მაქსს ამას გაუბედავდი? ან რა საბუთი მაქვს ან რა საფუძველი!

— მართალია, — დამეთანხმა ქალი, კვლავ ჩაფიქრდა, თან ქოლგას ატრიალებდა, — საამისოდ დროც უნდა გქონდეს და ბლომად ფულიც. თუმცა შეუძლებელი არაფერია. დაუყოვნებლივ საქმე უნდა აღძრა ქმედუუნარო პირის მოტყუებისა და პიროვნებაზე ძალადობის გულისთვის. აი, ეს იქნება ჩვენი პირველი დარტყმა. ბუმ! ბუმ! — და მან ორჯერ მოუქნია მუშტი უსილავ მტერს.

— უკაცრავად, ქმედუუნარო მე სომ არა ვარ? პიროვნებაზე ძალადობა რაღას ნიშნავს?

— შენ კი არა, ის ქალიშვილი... იმაზე ვამბობ, ძალად რომ უნდა შეგრთონ! მართლა, რა ჰქვია?

— ცილიეტა.

— სახელიც კარგი გამოუჩხრეკიათ! თუ არანორმალურია, ესე იგი ქმედუუნაროც ყოფილა! როცა ადამიანს არც გაგების უნარი შესწევს და არც სურვილები გააჩნია, არც მისი ქორწინება შეიძლება. კანონიც ამას ამბობს. რაც შეეხება პიროვნებაზე ძალადობას, შესაფერისი იურიდიული ფორმულა უნდა გამოვნახოთ, თუმცა პირადად ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ იმ ულაზათო მაგიდასთან გნახე. ეს რა, ტეცოტავება? ან რაც შენ მომიყევი, ის არ კმარა? მეტი რაღაა სალაპარაკო, ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც ლოგიკა და საღი აზრი გვიკარნახებს! იქნება აღარც ეს შეგრცხა? აბა, ახლა კი წავიდეთ, აქ ჯდომა აღარ შემიძლია, სული მეხუთება! — ამჯერად უკვე საბოლოოდ წამოდგა, გადაიხადა ფული და ფართო ნაბიჯით პირდაპირ კარისაკენ გაემართა.

ფირმასთან ახლოს სასტუმროში დავაბინავე; კარამდე მივაცილე და დავემშვიდობე. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მისი ხმა შემომესმა — კარებში თავი გამოეყო და მომძახოდა.

— იცოდე, უჩემოდ არაფერი გადაწყვიტო საღამომდე, ზუ-

სტად რვა საათზე აქ შევსვდეთ, კარგ ამბავს დაგახვედრებ, — ისე სმამაღლა ყვიროდა, რომ გამკლელები მოტრიალდნენ და გაიღიმეს. მამამ სელი დამიქნია და კარი მიხურა.

შეიძლება მამა მართალიცაა, ჯუთხარი ჩემს თავს, ეტყობა, კაცი შეუპოვარი უნდა იყო, მტკიცე ხასიათი გქონდეს და ხალისიანი, მჩქეფარე ბუნება, რაც ბევრი ჩვენი თანამშრომლისთვის შემიმჩნევია. როცა დოქტორი მაქსი ასეთ ადამიანებს შეეჯახება ხოლმე, მაშინვე ჩუმდება. გამოდის, რომ მე არც მტკიცე ხასიათი მქონია, არც გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა შემძლებია და არც იმის უნარი. რომ მოწინააღმდეგეს მედგრად შევხვდე და გავაკვებინო, მასზე მეტი თუ არა, ნაკლები არც მე ვარ. ეგებ ჩემი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ თავიდანვე ფარსმალი დავყარე, მათ ნება-სურვილსა და ახირებებს დავყევი და ქედი მოვიხარე. ჯერ ერთი არ უნდა დავთანხმებოდი, საპირფარეშოში რომ დამსვეს სამუშაოდ; მაშინვე უნდა მეთქვა, ამას დამცირებად და შეურაცხყოფად ვთვლი-მეთქი. არც დოქტორი მაქსის მასხარად აგდებას უნდა მოვრიდებოდი, არც მისი ნახმარი კოსტიუმი უნდა გამომერთმია დოქტორი ურაძასოვის. ცივი უარი უნდა მეტკიცა ნემსებზე. ერთი სიტყვით, წინააღმდეგობა უნდა გამეწია და ძალადობაზე ძალადობითვე რომ მეპასუხა, მაშინ არც ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, არც ცილიეტას ამკიდებდნენ, კარგ ადგილსაც გავინაღდებდი და დიდ ხელფასსაც. ნუთუ ამდენი შეცდომა დავუშვი? ნუთუ ამსელა კაცი, იმის მიუსედავად, რომ მშვენივრად მესმის ჩემი უფლება-მოვალეობანი, იმდენად უსუსური აღმოვჩნდი, მამაჩემის გამოსარჩლება დამჭირდა? ხომ სირცხვილით უნდა დავიწვა, რომ მამაჩემმა, სულ რომ არაფერი გაეგება აქაური პრობლემებისა, მხოლოდ მამობრივი უფლებების იმედით, ერთ საღამოს მიაღწიოს იმას, რასაც მე ამდენსანს ვერ მივაღწიე?! მაშასადამე, არც გამბედაობა მქონია და არც გამჭრიახობა. რა ნათლად აზროვნებს მამაჩემი, რა კარგად ესმის თავისი უფლებები, ან რა ღირსეულად უჭირავს თავი და რა აღშფოთებით სვდება ეს სამოცდახუთი წლის მოხუცი უსამართლობას! მე კი მის შვილს, მასზე ორმოცი წლით უმცროსს, არც ნათელი აზროვნება, არც საკუთარი ღირსების გრძნობა, არც ხა-

სიათის სიმტკიცე არ გამაჩნია. წინათ თითქოს ტოლს არავის დავუდებდი, ნუთუ სულ დავკარგე რეალობის გრძნობა? ნუთუ ფირმისა და დოქტორი მაქსისადმი ჩემს დამოკიდებულებას თავიდან ბოლომდე განსაზღვრავდა არა რეალური ცხოვრების მოთხოვნილებები და ადამიანური სიამაყე, არამედ მხდალი და სულმდაბალი ირონის გრძნობები, რომელიც მორჩილად იტანს ყოველგვარ შეურაცხყოფას?

მთელი დღე ამაზე ფიქრმა დამტანჯა და გამაწამა: უცბად ტელეფონმა დარეკა. შიკრიკმა მაცნობა, მამათქვენი აქ, დერეფანში დადის და დოქტორი მაქსის ან დოქტორი ურაძეს ნახვას ითხოვსო. მაშასადამე, მაინც მოვიდა და პირდაპირ ლომის ბუნაგში უნდა რომ შეიჭრეს. მე კი მორჩილად ვზივარ ცარიელ მაგიდასთან და ველოდები, რა მოხდება, კიდევ რა უბედურება დამატყდება თავს. მთელი დღე მოუსვენრად გავატარე, რვა საათზე პირდაპირ სასტუმროში გავვარდი. მამა უკვე დაბრუნებულიყო და ქვევით დაეტოვებინა ამბავი, როგორც მოვიდეს, ჩემთან ამოვიდესო. მაშინვე ზევით ავირბინე, სულ ორ-ორ საფეხურს ვახტებოდი და ეულამოვარდნილმა კარზე დავაკაკუნე.

— ვინ არის? — თითქოს ძალიან შორიდან მომესმა სუსტი, მიკნავებული ხმა.

— მე ვარ, მამა, — შევეხმიანე.

— შემოდი, შემოდი, — გამომძახა მან და ახლა კი ვიცანი; აღელვებული და დაძაბული ხმა კი ჰქონდა; მახსოვს ასეთი ხმით ყველაზე მძიმე წუთებში ლაპარაკობდა ხოლმე. შევედი; იგი იწვა (გამიკვირდა, მთელი ცხოვრება უძილობას უჩიოდა, ასე ადრე არასოდეს დაწოლილა), ხელში ქოლგა ეჭირა და იატაკზე აკაკუნებდა.

— ავაზაკები, მკვლელები! მე მაგათ ვაჩვენებ, როგორ უნდა სამოცდახუთი წლის მოხუცის... — დაიწყო მან თან ქოლგას კეტივით იქნევდა.

ახლოს მივედი.

— რა დაგემართა, მამა, ცუდად ხომ არა ხარ?

სახეზე ალმური მოსდებოდა და თითქოს სილურჯეც დაჰკრავდა. შემეშინდა, არ ვიცოდი, რა მეღონა და ჭაღარა თავზე

ხელი გადავუსვი. მან დაისლუკუნა, დაისლუკუნა მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ისეთი გულისგამგმირავი ხმა ჰქონდა, გეგონებოდათ, დაიყმუვლაო. მერე ისევ ქოლგის ქნევას მოჰყვა.

ციტა რომ დაწყნარდა, მამამ ჩამქრალი, მისუსტებული ხმით მიამბო, რაც მომხდარიყო. თურმე ნუ იტყვით, პირდაპირ დოქტორ მაქსთან და დოქტორ ურაძასთან მოუთხოვია შესვლა, მაგრამ ერთსაცა და მეორესაც უარით გამოუსტუმრებიათ; ბოლოს ისევ დოქტორი მაქსი დათანხმებულა მიღებაზე, მაგრამ მის მაგივრად კაბინეტში ლოტარი შემოსულა და მამაჩემისთვის რაღაც ნემსი გაუკეთებია. მამაჩემი თურმე გაძალიანებია, უყვირია, უღრიალია, მაგრამ რას გასდებოდა, ლოტარმა მშვიდად დაამთავრა თურმე თავისი საქმე. მამა კი სასტუმროში დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ექიმი გამოიძახა (სწორედ ერთი ფეხით გამასწრო).

— ექიმმა რა გითხრა? — ვკითხე უხალისოდ, ლაპარაკის თავიც აღარა მქონდა. ვაი, რომ ისევ მე აღმოვჩნდი მართალი და არა მამაჩემი! ვერც საკმაო სიფრთხილე გამოვიჩინე და ბავშვივით დავუჯერე! არ უნდა გამეშვა! ახლა ისევ მე უნდა ვაგო პასუხი საკუთარ შეცდომებზეც, რაც სინამდვილეში არც ჩამიდენია, (თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ძალიან მოწიწებით ვთქვი, ცილიეტაზე ვერ ვიქორწინებ-მეთქი) და მამაჩემის წინდაუხედაობაზეც!

— რა უნდა ეთქვა, მარტო ნანემსარი მიპოვა, შედეგი ხვალ ვაპოჩნდებაო, ვანანებ იმ ავაზაკებს, ნახონ რა შავი დღე დავაყარო!

— მაინც რა დღეს დააყრი? — ვკითხე მე.

— ამას როგორ მეკითხები? ამდენი როგორ არ გესმის! ეს ხომ წინასწარგანზრახული ძალადობაა! რა დაგემართა, ძარღვებში სისხლი გიდგას, თუ წყალი?!

— ჰო, მაინც რას აპირებ-მეთქი? — კვლავ გავუმეორე კითხვა.

— სამართალში მივცემ, აი, რას ვაპირებ!

— ამისთვის დამამტკიცებელი საბუთები გჭირდება, მოწმეები უნდა გყავდეს!

— რაო, რა თქვი? ერთი კიდევ გაიმეორე, კარგად ვერ გავიგე!

— რა და, დამამტკიცებელი საბუთები უნდა გქონდეს და მოწმეებიც გყავდეს-მეოქი. ვინმეს დაინახა, რომ ლოტარმა ნემსი გაგიკეთა?

— არა, არავის არ დაუნახავს, მაგრამ ხვალ ექიმი მოვა და შედეგს ნახავს.

— შედეგის იმედი ნუ გექნება; ეს ვიტამინის ნემსია და მხოლოდ წმინდა სიმბოლური ხასიათი აქვს; რამდენიმე თვე მეც მიკეთებდნენ, შენ ვერ გაგიმხილე, შემრცხვა. მაგრამ მოწმეებიც რომ გყავდეს, მაინც ვერაფერს გააწყობ. შენგანვე გამიგონია, მოწმეებს ფული გაშოვნინებსო, ფული კი ისევ დოქტორ მაქსს აქვს. ახლა კი გვირჩევნია იმაზე ვიფიქროთ, ამ შენი საბედისწერო ჩარევის მერე რა დღე დამადგება!

— რა დღე უნდა დაგადგეს! თუ ასეა, ისევ იმათ უნდა დაადგეთ! ჩემს ცხოვრებაში ამისთანა არაფერი გამიგონია! ამას რას მოვესწარი! ცოტა მაინც აღშფოთდი, ასე უსიტყვოდ როგორ ნებდები? ის არანორმალური ქალი რომ შეირთო, მეტი სატანჯველი აღარც გინდა, მთელი ცხოვრება ჩაგმწარდება! ცოცხლად დაიმარხები! მაცადონ მაგ არამზადებმა, შავ დღეს დავაყრი! ამას რას მოვესწარი! — იგი ქოლგის ტარს დაეყრდნო და საწოლიდან გადმოხტა, — კმარა, მატარებელი თერთმეტ საათსა და ხუთ წუთზე გადის, რიღასთვის დავრჩე, დრო უქმად რატომ დავკარგო! აფსუს, რომ სასტუმროში დღე-ღამისა უნდა გადავიხადო! დილით ექიმი მოვა, შედეგს გამაგებინებს, მაგრამ რა უჭირს, მეკარესა ვთხოვ და ფოსტით გამომიგზავნის, ესეც გამომადგება, საბუთია, ჩვენი ღირსებების დასაცავად საჭირო იქნება. ღმერთო, რა ხდება ამ ქვეყანაზე!

მან სწრაფად ჩაიცვა, ჩემოდანი დაკეტა და წასასვლელად მოემზადა. ქვეითი რომ ჩავედით, ანგარიში გაასწორა და ტაქსის გამოძახება ითხოვა.

— მართლა გადატრიალებულა ქვეყანა და ეგაა! ეს ქალაქი სულ სხვანაირი მახსოვს, როგორ შეცვლილა! მაგრამ ასეთი რამ კი ვერ წარმომედგინა! — ისევ ისე ბუტბუტებდა მამაჩემი გზადაგზა.

— მამა, აკი გეუბნებოდი, შენ სულ სხვა თაობას ეკუთვნი, ამ ქვეყანას სულ სხვა თვალით უყურებ-მეთქი. დილასაც მი-

ნდოდა მერჩია, თავი შეეკავებინა, იმათთან არ მისულიყავი, მაგრამ ისე იყავი დარწმუნებული, რომ...

— რასაკვირველია, დარწმუნებული ვიყავი, ასლაც დარწმუნებული ვარ. სადა ვცხოვრობთ? ნუთუ გგონია, რომ დოქტორ მაქსს ნებას მივცემ შენსავით ვაქთელოს? აი, ნახავ, რასაც ვიზამ, ამას არ შევარჩენ!

— კარგი, მამა, მაგრამ მაინც რას იზამ?

— უპირველეს ყოვლისა, ვექილს მივმართავ, ის კი არადა, მზადა ვარ დუელშიც კი ვამოვიწვიო! ხომ არ გგონია შემეშინდება! სულაც არა...

კამათს აზრი არა ჰქონდა და მეც ვაცალე, ლაპარაკით მაინც მოეოსებინა გული. მატარებლის გასვლამდე ორი საათი იყო დარჩენილი და რესტორანში შევედით სავახშმოდ. მამაჩემიც ცოტა დამშვიდდა, ჩვენი ქალაქის ამბები მომიყვა, დედაზეც მელაპარაკა; როცა დანაყრდა, კიდეც ჩასთვლიმა. ვიჯექი და ვუყურებდი. თვალი რომ გაახილა, მატარებლის გასვლას უკვე ოცი წუთი აკლდა. ვაგონამდე მივაცილე, ადგილი მოვუძებნე, მერე ბაქანზე ჩამომყვა.

— სულ ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფერი მომიფიქრებია. თუ ჩემი ჩარევა მართლა კეთილს არაფერს დაგაყრის, ხმასაც აღარ ამოვიღებ, მაგრამ შენ თვითონ იღონე რამე, გაისარჯე, მიდექ-მოდექი, სხვა სამსახური მოძებნე, სხვა პატრონი გამონახე. ამ ქალაქში ფირმები გამოილია? გიმეორებ, შენი სახელისა და ცოდნის პატრონს ეს არ უნდა გაგიჭირდეს. გულს ნუ გაიტეხ! ვერ გამიგია, ასე რამ დაგაბეჩავა!.. აკი გეუბნები, დიდხანს ვიფიქრე, განსაკუთრებით ამ ბოლო წუთებში და მივხვდი, რომ მართლაც ბევრი რამ შეცვლილა... მაგრამ მაინც გეუბნები, სანამ იმ ქალიშვილის ცოლად შერთვას გადაწყვეტდე, დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი, აწონ-დაწონე, შედეგებიც გაითვალისწინე; შვილები გეყოლება, ესეც არ იყოს, ხალხში ტრიალებ, საზოგადოება გიცნობს, იმ არანორმალურთან თავი არსად გამოგეყოფა!.. ღმერთო ჩემო, მაინც რა დაგემართა, ასე რამ გამოგცვალა, ვეღარა გცნობ! ანგარიშიანი ქორწინება გამიგონია, მაგრამ ავადმყოფ, ხელით სათრევ ქალზე? რა დაგემართა, შვილო, ასე როგორ დაეცი! — ამის თქმაზე მამამ ისევ წაისლუკუნა, მაგრამ მალე

შეიკავა თავი, — სახელზეც იფიქრე, ახლა წარმოიდგინე, რა ტკივილს მიაყენებ დედაშენს!.. მაგრამ უწინ საკუთარ თავზე იზრუნე, ჩვენზე ნუ იდარდებ.. ნემსებს მაინც რატომ გიკეთებდნენ, რა გჭირდა, როგორ ითმენდი!.. ასე რამ დაგამუნჯა, გაინძერი, იმოქმედე, გესმის? — მან თავზე ხელები წამავლო და შემანჯღრია. მერე საათს დახედა და ვაგონში შევიდა, მაგრამ იქიდანაც განაგრძობდა შეგონებას: — როგორც გიღირდეს, ისე მოიქეცი, არ იდარდო, რაც მთავარია, ჯანმრთელობაზე იზრუნე, თავს მოუფრთხილდი! თუ ჯანსაღად იქნები, ყველაფერს ეშველება, დაიხსომე, უწინ ჯანმრთელობა!.. დანარჩენი კი როგორც გიჯობდეს, ისე გადაწყვიტე! უკვე კაცი ხარ, შენი ბედი შენს სელთაა. მე რაღა დამრჩენია, პირი იმქვეყნისკენ მაქვს. გამაგრდი, ფარხმალს ადვილად ნუ დაყრი! კბილი კბილს დააჭირე და რაც შეგიძლია, გაუძალიანდი! აჩვენე, ვინცა ხარ! მარტო მაგათ ნუ მიაჩერდები, სხვაგანაც სცადე ბედი, უნიჭო არა ხარ და უკან ნუ დადგები! გავლენიანი მეგობრები შეიგულე და ყველაფერი მოგვარდება. გულხელს ნუ დაიკრეფ, მიდექ-მოდექი, ქუჩაში ხშირად გამოდი, სუფთა ჰაერზე ისეირნე, რას დაყუდებულსარ იმ მტვრიან დარბაზში, გადი გარეთ, გაიარე!..

მატარებელი დაიძრა. მამამ ფანჯარა დასწია, თავი გამოყო და ხელი მტაცა .

— ნუ დანებდები, გესმის? გამაგრდი, გაივონე? უკანასკნელად გიმეორებ, ყველაფერს ეშველება! კარგად იფიქრე, ყველაფერი აწონ-დაწონე! ისე მოიქეცი, როგორც სინდისი და გული გიკარნახებს, მარტო ხეირზე ნუ იფიქრებ, სისულელე არ ჩაიდინო, თორემ მერე ინანებ და გვიან იქნება. მშვიდობით, ძვირფასო! აი ნახავ, თუ ყველაფერი არ მოგვარდება! მჯერა, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ და ბედნიერიც იქნები...

მამამ ხელი გმიშვა, მატარებელმა სიჩქარეს უმატა და სადგურის თაღს გასცდა.

ვადაკეწყვიტე, ფირმასაც დავტოვებ, ამ ქალაქსაც და სადმე ვადავიხვეწები-ამიქი. ეშკვენივრად ვიცი, რას მიქადის მომავალი, მაგრამ თუ ცილიეტას ცოლად არ შევირთავ, სხვა გზა არ დამრჩენია. რატომ არ მინდა ცილიეტას ცოლად შერთვა? რატომ არ ვხუჭავ თვალებს სინამდვილეზე ან რატომ ვაწამებ თავს ამდენი კითხვებითა და ეჭვებით? ეტყობა, თავისუფლებისმოყვარეობა და ადამიანური ღირსების ნარჩენები კვლავ ღვივის ჩემში! მაგრამ ეს სომ მარტო წარსულის გადმონაშთად მიიჩნევა, რომელსაც ცხოვრებისეული გამოცდილება, ანუ სინამდვილე კვამლივით ფანტავს!

დავიწყე სხვა სამუშაოს ძებნაც, მაგრამ ყველგან ორჭოფული, გაურკვეველი პასუხი მივიღე. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ვისაც კი მივმართე, მართალია პირში კი არ უთქვამს, მაგრამ, გულში მაინც დაგმო ჩემი საქციელი. აშკარად ვხედავდი, უნდოდათ ეთქვათ: სხვა ადგილს როგორ ეძებ, როცა ასეთ ცნობილ ფირმაში მუშაობ, უშუალოდ დოქტორ მაქსთან, რომელიც ღვიძლი ძმასავით გეკეცევაო. მაშასადამე, სხვა ფირმებშიც გაეგოთ დოქტორი მაქსის ჩემდამი კეთილგანწყობის ამბავი. ვიცოდი, რომ თვითონვე უყვარდა ამაზე ლაპარაკი, რადგან ერთის მხრით მე, როგორც საკუთრებას ფასს მიწევდა, მეორეს მხრით კი მამდაბლებდა ანდა დამოუკიდებელი მუშაკის პირობაზე სულაც მაცამტვერებდა.

კარგა ხანია დოქტორი მაქსი არ მენახა. ვიფიქრე, იქნება სადმე მოვახელთო და ორიოდე სიტყვა ვუთხრა-მეთქი. შიკრიკს ვკითხე, სად შეიძლებოდა მისი ნახვა და აი, რა შეურაცხმყოფელი პასუხი მივიღე:

— ცხოვრების ჩარხი წაღმა-უკუღმა ტრიალებს! ვინ იფიქრებდა, რომ დოქტორი მაქსი, თქვენი ესოდენ განუყრელი მეგობარი ოდესმე საძებნელი გაგიხდებოდათ!

მართალიც იყო. პლუტოც თითქმის ყოველდღე ხვდება მას, მე კი მიმალავს, თუმცა ვხედავ, რომ წარამარა მასთან დარბის. ერთხელ თვალებში შევხედე და ვუთხარი:

— პლუტო, შენ ხომ ხშირად ნახულობ დოქტორ მაქსს, თუ

ჩემი მეგობარი ხარ, და ეს არაერთხელ დაგიმტკიცებია, მითხარი, სად ვნახო?

პლუტომ ღიმილი ვერ შეიკავა და მიპასუხა:

— თვალიც არ მომიკრავს.

— ტყუილია, ვიცი, რომ ნასულობ და ჩემზეც ლაპარაკობთ. მე ხომ არ გეკითხები, რას ლაპარაკობთ, მარტო იმას გთხოვ, როგორმე მომესმარე და შემასვედრე.

პლუტო ჩაფიქრდა, კარგა ხანს მიყურა, მიყურა და მერე მითხრა:

— აკი გითხარი, რამდენი სანია არც მე მინახავს-მეთქი, ეს რაღა დასამალია, რომ მენახა, ვეტყოდი.

ასე და ამგვარად გავიგე, რომ დოქტორ მაქსსა და მის ხელქვეითებს პირი აქვთ შეკრული და მათგან ვერასოდეს ვერაფერს შევიტყობ. ამის შემდეგ გადავწყვიტე, საწყობში დავხვედროდი (იქ ყოველდღე დადის; საწყობი ათასნაირი საქონლით გამოჭედილი და რკინის კარადებით ჩახერგილი ლაბირინთივით მისვეულ-მოხვეული სადგომია). მართლაც ერთ დღეს კარადის უკან ჩავუსაფრდი და ლოდინი დავუწყე; მალე დავინახე კიდეც, სწორედ ჩემსკენ მოდიოდა. მისი ფეხის ხმაც გავიგონე — სწრაფი, შენელებული, მძიმე, მსუბუქი, — კარგად ვიცნობ, სიარულიც ხასიათივით არათანაბარი და წინააღმდეგობრივი აქვს! აი, ამ წუთში თითქოს სულ აღარ მესმის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზრი გაუწყდა, ადვილი მოსალოდნელია, უკანაც გაბრუნდეს. მაგრამ აი, უკვე გამოჩნდა, საცაა გამისწორდება და აჰა, მეც გამოვედი ჩემი საფარიდან. მან დამინახა, მოულოდნელობისგან ყრუდ ჩაიცინა, მერე რაღაც ღრჭიალი გავიგონე და უეცრად კარადების ლაბირინთში გაუჩინარდა. მალე ნაბიჯების ხმაც სულ მიწყდა და საწყობში მარტო დავრჩი.

მეორე დღეს მისგან დაზღვეული წერილი მივიღე.

„ჩემო ძვირფასო!

ვუშინ საღამოს მე დაგინახეთ და ვერც დაგინახეთ. ფარულად რომ გამოსვედით (თან მრისხანედ) კარადების სამალავიდან, ვერ გიცანით, უცხო მეგონეთ და აღარ გავჩერდი. პოდიშს გისდით ამ უცნაური საქციელისთვის, უფრო სწორად, ეაქცევისთვის. მაგრამ მე ხომ სულ სხვა კაცს გავექეცი და

და არა თქვენ. არ კეკონოთ, ამ წერილით მინდა გაგიმარილო ამდენი ხნის უნახაობა. ჯერ ერთი, აურაცხელი საქმე მქონდა და მეორეც, ვიფიქრე, ამასობაში თქვენც ჭკუას მოუსმიბდით და ბევრ რამეს გაიაზრებდით. ხოლო ასეთ ვითარებაში ჩვენი შეხვედრა (კვლავ ვიმეორებ, აურაცხელი საქმე მქონდა) სიკეთეს არაფერს მოგიტანდათ, უმალ პირიქით, შეიძლება ერთგვარი ზემოქმედებაც კი მოეხდინა თქვენს მომავალ გადაწყვეტილებებზე, შეეზღუდა თქვენი მოქმედების თავისუფლება და დაებინდა გონება. ვიცი რა კრიზისის წინაშე დგასართ, რა მერყეობას განიცდით და სინამდვილეს, ალბათ, მეცა და ჩემს ფირმასაც რაღაც შინაგანი ნისლით დაბინდული მზერით გვიყურებთ. ისიც კარგად მომეხსენება, რომ სხვა ფირმებთან სცადეთ კავშირის დამყარება. კარგი ჰქენით, რომ მაი მიმართეთ, გულწრფელად და მსურვალედ გიწონებთ ამ საქციელს, კვლავაც მიმართეთ!..

ანდა რითი უნდა დაკმარებოდით, კიდეც რომ შეგხვედროდით? სხვა რომ არა, ამის მორალური უფლებაც არა მაქვს. ხომ შეიძლებოდა სიტყვით ან საქმით თქვენზე არაკეთილსასურველი ზემოქმედება მომეხდინა, მით უმეტეს, ასეთ მდგომარეობაში, ყველაზე უმნიშვნელო სიტყვაც კი მნიშვნელობას შეიძენდა. მეტსაც ვეტყვით, მოსალოდნელი იყო უფრო უარესად დაბნეულიყავით და ისედაც მძიმე სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო გაგმწვავებოდათ. ერიი სიტყვით, იფიქრეთ, იფიქრეთ და ის ნუ შეგაწუხებთ, რომ უქმად ზიხართ; მე თვითონვე ვბრძანე, სამუშაოთი არ დაეტვირთეთ და შეძლებისდაგვარად ყოველდღიური საქმეებისგანაც გაენთავისუფლებინეთ. დიახ, მე გავეცი გასკარგულება, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეყვანეთ. ჩემი მიზანი იყო გასაქანი მიმეცა თქვენი „ინტელექტუალური თავისუფლებისთვის" (ასე ვუწოდოთ), რათა ამ ფირმადწოდებულ ყოვლისმშთანთქმელ ურჩხულს ხელი არ შეეშალა თქვენთვის არაფერში და მეტის გულისყურით მოჰკიდებოდით თქვენს პრობლემებს. თქვენ კი ჯერ არ გამხდარხართ ამ მექანიზმის ბორბალი, ამიტომ გარეშე თვალი უკეთ დაინახავს. ახლა კი კმარა შედარებები და მეტაფორები, რაკი დროის ამ მონაკვეთში არ მუშაობთ და უბრალოდ მაყურებელი ხართ, უფრო უკეთ დააკვირდებით

ფირმის ცსოვრებასაც, სწორედ ისეთს დაინახავთ, რასაც სი-
ნამდვილეში წარმოიუგენს. ხელფასიც ჩემი ბრძანებით დაგი-
კლდეს; თქვენი მგრძ ობიარე გულის ამბავი რომ ვიცი, უეჭვე-
ლად გადაწყეტდით, რომ ამით დაგსაჯეს. ღმერთმა დამიფა-
როს! ეს ხომ წმინდა ადმინისტრაციული მოსაზრებით იყო
ნაკარნახევი; თუ და ვიქრდებით, თავადვე მიხვდებით, რომ
თქვენდამი იშვიათი ულისსმიერებაც კი გამოიჩინეს! არ მუ-
შაობთ, ხელფასს კი ებთ! აბა, რაანაირი დასჯაა, როცა თქვენ
კი არა, დაზარალებ ული ფირმა გამოდის, ფულს გიხდის და
სამაგიეროდ არაფერ იღებს. და მაინც მე არ გახლავართ
მშრალი ბუღალტრუ ანგარიშის კაცი. ბუღალტერია სულ
სხვაა, უფრო ზუსტი, გონივრული და ასე ვთქვათ, წინდახე-
დულიც. ახლა თქვენ პთელ დროს ანდომებთ ფირმაზე ფიქრს,
განა ეს იგივე მუშაობა არ არის? ამდენად სამართლიანობა
მოითხოვს, ფულიც კადაგიხადოთ, ოღონდ იმდენი არა, რა-
საკვირველია, რასაც ჩვეულებრივი სამუშაოს შესრულებაში
მოგცემდით (სწორედ ასეთ სამუშაოს დავიწყებდით ჩემი ხელ-
მძღვანელობით, ეს მძიმე კრიზისი რომ არა). ასეა თუ ისე,
თქვენი მუშაობაც მოითხოვს პატივისცემას და ანაზღაურებას.
შესაძლოა თქვენს, ეგრეთწოდებულ „მუშაობას“ არავისარი
ფასი ჩვენი საწარმოსათვის დღეს არა აქვს, მაგრამ მომავალ-
ში ბრწყინვალე შედეგებს მოგვცემს! ამასაც ხომ ანაზღაუ-
რება უნდა! ჩვეული გულახდილობით გეტყვით, ფრიად და
ფრიად ვწუხვარ, რომ ტყუილუბრალოდ აწამებთ თავს, სხვა-
თა შორის, არც ეს გაწყენთ, ეწამეთ, არ დაგიშლით; უფრო
მეტიც, იმდენად ვაფასებ და პატივს ვცემ ადამიანის სინდისს,
რომ ხარჯებზეც კი არ დავიხევ უკან და კვლავაც გადაგიხ-
დით თქვენს მცირეოდენ ხელფასს, ოღონდ კი სულ ახალ-
ახალი საკვები მოგცეთ სატანჯველად (რასაც, იმედია, მალე
მოელება ბოლო).

მაშასადამე, ასე შევთანხმდეთ: დაფიქრდებით და ჭკუას
მოეგებით! ამის მეტს ვერაფერს გირჩევთ, რამეთუ, დამიჯე-
რეთ, საკუთარი თავის მეტი ვერავინ გიშველით, ნურავის
იმედი ნუ გექნება!

თქვენი დოქტორი მაქსი.

ჰო, კინალამ დამავიწყდა, ალბათ გეცოლინებით, რომ ჩემთან მამათქვენი გახლდათ; მეტად უსიამოვნო ამბავი მოხდა. ეტყობა, ცუდ გუნებაზე იყო და რატომღაც ჯავრი ჩვენზე უნდოდა ამოეყარა. ლოტარი მეტისმეტად თავაზიანად მოექცა, მაგრამ არაფერმა გასჭრა, მამათქვენი მოსუცია და ეტყობა, საერთოდ, დიდი შეუსმენელიც არის, თან ფიცხია და ჯიუტიც; მაპატიეთ, რომ ამას საკუთარ მამაზე გეუბნებით, მაგრამ ამით მინდოდა ხაზი გამესვა ჩემი წერილის უმთავრესი აზრისთვის — ვერა კაცი მთელ ქვეყანაზე, ვერც მამა, ვერც დედა და ვერც სხვა მრნეველი (ჯობია მათგან თავი შორს დაიჭიროთ) ვერაფერს გიშველით! ყველაფერი თავისთავად გადაწყდება, ოღონდ ერთი რამ დაიხსომეთ, არავინ გაჩქარებთ, გადაწყვეტილება ეძიეთ მშვიდად და წყნარად და ეძიეთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ გულში!"

საღად რომ განვსაჯე, სამწუხარდ, ვაღიარე, რომ ამ წერილის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ჰოდა, მეც კვლავინდებურად მადლიერების გრძნობით გავიმსჭვალე დოქტორი მაქსისადმი. წერილი მართლაც კეთილი გრძნობებით იყო ნაკარნახევი. ახლა ერთადერთი გასაჭირიღა მქონდა, როგორმე უნდა მერწმუნა ჩემს ირგვლივ შექმნილი ვითარების რეალობა! ეს კი ჯერჯერობით მიჭირს. და თუმცა კიდევ რამდენიმე დღე ამ ფიქრსა და (სიცხეც კი ამიწია და ვიწექი) სხივოსან ბავშვურ სიზმრებში გავატარე, მაინც ვერავითარი დასკვნა ვერ გამოვიტანე; რას ვამბობ, ერთი დასკვნა მაინც გავაკეთე — დოქტორი მაქსი თავის წერილში ხსენებითაც კი არ ახსენებს ცილიეტას, როცა ჩემი გადაწყვეტილება მარტო იმაზეა დამოკიდებული, შევირთავ ცოლად ცილიეტას, თუ არა! რატომ აუარა გვერდი დოქტორმა მაქსმა ამ ყველაზე მთავარ საკითხს? მაშინ, როცა ჩემი ცხოვრების ლამის ყველა მხარეს წვრილად განიხილავს, ცილიეტაზე სიტყვასაც არ ძრავს; შეიძლება თავისთავად იგულისხმებოდა და უბრალოდ საჭიროდ არც ჩათვალა ეხსენებინა, რადგან ცილიეტა რეალობის შეცნობის მხოლოდ ერთი დეტალია, ხოლო ეს რეალობა უნდა შევიცნო მე და შევიცნო იმის მიხედვით, თუ როგორ გადაწყდება ჩემი შინაგანი კრიზისი და სადამდე მიმიყვანს ჩემი ფიქრები.

რა ძნელად და მძიმედ აღწევს ჩვენამდე გონიერების ნათელი სხივი და რამდენი ჩრდილი თუ გადარჩენის რამდენი ამაო იმედი ხვდება გზაზე, რეალურ ადამიანურ სახეს რომ იღებს, სინამდვილეში კი არარეალური და ილუზორულია! რა ხშირად გვხვდება სახეები, გვესმის ხმები, ადამიანისადმი სიყვარულით რომ სუნთქავს! რა ხშირად მეჩვენებოდა, რომ ამ სახეებსა და ხმებში დიდი ხნის ნანატრ გრძნობებს ვპოვებდი! მაგრამ გამინათდებოდა გონება და ეს ყველაფერი სულ სხვანაირად წარმომიდგებოდა! ამ ფიქრებიდან, გამუდმებით რომ მიტრიალებს თავში (ვგრძნობდი, რომ დრო იწურებოდა და იმის მიუხედავად, რომ დოქტორი მაქსი მარწმუნებდა თავის მეგობრულ დამოკიდებულებასა და კეთილგანწყობაში, თუ სულგრძელობაში, ბოლოს და ბოლოს რაღაც უნდა მომეფიქრებინა და ყველაფრისთვის წერტილი დამესვა), ტელეფონის ზარმა გამომარკვია. მთელს ქალაქში განთქმული ვექილი მირეკავდა, რომელსაც დოქტორი მაქსი მაშინ მიმართავდა ხოლმე, როცა ფირმაში რაღაც სიძნელეები წამოიჭრებოდა; ეს იყო თანამშრომლის მოხსნის საკითხი, უმუშევრობის დახმარებისა, თუ გაფიცვებთან დაკავშირებული პრობლემები. თანაც მირეკავდა თვითონ ვექილი პირადად და არა მისი მდივანი. მან თავაზიანად მთხოვა, უახლოეს დღეებში, როცა მოახერხოთ, ჩემთან შემოიარეთო.

აჰა, მივედით კიდეც დასასრულამდე! ვფიქრობდი გზად, ვექილთან რომ მივდიოდი. საკითხი მართლაც თავისთავად წყდება, უფრო სწორად, მას წყვეტს დოქტორი მაქსი, თავისი ვექილის მეშვეობით. მაშასადამე, ამჯერადაც მე კი არა, სხვა წყვეტს ჩემს მაგივრად (აქამდე კიდევ ვჭოჭმანობ, იმდენად ძლიერია ჩემში სურვილი, როგორმე ზედაპირზე გავძლო და არ ჩვიძირო!), ახლა კი მოეღება ჩემს წამებას ბოლო, აღარც თავის მტვრევა დამჭირდება და აღარც წარმოსახვის მოხმობა, თუმცა ისეღაც ამაოდ ვებღაუჭებოდი! რაც მოსახდენია, მოხდეს! ახალი სინამდვილე ახალ ძალას შემმატებს და ახალ სიმტკიცეს! ტყუილად კი არ უთქვამთ, ადამიანი ყველაფერს უძლებს, თუნდაც სასოწარკვეთილების ფიალა ბოლომდე შესვას, იმედი მაინც აცოცხლებსო!

ვერც კი შევამჩნიე, როგორ მივადექი წისქვილისა. თუ

ელუვატორის მსგავს დიდ რუხ შენობას, რომელიც ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან იდგა. ფართო, წითელი ფარდაგით მოგებული კიბე ავიარე და კანტორაში შევედი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, ქუჩის ხმაური აქამდე არ აღწევდა, მხოლოდ საიდანღაც შორიდან თეატრის ქოროს გალობა ისმოდა. მდივანი ქალი შემომეგება; ჩემი გვარი დავუსახელე, დიდი ნახევრადჩაბნელებული მისაღები ოთახისკენ წამიძღვა, მაგრამ მაშინვე მაღალი, წითელი ხის კარები გაიღო და თვითონ ვექილი გამოვიდა.

— უკვე მობრძანდით? — გამიღიმა მან და ხელი გამომიწოდა. — რატომ აჩქარებულხართ? აკი გითხარით, როცა გესეალთ, მაშინ მობრძანდით-მეთქი.

— ვიფიქრე... — დავიწყე მე, მაგრამ მაშინვე გავჩუმდი; ვექილი ღიმილით შემომცქეროდა, ეტყობა, მიხვდა, სიმარცლეს არ ვიტყოდი. ერთხანს მიყურა და მერე თქვა:

— რასაკვირველია, რასაკვირველია! მესმის! ახლა ჩემთან წამობრძანდით! — მან ბებრული, მაგრამ ღონიერი ხელი მკლავში წამავლო, გასამხნევებლად თუ გზის საჩვენებლად და წითელი ხის კარისკენ წამიძღვა. შევედით ოთახში, რომელიც ისე იყო სურათებითა და წიგნებით გამოჭედილი, რომ სულ ხაზინასა ჰგავდა, ვექილი დაწინაურდა და საწერ მაგიდასთან მაღალ სავარძელში ჩაჯდა.

— დაბრძანდით, გეთაყვა! — მითხრა მან და მოპირდაპირე მხარეს, დაბალი ტყავის სავარძელზე მიმითითა.

მე დავჯექი და მაშინღა მივხვდი, რამდენად დაბალი იყო ეს სავარძელი და შესაბამისად, რამდენად დაბალი მდგომარეობა მქონდა ვექილთან შედარებით, რომელიც მაგიდის იქითა მხარეს, ძალიან მაღლა წამოჭიმულიყო. მაგრამ ასეთივე სავარძლები ხომ სხვა კიბინეტებშიც დგას და, როგორც წესი ასეთი სიმაღლე ყოველთვის პატრონის მდგომარეობის უკუპროპორციულია; ასე რომ ახლა არავითარი საფუძველი არა მქონდა ამ სავარძლის სიმაღლე პირადად ჩემი დაბალი მდგომარეობით ამეხსნა. ჩემამდეც, ალბათ, რამდენი მჯდარა ამავე სავარძელში, რომელთა შორის ბევრი ჩემზე უფრო წარჩინებული და მდიდარი კლიენტი იქნებოდა და საზოგადოებაში ვექილზეც გაცილებით მაღალი მდგომარეობა ეკა-

ვებოდა, მაგრამ იმავე წუთს სხვა აზრიც მომივიდა, არც ერთ კაცს, ვინც მოცემულ წუთში ამ სავარძელში მჯდარა, ვექილზე უფრო მაღალი მდგომარეობა მაინც არა ჰქონია, თორემ არც აქ იჯდებოდა, უმალ პირიქით...

— მაშასადამე... — დაიწყო ვექილმა და დადუმდა, — პირადად მე არაფერი მაქვს სათქმელი, — განაგრძო კარგა ხნის შემდეგ, — უბრალოდ შუამავლის როლი დამაკისრეს, — ამ სიტყვებით იგი მაგიდას ხელისგულებით დაეყრდნო და წამოდგა, მივიდა ღია სეიფთან, ქაღალდების დასტიდან ერთი წერილი გამოაძრო ცერითა და საჩვენებელი თითით დაიჭირა და დამანახვა, — აი, ეს არის ჩემი რწმუნებულების სიგელი, — თქვა მან, ისევ თავის ადგილზე დაჯდა და ზარი დარეკა. იმავე წუთში ოთახში მდივანი ქალი და ვიღაც ახალგაზრდა კაცი, ალბათ, სტუდენტი-პრაქტიკანტი, შემოვიდნენ. — დოქტორმა მაქსმა დამავალა, ეს წერილი თქვენთვის მოწმეების თანდასწრებით გადმომეცა. ნება მიბოძეთ, ჩემი კანტორის ორი თანამშრომელი — მოწმე გაგაცნოთ!

მე ხელი გავუწოდე, მათ ჩამომართვეს და გამიღიმეს. მერე ყველამ სათითაოდ მოვაწერეთ ხელი რაღაც დავთარში და ვექილმა წერილი გადმომცა, მოწმეები გავიდნენ. ვექილი ისევ თავის სავარძელში ჩაბრძანდა, მეც ჩემს სავარძელზე მიმითითა და ამოიოხრა.

— თქვენის ნებართვით, მეც მინდა ჩემის მხრიდან ორიოდე სიტყვა გითხრათ, რა თქმა უნდა, ჩემი სათქმელი ისევ ამ წერილს შეეხება; ასლი მეც მაქვს და დოქტორი მაქსის თხოვნით კიდეც გავეცანი. თუმცა ეგებ ჯერ თქვენ წაგეკითხათ და მერე მეთქვა ჩემი მოსაზრებები; რასაკვირველია, ჩემს პირად შეხედულებებზე მოგახსენებთ და თქვენი ნებაა, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, შეგიძლიათ არა; მე მხოლოდ საკუთარი გამოცდილებიდან გამოვდივარ, მაგრამ მოგეხსენებათ, გამოცდილება, ბევრს ნიშნავს. ჩემს სახელსა და ჩემი კანტორის ავტორიტეტს, მხოლოდ გამოცდილებას ვუმადლი. ჭკუა, ნიჭი, საქმის არსში ჩაწვდომის უნარი სხვა არა არის რა, თუ არა გამოცდილება. სხვა არაფერს მნიშვნელობა არა აქვს. კარგით, ჯერ წაიკითხეთ, დროს აღარ დაგაკარგვინებთ! — და იგი რაღაც საბუთების კარგა მოზრდილ დავთარს ჩაუღრმავდა.

წერილი გავსსენი და აი, ისიც:

„ეინდოდა გასაქანი მიმეცა გრძნობებისთვის, მაგრამ სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ისევ წერილი მოგწერეთ და ჩემს მეგობარ ვექილს მივმართე დახმარებისთვის. იმიტომ კი არა, რომ გრძნობებს თავისი საზღვარი აქვს, რამედ იმიტომ, რომ სინამდვილე არ არის უნაპირო. დიდსანს ვიფიქრე თქვენზე, თქვენს ახლანდელ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე (არავისთან მითათბირია, შემეძლო კი ფირმის მმართველებს მოვლაპარაკებოდი, რამეთუ თქვენი შემთხვევა განსაკუთრებულია) და ასეთი დასკვნა გამოვიტანე: თქვენ ფირმაში მიყრუებული პროვინციიდან ჩამოხვედით (იმედია, ჩემი სიტყვები არ გეწყინებათ, პირიქით, უნდა გესიამოვნოთ, მე თქვენს ადგილზე ვიამაყებდი კიდეც), იქ თქვენ თითქმის არარაობა იყავით, უფრო სწორად, ჰგავდით ნორჩ ხეს, რომელიც (უკვე პარაზიტები რომ შესევიან) უთავბოლოდ და, რაც მთავარია, უაზროდ და უმიზეზოდ აწოწილა და გაუშლია ტოტები. რისი მაქნისი იყო ეს ხე, საით ან რისკენ მიიწევდნენ ეს ტოტები და ფოთლები ქარსა და წვიმაში? არსაით, არაფრისკენ, უფრო სწორად, მას ჰქონდა თვითმიზანი — ეცხოვრა, გამაგრებულიყო, ღრმად გაედგა ფესვები და განემტკიცებინა თავისი არსებობა, მხოლოდ და მხოლოდ ხის არსებობა, დაბადებით ნაბოძები არსებობა და მეტი არაფერი. და აი, ამ ხემ, ასე ვთქვათ, ამოძირკვა თავისი თავი და ჩამოვიდა აქ, ამ ბაღში, სადაც გულთბილად შეხვდნენ მებაღეები და, სადაც მან განაგრძო ცხოვრება და ზრდა უკვე იმ შეგნებით (და იმედით), რომ მომავალში უფრო მეტ აზრს შეიძენდა და წარჩინებულ ხეთა რიგშიც ჩადგებოდა. მაგრამ მან ვერ წარმოიდგინა, როგორ გაუძნელდებოდა ადრინდელ ლაღ ცხოვრებას მიჩვეული, ბაღის წესრიგს და, უპირველეს ყოვლისა, თვით ბაღის იდეას შეგუებოდა. მაგრამ იგი ჯანმაგარი და ამტანი იყო და სხვა ხეებივით არ დაჩიავდა, თავისი არსებობის უფლებაც დაიცვა და მებაღეთა დახმარებით ლამის ის იდეალური გეომეტრიული სილამაზეც შეიძინა, რაც ბაღის ხეებს გამოარჩევდა. იგი პატრონის საყვარელი ხე გახდა, სეირნობისას ყოველთვის (თითქმის ყოველთვის) მისი ტოტების ჩრდილში ჩერდებოდა და აღტაცებით შესცქეროდა. რატომ აღტაცებით? იმიტომ, რომ

არასოდეს, არც ერთ სოფლურ ხეს, — ბაღში კი მათ თვლა არ ჰქონდათ, — არ მიუღწევია ასეთი ბრწყინვალე შედეგებისთვის, ასე თვინიერად და თავდავიწყებით არ შეგებებიან პატრონის შთანაფიქრს!

მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ; ეტყობა, ისევე როგორც ყველა ოცნებას, არც პატრონის ოცნებას ეწერა ახდენა. სწორედ გაფურჩქვნის ხანაში ხე უეცრად შეიცვალა, აღარ მიჰყვა პატრონის სურვილებს და მებაღეებსაც გაუჯიუტდა, ახალი ყლორტები და ფოთლები გამოისხა, მთლად გაველურდა, ალბათ, ასეთი ყრუ და მუნჯი იყო პატარაობისას, როცა პროვინციაში ცხოვრობდა. პატრონი განაწყენდა, მაგრამ ზომები მაინც არ მიიღო, იფიქრა, შეიძლება ეს შემთხვევით მოხდა, წუთიერი ახირებაა და „წინაპართა ყივილიო". ხე მაინც უყვარდა და ამიტომ ისევ თავის ნებაზე მიუშვა; ხე ისევ ისე იზრდებოდა, თავის უზნეო ბუნებას აყოლილი აღარც პატრონს დაგიდევდათ და აღარც ბაღსა თუ მებაღეებს. და თუ სულ ცოტა ხნის წინათ სხვა ხეები მის გვერდით მობუზულები იღგნენ, ახლა ნელ-ნელა გაიშალნენ, გაიფურჩქნენ და ისევ ისე გამშვენიერდნენ. მაშინ კი პატრონმა (მაინც არ კარგავდა იმედს რომ გადაარჩენდა) გადაწყვიტა მისი ქაოტური ზრდა ისევ შეჯვარების გზით შეენელებინა. მან ვერ დაიჯერა, რომ სახეცვლილება თავის თავადაც შეიძლება მოხდეს და ამიტომ გადაწყვიტა, თვითონვე გარდაექმნა იგი. მაგრამ ამჯერადაც დარწმუნდა, რომ იმედები, რომელსაც იგი ხეზე ამყარებდა (ესე იგი, მის სიყვარულსა და ერთგულებაზე), განუხორციელებელია, არარეალურია და რეალურობას ისევ თვითონვე შექმნის. ასე და ამგვარად, მან გადაწყვიტა ეს გარდაქმნა შეჯვარების გზით მოეხდინა, მაგრამ ხემ კალამი არათუ დაიმყნო, ახლოსაც არ გაიკარა. რა უნდა ეღონა პატრონს, როცა ასე გაუცრუვდა იმედი? გადახედა თავის ბაღს, რა ჯიშის მცენარეს არ ნახავდით აქ, ყველა დიდებული იყო, ყველა ერთნაირი და უძრავი და თუმცა მათი სიცოცხლისა და გამრავლების საიდუმლო მარტო ერთმა ღმერთმა იცის, მაინც განსორციელებული იდეის მაგალითს წარმოადგენენ. მხოლოდ ეს ბედკრული, აქოჩრილი და თავხედი ხე, დაკრუნჩხული ტოტების, ფესვებისა და ფოთლების მორევად ქცეული,

ცდილობდა (თუმცა კი ამაოდ), თავის ჭკუაზე წარემართა საკუთარი ცხოვრება.

მაპატიეთ, რომ ეს იგავი მოგიყევით, რაღაც თავისთავად მოჰყვა კალამს. მინდოდა თქვენთვის გონების დასკვნები გამეზიარებინა, მაგრამ რატომღაც ისევ შედარებებმა და მეტაფორებმა გამიტაცა, პოეზიის ენით ავლაპარაკდი, რაც ჩვეულებრივ მემართება სოლმე თქვენზე ფიქრის დროს. გრძნობას ამგვარადაც სძლია გონებას. ამას წინათაც ეწერდით, გულს ენდეთ-მეთქი, მაგრამ დადგა დრო, გონებასაც მოუსმოთ! თქვენს მაღალ ოცნებით შექმნილი ხე არა ხართ, თქვენ ხარი ამ ბინდ ადამიანიც და რაკი მაინც ხართ ადამიანი, არც ეოსებია აკულებელეყოფა გმართებთ. მაგრამ ვიცი, რას გიკარნახებთ და ჩაგაგონებთ გონება: „მე ვარ თავისუფალი ადამიანი, ახალგაზრდა, ფირმაში სულ ყმაწვილი მოვედი, ვიფიქრე, არაფერს დავზოგავ, ოღონდ კი ცხოვრებაში და საზოგადოებაში რაღაც ადგილი მოვიპოვო, მშობლები არ გავაწბილო, ამიტომ თავს ვაღიარებ დოქტორი მაქსის საკუთრებად და კიდეც დავუმტკიცებ, რადგან ვიცი, რამხელა სიამოვნებას მივანიჭებ ამით. ასე დავეუფლები მის გულს და ფირმაშიც მტკიცედ მოვიკიდებ ფეხს. ამას კიდეც მივაღწიე. დოქტორ მაქსს ყველა სხვა საკუთრებას მე ვურჩევნივარ. მან წინადადება მომცა ცოლად შემერთო ცილიეტა (უფრო თავისი სისუსტის გამო, ვიდრე ძალის იმედით, თუმცა პირველი შესაძლებელია შეიძლება ასეც გეჩვენოთ), რათა უფრო მეტად მივეკრეფვე თავის თავსა და ფირმაზე, რადგან ცილიეტა, ლამის მათი ოჯახის წევრად ითვლება. მაგრამ მე ავჯანყდი. რატომ უნდა შევირთო ჭკუასუსტი და ბედისაგან დაჩაგრული ქალი მე, ჯანმრთელმა, ახალგაზრდა კაცმა, როცა მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინა მაქვს? რატომ უნდა ვიქცე დოქტორი მაქსის სამუდამო საკუთრებად? მაშინ, როცა ადამიანი ვარ და ჩემი თავის მეტს არავის ვეკუთვნი?! მე არც უსულო ნივთი ვარ და არც ცილიეტა (რაც სხვათა შორის, ერთი და იგივეა); მე ვარ ადამიანი და არაფრით განვსხვავდები იმათგან, ვინც კაცობრიობის ისტორიას ქმნიდა და პიროვნების თავისუფლებასა და უფლებებს იცავდა. ამიტომ არც ცილიეტას შევირთავ, არც დოქტორი მაქსის საკუთრება გავხდები და

.არც სხვა ვინმესი! ვიქნები თავისუფალი ადამიანი და არანაირ პატრონს არ დევემორჩილები!"

მე კი ვეტყვით, რომ თქვენი მსჯელობა (უიმედოდ კი გაისლარიეთ) არათუ ყოვლად უზნეოა, არამედ მცდარიცაა. უზნეოა იმიტომ, რომ უფლება არა გქონდათ, ჩემთვის იმედები ნაგენერგავთ, ისეთი აღფრთოვანებით შემეგებეთ და დამარწმუნეთ, რომ ჩემი საკუთრება გახდებოდით, გულუბრყვილოდ დაგიჯერეთ და გენდეთ. თქვენი მსჯელობანი უზნეოა კიდევ იმიტომაც, რომ თქვენ მე ფირმის ყველა თანამშრომელზე უკეთ შემისწავლეთ, ჩემი ყველაფერი იცით და მგონია, ლამის ჩემი ნაწილიც გახდით უკვე! ამის მიუხედავად, მაინც საშინელი დარტყმა მომაყენეთ, როცა გადაწყვიტეთ სულ მიეატოვოთ და თქვენთვის, ცალკე იცხოვროთ! (ასეთ მწვავე ტკივილს ვერ გაპატიებთ!) თქვენი მსჯელობა უზნეოა იმიტომაც, რომ არ გინდათ გაიგოთ ჩემი სისუსტე და იქორწინოთ ცილიეტაზე, თუმცა კი კარგად მოგეხსენებათ, რა სარგებლობას მოგიტანთ ეს შეუღლება. თქვენ უარს ამბობთ ჩემზეც და გინდათ სხვისი საკუთრება გახდეთ (მაგრამ ვინ არიან ის სხვები? ისინიც ხომ ჩემნაირი პატრონები არიან! ასე რომ, ტყუილად ინუგეშებთ თავს, ვითომ სულ სხვა ცხოვრებას ეწევით) ამას მე თვითონ ვაღიარებ, დიახ, თვითონ პატრონი!

თქვენი მსჯელობა უზნეოა ცილიეტას მიმართაც, რადგან მასაც ასევე შთაუნერგეთ იმედები (მასაც კი). კიდეც რომ ცამდე მართალი იყოთ და ამტკიცოთ, ცილიეტა ჭკუასუსტიაო, მას ისეთი ნიჭი აქვს მომადლებული, რასაც ვერა ქალი ვერ დაიქადნის (ვინც არ უნდა შეირთოთ ცოლად); ეს ნიჭი არის უბიწოება! ეს ნიჭი თქვენც გაგაჩნდათ მაშინ, როცა პირველად მოხვედით ფირმაში, მაგრამ დაკარგეთ. იმ სულიერ სიწმინდეზე მოგახსენებთ, რაც უნდა გააჩნდეს სამაგალითო ხელქვეითს და, ალბათ, ოდესმე ყველამ უნდა შეიძინოს! და ბოლოს, თქვენი მსჯელობა უზნეოა იმიტომაც, რომ ცილიეტაზე რომ ლაპარაკობთ, დიდი სიძულვილითაც მსჯელობთ უსულო საგნებზე, თუმცა კი იქნებ სწორედ საგნად ქცევაა ყველაზე დიდი მიღწევა თქვენისთანა ადამიანისთვის, თუკი გინდათ ფირმაში ზურგი გაიმაგროთ. მაგრამ სანამ თქვენ ადამიანად

დარჩებით (თქვენი გაგებით), თქვენთვის არც ერთ ფირმაში არ მოიძებნება ადგილი!

ახლა კი ისევ თქვენივე ამოსავალ წერტილს დავუბრუნდეთ და მე დაგიმტკიცებთ, რამდენად მცდარია თქვენი მსჯელობანი; თქვენ ამბობთ, რომ, რაკი ადამიანი ხარ, მაშინ იმათ მაინც უნდა ვგავდე, ვინც შექმნა კაცობრიობის ისტორია და პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებას იცავდაო. თქვენ გავიწყდებათ, რომ ასეთი ადამიანები არასოდეს არსებულან, ის ლეგენდარული პიროვნებები, ვისაც თქვენ გინდათ მიემსგავსოთ, ასევე ცდილობდნენ სხვები ექციათ ნივთებად და იარაღად. ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს, ყველა შეგნებულად ერთი მიზნისკენ მიილტვის, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იღვწის, დანარჩენები კი ამ იდეების განმტკიცებას ემსახურებიან და ემსახურებოდნენ. ეს არის ერთადერთი რეალობა, რაც ყველა ცოცხალმა არსებამ უნდა იცოდეს.

ტყუილად აყოლილხართ ფუჭ ოცნებებს, ვითომ პატრონის გარეშე ცხოვრება შეგეძლოთ! მე თვითონვე გიბიძგეთ სხვა სამუშაო და სხვა პატრონი მონახეთ-მეთქი... ეძებეთ, მე სულაც არ მწყინს, უფრო მეტიც, სანამ ჩემთან დაბრუნდებოდეთ (ამაში ეჭვიც არ მეპარება), საბოლოოდ გაიგებთ საგანთა რეალურ არსს და დარწმუნდებით, რომ სინამდვილე პატრონის გარეშე უბრალოდ არ არსებობს, ხოლო ის პატრონები, ვინც კი ჩემს შემდეგ გეყოლებათ, ჩემზე უარესები თუ არა, უკეთესები არ იქნებიან, რადგან მე მაინც ისე ვზრუნავდი თქვენზე, როგორც საკუთარ თავზე. თუ ცილიეტას არ შეირთავთ ცოლად და თავად ამოარჩევთ უფრო ჯანმრთელსა და სახიერ ქალს, ხელში შეგრჩებათ არა უბრალოდ ნივთი, რამეთუ ყველაფერი ჩვენს გარშემო მხოლოდ უსულო საგანი და ნივთია, არამედ ისეთი ნივთი, რომელიც თქვენგან მოითხოვს დაკვირვებასაც და შესწავლასაც. ცილიეტასთან კი ეს პრობლემა არ გექნებათ, მასთან უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, რადგან მის შესაცნობად საკმარისია მარტო მისი არსებობის ფაქტის დადგენა. წადით, მოიარეთ ქვეყანა, შეიძინეთ ვამოცდილება, მე არ ვეცდები აზრი ძალით შეგაცვლევინოთ, მაგრამ ფრთხილად! პატრონს მუდამ როდი ემახ-

სოვრება თავისი საყვარელი და სწორედ ამიტომაც დაკარგული საკუთრება. იქნება ერთ დღეს უეცრად აეხილოს თვალი და მისვდეს, რომ ოდესღაც სასურველი საგანი სრულიად უვარგისი ყოფილა.“

ასე მთავრდებოდა დოქტორი მაქსის წერილი. ავხედე ვექილს, რომელიც ვითომ თავისი ქაღალდების კითხვით იყო გართული. მან ნელა, ძალიან ნელა ასწია თავი და შემომხედა.

— ჩაიკითხეთ? — მკითხა მან.

თავი დავუქნიე. იგი სავარძლის საზურვეს მიეყრდნო და ხელები მაგიდაზე დააწყო.

— ასლა კარგად დაფიქრდით! ოცდაორი წლისა ბრძანდებით, უკვე პატარა აღარა ხართ. როგორც წერილიდან გავიგე, რაღაც ვალდებულებებით შეგიზღუდავთ თავი. ამის მიუხედავად, კვლავ დოქტორი მაქსის თხოვნით, მზად ვარ მოგეხმაროთ, თუმცა კი ერთმანეთისათვის უცხონი ვართ. მეტსაც გეტყვით, და გეტყვით გულახდილად, ამაში მე ფულს მაძლევენ; დოქტორმა მაქსმა თავის თავზე აიღო ხარჯები და არცთუ ცოტა! სხვა ფირმაში უნდა მოგაწყოთ, რადგან დახმარების მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თქვენ ანაზღაურების უფლებაც კი არა გაქვთ შრომითი ხელშეკრულების უქონლობის გამო. თავად მიკარნახეთ რა მიმართულებით ვიმოქმედო და მეც მაშინვე მოვკიდებ საქმეს ხელს. რასაკვირველია, ლაპარაკია მხოლოდ სავაჭრო ფირმაზე, რადგან ეს არის თქვენი პროფილი, არც გირჩევთ სხვა გზის ძებნას და არც არჩევანი გაქვთ დიდი. სავაჭრო ფირმების გარდა არის კიდევ კერძო წამოწყებები, მაგრამ ეს გზა ძალზე ეკლიანია და წარმატებას იშვიათად თუ მიაღწევს ვინმე. ესეც არ იყოს, ამ საქმეში მე ვერ მოგეხმარებით, ისევ დოქტორი მაქსის ფირმის ყაიდის რაიმე სავაჭრო საწარმოში უნდა მოგაწყოთ. ქალაქში, მოგეხსენებათ, შვიდი სავაჭრო ფირმაა და ისინიც სასტიკ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. აირჩიეთ რომელიმე, ჩემი მოღვაწეობის ხასიათის წყალობით შვიდივე ფირმასთან მაქვს მიდგომის საშუალება და შემიძლია პირდაპირ მაღალ დონეზე, ესე იგი, პირდაპირ პატრონებს ველაპარაკო. დაასახელეთ, რომელი ფირმა გირჩევნიათ და ახლავე გეტყვით, რა შემიძ-

ლია გავახერხო. ხვალ საღამომდე უნდა მითხრათ პასუხი. დრო საკმაოდ გაქვთ, იფიქრეთ, გადაწყვიტეთ!

ვექილი კვლავ მკაცრად, დაკვირვებით მიყურებდა; მერე წამოდგა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— ახლა კი ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა ჩემი მხრიდანაც გითხრათ, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩემი ვაჟიშვილის კბილა ხართ, თანაც ორივე ერთ თვეში ყოფილხართ დაბადებული. დამიჯერეთ, დარჩით, სადაცა ხართ და დათანხმდით დოქტორი მაქსის წინადადებას! სხვა ფირმაშიც იგივე ბედი გეწევათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დოქტორი მაქსივით არავინ შეგიყვარებთ! მესმის, რომ ეს ცოტა გთრგუნავთ, მაგრამ განა სიყვარული ყოველთვის ცოტა დამთრგუნველი არ არის? ნუ გაუძალიანდებით საგანთა დადგენილ წესს; უფრო სწორად, ნუ აღუდგებით წინ ძალას!.. აი, ახლა, ამ წუთში თქვენი კრიზისიც დამთავრდა! ისეთ ასაკში ხართ, როცა სინამდვილე მთელი თავისი უბადრუკობით წარმოუდგება კაცს, როცა ძალა ერჩის და უნდა სინამდვილე ბრძოლით გარდაქმნას ანდა უკეთესისკენ შემოაბრუნოს, მაგრამ სხვა სინამდვილე არ არსებობს და არც იარსებებს.

მან გასასვლელამდე მიმაცილა, მდივანმა ქალმა კარი გაგვიღო.

— მაშასადამე, ხვალ საღამომდე! — მითხრა ვექილმა და ხელი გამომიწოდა:

— მაგრამ... მე მგონი... მგონი ხვალ აღარც მოვალ... — ვუპასუხე და ვიგრძენი, როგორ გამიპო ბაგე ღიმილმა.

XIV

მე ვიქორწინე ცილიეტაზე. დოქტორმა ურაძამ ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე გამომიძახა და მკითხა, გინდა, თუ არა შვილები გყავდესო. უარი რომ მეთქვა, ალბათ, ზომებსაც მიიღებდა.

— კარგად დაფიქრდით, უცბად ნუ გადაწყვეტთ, — მითხრა მან, — იმიტომ, რომ თქვენს გადაწყვეტილებას თავისი ზნეობრივი მხარე აქვს.

მე ვთხოვე, ჩემს მაგივრად თქვენ გადაწყვიტეთ-მეთქი, მაგრამ გაბრაზდა და მაგიდას სამჯერ დაარტყა ხელი.

— როგორ! ეს თქვენი სინდისის საქმეა და არა ჩემი. კარგად მოიფიქრეთ და ისე მითხარით, უნდა ვიცოდე, როგორ მოვიქცე.

კვლავ გასაჭირში ჩავვარდი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა; მერე ვთხოვე, ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრებ-მეთქი.

— რა მერყევი და ზოზინა ხართ! თუმცა კი გასაგებია, ალბათ ღელავთ, ბუნებრივია, ქორწინება ახლოვდება...

რა უნდა მეპასუხა? მიზეზების ჩამოთვლა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ რაკი დოქტორი ურაძას მითითებით ამდენი გამოკვლევები და ანალიზები გავიკეთე, იმასაც უნდა მივმხვდარიყავი, რომ, ალბათ, ურდოდა მე და ცილიეტას შვილები ეყოლოდა. ესეც არ იყოს, სულ პირველად ცილიეტაზე ლაპარაკისას ხაზგასმით აღნიშნა, ჩემს გაზრდილს სურვილი გაუჩნდა ქმარ-შვილი ჰყავდესო. მაშინ კითხვას რაღა აზრი ჰქონდა? ზნეობრივია თუ უზნეო, უბედური და არასრულფასოვანი შვილები გავამრავლო? იქნება უზნეოც არის და რაკი დოქტორმა ურაძამ ასეთი საუბარი ჩამომიგდო, ამით მანიშნა წინააღმდეგი ვარო? ანდა იქნებ ჩემი ზნეობის შემოწმება უნდოდა და თავის გულში იმას ფიქრობდა, რაც არ უნდა უბედური და სახიჩარი ბავშვები გააჩინოთ, ეს მაინც უფრო ზნეობრივიაო? ცოტა დავფიქრდი და ვუპასუხე, მინდა-მეთქი.

— ასეც ვიცოდი! — წამოიძახა დოქტორმა ურაძამ,—რადგან გადაწყვიტეთ, იყოს ნება თქვენი!

მე პირდაპირ მოვახსენე, თუ შვილები გვეყოლება და თანაც მახინჯი, რაც სავსებით მოსალოდნელია, მაშინ ამასაც ისევე უნდა შევურიგდე, როგორც ამ ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ სხვა ბევრ რამეს შევურიგდი და შევეგუე-მეთქი.

— აი, მესმის, ამას უკვე პასუხი ჰქვია, — წაიბუზღუნა დოქტორმა ურაძამ.

ხმაზე შეკვატყე, ჩემი ეადაწყვეტილება მოეწონა; რაკი მაიძულა ცილიეტა შემერთო ცოლად და ისე მომიწყო საქმე, სხვა გზა არც მქონდა, მაშასადამე მასა და დოქტორ მაქსს განზრახული ჰქონიათ მე და ჩემი ჯურის სხვა ადამიანები

რაღაც გენეტიკური (და სოციალური) უძრაობისთვის გაეწირათ. იგი, ალბათ, ასე ფიქრობდა: „ამ ახალგაზრდას მტკიცე ხასიათი არა აქვს და პატრონის მიმართ მისი დამოკიდებულებებიც წინააღმდეგობრივია. დოქტორ მაქსს კარგა ხანს ჰყავდა იგი ასლოს და ფრიადაც გაანებივრა, ასე რომ თავში აუვარდა და იფიქრა, პატრონებს მივემსგავსებიო, ესე იგი, იმათ, ვისაც უფლება აქვს განიცადოს ევოლუციაც, პროგრესიც და თუნდაც უკვდავების ზღურბლს მიაღწიოს. ეს ქორწინება კი მას დაეხმარება შეიძინოს რეალობის გრძნობა, რომელიც აშკარად აკლია და შეერწყას ხელქვეითთა ანუ თავისივე მსგავს ადამიანთა რიგს."

ასეც მოხდა; ქორწინების შემდეგ ჩემს ტანჯვა-წამებასაც ბოლო მოეღო, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. დოქტორმა ურაძამ დაპირება შეასრულა და ქალაქის განაპირას, დიდ შენობაში, სადაც ფირმის მრავალი სხვა თანამშრომელი ცხოვრობს, მზითევის სახით ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა მოგვცა; ამგვარად გამაჩნია ცოლი, ბინა, მაცივარი, სარეცხი მანქანა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, იმისათვის, რომ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ვიგრძნო თავი. მშვენიერ ხელფასსაც ვიღებ, დოქტორმა მაქსმა კი სრულიად ახალი მანქანა მაჩუქა. ასე რომ, დილაობით სამსახურში რომ მივდივარ, ვეღარავინ მიმამსგავსებს იმ ყმაწვილს, როგორიც ოდესღაც ვიყავი. ჩემი დაოჯახების შემდეგ დოქტორი მაქსი საგრძნობლად შეიცვალა, დაცხრა და დაშოშმინდა, რადგან ჩემი ოჯახი მას მომავლის იდეალური ოჯახური უჯრედის სახედ, ანუ აბსოლუტური საკუთრების შედეგრად მიაჩნია. ალბათ, მართალიცაა, რადგან ბორკილის ერთადერთი სახე, რაც არასდროს არ მოისპობა, არის სახეობათა ბორკილი. არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ მის პროექტში რაღაც გენიალური მაინც არის. მაგრამ მთლად კიდევ ვერ დაშოშმინდა და, ალბათ, ვერც დაშოშმინდება, სანამ მისი იდეა ბოლომდე არ განსორციელდება.

მეორი, სათქმელიც აღარაფერი დამრჩა. ყოველგვარი პიროპიროობის მიუხედავად, ჩემი და ცილიეტას ცხოვრება წორმალურად აეწყო. როცა ყველა ნივთის სახელს ჩამოთვლის, მერე ორივე ვჩუმდებით. სიტყვები საჭიროც არ არის; ნათქვა-

მია, სიტყვები იმისთვის მოიგონეს, რომ ადამიანებმა ერთმანეთთან ურთიერთობა გააბან ანდა პოეტები გახდნენო. ეგებ ოდესღაც ასეც იყო, მაგრამ ახლა, ჩემის აზრით, სიტყვები მარტო თავდასხმისა და თავდაცვის იარაღად იქცა. მე და ცილიეტას კი არც გასაყოფი გვაქვს რაიმე და არც ერთმანეთთან საბრძოლველი, ამდენად, არც სიტყვები გვჭირდება. სხვა ცოლ-ქმრისაგან განსხვავებით ჩვენ სავსებით ბედნიერები ვართ, რადგან არც ვლაპარაკობთ და მით უმეტეს, არც ვჩხუბობთ.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ცილიეტა ფეხმძიმედაა. სანამ მოკვდება, — ექიმები ამბობენ, სამი, დიდი-დიდი ხუთი წლის სიცოცხლე დარჩენიაო, — იგი დედობასაც მოასწრებს. ჩვენი ვაჟიშვილი მასავით ჭკუასუსტი იქნება. სულითა და გულით მინდა ასეც იყოს და, უკვე ახლავე, მეშინია კიდეც.

ყველას უნდა, თავის შვილს, გვარის გამგრძელებელს, მისი ზნე და ხასიათი გამოჰყვეს. მე კი იმედი მაქვს, ჩემი შვილი მე არ დამემსგავსება, იგი დედამისივით ბედნიერი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ უბრალოდ არსებობს და მეტი არაფერი. ლაპარაკს, ალბათ, ვერ ისწავლის და ვერც ვერასოდეს გაიგებს რას ნიშნავს „ზნეობა“ და „უზნეობა“. ვისურვებდი, მასაც იმ ქილასავით ეარსება, ახლა რომ დედამისს უჭირავს ხელში! აი, მაშინ კი ვერავინ ვერაფერს ავნებდა!

ПАРИЗЕ ГОФФРЕДО

ХОЗЯИН

(На грузинском языке)

Издательство «Мерани» пр. Руставели 42.
Тбилиси 1988

რედაქტორი ი. ლეკავა
მხატვარი მ. თავაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი რ. გოცირიძე
გამომშვები ნ. ხავთასი

სბ. 3614

ჩაბარდა წარმოებას 19.11.87. ხელმოწერილია საბეჭდად 14.03.88. წ. ფორმატი 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი საწიგნე-საკურნალო. გარნიტურა ივერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 11,34. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 10,26. პირობითი საღებავგატარება 11,45.
ტირაჟი 50.000. ეკვ. შეკვეთა № 2801.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.